

194
1933



მნათობი

5

ლექსები
ალ. აბაშიძე
ზალ. ტაბიკაძე
თიბ. ტაბიკაძე
ვაკ. თურქული
იონათანი

პრეზა.
მასილ ბარნოვი
კ. ჩხიკვაძე
კ. გამსახურდია
გ. ხააჯოვი
საფრ. მგელაძე

წიგნი ლექსი
დავ. კლდიაშვილი
ვახ. ბარნოვი
გ. ქუჩიშვილი
გ. ნატროშვილი
შ. კადიაძე

ე. ახვანიანი
ლ. მელიქიძე-ბიბი
კ. გამსახურდია

ცეკუმიუნტები
ბ. გიბიანიანი
მსჯევერთაძე
დავრ. მუღიაშვილი

05.1933^p

273

პრინციპული კვლევა ქვეყნისა, შუიხთილით



ქართული
ლიბრერიის
სამსახური

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწარ-
ლუშის კავშირის ყოველთვიური სალიტე-
რატურა, სასკოლო და საზოგადოებრივ-
საპოლიტიკო აღმწერალი

5

წელიწადი მესამე


4447
9011



საბიბლიოთეკო

1933

ტფილისი



სარედაქციო კოლეგია:

გ. შურულაველი, ხ. ეული, ივ. ვაზაშვილი, ზ. კადიანი,
დ. ხულიაველი, გ.ლ. ტაბიძე, ბიძ. ტაბიძე, სიმ. ნიძოვაძე,
პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ./მგ.
მდივანი).

პ./მგ. რედაქტორი: გიორგი შურულაველი.

ქოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა

შპს. № 794. ტირ. 3000.
მთლიტ. № 880ა.



ღეღის ხელი

გამთავნებულთ ოჯახი დრვლათით საესე. ოთხი ვაჟკაცი ცოლ-შვილიანი. დედ-მამა ისევ ცოცხალი. მრავლადა ჰყვანდათ ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენები. მარილის ქვები კედლად აგებული. კერის თავზედ შაშხად ფეშოები, ცხვრის დუმები ხარიხობებზედ. საკიდელზედ მარად დიდი ქვაბი საკმლის სახარშად, ხანხან სიპის ფიცარი მაქკატელებისა თუ სხვა ცომეულობის მოსაწევე-გამოსაცხობად. ცეცხლთან მიფიცებული კეცებით ხშიადები, ხავიწიანი ჭადები. გოდრები, კოდები, საცალოები სვილით, ასლით, ფეტვით თუ სხვა მარცვლეულობით. ერბო-ყველით თავმობმული კასრები თუ ქილები. რძით მოპილთავებული ხონები არაენის წასახდელად. შინ ხდიდნენ არაყს, სწურავენ ლუღს. სასმელით საესე ქინთები თუ გოზაურები.

მყინვარ ზამთარს ზურგმაგრა შეხედებოდა ბალიაურის მტკიცე ოჯახი. კერაზედ წადებული სათარი კარებამდინ უწევდა ბოლოს. ზედ მიყრილი ზეხმელის ნახეთქები. გუგუნებდა ცეცხლი. ბოლი ვერ ეტევოდა საკომიდან, ღრუბელივით დატრიალებდა ჩამოწოლილი. კიდევ კარგი, ქასდარამდინ არ ეშვებოდა, თორემ თვალების დამწუხვა დასჭირდებოდა შეჩვეულსაც. ლასტებს იქით საქონლის მიდგომ-მოდგომისა თუ ცოხნის ხმაური. ბევრი იყო სოფელ ღულში გაკეთებული ოჯახი, მანგიურის კერისთანა—ვერცერთი.

ირევოდნენ ქალნი თუ ვაჟნი, მოზრდილები თუ მოზარდები. უცხო თვალს სტუმრეულობა ეგონებოდა. დააკვირდებოდა, მნახავდა, განსაზღვრილ საქმეს აკეთებდა ყველა, მისდამი შიჩნებულ საკეთს.

ცხვარს დაჰკლავდნენ სადილად. დიასახლისს მარჯვედ უნდა გაერვიგებინა, რომ ჰყოფნოდა ჯალაბს და სტუმარს. გაუკვირდებოდათ: უცხო არ შესწრებოდათ ჭამა-სმის დროს. არყით საესე ქინთი დაიფუკებოდა. ტაბლა ისე არ ილაგდებოდა, ფანდურს არ ესიამოვნებინა ჭამად შეყრილნი. იტყოდნენ საგმიროს, საარშიყოს, გონის ვასაწვრთენელს.

ნეტავ რა გიქნავს, ჭაბუკო, სახელ რა მოგიტანია?

მტერი როს მოჰკალ ვაჟკაცი, ხელი როს მოგიტანია?

სტუმარო, სტუმრისა მზესა, უსტუმროდ არა ლბინია;

უსტუმროდ პური, სასმელი მწარე არ, არა ტბილია!

კაი ყრმა ხმალსა ჩაჰხედავს: ნეტავ გამიჭრის, თუ არა;

ცუდი ყრმა—ქალის უბესა: ნეტავ შემიხვევს, თუ არა!

ხანხან შუშპარიც, ზოგი ხლტებოდა, ფრინაედა, მერცხალივითა ხლტებოდა; სხვა....

პო:

„თამაშობა შუშპარია, თორემ ბრაცობრუცი თანამაც იცის“

2

— ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენს მოწყალებას! — იტყოდა პაპა მანგიური. და შეიძვრებოდა წამოსადგომად. წამოიშლებოდნენ. დიაცნი სუფრას აუმატებდნენ. ყველა თავის საქმეს დაადგებოდა. უკლებლივ უნდა შეესრულებინათ დაეალბებული, რომ ნაწილნაწილ ნაკეთებს საღამოზე მკაფიო პაზრი დასჩენოდა, ოჯახისთვის სასიკეთო მთლიანი სახე. პაპა-ბებიას შრომა აღარ შეეძლოთ, თვალყურის დევნება კი მათი ვალი იყო, დაკვირვებულ-გამოცდილებისა.

— რას ასწრადებ, გავაგ, მაგ ნაჯახს?! მოზომილად დაქვარ სათარს, აუჩქარებლივ, რომ მეტს ხანს შეგჩჩეს ხელ-მხარი, — ეტყოდა პაპა,

თუ შენიშნაედა, რომ ახალგაზრდა აჩქარებით აწყდებოდა დღიურ საზრუნველს. ძროხების მოვლა, მათი მოწვევლა, რძის ღალის კეთება დედაკაცთა საზრუნველი იყო. მათი შრომით არ უნდა მოჰკლებოდა ოჯახს ერბო-ყველი თუ ხაჭო-კალტი და ისე კარგი, სხვების ნაკეთებს არ ჩამორჩენოდა. თუ არა, წააყვდრებდნენ მეზობლები, თქვენი წველა-დღეება უბარაქოა, ვერც ატყვია მარჯვე მარჯვენაო.

დღეს ძროხების მოვლა-მოწვევლა გულთამზეს შეჰხვდა, ადგა ალიონზედ. გაეპართა ბაკისკენ საწველით ხელში. შემოჭმულეს ფურებმა, ზოგმა ხელმკლავი აულოკა: თუ მოუალერსეს. დაწველა. კასრები დაავსო. საურველი გადაუსვა საქონელს, რომ არვის ეთქვა, მანგიურიანთ ქალმა მწვირიანი ძროხები გამოურეკაო მწყემსს. გარეკა. ჩააბარა. დააბინავა რძე. ისევ დაბრუნდა ბაკში. დახვეტ-დაგავა. მიხურა ლასტის კარი. შეუდგა თავის თავის მოვლას.

ჩამოიშალა თმა. იწყო ჯალჯის ჩამოგება. ვერ უფლიდა სიხშირეს კბილი. ასველებდა ხას სავარცხელს ძროხის შარდში, რომელი იქვე ედგა ნატებრით. მთლად გაება სავარცხელი წეწილ ბარდებში. გამწარდა ქალი.

— შენამც დამლევიხარ, პატრონ შავო! — შეუტია თმას.

და გაბედვით ჩამოსწია სავარცხელი. ვერ გაგლიჯა ტევრები, ვერ გაატანა ბოლომდინ.

— შევიკრეკე! რად არ შეიძლება?! ჩემი ტოლ-სწორნი ჯერ ისევ თმაშეკვერცხილნი დადიან, საშუბლე წაკრულნი.

თითონვე დაენანა ბუნებრივი თვისი სამკაული. მოიკრიბა მოზბინება, ნელ-ნელა იწყო ვარცხნა. დაფარა თმამ ქალის სახე, ბეკნი, გულ-მკერდი. ტევრებს შუა აჩნდებოდა ფიფქის კისერი თუ ყელ-ყური შეფენილა ვარდის ფურცლებით. საკინძე ჩამოეხსნა. გამოსკვივოდნენ მძლავრი მკერდი და ზედ ბორცვები. ჩამოიგო თმა. სითხეს წიწიანით იღებდა ნატეხარიდან. ნალექი არ შეემღვრია, მეტად ფრთხილობდა.

— თუ შეიმღვრა, თმას ნავლად გადაედება, ველარ აფუვალ ვარცხნას, — გაიფიქრა ქალმა



და უმატა სიფრთხილეს, დაელაღა ხელი.

— აბა თუ ჩამოვიდეს დაწყველილი! ამოგლეჯილის ალაგას ორი ამოდის...

უბრალო წყალით დაბანას ნებას არ აძლევდა ბებია:

— ქერტლით აიესება თავი, თმას ბუღიდან დასძრავს, შირს დასცემს; გვეთი წყალი სიჩხინტეს უნაბავს თმის ძირებას, თვითონ თმასაც კპობავს, არ ახმობს, მძოვარას არ უჩენს.

3

ორივე ხელით აწვია თმა ვადასაფენად. შემოესმა ხმა.

— ქალო, გულთამზე, შინ თუ არის შენი ძმა თორღა?

გახედა ქალმა. მკლავნი დარჩნენ აღმართულნი თეთრ მარმარილოდ. აუყვავდნენ ყაყაონი მწყაზარ ლაწვებზედ. ხმა ველარ გასცა: ბგერათა დენას სავალს უხშობდა შეკრული ყელი. ენა ტყვიად გარდაქმნილი აღარ იძროდა.

— არ აჩქამდები?! იმასა გკითხავ, შინ თუ არის რომელიმე ვაჟკაცი სახლის.

გონს მოეგო ქალი შემკრთალი.

— უშიშავ, შენა? შინ არიან, შევატყობინებ.

დაძახება აღარ დასჭირდა: გამოისმა კარის კრიალი. შეჰსმენოდით შინაურებს სტუმრის ძახილი. დიდად საპატიო სტუმარი იყო კაბუჯი ყველა ოჯახისთვის. პირველი ვაჟკაცი ხევესურეთში. უძინებელი მტერი ქისტების. ჯერ ისევ პატარას მოუკლეს მამა. აიღო სისხლი: შეეტყუა ქისტთა სოფელს, მოკლა დუშმანი. გამოიჭკა. მას აქეთ იყო, მოსაკლავად სდევნიდნენ მას. თვითონაც იმის ფიქრში ღა იყო, მეტი მტერი წაემძღვარებინა შავეთისაკენ. დახელოვნდა ბრძოლაში. ველარ მოეხერხებინა მტერს მისი მოსწრობა, დამორჩილება. იყო შემთხვევები, როცა მტერი პირისპირ შეხვდებოდა მას. ვერ უმარჯვდებოდით: მეტად ძლიერი იყო, მარჯვე, მოქნილი. ფოლადის ნახეთქს ედრებოდა ლაღად აღზრდილი.

— მერღზედ ჯადო აკერია და იგი ჰფარავს.

— ხელდასხმულია გუდანისაგან, სავაჟაკოდ წარმოგზავნილი.

ქალს ეძებდა ასაკმოსული, არა, აღარ დაეძებდა: ნაპოვნი ჰყვანდა გულთამზე, მას ეტრფოდა ჯერეთ შორიდან. ეფიქრებოდა:

— თუ არ მომცეს თვისი ქალი დიდმა ოჯახმა ვილაცა ეულს, კარგამოკეტილს...

ესეც არაფერი: მოიტაცებდა. მაგრამ... თვით ქალისა ეშინოდა უშიშ მზე-კაბუჯს.

— არ შეკარება. მიფრთხის ძალიან. შეკრთა ეხლაც, ხმა ველარ გამცა. მოვიტაცებ! არა! თავს მოიკლავს, თუ არ ვუნდივარ.

— კარგო ქალო, რად მერიდები? იმას თუ იტყვი, მტერთან მძლავრი, ვაჰ, თუ შინაც ცივი იყოს, დაუნდობელი.

უნდოდა, ეგრძობინებინა, როგორ ჟყვარდა.

— რად ვიქნები უღატო, ქალო, მე შენთან?! ნუ გეშინიან! უამარის ტყად მიმჩინიხარ სათაყვანები. როს ვლოცულობ მზეს ამომავალს, შენ გვედრე-

ბი. დამინახავს შენი სახე იმის სხივებში. ნათელი რამ ხარ, პირიშენს შეგეხარ. ხომ მისმენ, ქალო? თუ გიგრძობს გული? ვერ შეგეღვივი!

ქარებისკენ ეჭირა თვალი, აი ეხლა შემოვაო ქალი გულთანს შეგეხანებდა. უთმენელ ვაქს წამი ეამად ეჩვენებოდა.

— რა გაშინებს?! ხევსურეთის თვალი ვაეკაცი გეწვევია და შენ ხელზე არ ემსახურები!— ეტყოდა დედა.

— მაშის სისხლი აღრევე აილე. სხეებიც ხომ ბევრი გაუგზავნე შევეთისაკენ. კმაყოფილი იქნება იქ იმისი სული,— ეტყოდა სტუმარს მანგიური.

— კიდევ ბევრს გაუგზავნი, გულანის მადლმა!

მოართვა ქალმა ყანწით არაყი. დალია. უქო სასმელი.

— თუ მოგასწორეს, არ დაგინდობენ: ბევრი სისხლი გმართებს იმათი. სიფრთხილე გინდა.

— ყველა ხევსურს სიფრთხილე სჭირია!

ბევრი უალურსეს, შეაპატიეეს. ფრთხილად სჭამდა. სულ ორიოდ ყანწი არაყი.

— ჩვენს კაცს მოჭარბებული ჭამა-სმა არ არგებს: შეამძიმებს.

4

ტყუილად ეფიჭრებოდა: ვაჰ, თუ ქალმა უარყოფით შემომხედოსო. არ იცოდა: ქალს ჯერ არ ენახა ჭაბუკი, როცა მისმა საგმირო ამბებმა გული დაუბეს მას.

— ხევსურეთის დიდებაა უშიშა. იმისთანა ვაეკაცს დედა ველარ გამოზრდის. ნეტავი იმ ქალს, ვისიც პატრონი შეიქმნება ის,— იტყოდა მეფანდურე ჯუღლა.

ქალი თავის აღგზნებულ ოცნებაში მებრძოლ რამ ხატად წარმოიდგენდა ჭაბუკს და მრთელის არსებით მიისწრაფოდა მისკენ. შემდეგ ხახმატში ნახა ვაჟი ხატობას და დარწმუნდა, მართალი ყოფილიყო ნათქვამი ქება. ორჯელსამჯერ მოჰყვა ქალი მის თვალთაგან ნასროლ ბუნჯგლებში და აეწვა სახე თუ ტანი. აღარ განელდა იგი ცეცხლი მის არსებაში! ვის გაუშხელდა?! ვერ ისევ პატარა იყო, ძლივს შეღერებული. ვერ გაეარშიყებოდა თუნდაც შორიდან, ვერ აეტოლებოდა უკვე სასძლოდ მომზადებულებს. ეხლა პირისპირ ნახა ვაეკაცი, მისმა იერმა ელვასავით დაუარა სულში, აღაგზნო იგი. კედებოდა ქალი, გული მისთვის ეწურებოდა.

— რა იცის, რომ დამწველ ცეცხლად დამესხნეს გულს მის თვალთ ეინჯილინი!

უხილავი ნაღვერდალი ველარ ქრებოდა; სწევდა, სტანჯავდა.

— მომახლებოდი! მე, ბეჩაემა, ვერ შევიგრძენი. ქაჯის სახით თუ გერწენე თმააჩიჩილი.

— რომ იცოდე, როგორ ჰშვენოდი! ველარ შევსძელი განს გადგომა, თვალის მოწყვეტა. აგეტქამე. შევირყიე განმარტოება; დავარღვიე წესი ვაეკაცთა.

— მე ისე შეგონა, არრად ჩამავდე.

— ველარ შევსძელი! თუ მოიტანე საიდუმლო ჩემზედ რამ ძალა?!

— მე ვერ გხედავდი.



— მაინც შეხედავ! მიზიდავდი საბედისწეროდ.
 — შე-ქაბუკო, რა კარგი რამ ხარ! მთის დიდება მარჯვენით დაგაქვს.
 — თუ მოგეწონე ტლუ ვაქაკი, ქალო ძვირფასო?! ხევისლოთა მტრებთან
 აწ ვიბრძოლო შენის სახელით!
 უკვე იყო ეამი წასვლისა. გამოეთხოვა. კიდევ ყოყმობდა: არ ეთმობოდა.
 — თუ რის თქმა უნდა და ვერა ჰხედავს,—გაიფიქრა მასპინძელმა
 და ქვედა უწყო წვევა.
 — სჩქარობ, ვაქაკო! წელანაც ვითხარ, დარჩი ამაღამ. სახლისათვის სა-
 სიამო ხარ. მოგიწვევ ხალხსა.
 — წავალ!
 — დამემღურებიან, რად არ შეგვატყობინე, არ გვიჩვენეო. ჩვენც დავ-
 პატიებდითო.

—გნახამთ კიდევ და... მივხედავ ეხლა ჩემს დედას.
 — რა გაუჭირდება უშენოდ?
 — არც რა! კარგი სოფელია, გამტანი.
 შედგა ეზოში. გასინჯა თითვეულად ყველა იარაღი. უფრო მაგრა მოიჩ-
 ტყა სარტყელი:
 — კარგი პატრონი ყოფილხარ საქურველისა. მით უფრო გშენის.
 — ამაზედ ვარ დანდობილი: არ ელალატება!
 — გულთამზე! საკართანო მოართვი სტუმარს.
 — წელან დავლიე!
 — ის ბქესთან იყო. ახლა ეზოში.
 მოართვეს. დალია.
 — ავაშენოსთ. გაგიძლიეროსთ ოჯახი. მშვიდობით!
 — მზისამყოლი ავაღვენოს გამჩენმა, გამარჯვებით გავლიოს!
 დაჰკრა კვლავ ქალს შავარდნის თვალი და გაემართა.

5

გასცდა სოფელს. მხედ მიაბიჯებდა, მაინც შიგადაშიგ უკან იყურებოდა,
 თუ მიშხერენო. გასცდა ბეჭობს. მიეფარა სოფელი. ეტკინა გული.
 — ერთი კიდევ დავინახო იმ მტრედის ბუდე,—გაიფიქრა
 და შებრუნდა. შედგა მალლობზედ. ძირს ჩაფენილი დიდი სოფელი. ნისლის
 ნაგლეჯებდად მოჩანდა აქა-იქ კვამლი. იაზრა ბინა. მოენატრა, ერთი კიდევ და-
 ენახნა გულთამზეს სახე.
 — მოიშიზეზე რამე, დაბრუნდი!
 — არ შეიძლება! რას იფიქრებენ?!
 დაქინებით გადაჰშეროდა. ვილაც ქალი მოდიოდა იმავ ბილიკით.
 ტვირთი ეკიდა.
 — ნეტავ ვინ არი? გულდა თუ ჰკიდიხა ზურგზედ. არა, ტომარა არის. საფ-
 ქვაფი თუ მოაქვს რამე იმ ღრიკინაში.
 დაკვირვებულმა თვალმა ის მოაჩვენა, ვინც რომ ედგა გონების თვალთ წინ
 — გულთამზესა ჰგავს. მწყობრი მოძრაობა, გათვლილი ნაბიჯი. ბეჩავ
 ბიკო! თუ მოხიბლე იგი ტურფა, უნებლიეთ გამოიყოლე.

მეტად საამო იყო მისთვის ეს ოცნება. თავს არწმუნებდა:

— სწორედ ის მოდის! მივეშველები, ამოვუტან ტომარას, — მივაცი-
ლებ წისქვილამდისაც.

ამოჩნდა ქალი მახლობელ დაბლობიდან.

— სულ სხვა ყოფილა!

მიესალმა მომავალს. არ ევარგებოდა, აპყლოდა. სხვა გზით წავიდა მთლად დარცხენილი. ამ ჩვენებამ მაინც გადაადგმევინა გაბედული ნაბიჯი: აღარ შეიძლებოდა, საკუთრად არ ეგულვა ძვირფასი ქალი.

— ჩავალ სახლში. ვეუყვი ჩემს დედას. კაცებს მივუგზავნით. არა მგონია, უარი შემომითვალოს: პატრუცემით მეპყრობოდნენ იქ. მივსცემ, რასაც მოხოვენ ქალის წამოსაყვანში.

ფეხი ააჩქარა: თუ უნდოდა ადრე დაწყება ამ ძნელი საქმის. ისევ შეეკვდა:

— რომ არ მოგცენ ქალი?

— მოვიტაცებ! გამოწყეება: შევატყვე, ვუნდივარ.

მაინც წინანდელსავე ჰაზრს დაადგა, როგორმე დაეთანხმებინა მდიდარი ოჯახი, მოეგო ყველას გული, ლხინით წამოეყვანა ახალი სული, დიდი ქორწილი გადაეხადნა, კერა სიხარულით აენათებინა.

— თუ არ დაეთანხმდნენ? ქალმაც რომ არ დაშალოს მათი ნება? რომ შეგიძლოს, თუ მიჰმართე ძალადობას და მოიტაცე?

ამოიღო დაშნა, ააპრიალა.

— არა სჭირს აქ დაშნა. ველარც ვარგა მკლავი ძლიერად. მოფიქრება უნდა. რამ დაგადუნა, ჩემო გონებავ?! ვერ მირჩევ ვერას ამ გასაქირში....

გაელმნა: ახალი ჰაზრი წარმოუდგა თავისებური. გაიმართა წელში. ლა-
ლად წავიდა.

6

გადაიარა ხახმატზედ. გახდა ხევის ხახაბოსთან. მთა-მთა წავიდა მდინარის მარჯვენე ანატორისკენ. გადახედა შატილის არეს. დააპირა წყალს გახდომა, სოფელში ჩასვლა. გადაიფიქრა. შეუდგა მწვერვალებს, მეტად ძნელი საველი იყო, წავარნაც არსადა სჩანდა. მტრისგან უშიში ადგილები: არ ეცალა მტრის საზვერად, ვერც დიდ სიფრთხილეს გამოიჩინდა: სხვაგანა ჰქროდა მისი გონება. ერთი ციკაბო და დაადგებოდა ანატორას ბილიქს. კლდეზედ რომ მიემართებოდა, შემოესმა შრიალი რამ შორეული. შედგა. შეათვალეირა.

— ჩაშლილი ქვიშის ხმა. ჯიხენი თუ მიდიან ხევისკენ.

ამოეფარა ლოდს, გამოჩნდა ვაკი. გზას იკვლევდა. რამოდენიმე შუნი უკან.

— ხატმა თუ გამოგზავნა ნადირი ჩემს ბედზედ, დიდება მის მადლს!

გადმოიღო თოფი. თვალთ მანძილს ზომავდა. შეიცადა.

— მისწვდება ტყვიამ! — გაიფიქრა.

და მოსხლიტა ჩახმახი. იგრიალა თოფმა. იმავე წამს გაისმა სხვა თოფის

ჭეჭა. გახვრიტა უყვიამ უშიშას ქუდი, გატუსა ქოჩორი. აანიც გაჰკენწლა.

— მტერი! — დაიძახა უშიშამ.

და გადაფრინდა იქით, სადაც ჯერ არ გაფანტულიყო თოვლის/კვამლი. ქვიდან ქვაზე ხტებოდა კაცი. დუშმანმა დამბაჩა დააშალა. ფუქარა/ტყვია უშიშას წინ გაერთხა ქვაზედ. მიჰვარდა ზედ ვაჟაკი.

— ცაბანი?! დამრჩი, ვერაგო!

— ტყვიას გადურჩი, ხმაღს სად წაუხვალ?! — შესძახა ჭისტმა და შორიდან უელვა ხმალი. ვაჟმა მოასწრო ხმაღის აკვრა და იქვე ახლო დაუქნია, წაოკვეთა მაჯა.

— შე ხომ მოშკალი. სად წაუხვალ ჩემ ამხანაგებს?!

აპყრა იარაღი. მერმე ლა მიხედა ჯიხეს. დაგორებულოყო ტყვიანაკრავი. ამოიტანა. მოიკიდა. გაუდგა გზასა. შეხედნენ მას სოფელენი.

— გამარჯობა!

— ნადირი შოგიკლავს, კვლავც ბევრი შოგაკვლევინოს!

— გაგიმარჯოსთ თქვენც!

— იარაღი! ხელი!...

— მტერიც დავიმორჩილებია!

— ხელმხარი შეგარჩინოს ღმერთმა!

— ცაბანიისა არის მარჯვენაც, იარაღიც.

— ჭისტ ცაბანიის?!

— ძმობა გამიწიეთ: ემანდ ღრანტეში გდია ხელმოკეთილი. მიეშველენით. ნურას ლა აენებთ კარგ ვაჟაკს.

— ვგრე!

7

გაუდგა გზას. ჯიხეი — ზურგზედ, ნადავლი იარაღი — ილღიაში, გმირის მარჯვენა — ქამარზედ. ნაჭრევიდან სისხლი შედგა, თმაში შედუღდა. რამოდენამე წყეთი სახეზედ ჩამოღვენთილი. მიდიოდა, მიუხაროდა. მოეგება დედა. მრთელი სოფელი გამოეგება, რაკი გაიგეს, რა დიდი გამარჯვება მიენიჭებინა მისთვის ხატს. ფიქრობდა ვაჟი:

— ვერ მხედავს გულოვამზე გამარჯვებულს. სისხლს თითონ ჩამომხანდა, კრილობას შემიხვევდა... თუ შეშინდებოდა, სისხლიანს რომ დამინახავდა? ძალიან ქალი კია, გუდანის მადლმა!

ხელიდან ხელში გადადიოდა მოკრილი მარჯვენა, სინჯავდნენ მის ნაჭეთს, აგებულობას.

— ისე წაუსხებია, ძვალი არსად გაუმტვრევია.

— იცის ძლიერმა მარჯვენამ!

— ბეჩავ, ხელო! კარგად იცოდე იარაღის ხმარება. ბევრი ვაჟი წარგიგზავნია ბნელეთისაკენ!

— მარტო უშიშას შეეძლო მისთვის ბრძოლის გასწორება.

— აკი მისი ხელით მოკვდა!

— უშიშავ! თუ გათავდა იქვე ის ჭისტე?

— არ ვიცი! შე მისთვის აღარ ღამიკრავს. იქნებ სისხლთ დაიკალა. ბიჭები შეხედნენ, გავგზავნე მისაშველებლად.

მოვიდა აბიკა. ექიმი იყო. უებარი წამალი იცოდა ქრილოზისა. მოჰბანა სისხლი, წაჰპარსა თმა. გასინჯა ნატყვიარი.

— ძვლიც გაუკაწრავს. ერთი ბეწვით დაბლა და მოჰკლავედა კაცს.

— ისიც საკვირველია, ცაბანის ტყვია ბეწვზედ ასცდენია: მთელ მთაში გათქმული მეთოფე იყო.

— არ ასცდებოდა! ჩაბნახის დაცემისას ოდნავ დაუხრია თავი. ტყვია მით ვერ გაფრენილა ტვინში.

ისე იქვიფა სოფელმა, როგორც ხატობაში. ბევრი დაილია წინწანაქარი. მრავალი წარმოითქვა ხევსურეთის შემნახველ მზე-ჭაბუკთა სადღეგრძელო. მოიგონეს გარდასული სახელოვანნიც. კარგი სიტყვა სტყორცნეს თვით განთქმულ მტრებსაც.

— კარგი ვაეკაცი ყოველთვის პატივსადებია, მისი სახელი დაუვიწყარი უნდა დარჩეს.

— დილაც!

ზეიმი უშიშას სახლიდან დაიწყო. სიხარულმა მთელი სოფელი შემოიარა. ბევრ ლამაზს აუძგერდა ბრვე ვაეკაციისათვის გვრიტივით გული. ვაჰ, რომ ვაეი მათ შორის ვერვის უმზერდა მეტ ნდომის თვალთ!

— მთლად გადაეგო თვის ვაეკაცობას.

— თუ დაივიწყა, რომ ჭაბუკია და ვალად სძევს, ქალთ გვეარშიყოს.

— მტერი თუ უდგა მარად თვალწინა.

— დუშმანის ლანდი თუ ჩამდგარა ჩვენსა და მის შუა,— იტყოდნენ უკმაყოფილო ქალწულნი.

8

არა, არ დაჰვიწყებოდა ჭაბუკს მზექალანი, არ დახუჭულიყვნენ მისნი თვალნი ლამაზებისათვის. მაგრამ..... მათ შორის მხოლოდ ერთს მიეზიდნა მისი არსება: მიეჭკია მხოლოდ თვისკენ მისი თვალეები, უბნო ზაბილით მიეპყრო თვისკენ მის სასმენელი და....

ალარავისთვის არ ეცალა კარგ ვაეკაცს. ნდომის ხედვით ველარავის ხედავდა, ვერც უსმენდა მკვეთრის სმენით სხვას. გულთამზეს დაეჭირა მისი გული, დაემონებინა მისი ნებისყოფა.

— მძლავრი ვაეკაცი უსწორ-უბადლო მონად ქალისა?!

— ნუ დასძრავავთ დიდებულ ვაეკაცს! გმირთა-გმირია, სიპის გული მაინც როდი აქვს. ლბილი არის მისი გული გამზვალ ცვილივით, მისი გრძნობა, ვით პეპელა, სინათლეს მისდევს.

— სისხლს ბევრს რომ ანთქ....

— სისხლს მისთვის ანთქევს, მტერისაგან დაჩაგრული ებრალების ხალხი. შეაკედება ხალხთ მოძულეს ღიმილით პირზედ. ის იცის ღმერთმა, რომ...

— და ის მზექალა თუ ღირსია შავის ვაეკობის?

— მეტად კარგია! ლამაზი ქალი. სავსე აქვს სულიც ყოველ კეთილით.

— თუ მოსწონს მასაც?

— ეტრფის ვაგაკცა, იღევა მისთვის. არ კი იმჩნევს თვის სიყვარულსა, ხმასაც არ იღებს.

— რად არ? რა სირცხვილია ტრფობა მზიური?!

ეპროქსული
გიგლიჩიძე

— ნათელია სიყვარული, ღეთისგან ნაკურთხი! მაგრამ მორცხვია ტურფა ქალი, გაუბედავი.

მაინც ცხადათ აღერსობდნენ ვაგაკცს ქალები. შეეძლო წაწალი აერია მათ შორის. მაგრამ....

— არ შეიძლება! წამს შეიგნობს იქ გულთამზე და ეწყინება. დაიხშობა მაშინ ჩემთვის მის გულის კარი.

კეთილად კი ებყრობოდა ვაგაკცი ქალთა, უაღერსებდა მძერი აღერსით.... მთელი თვე დარჩა სახლში. დადიოდა დაფიქრებული. ატყობდა დედა, რაიმე დარდი ჰქონდა მას ვაჟსა.

— თუ საჩემოა მის გასაქირი და სათქმელად დაეამებული, მაინც გამანდობს,—იტყოდა გულში

და ცდილობდა მეტი ესიაზოვნებინა მისთვის, გული დაეხვია ოჯახისაკენ. განთქმული ვაგაკცი არავითარ ზვიადობას არ იჩენდა: მუშაობდა სახლში მუხლჩაუდრეკლად, აკეთებდა თვისსა საკეთებს. ეხმარებოდა დაბეჩავებულთ: ერთს შეშა-ფიჩხს ჩამოუზიდდა, სხვისას საქონს მოუვლიდა.... ნანადირევს ჩამოიტანდა მეზობელთაც გასალაღებლად. ფიქრი მაინც არ ჰშორდებოდა მის სახეს, ღრმა რამ საზრუნევი.

გაუძნელდა სახლში ყოფნა: ველარ ეტეოდა კერაზედ, როგორც მისი გული საგულეში.

— დედი, წავალ ჩემს გზაზედ: ხატს ეწყინება ჩემი ამოდენა უქმად ყოფნა.

— უქმად არა ხარ! უშენობა ძხელია ჩემთვის. მაინც მოვალეობა თუ გიწვევს სახლიდან...

— მინდა რამ გკითხო.

— გისმენ!

— ქალს რომ ითხოვს ვაჟი, რა სჯობია მიუტანოს ქალის პატრონებს?

— ჩვენი წესია, საქონელით აათავოს თვისი მოვალეობა. საქონლით ესცხოვრობთ. იმაზედ კარგს რას შეჰზღენი მოყვარეს?! თუ სადმე აირჩიე გულისა?

— თუ ქალმა....

— ისეთი სახელი ვაქვს, ყველა ოჯახისათვის სასიხარულო ხარ მთაში.

— თუ თვითონ ქალმა არა.....

— რას ამბობ, ვაჟო?!.. ლამაზი არის?

— თუ მოგწონს დილის ცისკარი?

— ჰაი ჰაი, მომწონს!

— იმასა ჰგავს!

დასტოვა სახლი დალონებული. არ უთხრა, სად მიდიოდა. თვითონაც ვერ ვერ იცოდა, საით დაჰკვლევდა გზას, შინ ყოფნისას ერთი აეხატა ცხადად: უნდა წამოეყვანა ის ქალი ნებაყოფლობით, თუნდა ძალით.

— მივგზავნი კაცებს. შევსთხოვ მრყევრობას ჩვენი ადამიანი. თუ არა... მაგრამ საჭიროა, ჯერ ქალს შევეყიებო, ავიღო მისი დასტურებები. თუ არა...
ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა ქალის ნახვა ისე, ბუნებრივად დასტურებ-
ბოდან, ეკვი არავის აელო. ბევრი მოისაზრა, არცერთი არ გამოდგა.

— არ სჭრის აქ ხმალი! ხერხი რამ უნდა სხვანაირი. მაგრამ რომელი? ეშამ თუ იცი! გავგზავნი კაცებს. — თუ დამთანხმდნენ, შემომითვლიან. მაგრამ ჯერ ქალი. საჭიროა მოხერხებით იმისი ნახვა. როგორ? როგორ? ვიცი აწ როგორც: ავასრულო წინად ნაგონი, — წარსთქვა ქაბუქმა და თავი მალა აიღო, წელში გასწორდა.

— ჩემი სახელის შესაფერი საქმე! საზღაპროდ დავსდებ გულთამზეს წამოყვანას.

ძნელი იყო. მთელი თავისი მოხერხება, ძალა თუ გამჭირაობა უნდა მოეხმარებინა, რომ მარჯვედ შეესრულებინა განსაზღვრული. მიდიოდა. უწია არხოტის თავს. მთა-მთა იარა. გადახედა ლომეკის ხეობას. ჩავიდა. შეუდგა შემდინარის პირს. სათავე ქისტეთში ჰქონდა. აპყვა. შევიდა ქისტეთში. გაუჩინარდა. რამდენიმე დღე იმალებოდა ტყეში თუ ლოდებ შუა ჩასაფრებულნი. იდროვა. უხმოდ ჩახოცა მწყემსები. გამოირეკა საქონელი. მოუდიოდა, ხანჯლის წვერით მოაჩქარებდა.

გვიან შეამჩნიეს ქისტებმა. შეიქნა განგაში. გაეშურნენ არხოტისაკენ: ხევსურთ თუ ვალაღესო საქონელი. აქეთაც უჩვენებდა კვალი: დაფთხალი ცხოველი ზოგი აქათ გამოქეულიყო. მანამ ქისტნი გონს მოვიდნენ, უშიში უკვე სამშვიდობოს ვაეიდა. ბევრი საქონი დავარდა გზაგზა, ბევრი გადიჩეხა, მაინც საკმაო მოპყვა ხარი თუ ძროხა. ვადმოსკრა ხევსურთ არაგვის სათავე. ჩამოვიდა ღელეში. მირეკა ნატაკები მანგიურის კარს. გააკვირდნენ. ჰკითხეს.

— დავბოცე მწყემსნი, გამოვლალე საქონელი. მოგაბარებ რამოდენიმე დღით. რას ეტყოდა მასპინძელი! გაურია თავის საქონელში. უშიშაც სტუმრად დარჩა იქ. მოახერხა, გაუმხილა ქალს თვის სურვილი. ჰყვარებოდა ქალსაც. შესწირა ხატს. დაუკლა სამლო. დაჰპატიეეს სოფელი. აღტაცებულმა ვაჟმა ველარ მოითმინა, დაეცვა წესი ქალის თხოვნისა. მიჰმართა სტუმართ თავისთვისაც მოულოდნელად:

— მისმანე, ხალხო! მომეწონა ჩვენი მასპინძლის ქალი გულთამზე. შევსთხოვ, მომცეს იგი მე ცოლად. რაც საქონი მომირეკია, მთლად მიმიცია მანგიურისთვის!

დუმილი ჩამოვარდა სუფრაზედ. წამოდგა დიდადაპატივცემული ბეწიკური. მიჰმართა ხალხს:

— მინდა ვუთხრა ჩვენს სტუმარს!

— სთქვი! შენი სიტყვა ჩვენი გულისნადები არის!

— ჩვენი წესით ეგრე არ შეიძლება დამოყვრება. კაცნი უნდა ამოგერჩივნა, მიგვგზავნა. ისინი გაიგებდნენ ოჯახის თავის ნებას, გამოირკვევდნენ პირობებს; ქალსაც დაეკითხებოდნენ. მაშინ..... ეხლა ესე უეცრად ქალის თხოვნა... თუ ს'ვა ი,ო, ჩვენგან უარის მეტი არა გეტქმებოდა რა. მაგრამ შენ... ხევსურეთის სიამაყე ხარ. თავისებურად იცი დუშმანთან ბრძოლა. მოყვრობაც თავი-



სებური გკოდნია. სოფელი შენსკენ არის. შენთან ერთად შვეთხრეთ/მანგო-ურს, მოგკეს ცოლად ქალი გულთამზე.

წამოდგა მასპინძელი:

— სოფელს და უშიშას სასიკვდილედ გამოემეტნა ჩვენი შვილი, მაშინაც არ დაუტყუროდით. სიხარულით მიმიღია სიძედი! მაინც წესია, ქალს დავეკითხნეთ. გამოიყვანეს. დედას მოჰყვანდა. სხვა დიაცნიც მოსდევდნენ თანა. შეკითხა ბეწიკური:

— ეს ვაჟკაცი სიყვარულით დაგიბავეს, ქალო. თავს მოვიკლაო, თუ არ გამოწყვა. იცი შენ, ხევსურეთის მარჯვენაა დღეს ეს ქაბუკი. სახლის შამა თანახმა არის. შენი სიტყვაა ბედის გადამწყვეტი. თუ უარს არ ხარ, ეს ზეიმი ქორწინად გარდაგვექმნება; თუ არა, შენი ნება არ გატყდება; მრთელი სოფელი შენი ლაშქარია და დარაჯი!

სირცხვილით გაიწურა ქალი. ხმა ველარ ამოიღო. ტკბილად ატირდა სიხარულით აღტაცებული. მაისის წვიმა თუ ეკურა ვარდს ახლად გახსნილს.

10

ქორწილად გარდაიქმნა ნადმი, მზე-ქაბუკი შეუერთდა მზე-ქალს; სასიხარულო ამბავი იყო ეს, წინდი საუკეთესო ჯილაგის გაგრძობისა.

— კვიცი გვარზედ ხტის. ამათი ნაშენი ისეთივე ძლიერი იქნება და კარგი, როგორც თვითონ არიან. გაუმარჯოს მეფე-დედოფალს!

სვამდნენ. თანდათან ქეიფზედ მოდიოდნენ. ფანდური. სიმღერა. ზუშარი. ტაშის ტარციალი. რამდენიმე დღე იდღესასწაულეს. დადგა ეამი გასტუმრებისა. შეგროვდნენ შეიარაღებული მყოლნი. შესხდნენ მეფე-დედოფალი. მაყრონი გარს შემოერთყა. დაცალეს თოვები. დაიძრნენ. გზა-გზა სოფელს, რო დაუახლოვდებოდნენ, თოვებს დასკლიდნენ— მოვდივართო. გამოივებოდნენ. მოართმევდნენ საქმელ-სასმელს. დაპლოცავდნენ. დაპლევდნენ. ახლა აქედან გაჰყვებოდა მაყრად რამოდენიმე ქაბუკი.

ჩავიდნენ ანატორს. დიდი სოფელი იყო მაშინ, გალაღებული. გამოეგებნენ. მიაცილეს ოჯახში. დიდი ქორწილი გადაიხადეს. ვალად ედვათ ეს: ამ სოფელს ამშვენებდა ხევსურთა დიდი მტრის მარჯვენა, უძლეველ უშიშასაგან მოტანილი ცაბანის მაჯა.

ჩადგა ჩვეულებრივ სადინელში უშიშას ახალი კერა. ერთგულად ეწეოდნენ არსებობის უღელს. მარადი ზრუნვაა მთის კაცის ყოფა. მწირი ქვეყანა; სასტიკი პაეა; უვალი გზები. ცხოვრება კი თავისას თხოულობს: სმა-ჰამა, ჩაცმადახურვა, მტრისა თუ მოკეთის გაძლოლა. ყოველივე ეს უნდა აღმოაცნოს მან სალ კლდეზედ საკუთარ გარჯით, გამჭირახობით, დიდი მოთმინებით.

უშიშას ახალი კერა ძველ ოჯახებს უნდა დასწორებოდა. დატრიალდა ჯარსავით ვაჟკაცის დედა. შეღავათი აღარ მისცა თავის თავს. ახალქალობა თუ დაუბრუნდა უკვე გატეხილს. აიყოლა რძალიც. კლდიდან რძე აღინა მათმა უწყვეტმა შრომამ. ოჯახის თავიკ არვის უთმობდა ნაბიჯს სახლის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ტყე. ყანა. საქონელი. მოჰქონდა მის მადლიან მარჯვენას ყოველი სახმარი.

სხვებიც ესეთ უწყვეტ მზნეობით ცხოვრობდნენ. ბაღში იყვნენ შეჩვეული ძნელ ცხოვრებას, მცირედით კმაყოფილებას.

ყველა ოჯახში თითო კოკობი დულს: ყველა აერას, *წაფის* დარდი აქვს. უშიშანთ დარდი ის იყო, აგერ ორი წელიწადი გავიდა, ბაღი კი არ ჰყვანდათ მათ. უშიშლოდ კერა ვერ დამშვენდება, არსებობის ჰაზრსაც დაჰკარგავს. ხეესურნი ძნელად უყურობენ უნაყოფობას: ეს პირველი მიზეზია ცოლის გაშვებისა. ვალდებულიც არის ვაეკაცი, ამ შემთხვევაში სხვა ცოლი მოიყვანოს, რომ გვარი არ გადაშენდეს, მეკომურს კერა არ გაუოხრდეს. ეს რომ აგონდებოდა ვაეკაცს, ელახერებოდა გული.

— მე გულთამხეს გარდა ქალი არ მომწონებია. როგორ შეიძლება ვიცხოვრო, თუ იგი არ მეყოლება გვერდზედ?! მაგრამ უშიშლო რომ გამოდგა, ბაღი რომ არ გყავს...

შესწირს ხატებს. სხვაც ბევრი აღუთქვა. თუ ვერ უსმინეს.

— ყურნი აქვს მათ ჩემთვის დახშულნი და თვალნი დამწუხვებლნი! ხალხისა და მის ხატთა სასახელოდ ვცხოვრობ, ხატნი კი ჩემთვის არა ზრუნავენ. რასა ჰგავს ეს?!—ჯავრობდა გულში.

მაინც თავის ცოლს არრას ეტყოდა, ჯავრიან შუბლს არ უჩვენებდა. ვერც შეეძლო ეს! მეუღლის სახე ისე მოკმედებდა მასზე, როგორც მზის სხივი: ათბობს-ანათებდა. როგორ შეიძლებოდა მის ახლო ყოფილყო და სიხარული არ ეგრძნო?!
 ქალიც მეტად დაელონებინა ამ უბედობას. სწყვედა იგი თავის ძუძუს, თავის აგებულობას, რომ ვერ შესძლო მან მოეტანა მისთვის ეს უდიდესი სიხარული დიაცისა.

— ვუყვარვარ. მეც უმისოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია. მაგრამ... არ შეიძლება, ვაეკაცმა ბოლომდინ აიტანოს ეს უბედურობა. სხვას ვისმე მოიყვანს გვარის განგრძობად და... თავს მოვიკლავ!

ერთი და იგივე სევდა ღრღნიდა ორივეს, ერთმანეთს კი ამხედ არრას ეტყოდნენ, თავის ვარაშ უმაღლედნენ ერთი-მეორეს.

11

ამ საერთო დარღვა განავითარა ცოლ-ქმარს შორის ერთმანეთის სიბრალული. ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა, ოდესმე განშორებოდნენ ერთმანეთს.

— მაგრამ ბაღი რომ არ გყავს... რა ძალა აქვს ჩვენ სიყვარულს, თუ ხორცს არ შეისხამს ის, არ იდენს გვარის განგრძობაში?! არ მიიღო ბუნებამ ჩვენი კავშირი!...

სიბრალული აძლიერებდა მათ ტრფიალს და ეს მათი გრძნობა ისახებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცდილობდა ქალი, სახლის საქმე მეტი გაეკეთებინა, რომ ვაეკაცი ნაკლებად შეწუხებულიყო ზრუნვით. მის ხელთ იყო ძროხების მოვლა-მოწველვა, რძის ღალის გამოყენება, ტანსაცმელის ქსოვნა-შეკერვა, პურის ცხობა, საქლის მზადება, წყალის ამოტანა და ათასი სხვა წერილმანი საქმე საოჯახო. ისიც ენანებოდა, რომ უძღური იყო ზოგ საკეთებში: ტყეში შეშის ამზა-

დება და ჩამოტანა, ხენა, კალო და ყოველი მძიმე საწროში. მაინც აქავე უნან არა ზოგადად, მკირე შეღავათს მაინც აძლევდა. არვის არ უნდა ეთქვა:

— ქმარს განაზებია, ქალბატონივითა სცხოვრობს სხვის წარმოქმნილ ვადებში.

გრძნობდა კაცი ცოლის მისწრაფებას და ცდილობდა, ისე გაეკეთებინა საოჯახო საზრუნელი, გარეშეთ ვერ შეენიშნათ მისი თავდადებული შრომა და შეექმთ ქალი:

— დიასახლისი იმისთანა უნდა, უშიშას რომ ჰყავს! ყველაფერს ასწრობს, თვითონ აკეთებს. მისი. ქმარი ბატონ-კაცივითა სცხოვრობს სახლში.

— თავის ხელით აცმევს და ჰხურავს კაცს. მთელ სოფელში არცერთს ვაჟკაცს არ აცვია იმისთანა ტალავარი.

— კარგი ქსოვა იცის და ჭრა-კერვა. ტანსაცმელის მორთვაც ეხერხება, კრედელების ამოკერვა.

— სოფლის დამამშვენებელი ოჯახი შეიქმნება უშიშას სახლი.

— მართალს იტყვი:

— ცხოვრება მაინც არავის ახარებს. ყოველ მხრივ: ძნელი ჯავრი აწუხებთ იმათაც.

— რა სჭირთ, რას ღონობენ?!

— აგერ სამი წელიწადია და შვილი არა ჰყავთ. თუ ეგრე გაგრძელდა....

გულს აწვიათ ახალ მეოჯახეებს ეს სევდა. მაინც არ იმწინედნენ: ჰფარავდა ჯერ სიყვარული ამ ნაკლულებს. არა, არ ააშკარავებდნენ საჯაროდ თვის ტრფობას: ჭვეყნის თვალში სირცხვილი იქნებოდა იმისთანა გულწვილობის დაჩენა. ვაჟკაცი ხანდისხან ხმასაც აიმაღლებდა ცოლზედ, თუ....

— მოუბერებელი ხარ, დიაცო! საქმე შენ თვალთ წინ შავდება და ვერა ჰხედავ.

— რა ფუქდება?!

— ხბო რომ შესჯდოიან ძროხას და სწოვს, მოსაწველად რძის ცვარი აღარ დაგრჩება.

დედაკაცი ხმის ამოუღებლად მივიდა, მოსხლიტა ხბო ძუძუდან. იცოდა კაცმა, ბოჩოლა მხოლოდ მოსაგერისებლად იყო მიშვებული და უსამართლო-იყო მისი საყვედური. დედაკაციც გრძნობდა, რომ კაცი სხვის გასაგონად ეტყოდა მკვამედ. მისთვის იღებდა უთქმელად საყვედურს. ისიც ხალხის საჩვენებლად იყო, რომ საღამოზედ, როცა დედაკაცი ათას რაზედმე ზრუნავდა ეზოში, ვაჟკაცი საკომთან იჯდა და ყალიონს ეწვეოდა. სხვანაირად არ შეიძლებოდა! ვერვას ათქმევინებდა:

— დიაცს გამოჰბმია ნაწნავზედ, ნალოდ ათრევია.

უეცრად გატყდა ზამთარი. ჩამოდნა თოვლი. გაღბვა ყინული. ახმაურდნენ ხეები: ბარში ჩაქონდათ უხვი ნადნობი. შემწვანდა ტყე, მიწდორი. გაიხადა ხალხმა ტყავი: შესაძლო შეიქმნა დღე მაინც ჩოხ-ჯუბაში ყოფნა.

უშიშა საკომთან იჯდა. ახალი ტალავარი ეცვა აკრელებული. ყალიონს ეწეოდა. გულთანზე ეზოში ტრიალებდა: მილაგება სჭიროდა ყველაფერს ღამისა-

თვის. შემოესმა ქალს ბაყაყის პირველი ყიყინი. გახედა ქმარს, ის არც იმწინედა, იჯდა დადინჯებული. თუ არ მისდიოდა ეს გაზაფხულის ხმაურობა.

— მიკვირს! მაგისი მახვილი ყუი და.... თითქო არ ესმის ჩქამი. ხათრს თუ მინახავს, არ თუ უნდა დამასწროს.

ასეა თქმულება:

— ვინც დაასწრობს მყვარის ხმის გაგონებას, ის დასძლევსო, მისი საქმე უფრო წარმართული იქნებაო იმ წელს.

მართალი იყო ქალი: ვაჟაკს მიესმა პირველივე ბგერა, მაგრამ არ დაიმჩნია. ქალი ისეც მეტად აღელვებული იყო იმ წუთს: ისეთი სათქმელი ჰქონდა ქმრისათვის, იმაზედ უკეთესს ის ვერასოდეს ვერ მოისმენდა. ველარ დაითმინა, შესძახა ქმარს:

— მყვარნი ყიყინებენაო!

— რასა ყიყინებენაო?— მოსცა ხმა ვაჟაკმა.

— „ქალსა ძუძუ ნუ ასტკივა, ხარსა ქედი, ფურსა ცური!“— დაათავა ქალმა და ნიშნი მოუგო:

— იპი, გაჯობე! შენზედ ყურმახვილი ვყოფილვარ.

— მაინც შენ ვერ მაჯობებ წლეულს.

— გაჯობებ! ჩამო აქ, ძალიან კარგს რასმე გეტყვი.

— მოშველება თუ გჭირია?

— რა მაქვს საშველი?! ყველაფერი მილაგებულია. ჩამოდი ძირს!

არ აჩქარდა ვაჟაკი, თუმცა ესწრაფებოდა გაეგო, რა ჰქონდა ცოლს სათქმელი. ბოლოს დაიძრა, ჩავიდა. დედაკაცი მიუახლოვდა, ხელები დააწყო მხრებზედ და ჩასწორჩულა:

— აკურთხა გამჩენმა ჩვენი ყოფა: ბაღლის ათროლოება ვიგრძენი!

აღელდა კაცი. ველარ შესძლო გრძობათა შეკავება და აკოცა ქალს.

— ნუ! დაგვიჩახავენ, დაგვძრახავენ, საჯაროდ ეალერსებიანო ერთმანეთს.

ბედნიერი წუთი ცოლქმარისთვის! მოპშორდათ აწ ის ერთადერთი სევდა, რომელი თანისთან იზრდებოდა მათ კერაზედ და ბოლოს შესძლებდა, ბნელით დაეფარნა კერის უქრობი ცეცხლი, სინათლისა და სითბოს მომცემი.

უფრო გამჩნედა კაცი, შრომად გარდაიქმნა.

— ვაჟი გამიჩნდება. თუ ვისმე სისხლი დაევალება, ის აიღებს. ჩვენი მომხსენებელი შეიქმნება. შეამსუბუქებს ჩვენს სულს შავეთში, — იტყოდა გულში და სიამით იღიმებოდა.

— გულთამზევ!

— რაიო?

— ბიჭი გეყოლება. რა გინდა დავარქვათ?

— თუნდ ქალი იყოს ჯერ, რა ბედენაა? სახლი მაინც ნაკურთხი იქნება.

— ვაჟი მოგვეცემა!

— შენი სიტყვისა ხარ! გიორგი დავარქვათ. უკეთესს სახელს რომელს იპოვნე?

— ვერც რომელს, კესანე! მეც ეგ სახელი მეწადა.



განქარდა აჩრდილიც დარდისა, რომელი ჩამომდგარიყო ახალ-კერაზედ, რომ ჩაეჭურა ცოლ-ქმარის ბედი. ეხლა სიხარულის სიხვი ანათებდა მათ კედელ-კუთხეს. იმას ლა ევედრებოდნენ გამჩენელს, კეთილად შეენახნა მათი სახლი და შემდეგაც არ მოეკლო თავისი წყალობა.

— შეუკვეთე დურგალს აკვანი!

— მზად არა ჰქონდა?

— ჰქონდა. არ მომეწონა: პატარა იყო, უბრალოდ გაიორკნილი. მკვიდრს ვაგიკეთებო, სუფთას.

არტახებს ჰკერაედა დიასახლისი. ირმის თასმები თვით უშიშამ გამოსჭრ-გამოქნა. ბუნაგს უმზადებდნენ მემკვიდრეს. ამ სახალისო ზრუნვამ უფრო შეატკბო ცოლ-ქმარი.

შეტად ვახალისდა ვაჟაკი. თუ გაყმაწვილდა?! იწვევდა ტოლ-სწორს, ახალგაზრდებს. ვარჯიშობდა, ჰხარობდა, ხალისობდა. საქივარაც კი გამართა კალოზედ. დაასვა მკვიდრი ბოძი. გათალა გრძელი უღელი, გაქვრითა შუაში, ჩამოაგო ბოძს. მკერდით დაეკიდებოდნენ უღელს აქეთ-იქიდან. მიწაზედ ფეხის დაკვრით მიაქანებდნენ. რომ გაძლიერდებოდა, ფეხის დაკვრაც აღარ იყო საჭირო: თვითონ ბრუნავდა. მოქონილი იყო ნაჭვრეთიც, ღერძიც, მაინც კრიალებდა, კიოდა.

საქივარან კიოდიან;

ქალსა ძუძუნ სტკიოდიან...

4447

საკუთარი მისწრაფება მაინც მოსვენებას არ აძლევდა ვაჟაკს.

— გულთამზევ!

— რა გინდა?

ბაღის გაჩენამდინ კიდევ ხანია. არ ივარგებს ჩემი უაქმოდ ჯდომა.

— უსაქმოდ თუ ხარ?!

— სახლის საკეთს ვმუშაობ. ყველანი შრომობენ ესე. საჭვეყნო საქმე მთლად დამავიწყდა. რაც შენ მოგიყვანე, ორჯელ-სამჯერ არ ვყოფილვარ ხევსურეთის შემოსაელელად, არ ვჩვენებთვარ მტერს.

— ხომ იყავი და გამარჯვებულები დაპბრუნდი: კმარა!

— ვიყავი. დამადევნა ხატმა წყალობა: ვაცნობე მტერს, რომ ჯერ არ დაეჩაგებულა უშიშას ხმალი, არც მის ხირიმს გაპბრუნდებია მიზანი. მაინც უნდა კვლავ წავიდე!


— რალა ეხლა, როცა შესამატი მოგელის და შენი ყურადღება უფრო გვიკირს.

— მართალს უბნობ! მაინც არ მშვენის კერის პირს ჯდომა.

— წადი, კეთილი გზა მოგცეს გამჩენმა, — მიუგო დადონებულმა.

— ნურის გეშინის! მშვიდობით მოგივალ და გამარჯვებით სიხარულს გავს არ დაგაკლებს. იცის ხალხმა საქაბუკოდ გასულის პატრეცხმა.

ურ. „მნათობი“ № 5.



ხმა აღარ ვასცა ქალმა. ცრემლის საგუბრად გარდაიქმნენ დიდრონი თვალნი. მაინც კიდევ დარჩა სახლში რამდენსამე ხანს. ააშენა ქობი ეზოს მივარდნილ კუთხეში, უფრო ახლო—სამრევლო. ქობის ქერი ხაბულებული მოაწყო საყვავეთი და კაეებით. ჩალა დახურა, ლატებით დაამაგრა. სამრევლოს ბანი მიწური იყო: მისი აღება აღარ ეგულეებოდა.

— გამარჯვება, უშიშავ! რას ჰმუშაობ?

— საქათმეს რასმე ვაგებ და თხა-ცხვრისათვის ცალკე ბუნავს.

— ხელი მოგიმართოს!

იცოდა ხახონამ, რა საქათმე და თავლა შენდებოდა, მაგრამ არ აგრძნობინა: არ უნდოდა, შეეწითლებინა ვაქაკი.

შეისხა იარაღი. წავიდა. დრო იყო, გაეგო დუშმანს, რომ ხევსურთ არ დაჰკლებოდნენ მეტრძოლნი, რომელნი ფხიზელ დარაჯად ედგნენ თვის სამკვიდრებელს.

14

კარგა ხანი აღარა ქმნა შინისკენ პირი. არც რამ ცნობა მოაწოდა თითონ. მაინც ისმოდა მისი ვაქაკობის ამბები.

— უტებ ზღუდედ ჩასდგომია უშიშა ხევსურთ: ბევრი მტერი გამოასალმა სიკოცხლეს.

— მოჰკლავენ სადმე.

— ვერა! მეტად მარჯვეა და ფრთხილი. ის არის კარგი, პირად ცოტანი იცნობენ მას.

— ძნელიც არის იმის გაგება, რომ ხევსურია: ისე ამბობს ქისტურს, როგორც ჯიში ქისტია.

დაბრუნდა ვაქაკი. ხელცარიელი არ მოსულა: ნადავლი იარაღი, საქონელი. სიხარული ააგზნო უშიშას მშვიდობით მოსვლამ. ულოცავდნენ გამარჯვებას. უხაროდათ. ამაყობდნენ თავიანთ ვაქაკით. განა ყველა სოფელს გააჩნდა მაშენი გმირი. უშიშას—სახლიდან დაიწყო წვეულება და გადავიდა სხვა ოჯახებში.

— თვითონ რომ კარგია და ჭეყნის მშველელი, ისიც უნდა ვსთქვათ: ჩენი ახალგაზრდობა ჰბაძავს მას, ცდილობს, პირნათლად ემსახუროს ხალხს.

— იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ უშიშას გარშემო შეიკრიბა ხელგამომავალ ქაბუთა ჯგუფი: მისგან სწავლობენ იარაღის ხმარებას და ბრძოლის ხერხებს.

მთაში ეხლა სხვა სოფელი ვერ წავგიდგება წინ მზა მეომართა ყოლაში.

— შეუძლიან პირველ მოწოდებაზედვე გამოიყვანო სთვისი რაზმი მტრის დასახვედრად.

— ისიც მომწონს, რომ მათ საწრვთნელად ხშირი ნადირობა შემოელო. სოფლის გარშემო მთაში თუ ტყეში აღარ გაჰბადა დათვი და მგელი. პატარებსაც შეუძლიანთ, ნახირი აძოვონ ტყის პირს. დაშინებული ნადირი ველარა ჰბედავს დატანებას.

ნადავლი ზოგი შესწირა, სხვა სასოფლოდ დადო.

— მე არ მინდა: თვითონ მოვუფელი ჩემს თავს.

— შენი გარჯილობით გიშოვნია და შენზედ არის ალალი.

— ხატი და სოფელი რომ მლოცავენ, მისთვის არის სხვაგვარი წესი გარჯა.

ბეჩავთ დაურიგეთ!

— კარგი!

აირჩიეს, ვისთვისაც უნდა მიეცათ ნადავლი. უყარეს წილი. მისცეს. ამ ამბავმა აფართოვანა სოფელი. ასე დაუწყეს მზერა რჩეულ კაცს, როგორც საკუთარ სახლის შვილს. მაინც ხომ ერთი ოჯახი იყო ხევსურების სოფელი, დიდი კერა მჭიდროდ შეკავშირებულ სახლებსა.

უფრო ძნელი გამოდგა დავლად მოტანილ იარაღის განაწილება. ცოტა არ იყო უიარაღო ახალგაზრდობა და მათში არჩევა უზერხული მოსჩანდა სოფლისათვის.

— შენ უფრო იცნობ შენს მეგობრებს: თვითონ გაანაწილე!

დასთანხმდა. დაფიქრა.

— რახან მე მანდობთ, მაშ სროლაში შეჯიბრებამ გადასწყვიტოს საკითხი.

— ეგრე!

დანიშნეს დღე. დააცხეს ხმიადები თუ ვაცები. დადგეს ნიშანში. კარგ მსროლელს კარგი იარაღი ერგო, მომდაროს—მდარე. გულში ცუდს ვერავისზედ ჩაიდებდნენ: გარდაწყვიტა მათი ხვედრი მათივე უნარმა.

მოხდელი ჰქონდა აწ ვაჟკაცობის ვალი. ვერ იტყოდა სოფელი:

— უშიშა დიდს ხანს მოუჯდა დიაცს გვერდზედ, ჰბაუკობა გადაივიწყა.

შეეძლო, დატრიალებულიყო სახლში. კიდევ სჭირდებოდა მისი ხელი ოჯახს.

ალარ შეიძლებოდა, წინანდებურად, ვიწროდ ეწარმოებინა ახლი: დღედღეზე ახალი წვერი შეემატებოდა, ახლა კიდევ სხვა და გულლია უნდა დაშხვედროდა კერა მომავალთვის წვერებს!

მუშაობდა, ბინას აახლებდა, მის მოწყობილობას აფართოვებდა. მოჰქონდა წნელი, სწინავდა გოდრებს მარცვლეულობისათვის, ჰგოზავდა მათ ფქვილის მოსათავსებლად. ჯინები, კალათები, კოდები, კასრები. ბაკიც გააახლა. ეზოს, კარმიდამოს შემოარტყა ახალი ღობე თუ ხარიზობები. ხარისა თუ ცხენის თავებით დასარყა მარგილები და კარჩხები, რომ სიმჭირეს ფეხი არ გადაედგა მის ეზო-უყურეში. სხვაც მრავალი საქმე საკეთები. გული მაინც მეტს თხოულობდა.

— ჯერ კიდევ მჯობიან ძველი ოჯახები. წამოვეწევი დოვლათით და კეთილდღეობით მათ კერებს. ახლა ის ბიჭი წამომეზრდება და.....

გააზრებდა თავის გულთამზეს, ამაყად გაუღიმებდა. იტყოდა გულში:

— ჭალი კი არა ნათელის ქულაა, ჩემთვის ცისგან გამოგზავნილი!

მოუნდებოდა მიახლოვება, მის მადლიანი სახის დაკოცნა. არ შეიძლებოდა! უცხო თვალი დაინახავდა ალერსს. დასცინებდნენ, ცვილივით თუ დაღბილდით უშიშას გული.

ნაყოფი კი თანდათან ეამდებოდა, მოსაწყვეტად მოიწეოდა. დადგა უკანასკნელი ეამი. დედამთილმა შეზიდა ქოხში ბურღო, უხვად დაყარა კედელთან,

ზედ ფიჩვი რამ დააგდო. აანთო ჭრაქი. შეიყვანა ქალი ლმობილი. გამოეცალა. სახლშიაც ველარ შევიდა; შორი-ახლო ელოდდა შედეგს. ვაჟაკე-საჩხვიდან, ათვალეირებდა. არცერთს არ შეეძლო მიშველებოდა, ტანჯული გაემხეცებინა; სალმობა სიტყვით მაინც შეემსუბუქებინა. მარტოდმარტო ეწამებოდა ქალი. ბაღლის ხმაური. დახედა დედამ. კუჭის მილი გადაუსხიპა აღმას კბილებით. მიუახლოვდა დედამთილი.

— ქალი გყავს, თუ ვაჟი?

— ვაჟ!

ნასროლ ვარდად მოხვდა ვაჟაკს თქმა. ეტყოდა გული ორივეს, მიშველებოდნენ ავადმყოფს, ხელი აღუპყრათ, რომ შემთხვევით ან დაღუპულიყვენ ახალი დედა ან მისი შვილი. არ შეიძლებოდა! ჩვეულება მტკიცედ იტყოდა:

— დიაცმა თვითონ უნდა მოუაროს ძნელ წუთში თავსაც და ბაღლსაც! თუ იმოდენა გამძლეობა არ ექნებათ ქალს ან მის ბაღლს, სჯობს დაიღუპნენ: ჩვენს მკაცრ ქვეყანას, ჩვენს გაჭირებულ ყოფას მთლად ჯანსაღი და ძლიერი მხოლოდ აიტანს!

ქობიდან სამრევლოში, სამრევლოდან—სახლში დადებული დროს შემდეგსაღი ბავშვი ეწვათ აკვანში. ხატს შეავედრეს გიორგი. სიხარული ყოველ მხრიდან, ბედნიერება.

— თამამი ბაღლი, ეხლა სრული, მომავალში იმედიანი. დაგენაცვლება ვაჟაკობაში.

— შენ თითონ უნდა ასწავლო იარაღის მოვლა, ხმარება, ყოველი ხერხი ჭაბუკობისა.

უშიშა თითონაც სიხარულით მოელოდდა იმ დროს, როცა წამოიზრდებოდა გიორგი და შესაძლო შეიქმნებოდა მისი წვრთნა საგმირო საქმეებში.

— ისე გავზრდი, დამემჯობინოს! ვერ იტყვიან, ანატორელ უშიშას გვარში მზე-ჭაბუკი გამოლულაო.

— ვერც იტყვის მტერი ვერცროს, ხეესურთ მებრძოლნი დაჰლევინაო, წავიდეთ და წამოვასხათ მათი ცოლ-შვილი, მათ საქონიო!

— ქეშმარიტს იტყვი, გუდანის მადლმა!

მიჰქროდა დრო, მიაქანებდა ცხოვრებას ქლფრი გზებით, ნათელ სავალით უშიშას სახლი კეთილ კვალით იარებოდა. მისი შრომა ამოდ არ იღვრებოდა, გარჯილობა მის თვალთვე წინ დოვლათ-სიკეთედ გარდიქმნებოდა.

პატივი ემატებოდა ვაჟაკს. ჯერ ისევ ახალს ბჭობაში მცხოვანებთან ერთად. უსმენდნენ: ჭკუა რომ დამკვირვებელი ჰქონდა, ბრძოლაში გატარებულ ხანსაც ბევრი გამოცდილება შეიძინა მისთვის.

მეტადრე მაშინ შეიქმნა უშიშას კერა საჩინო, როცა ხეესურეთმა დაასახელა მთელი ლაშქრის მოთავედ, სამუდამოდ აიარა ამ საპასუხისმგებლო ადგილზედ. ბედნიერი! ერთსაღა ევედრებოდა განჩენს, არ შეექცივნა მისგან თვისი სახე ნათელი, არ შეეშალნა მისთვის კეთილდღეობა.

არც მოეწლებოდათ მათ კარგი ყოფა, თუ მხოლოდ ის გქმნებოდა საზრუნავი, რა საფიქრიც გაეჩინა ხალხისათვის მათ ქვეყანას. მეფრეწურეწაფი ეძინა ბნელ-ბოროტს. შორიდან უვლიდა იგი სამტროდ უშიშას ოჯახს, მრატელ ხევსურეთსაც, რომ ერთი დაკვრით დაეჩაგრა ხალხი, გაეცივებინა მათი კერა, გაეობრებინა აღყვავებული სოფლები.

მოვიდა ხმა:

- ეამი შემოსულა ბარში, შავი კირი უკურნებელი.
- ჰმუსრავსო ხალხსა.

ამ ამბავმა ძალიან ვერ შეაშინა ხევსურნი: ბარის ბევრი ავადობა ფეხს ვერ იკიდებდა მთის წმინდა ჰაერში, მის კლდოვან ნიადაგზედ. მაინც შეიყარნენ ამ ძნელ საქმეზედ საბჭობლად. დაასკვნეს:

— ძლიერ საშიში არ უნდა იყოს ჩვენთვის ის ძნელი ავადობა: ვერც ხორველა, ვერც სხვა სენი დიდ ხანს ვერ ვრცელდება ჩვენში, ვერც დიდ მანძილზედ. აქაური წყალი, ჰავა მალე სპობენ მას. მაინც დიდი სიფრთხილე გემართებს. მოეფინოთ სიტყვა: გაუჭირებლივ არვინ ჩავიდეს ბარში. თუ მეტი ღონე არ იყოს, პირდაპირ სოფელში ნუ შემოვა. ხატში ავიდეს, საღმთო დაუკლას, რამდენსავე დღე დარჩეს იქ. არც ბარელი მოეუშვათ ვინმე გაუსინჯავად.

გახმაურდა ესეთი დადგენილება. ვერ გაიმავრა ქვეყანა. გაჩნდა კირი. ბარისახოდან დაიწყო. მრთელ სოფელს მოედო. შემოყვა ხევსურეთის არავეს. უწყალოდ ჰხოცდა. სამი-ოთხი დღე ძლივს უძლებდა ავადმყოფი. აჩნდა ლულში, ხახმატში. მოედო კოშკს, ანატორს. აქ მეტად გაავდა.

მშველელი არვინ იყო. კირის წაშალი არც ბარში იცოდნენ, აქ ხომ მოვლა და გაფრთხილებაც ველარ მოახერხეს. შეძრწუნებულმა ხალხმა ერთს ლა მიმართა: განერჩენ სოფლებს, მოედნენ ტყეს თუ კლდეებს. არ უშველა: ავადობა თან სდევდა მათ მავნე სულივით.

შეშინდა უშიშას ოჯახიც. დააპირეს გახიზნა. მოუცდათ: ააჩნდა უშიშას ეამი. ხუწუწი რამ ამოუვიდა ილიაში. გაიზარდა ძირდიდასავით, აელვარდა.

— თავი! ტყვია თუ ჩაპჩა თავში.

— არ გკირს ნატყვიარი. ბრძოლაც აღარა გქონია მტერთან.

გაიბრძოლა უკანასკნელად.

— ზომართვით ტანსაცმელი და იარაღი!

მოუტანა. უშველა ჩაცმა. აასხა იარაღი. დახურა ჩაფხუტი.

— ფარი რად არ მომიტანე?

მოართო. ამოიღო ვაჟკაცმა დაშნა, დააბჯინა წვერით ტაბტს, დაეყრდნო ზედა. ბრძოლებზედ უბნობდა, ომებზედ. ჩაეცეცა მუხლები. დააწვინა ჭალმა სარეცელზედ. ვაჟკაცურად დალია ვაჟკაცმა სული.

ანატორის ქვევით დიდი მღვიმე კლდეში. ნაპრალები, გვირაბები. ხვრელები. შესავალთან ჩასჩქეფდა წყალი. აკლდამად იყო გარდაქმნილი გამოქვაბული. შერთანეს შიგ, დაასვენეს. დაბრუნდნენ დაბნელებულნი.

შხად იყვნენ გასახიზნად. ვაჟკაცის სიკვდილის შემდეგ ქალმა უარპყო
 ეს აზრი. ურჩიეს, გაჰყოლოდა სოფლიდან მიმავალთ.

— სად წამოვალ ან რისთვის?! ჩემი კაცი აქ მეგულებს, ვერ მოვშორდები!
 აქამდისინ რომ სიამით სცხოვრობდა უშიშას ოჯახში, ეხლა ტირილი დაე-
 ნაცვლა სიხარულს; აქამდინ რომ ნათელი აფქვრევდა მას თვის სხივებს, ეხლა
 ბნელ-ბოროტმა ჩააშავა იგი. მაინც სცოვრობდნენ: ადამიანს იმედი უციაგებს
 ბოლომდისინ:

— იქნებ იკმაროს სულთამბუთაფმა, ეს ბალლი მაინც არ ჩამიკლას ბე-
 ჩავს უბეში!

არ დაინდო შავმა ქაშმა აღარც ისინი. ააჩნდა ბალს ავადობა. ძნელი
 წყლული მის დედასაც ამოუვიდა. შავმა სენმა დარია ხელი. აუნათდა ქალს ძნე-
 ლი ჰაზრი: ჩაიწყო ხშიადები. ჩაიკვა საუკეთესო. მოიკახმა. აიღო აკვანი.

— სად მიგყავს, ბედშაო ბალლი?!

— თავის მამასთან! მის გვერდით ვიქნებით.

შევიდა აკალდამაში. უშიშას გვერდზედ გაშალა ფარდაგი. დადგა აკვანი.
 მოუჯდა გვერდზედ. დასტიროდა. ბალს მაინც უვლიდა, ძუძუს აწოვებდა. უბ-
 შოდ ლა ტიროდა ბავშვი. მამაკვდავმა დედამ ველარ შესძლო ძუძუს მიცემა. გა-
 დახვია აკვანში ხელი თავის პატარას. ზედ დააღია მომაკვდავ შვილს ნა-
 თელი სული.

ბუნებამ თუ შეიბრალა უკანასკნელ წუთში ტანჯული დედა: მის მარჯვე-
 ნას თეთრი ცრემლი თურმე აკურა. იმისთვის მოხდა, რომ ზრწნილება გულ-
 ჭამზეს ხელს აღარ შეეხო.

— კვლავ თუ მოსჩანს აკალდამაში მადლიანი ხელის ნასახი?

1929 წელს,
 თებერვლის 21.



ალ. აბაშელი

ღირიკოსი და მებაღე

ღიალთვა

სტუმრად ვიყავ მებაღესთან
ძველ სასახლის ბაღში.
ფარშავანგი იდგა ხესთან,—
ცოშ აქმევედა ბავში.
იქვე მუშა ღარსა სთხრიდა,
იღვრებოდა ოფლად.
თბილი მიწის სუნი იდგა,
როგორც ხნულზე სოფლად.
თხრილის კიდეს ბელტზე ბელტი
ეცემოდა მწყობრად.
წყალსაცავში თეთრი გედი
დასცურავდა ობლად.
და მებაღე შუბლ-წაკრული
კვალზე ყვავილს რგავდა.
ბაღის კუთხე მოქარგული
კრელ ხალიჩას ჰგავდა.

ღირიკოსი შემოვიდა
თავდაბრილი, ფრთხილი.
თითქოს უცბად შემობინდდა,
შუქს დაეცა ჩრდილი.
მწარე ნაღველს დაემძალა
სახე წყროშით სავსე.
„გამარჯობა“ დაიძახა
და ჩამოჯდა ქვაზე.
მას მებაღემ გაუცინა,
დაჩოქილმა კვალზე,
და საღამი აუწვედინა
ყვავილების აღზე:
— გაგიმარჯოს! როგორა ხარ?
წყენას გატყობ ხმაში.
მან მიუგო:—რომ გორავხარ

ყვავილების ზღვაში,
რა იქნება, რომ ხანდახან
მიწილადო მეცა?
მიწამ ჯაერთი ხომ დამდალა! —
აღარ მწყალობს მზეცა!..

— რათა, ძმაო, რას წუწუნებ?
სამღურავი რა გაქვს?
ამ ქვეყანას რას უწუნებ?
ახლა ვინღა გჩაგრავს?
გამოგონილ ბედშაობას
ბავშსავით რომ არწევ,
რად გაურბი მუშაობას,
ლექსებს რატომ არ წერ?

ღირიკოსმა წამწამები
შეაფინა წარბებს.
— აღმაფრენა ნაწამები
პოეზიას არბევს.

— ეს კი მეტობს კაცის კვლასაც! —
ძალას ვინღა გატანს?
გინდ უმღერე მიწის ლაზათს,
გინდა ზეცის ტატანს!

ღირიკოსი დასწვდა ყვავილს
და დაუწყო სრესა.

— მე არა ვცნობ ენის ქავილს
პოეზიის წესად,
ლექსს სინათლე თუ არ ახლავს
უხილავი სხივის,
თუ არ ანთებს სიტყვას ახალს,
როცა ღამე ჰკივის;
თუ არ სტანჯავს საკუთარი
ამღვრეული სისხლი,

სტრიქონებში ტბად დამდგარი
ნალღელი და ზიზღი;
არ აწვალებს სიღრმე ვენების,
ყველაფერი იცის,
შეუცნობელ შთაგონების
ცეცხლში თუ არ იწვის,—
მხოლოდ კალმის ვარჯიშია
ამნაირი წერა.

პოეტისთვის საშიშია

უხალისოდ მღერა...

— მერე, ძმაო, ვინ-ღა გიშლის
სინათლეს და ხალისს?
ნუ თუ მხოლოდ თვალი გიშრის
და სიტურფე ქალის,
ან გუგუნის ძველის თანგვით
ამღერებულ ქვების
არის ღირსი შენი ჩანგის
ხალისიან ქების?

რისთვის სდუმხარ? რისთვის მღერი?

მიზანს რად არ ირკვევ?

ბრძოლა გინდა? განა მტერი

კოტა არის ირგვლივ?

ვისაც ღონე ერჩის მკლავში,

ან ფხა უჭრის აზრის,

ის ჩვენს რკინის ეპოქაში

უმუშევრად არ ზის.

ვინ გაძალეებს ზერელობას,

ან ყველაფრის ცოდნას?

ოღონდ სქედდე მალალ გრძნობას,—

დავეგრდებით ცოტას.

— ახლა გრძნობას რა შეარხევს?

ალარ არის თემა.

ჩაქუჩივით ურტყამს ძარღვებს

გმირის მაჯისცემა.

ვის რად უნდა დღეს, მითხარი,

სალამურის კენესა,

როცა გრგვინავს ელვის ქარი,

ელვა აპობს კლდესა?

ყური უგდეთ, ვისაც გინდათ,

ორთქლით მყვირალ დეპოს.

დღეს ლირიკამ ხმა გაკმინდა,

გზა დაეთმო ეპოსს.

პოეტის ქნარს ძველი სიმი

ალარ შერჩა ლერიცა

ფოლადს გააქვს დღეს ციმციმი

ორთქლმავალი მღერის.

— ნუთუ ასე გაირიყა

ძალა სიმთა კუთხის?

ვისთვის არის, მაშ, ლირიკა,

თუ კი გმირებს უფრთხის?

— ვისი გულიც ჭურჭელია

მოწამლული სისხლის.

ვისაც ოხვრა ურჩევნა

გაუგებარ სიცილს.

ვინც ბნელში ზის და განთიადს

ელოდება მწარედ.

ვისი სულიც საკანშია,

არ უშვებენ გარეთ.

— გამოდის, რომ შენი ჩანგი

მხოლოდ ღამით მღერის.

თუ გათენდა—შესკამს თანგი

და შემოსავს მტვერი!

— ლირიკოსი, მართალია,

მხოლოდ ბნელში ყივის,

და მოკვდება, თუ დალია

ცხელი შუქი სხივის...

მეც ხომ ასე მომივიდა:

ტყვი შევიქმენ ლანდთა:

მტერს ვებრძოდი ლომივითა,

ვიდრე მტერი ჩანდა;

ჩრდილს მივდედვი გამალებით

ნესტიანს და ცივსა,

ეუყიოდი მამალივით

ამომავალ სხივსა.

მაგრამ როცა ელვამ გაჰკრა

და სხივებიც დაჩნდა,

გაქცეული ჩრდილი გაქრა

და... ჩემს გულში დაჯდა...

— ცდები, ძმაო, სთქვა მებაღემ

და წამოდგა ზეზე.—

შტო დამზრალი ბევრჯერ ვნახე

რომ თბებოდა მზეზე.

ბევრს თუმც ქნარი გაუფარდა,—

ვერ გაუძლო ხანძარს,—

ბევრმა კილო შეუფარდა
 ცხელი რკინის ზანზარს.
 და ახლები გუნდთან ერთად
 ზოგს ძველებურს მგოსანს
 მზის სინათლის შეესახვედრად
 ცეცხლის ალი ჰმოსავს.
 და თუ კენესა შენებრ ობლის
 კიდევ სადმე დარჩა,
 მას ჩააქრობს მშენებლობის
 მაღლიანი გარჯა.

ნერვიულად ჩაახველა.
 ჩანს ეწყინა პოეტს.

— პოეტია განა ყველა,
 ვინც ორ რითმას ჰპოებს?
 ვინც მუზასთან აშლილია,
 ზეპირად წერს ლექსებს,
 სადაც ჭეა და ნახშირია,
 რითმებისაყ იქ ეძებს?
 რამდენ კედელს მიადგება,
 იმდენს დასწერს ოდას,
 არსად დაუგვიანდება,
 ანგარიშით ბოდავს!
 მე ამ ყალბ გზას ამაშორა
 სირცხვილმა და რიღმა.
 ვერ გავწირე მეტაფორა,
 ვერ მოვკალი რითმა.
 მტკვრიანი ვერ გავფერთხე
 გაცვეთილი სიტყვა,
 ველარა ვთქვი კიდევ ერთხელ
 რაც ათასჯერ ითქვა!..

— შეიძლება ზოგი მართლაც
 აფუქებდეს მელანს,
 მაგრამ კალმის მრუდედ გათლას
 ვერ დასწამებ ყველას.
 ზოგ უშნო ლექსს თუ სირცხვილით
 ანთებია ბწყარი—
 ბევრ სხვა ლექსში დღუს სისხლივით
 თუჯის ცხელი ღვარი! .
 რატომ არის შენი აზრით,
 პოეზიის მიმართ
 ეს ჩვენი დრო ასე მკაცრი?
 ჩვენ, მუშები, ვინ ვართ?—

განა ჩვენთვის ყრუა მთელი
 მღელვარება გულს?
 ჩვენს გულს გრძობის გრძობის
 უფრო დუნედ უვლის?
 მუშამ (კის კბენა მტერთა,
 მაგრამ გულში ჰყვავის
 სიძულვილის ღველფთან ერთად
 სიყვარულის ზევიც.
 როცა მუშა ყვავილს უვლის
 და ან რკინას ებრძვის,
 სიმკაცრე და სიღობ სულის,
 ორივე კარგად ესმის.
 იქნებ იგი ბევრს არ წერდეს,—
 გულში უდღუს ზევიც.
 ძმობის უფრო მაღალ წერტილს
 გაუსწორდა სხვა ვინ?
 — მე ხომ მუშებს არ ვემდური?
 ეპოქაზე ვყვირი.
 ჩივილია უნებური,
 უნებურად ვტირი.
 დროს არ უნდა იდილია,—
 ღირიკული თრთოლა,
 როცა ირგვლივ გაშლილია
 გიგანტური ბრძოლა.
 იტყვაში თუ არ ჩანს ისრის
 შხამიანი წვეტი,
 თუ არ ბრწყინავს მასში სისხლის,
 ან და კრემლის წვეთი,—
 ისე აზრის ნაპერწკალიც
 ველარ შედის ლექსში.
 რჩება მხოლოდ მლაშე წყალი
 და სიტყვების ლეში.
 — კრემლი ახლა არ გვაწუხებს,
 სისხლისთვის კი მზად ვართ!
 დრო გმირული კარებს უღებს
 მხოლოდ ბრძოლის მხატვართ.
 მე შეილი მყავს მემანქანე,—
 შენც გინახავს ალბათ.—
 გზა სწორი აქვს გასაქანი,
 არც გაღუნავს ყალბად.
 რკინის ცეხში ეძახიან
 „ორთქლმავალის ძიძას“-ს

ძარღვიანი ყაძახია,
ტემბებს მარჯვედ იცავს.
დაჯერელია ჩახმაზივით,
წერს ხანდახან ლექსსაც.
მის ნაწერში ჩანს მახილი,—
სიტყვას რკინა ლესავს.
სტრიქონებში, ცრემლის ნაცვლად,
ოფლის ცვარი ბრწყინავს.
(შრომამ ჩვენს გულს მზე ჩააცვა.
უქმს—სიცივე ჰყინავს!)
ლირიკოსი აბუზღუნდა,
გაამრავლა უში:
— ჰო! ჰო! შრომას ვცნობდი მუდამ,
ახლაც ვლოცავ გულში!..)
— არ სჭირდება დამლოცავეი.
მან ქვეყანას მისცა
ფარშავანგის ბოლოსავეით
მოხატული მიწა,
ელექტრონის პირნახული,
ელექტრონის მზეცა.
მავთულებით გადახხული
დარკინული ზეცა.
— მაგრამ ცაზე, სადაც იწვა
ფერად სხივთა ზოლი,
იქ ჰაერმა ხომ ჩაიცვია
ქვანახშირის ბოლი?!
— მართალია, თუმცა ასწურა
ცისარტყელა ორთქლმა,—
კვამლის ფრქვევით შეასრულა
ხუთი წელი ოთხმა!..
ამ ბაასში დრო გავიდა.
მზე დაქანდა ოდნავ.
გამომელაენდა მოდავეთა
უნარი და ცოდნა.
ხშირ ფოთლებში ჩაიღვარა
მზის ნაშუქი ქარავა.
სადღაც ზეცა გაიბზარა

და დაჰქროლა ქარმა.

— ჩაუფიქრდი ჩვენს მსაგებარს
და გზა დასთმე ძველნი.
რკინის მუხლზე მღვარ თაობას
გაუწოდე ხელი.

აქ პოეტი კვლავ დაღონდა
და დახარა თავი,
თითქო რალაც მოაგონდა
მტკივანი და ავი:
— მოთავდებდა, ვხედავ, მალე
ჩემი ჯიშის მოდგმა!
— ალბათ! თუ კი ვერ შესცვალეთ
ცრემლიანი მოთქმა!

და მებაღე მოტრიალდა,
მწარე სიტყვის მთქმელი.
წინსაფარის თეთრი კალთა
ზე ასწია ხელით
და ჩააწყო ყვავილები,
დაკრეფილი იქვე.
— კაცი ჯავრით დაილევი,
თუ დაემე პირქვე.
მე არ ვამბობ შურისგებით,
არც არაფერს გითმობ,
მაგრამ გაძლევ, თუ მიხვდები,
სინათლეს და სითბოს.

და ლირიკოსს გაუცინა,—
მზე ჩაუსხა ჯავრში,—
და ბავშვივით ჩაუწვინა
ყვავილები მკლავში.
მან ჩაბლუჯა ყვავილთ გროვა
და ხეივანს გაჰყვა.
თან წაიღო თუ დასტოვა
გულის მწველი ზრახვა?...
სადარაჯო შენობიდან
ის გავიდა გარეთ.
ბაღში წვიმა შემოვიდა
ელვითა და ქარით.

ტიციან ტაბიძე

ლექსებიდან: „აპრილი ორპირში“

1

ორპირის ცხელი მზიანი დღეა,
ატმის და ბიის ყვავილთა ზვირთებს
მზე ისე აპობს, რომ ყველა ხეებს
უნდათ ერთბაშათ მოსცილდნენ კვირტებს.

ეხმარებიან ჩიტები სოფელს,
ხმა შეწყობილი გაისმის მარში.
ისე მაგარი გულით მღერობან,
თითქო მაისი შეუდგათ მხარში.

დაძაგრულია მიწა ყამირი:
მზად არი მოსკდეს, ზევაად იშხუელოს,
არ მეტყვეობა არც ერთი წამი,
მიწა რომ თესვის გაზეთს კითხულობს.

და ისმის ერთი, ხმა და გუგუნე
ამ ორპირიდან ქალადიდამდე,
ასე მგონია, მთა რომ წაიქცეს,
შეუდგებიან, მხრებით ზიდავენ.

მთები კი სდგანან მედიდურობით,
ყინული ფარავს არსიანის ქედს,
თითქო წუთს უცდის ზევათ დაეშვას
და ნიაღვარის ქაფათ მოასქდეს.

არ ვიცი წინათ ეს რას ნიშნავდა,
რომ იმღეროდნენ სულ ჩარირამას,
ამას კი ვხედავ, გადაქცეულა
დღეს იმერეთი ჩაი და რამათ...



ვწევარ ორპირში... ბავში სიციხეში,
და უმღერიათ წითელ ბატონებს.
ვარდი და ია მოუსხამს ჩონგურს,
დედის ცრემლები სიმებს ათროლეებს.

თავზე მადგანან ძმები და დები,
ველარ მალავენ გულში სიხარბეს,
იმდენს პირდება დედა ბატონებს
ძღვენს და საჩუქარს—რაგინდარაფერს.

დადგა და დადგა ვაშლების ზვინი,
მოაქვთ და მოაქვთ მეზობლებს ხილი.
ალუჩა, ბალი, მარწყვი და ხენდრო:
შაქრის ყინული გადაგრეხილი.

გაბვეული ვარ თავით ფოჩვებში,
ვარდის გამოხდილ წვიმაში ვსცურავ;
ეს საბანია—ასე ლამაზი—
თუ ანგელოსის ფრთები მახურავს?

ებრძოდა ქარი ქალადიდიდან
აბრიალებულ ატმების ტოტებს,
გადაულოცეს, როცა ბატონებს
დიდი მადლობით, რომ შემიცოდეს.

არ დავფიქრებდი არც ერთი წამი,
ისე ჩავიცემ მე გულში დანას,
თუ ამ სინაზის და ქრუანტიელის
ერთხელ მიმღერებ ბავშვობის ნანას.

ამხანაგო და ძმაო მკითხველო,
რომ ჩემი უფრო გსურდეს მოსმენა
ჩემი ლექსების—მე აღარა მწამს,
მაშ იქონიე, ცოტა მოთმენა...

მჯერა, გულშიაც გამკრავს წელკავი
და ლექსი თვითონ ამოდულდება.
ხბო რომ აწვალეგს რძე გამშრალ ძროხას,
პოეტს და მკითხველს ეს არ უხდება!..

პალტელეიზონ ჩხიკვაძე

ნახიჭები*

ტრილოგია

პირი პიტიულო

არ იქმნები?

ხალამპრეს დუქანში მუშები შეგროვილან. ღვინოს შეექცევიან და ხმადაბლა საუბრობენ.

კუთხეში პატარა მაგიდები ერთმანეთზე წაუდგამთ და ლადარიას გზას ულოცავენ. კომიტეტის წევრები ხმამაღლა სვამენ რევოლუციურ სადღეგრძელოებს. ხალამპრე მიკიტანი კატასავით ილურსება და კარებში შემოსულ სალდათებს უთვალთვალებს. სალდათებმა ღვინო და საუზმე მოითხოვეს.

— ამათ უნდა დაამყარონ კაცთა მშვიდობა?—სალდათებზე მიუთითებს კოწია ტრაპაიძე და ბოაზით თავს იქნევს.

— ამათ დანახეზე მომაგონდა—დაიწყო კასრადემ—გუშინ ხუთი სალდათი ხელთ ვიგდე სალაპარაკოდ, აქ ჩამოსვლის მიზეზი გამოგვითხე, ჯამაგირზე ვესაუბრე და გიმოიკვია, რომ... მაგათი ჩათრევაც შესაძლო ყოფილა.

— როგორ თუ ჩათრევა?—გაიკვირვეს ზოგიერთებმა.

— სულ უბრალოდ. ცოტა რომ შეუნთოთ, ჩვენსკენაც გადმოიხრებიან. შვიდი კაცი ქართველია. მათს შორის სამი წერაკითხვის მკოდნეა. ახალთაობის საკითხებში ადვილად ერკვევიან. რუსებშიც არიან გათვითცნობიერებული სალდათები... ჰო და, რომ შეუნთოთ მეთქი, ადვილად შევძლებთ მათ გადმოიხრებასაც.

— შევუნთოთ, გეტყვი მე! შენა გვაკლია თუ შესახმელებელი? ისეთი ცეცხლი გავაჩალოთ, რომ ყველას თაკარა ეკიდებოდეს.

— სალდათების გადმოიხრება ხუმრობა საქმე როდია, ამხანაგებო! თუ ნიადავი მოსინჯულია, საქირაა მუშაობა დავაჩქაროთ.

— მართალია, უნდა დავაჩქაროთ. გაფიცვების დაწყებისას მაგათი იმედოც უნდა ვიქონიოთ.

— გაფიცვები?—იკითხა განცვიფრებულმა კარპე კალანდაძემ.

— რა გაგვიკვირდა, კარპე?—დაცინვით შენიშნა კოწიამ.

— აბა, კიდევ გაფიცვები?

— ვხუმრობთ, გეტყვი მე! რა დროს გაფიცვები, ამხანაგებო! ეს გაუმარჯოს ამხანაგ ბეგის წასვლას და ჩვენს აქ დარჩენას. გაუმარჯოს, იმ დღეს, საჭმელს, რა საჭმისათვისაც ბეგი მიემგზავრება სამეგრელოში.

— გაუმარჯოს!—ტიქების დაცლით უპასუხეს დანარჩენებმა.

დღესათვის თედორე გერსამიძე და გლაზუნა სიხარულიძე შემოვიდნენ, მუშკას თვალი გადააელეს და ხალამპრე მიკიტანი დახლადან გამოიხმეს. დიდხანს ეჩუჩებოდნენ მათ ხალამპრე მიკიტანი, ხან ღიმილით, რალაცას ჰპირდებოდა, ხან თვალებს უბრიალებდა და ემუქრებოდა, ბოლოს ქამარში შეკეცილი არდაგი ჩამოშვდა და დახლისკენ დაიძრა. გაბრაზებულმა სიხარულიძემ მუშტრებს ზერგი შეაქცია და დახლზე მიმდგარმა ხალამპრეს რიხიანად შეუტია.

— გირჩევნია პირობა არ გასტეხო, თვარა...

— მომშორდი, თუ ძმა ხარ, აქედან. შენთან ლაყობობის დრო არა მაქვს უპასუხა მიკიტანმა და ლადარიას სუფრაზე სამი ბოთლი ღვინო მიარბენია.

სიხარულიძე ფეხდაფეხ მიჰყვა მიკიტანს, ლადარიასთან ბოდიში მოიხადა, გამობრუნებულ ხალამპრე მიკიტანს საყელოში სწვდა და ისე მაგრად შეანჯღრია და მოგუდა, რომ საბრალო მიკიტანს კინალამ თვალები წამოსცვივდა.

— ხალამპრე, სიტყვაზე მაგრათა ხარ? ან ხომ არ გინდა ყველაფერი აქვე დაეკალო? არაფერს ამბობ? შენ რალას იტყვი ირაკლი?! ეხლა გვარამაძეს მიუბრუნდა გლაზუნა.—თქვე ყველაფერი? რას განერებულხარ? გინდათ ყველაფერი დაეკალო?

გვარამაძეს ფერი ეცვალა და სიხარულიძეს ზიზღით მიუბრუნდა:

— გახეთქილხარ და ვერ მოგიწვდება. ჯერ გამოიძინე და მერე მოდი სალაპარაკოდ.

— ირაკლი...—მოიკვნიტა უღვაშები სიხარულიძემ და ხალამპრეს ხელი შეუშვა.—დღეს გახეთქილვარ, არა? იმ დღეს როგორი ვიყავი?

— გაეთრიე აქედან!

— არა, როგორი ვიყავი? მიპასუხე!

— ღვინო მიირთვი, გლაზუნ.—შესთავაზა ტიქა კასრამემ და ლადარიას თვალი ჩაუკრა.

ხმაურობაზე მუშტრები ფეხზე წამოიშალენ და ლადარიას სუფრის შორი-ახლო დადგნენ. ზოგი კინკლაობის ხასიათზე იყო და დროს უცდიდა, რომ ცარიელი ბოთლები დაეტრიალებია. გვარამაძემ გამომწვევი თვალთ შეხედა კასრამეს და სუფრიდან წამოადგა.

— ლოთებსაც რომ ესარჩლებო...

— მიირთვი გლაზუნ!—გაუმეორა კასრამემ და გვარამაძეს ყური არ ათხოვა. სიხარულიძემ საესე ტიქა ჩამოართვა კასრამეს, მუშები ჩაათვალა და დახლზე ატუხულ გერსამიძეს დაუძახა აქ მოდიო. გერსამიძე მოქეიფებს მიუახლოვდა.

— თედორე!

— რა გინდა გლაზუნა?—დარცხენით უპასუხა გერსამიძემ.

— რა უყოთ ამ ღიპიანს?—მიუთითა ხალაპპრე მიკიტანზე. — ბიჭო, რა უყოთ ამ ტყირიპიან მიკიტანს?—ჩქარა მითხარი, შე გლახის შეელო, თვარა მომაწვა სისხლი კისერში. მოთრეულმა იმერელმა რავე მოგვეტრა? ^{გონიერების} მატოსან ხალხში...

გერსამიძე თავჩაღუნული იდგა და ქალამნების გარღვეულ ჭეინტს მისტერებოდა.

— ამეილე, ბიჭო, ხმა, თვარა... გაცოფდი აგია, — არ ცხრებოდა ღვინო-შეკბენილი სიხარულიძე და კასრაძის მიერ მიწოდებულ საცხე ქიქას ხელიდან ხელში ინაცვლებდა.

— რა უნდა უყოთ... მოგვატყუა და ეს არის.

— რაში მოგატყუილე, შე მათხოვარო! ფული გასესხე, ნამთაფნი არ მომითხოვია და სარგებელი. ეხლა ჩემი ფულის მოცემა გიჭირს, და ამიტომ იღრინები?!

— რომელი ფულია, შე მართლა ტყირიპიანო?!

— დალიე, გლახუნ, ეგ ღვინო, დალიე და ხალაპპრესთან თუ რაიმე ანგარიში გაქვს, სხვა დროს გაასწორე, — შენიშნა კასრაძემ.

— მოთრეულმა იმერელმა როგორ უნდა დამიბრიყვოს? ვინ ვგონივარ მაგ გაქუტულს? არა, ვინ ვგონივარ მე მაგას...

— კარგი ერთი, ნუ ქირვეულობ. ვიცი თ ვინცა ხარ. დალიე.

— თქვენ და თქვენი ღმერთი, — დაიღმიჯა ქლესა მიკიტანი — ეხლა ამას რომ გვერდები მოუთბილო, დამნაშავე კიდე მე ვიქნები?

— ხალაპპრე, დედას გიტორებ, ამ პატროსანი ხალხის მოწმობით...

— ბიჭო, ნუ გამოიყვანე მოთმინებიდან! — წათამამდა მიკიტანი და გლახუნას ჩოხის საქილეზე ჩაავლო ხელი, თავისკენ მოატრიალა და ამღვრეული თვალებით ჩახედა თვალში.

ირაკლიმ კარებისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ეს არ გამოეპარა სიხარულიძეს და ეხლა იმასაც მიიძახა: — შენ სადღა მიძვრები, გვარამაძე! მობრუნდი აქეთ, შენთანაც ბევრი ანგარიში მაქვს გასასწორებელი ნუ გენალვლება.

— რა მაქვს, ბიჭო, შენთან საანგარიშო, საერთო ან გასაყოფი? — შედგა გვარამაძე და რადგან შეატყო, რომ საქმე სხვანაირად დატრიალდა, წინასწარ გაბედული კილო აიღო სიხარულიძის წინააღმდეგ.

— აქ მობრძანდი... ხომ მიცნობ ვინა ვარ?! — ბარბაცებდა სიხარულიძე და თავს ძლივს იმაგრებდა.

გვარამაძემ არაფერი არ უპასუხა.

— ვერ მიცნობ? იმ კარებს ხომ კი იცნობ? — გაიშვირა ხელი სიხარულიძემ გატეხილი კარებისკენ და ხალაპპრესაც მიუბრუნდა, — იმ კარების ამბავი ხომ გახსოვს?!

ლადარიამ ყური სცქვიტა კარების ხსენებაზე და ფეხზე წამოდგა.

— ერიპა! აქ აღარ ხუმრობენ, გეტყვი მე! — დაფაცურდა ხოსიაც.

— ხომ იცნობ იმ კარებს? რას გაჩერებულხარ? — გაუმეორა სიხარულიძემ და დამუნჯებულ მიკიტანს მოულოდნელად სილა გააწნა.

ხალაპპრე დაბარბაცდა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და მაგიდას დაეყრდნო.

— შენც ხომ გახსოვს ირაკლი ის კარები?! — ეხლა გვარამაძეს აეტუხა წინ სიხარულიძე და პიჯაკის გულის ჯიბეში ხელი ჩაავლო.

— ხელი იქით, გლახაკო! — აიღეწა გვარამაძე და გლახუნა თავიდან მოიშორა.

— კარგი, შე გლახაკი ვარ. მაგრამ ამ პარტიოსანმა კაცმა რაღას უნდა ვეცადო? მიუთითა გლახუნმა კასრამდეზე, — არც მაგი დაინდევ და ჩვენც თავი მოგვეჭერი.

— რას ბოდავ!

— ეხლაც ლომის კარელის კი აღარ მეშინია. მიპასუხე, რაზე მოგვეჭერი თავი მეთქი?

ირაკლი გაშეშდა მოულოდნელი შემთხვევის გამო და აღარ იცოდა თავი როგორ დაეღწია. მოსულიერებულმა ხალაშპრე მიკიტანმა დრო იხელთა, მაგიდაზე დადგმულ ცარიელ ბოთლს დასწვდა, ხელში მოიპარჯვა და ის-იყო სიხარულიძისთვის თავში უნდა ეთბლინა, რომ ეს ხოსიამ შენიშნა, მიკიტანს მაჯაში სწვდა, მკლავი მოუგრიხა და ბოთლი ხელიდან გაავდებინა.

— ვაშკაცობ, გეტყვი მე! — თან დაატანა ბრახმორეულმა ტრაპაიძემ.

— ირაკლი, ეს რა ამბავია შენს თავზე? გაყოფაზე ჩხუბი მოგივიდათ? არა, ვისი ფული გქონდათ გაცაყოფი, ეგ ქვეიანი თავი ნუ მოგიკვდება! — დასცინა ტოროტაძემ.

— რატომ ხმას არ იღებ? რატომ თავს არ იმართლებ. — ბორგავდა სიხარულიძე და ირაკლის ხელს არ უშვებდა.

— მომაშორეთ ეგ გლახაკი, თორემ...

— უპ, შე გაიძვერა, მამაძაღლო! — დააკრაქუნა კბილები წვერგაბურძენილმა სიხარულიძემ და ეხლა გვარამაძეს სთბლინა ყურის ძირში.

შეიქნა აურზაური. ჩხუბის მადაზე მოსულმა მუშტრებმა დრო იხელთეს და ცალიერი ბოთლები ყუმბარებივით ახმაურდა მიკიტანის დახლში.

დაჰკრეს ერთმანეთს და მრუდე თუ მართალი ჩხუბში ჩაერია, მაგრამ ლადარიამ და მისმა ამხანაგებმა წახუბებულნი უმაღ დააწყენარეს, სიხარულიძე ძალით გაიყვანეს განზე და აღელვებული მუშტრები დიდის ვაგლახით დააშოშმინეს.

— არა, აქ ყველაფერი უნდა ითქვას, ყველაფერი უნდა გამოააშკარავდეს! — არ ცხრებოდა სიხარულიძე და გვარამაძისკენ მიიწევდა.

სამზარეულოდან სიკოია გამოვიდა.

— შენ აქ რა გინდა, ბიჭო, გასწი ქუხნაში, შე ლაწირაკო!

— რა მინდა? აღბად რაიმე მინდა, ხაზეან! შეუბღვრა ხალაშპრეს სიკოიამ.

— ბიჭო, წაეთრიე, მეთქი! დაუბაკუნა მიკიტანმა და ანთებული თვალები სიკოიას დაუბრიალა.

— მოიცა, ხაზეინ, სათქმელი მაქვს. შენც გაგებარდება.

ყველამ სიკოიას გადახედა.

— რა გაქვს, ბიძიკო, სათქმელი? — ჰკითხა ლადარიამ.

— ის რომ... სიხარულიძე მართალია... მე იმ ქუჭრუტანიდან ვუსტეროდი იმ ლამეს, როცა ეს კაცი — სიკოიამ გვარამაძეზე მიუთითა — გლახუნა და გერსამიძე ხალაშპრესთან შემოვიდენ... რალაც იჭურჩულეს, ღვინო დალიეს და წავიდენ, შუალამეზე უკან დაბრუნდენ და დუქანი თვითონვე გატეხეს..

— ოპ, შენი დედის და მამის! გაიწია მიკიტანმა სიკოიასკენ, მაგრამ...

— ხმა ჩაიკმინდე! შეუტრეს მიკიტანს აქეთ-იქიდან.

— დაფიცების დროს მინდოდა ყველაფერის თქმა, მაგრამ რა დღეს ხალამპრემ დუქნიდან გარეთ არ გამომახედა... დუქანი აგენმა გატეხა... მე ჩემი თვალით ვნახე.

— შენ და შენი ღმერთი, სიკოია! აქაქანდა სიხარულს და მსხვერპლს ხალხს მიუბრუნდა:—ხალხო, ჩამქოლეთ, ჩემი დანაშაულია, მაგრამ ამათაც ნუ აპატიებთ პატიოსანი კაცის ვათათხვას.

— არც შენ ყოფილხარ კვი კაცი.—ჩაილაპარაკა ვილაცამ ხალხში.

— გასამრჯელოზე მოუვიდათ ჩხუბი და ეხლა გამოტყდენ, თორემ...

— არ დააცალეს თორემ გლახუნამ ლომისკარელზეც სიმართლის თქმა დაპირა...

— მართალია, იქაც უნდოდა ეთქვა—დაუმოწმეს სხვებმაც და გეარამძეს ზიზლით გადახედეს.

— ეხლა ყველაფერი ცხადია, ამხანაგებო! გადახედა თავისიანებს ლადარიმ და გეარამძეს მიუბრუნდა.—რას იტყვი ირაკლი?!
— ცილისწამებია, მაგრამ სინამდვილეც ჩქარა გამოიკვევა.

— ისარგებლე ამათი სიღარიბით?—ველარ მოითმინა კასრამძემ, —გინდოდა საწყალი გლეხები ფულით შეგეცდინა?

— სერგო!—გააქნია თავი გეარამძემ.

— კარგი. ქადილითვე უპასუხა კასრამძემ, —სხვა დროს უფრო სულდათქმულათ მივილაპარაკებთ. შენ კი, მიკიტანო, ამ ბავშს საკუთარ თავსავით გაუფთხილდი, თორემ... მოიტა ანგარიში.

— ანგარიშიც თქვენი იყოს და დუქანიც თქვენ გებარებოდეს.

მოიხსნა არდაგი მიკიტანმა და ბურღულულით გააწია დახლისაკენ. ქუდი დაიხურა და ისევ ძველ ადგილას დაბრუნდა. ხალამპრემ დუქანს თვალი გადაავლო და, სალდათები რომ ვერ დაინახა, ბრაზით თვალები დაწკურა.

— ნუ ჰირვეულობ, ანგარიში მოგვიტანე! გეარამძესთან მახინაციებისთვის გამოგადგება... ფული ღმერთია, მიკიტანო.

— ჩაიბარეთ ეს დუქანი და უპატრონეთ, არ იშლიდა თავისას მიკიტანი და თვალი კარებისკენ ეჭირა, პოლიციელი ან სალდათები თუ გამოჩნდებიანო.

— ბავშს არათფერი აწყენინო, გესმის? მოიტა ანგარიში.

— როგორ არ მესმის! ხაზეინი ეს მყოლია და გვიან ვავიგე.

— აღამიანჭრათ მოეპყარი და ტანზეც შეუყერე. ესეც ხომ გესმის?! ანგარიში მეთქო, გვეჩქარება!

ხალამპრე მოლბა, ანგარიში მოიტანა და მიმავალი მუშები კარებამდე მიაცილა. შემდეგ დახლში შეტრიალდა, სიკოას გვერდებში წაუბილიკა და ჩუმად წასჩურულა ყურში:

— აენას ამოგწვდი, შე ლაწირაკო, კბილებს დაგაძრობ.

სიკოიამ იცოდა, რომ დღევანდელ საქციელს არ აპატიებდა ხალამპრე მიკიტანი, ამიტომ არდაგი შემოიხსნა, ხალამპრეს მიუგდო და რადგან კარგა ხანია ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა სამიკიტნოსთვის თავის განებება პატრონს, ანგარიშის გაწორება მოსთხოვა.

ხალამპრეს არ ესიაშოვნა სიკოიას გაცხარება და არდავის გადაგდება, მაგრამ როცა ვერაფრით ვერ მოალბო მიკიტანმა შეურაცყოფილობის გული, ხელი ჩაიქნია და ანგარიშის გასწორებას შეუდგა.

— სამი თვის ჯამაგირი მიღებული გაქვს, ბურღლულმბდა ხმადაბლა ხალამპრე მიკიტანი და სიკოიას თავის დაქნევით იმოწმებდა.—გერგება ორი თვისა და ოცდაოთხი დღის ჯამაგირი, თვეში სამი მანეთი, ხომ, ბიჭო? ორი თვისა ექვსი მანეთი. ოცდაოთხი დღის თორმეტი აბაზი, სულ რვა მანეთი და ორი აბაზი. ხომ სწორია, ბიჭო?

— დღეადღელ დღეს რატომ არ ათვლი, ხაზეინ?—შენიშნა სიკოიამ.

— დღევანდელი რად უნდა ჩავთვალო? ჯერ შუადღე არ არის და შენ უკვე მიდიხარ. რა გაგიკეთებია?

— დილის აქეთია წილებზე ფეხს ვიდგამ და არაფერი გამიკეთებია? ეს არის შენი ნამუსი?

— კარგი, ნახევარი დღეც ჩავიდეთ. ნახევარი დღისაც შაური... სულ რვა მანეთი და ცხრა შაური. ხომ სწორია?

— სწორია და მოიტა, ნულარ აყონგებ.

— რაო? მოვიტანო? ჯერ მოიცა, ყვაწვილო, ეხლა შენზე რაც ვალები ირიცხება, ის გამოვჩოთქოთ და რაც დარჩება მიიღე.

— რა ვალები, ვალი როდის ამიღია? განცვიფრდა სიკოია.

— დაიცა. სამი ცემენტის თევში ხომ ერთხელ დაამტვრიე. სამი აბაზი. ჩაავდო საანგარიშო ჩოთქში ხალამპრე მიკიტანმა,—ერთი ჩაის ჭიქაც ხომ გასტეხე, ესეც ორი შაური. ორბი ღვინის ჭიქა ხომ მეორეხელ შემოგემტვრა. გახსოვს „პანდოცი“ რომ დაგივარდა? ოთხი ჭიქა—ორი აბაზი. ორი ჩხავრით სავსე ფოთლი რომ გაგიტყდა—რვა აბაზი. რას მიცქერი? აი სულ აქ მიწვრია, ჩემი ცოლშვილის მზემ, ტყუილს ხომ არ ვაპბობ.

— შენი მზეცა და შენი ცოლშვილისაც! აღრიალდა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის სიკოია და გაქცევით წითაპამებულმა ცარიელ ბოთლს დააულო ხელი.

— იქნებ მე დამაწერო, ხაზეინ, რაც დღეს ჭურჭელი დაგიღეწეს და ყურის ძირშიც რომ ჭაშნიკი გითავაზეს...

— სიკოია! სიკოია! დაელშიჯა ზიზღით ხალამპრე მიკიტანი,—შენ დააქციე ჩემი ოჯახი მაგ მოწამლული ენით და კიდევ შენსას არ იშლი? მიდიხარ და კიდევ საწამლავს ჰყრი მაგ მურღალ პირიდან? რაც დღეს გატყდა რა შენი საკითხავია? მე იმას ვანგარიშობ, რაც შენ გაგიტეხია. ორი ღვინით სავსე ბოთლი რვა აბაზი. სულ ორი მანეთი და თოთხმეტი შაური... ხელზე გერგება ხუთი მანეთი და თოთხმეტი შაური. ხომ სწორია, ბიჭო?

ხალამპრემ დახლი გამოსწია და ხელფასის ნაშთი დახლის თავზე დააღაგა.

— რამდენია მაქ?

— რაც ხელზე გერგება, სულ არის.

— რამდენია მეთქი!—აუწია ხმას სიკოიამ.

ხალამპრეს უკვირდა, ეს წირბლიანი სიკოია აგრე რამ გაათამამაო, და თავით ფეხებამდე ათვალაიერებდა.—ხუთი მანეთი და ხუთმეტი შაურია. ეხლა ხომ გაიგი!



ქართული

ლიტერატურის

— გვიგე- დათვალე დანარჩენიც!
სიკოიამ ბოთლი ხელში შეატრიალა.

— გეყოფა სიკოია, ამის მზემ, გეყოფა! ბრაზით მიკიტანი და დახლის თავზე დაყრილ ფულებს ხელი შეავლო.

— დათვალე მეთქი! გაიგე?

— ხუმრობ თუ... შე კაცო, რაც შენს ხელში მე ზარალი მინახავს, კიდევ აქეთ შედავები?!

— ჩქარა!

— აი მანეთიც... შენს გაზრდას წაიღი და გაათავე. ლაპარაკის გუნებაზე არა ვარ. ისედაც სისხლი აქამდე მომივიდა, აი!...—ხალამპრემ ყელი გადაიწია და თავისივე ყანყრატოს ბრაზით ჩააფრინდა.

— დანარჩენიც!

— კარგია, მამა გიცხონდა,—გაბრაზდა მიკიტანი და დახლის ყუთი მიაჯახუნა, გასაღები გამოაძრო და შარვლის ჯიბეში შეინახა,—არ გინდა და ნუ გინდა. სადაც გინდა მიჩივლე.

— მოიცა მეთქი!—არ ეშვებოდა სიკოია, მაგრამ ხალამპრე ყურადღებასაც არ აქცევდა და, დუქნის შუა ბოძზე მიყრდნობილი, მუშტრებს ათვალთვლებდა.

— არ იძლევი?—გამომწვევ კილოზე შეეკითხა სიკოია.

ხალამპრე იღვა ხესავით და არაფერს არ უპასუხებდა.

— ხომ არ იძლევი?—გაუმეორა სიკოიამ და დახლზე დამლაგებული ფული აკრიფა, ცარიელი ბოთლი ხელში აიღო, მეორეც მოახაზირა და ეხლა უკანასკნელად შეეკითხა ხალამპრეს: იძლევი თუ არაო, და როცა პასუხად ხალამპრეს სტვენა შემოესმა ბოთლი მოიშარჯვა, გაიქნია და დახლიდან ღვინით სავსე ბოთლები ღვრად წამოვიდა. ერთს მიჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და როცა სიკოიამ გული იჯერა და დახლი მიღეწ-მოღეწა, „აღარ მინდაო“, მიაძახა მიკიტანს და გარედ გაეარდა.

306 მოკალა?

ბლალოჩინმა ლადარიას სამეგრელოში გამგზავრება დაუყოვნებლივ აცნობა ზუგდიდის მაზრის უფროსს და გააფრთხილა, რომ რაც შეიძლება მალე მოეშორებია ის თავიდან. „გავლენიანი პირია,—სწერდა ბლალოჩინი მაზრის უფროსს—ხალხს ბლომად მიიძხრობს, ეცადე ჩქარა აპზარგო სამეგრელოდან და თუ ციმბირში არა, ქუთაისის ციხეში მაინც ჩამწყვდიეო. ძალი ცოლშერთულია და მალული ცხოვრება გაუძნელდება, ისე რომ ხელში ადვილად ჩაიგდება“.

ლადარია სულ არ ფიქრობდა მალულ ცხოვრებაზე, და ჩაეიდა თუ არა საბერიოში, აშკარა მუშაობა გააჩაღა და არამც თუ საიდუმლო კრებები, საჯარო მიტინგებიც კი მოიწვია.

ძიკი გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაეარდა. ეხლა მან მტკიცედ გადასწყვიტა, სანამ ყველაფერი ნათელი გახდებოდა, ორმაგი პოლიტიკა ეწარმოებია და, წინათ რევოლუციონერებზე დაგეშილი მეძებარი, ამჟამად თვალს არიდებდა საიდუმლოდ და საჯაროდ გამართულ კრებებსაც. ჯაშუშების ცნობებს

გულგრილად ექცეოდა. გასამრჯელოს აღმარების აღმდგენად, ხოლო მიღებულ ცნობებს ერთი ან ორი დღის შემდეგ ცეცხლში ჰყრიდა და ანადგურებდა. ო

აღარც ჩიჩია ასვენებდა დღეს ახლადდანიშნულ ბოქაულსა და მისი მისამართებისა და ხან სად. მაგრამ მაზრის უფროსი გუბერნატორის შიშით ვერაფერს უბედავდა საბერძნოს ბოქაულს; გუბერნატორმა კი სრულიად არაფერი არ იცოდა ძიკის ვინაობის შესახებ. მისი ბოქაულად დანიშნა ც შემთხვევით მოხდა და დღეს ჩიჩიაც ნანობდა და მაზრის უფროსიც ძიკის ასე მოულოდნელ წინწამოწევას.

ბეგის დაბრუნება არ ესია მოგონა ძიკის, მაგრამ მასთან შეხვედრას მაინც ერიდებოდა. ჯაშუშების ცნობა ლადარიას სამეგრელოში დაბრუნების შესახებ ზიზლით გადაიკითხა და იქვე ანთებულ ბუხარში ჩაახალა. „აღარ ისვენებენ— გაივლო გულში ბოქაულმა და ჯაშუშების ხროვა თვალწინ დაუდგა.— ჩემს მტერს შეესია ეს დამშეული მგლები,— დაუმატა მანვე და ზიზლით გადააფურთხა,— ლადარიას ჩამოსვლას იტყობინებთან და სასყიდელს მოეციან. თავზედი ჩემი ძმა კი მოურიდებლად მიტინგებს იწვევს და ხალხს ლუკმა პურს უკარგავს თავისი გამბედაობით. ნეტა რა იქნებოდა, რომ ეს ჯაშუშები არ იყვნენ ქვეყანაზე? არა, შაინც საოცარი ხალხია ეს ჯაშუშები. ნიკო ბლალოჩინი სადაურია, სად ცხოვრობს და ვისთან აქვს კავშირი და საიდუმლო მიწერ-მოწერა? ვინ იფიქრებს, რომ ღვთისმსახური ღვდელი ასეთი საზიზლარი საქმის მეთაურია და ხელმძღვანელი? ბეგი ჯერ არ ჩამოსულა, რომ მაზრაში ცნობა მიიღეს... არა, სწორედ ეს მაფრთხობს მე და რწმენას მიკარგავს ახალთაობისადმი, თორემ... არა, მე მართალი ვარ. ასეთი მჭიდრო სახელმწიფო აპარატის გარღვევა შეუძლებელია, შეუძლებელი, შეუძლებელი!“ — დაუდასტურა მან თავის თავს და მთაფრობის ყოველი ციხე-სიმაგრე გაითვალისწინა.

— „თავად-აზნაურობა, მეფის მოხელეები, ჯარი, პოლიცია და თანდარმერია. ცალკე სამღვდლოება და ეკლესია-მონასტრები, ფული და მთელი სახელმწიფო დოვლადი. არა, ტყუილია, ხელცარიელი ხალხი ვერ გაიმარჯვებს. აიშლებიან, ფუტკარივით აბზულიდებიან, მაგრამ როცა ახალს ვერ დაინახვენ, ისევ ძველ სკაში დაბინავდებიან. ახლის აშენება კი ასე ადვილი როდია. დანგრევასაც დრო უნდა, თორემ აშენება ხომ საუკუნოების საქმეა“.

ამასვე ფიქრობდა ნიკო ბლალოჩინი, როცა ის თავგამოდებით ჰკრეფდა ცნობებს ახალთაობის მომხრეთა შესახებ და რევოლუციონურ მოძრაობის ჩასაქრობად თავს არ ზოგავდა.

დღესაც ადრიახად შეუჯდარა ბლალოჩინი თავის განუყრელ ჯორზე და ჩოხატაურისკენ მიჩაქჩაქებს. ბოქაულ ქუცურბეგთან მიეჩქარება. შევარდნაძესა და მის რაზმელებზე განრისხებულს, ცნობებიც მიიქვს ბოქაულთან, წვრილმანი ცნობები, რომელშიაც უზენაესი ხელისუფლება გროშს არ გაიმეტებს, ხოლო ბოქაული მადლიერი მაინც დარჩება და თუ გუნებაზე შეხვდა, შეიძლება კარგისადილიც შესთავაზოს გზაწამოვლილ ბლალოჩინს, და ოსეთაშვილის დუქანში წვრილი „მრავალგამიერი“ შემოსძახოს.

„გავსრესავ, გავსრესავ, კიასავით გავსრესავ მაგ ვატიატონებს, და ზოგიერთს ციშბირშიც გავგზავნი სააგარაკოდ! დიდებული აგარაკია ციშბირი თავზე, ხელაღებულთათვის. იხტუნონ და ირბინონ რამდენიც მოესურვებათ“.

ამ ფიქრებით მიადგა ბლალოჩინი საბოქაულოს კარებს და ჩაიკარმა დანახვისთანავე ჯორი ჩამოართვა.

პარასკევი დღე იყო და რადგან კარგი დარი იდგა, ხალხი ბაზრობაზე ბლომად მოგროვებულიყო. პეტრეპავლობის ბაზრობა ახალ დაწყებული იყო და სახელდახელო კარგებში ვაჭრობა სდლულდა და გადადიოდა. შაფათა ებრაელი იათა ჰქვიდა „უშვილობის წამალს“ და მუშტარის წასახალისებლად წამდა-უწუმ გაჰყვიროდა.

გოკების ქყვირილი ბაზარს აყრუებდა.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ბლალოჩინმა ბოქაულ ქუცურბეგთან ერთად ბაზარს ჩამოუარა, ხურჯინი ნავაჭრით გაავსო, ჯორზე შემოჰკიდა და ვინაიდან ქუცურბეგიც ქვიფის გუნებაზე აღმოჩნდა, ოსეთაშვილის დუქნის წინ შეჩერდნ.

— ვისადილოთ, მამაო!

— არაფერი მაქს საწინააღმდეგო.— უპასუხა ბლალოჩინმა და ვაჭრისტიანებულ ლეკს დუქანში შეჰყვა.

ოსეთაშვილი ფეხზე დადგა და სარფიან მუშტრების დანახვაზე შაქარ-ნაყინივით გატკბა და გაიტბუნა.

— რას ინებებთ? დიდებული სამარხვო მაქვს.

— სამარხვო რა სახსენებელია! კარგი რა გაქვს?— არ მოუწონა ბლალოჩინმა, გაქნილ მიკიტანს.

— გოკი გახლავთ იმისთანა, რომ...

— გოკი მოგვიტანე. ალადასტური და კალმახიც მოაყოლე. მარხვა იმათვის არის დაწესებულდ ვისაც არაფერი გააჩნია. ხომ გაიგონე?

— გავიგე, მამაო!

— ჰო და დატრიალდი შენებურად.

სუფრა დაიტვირთა სახსნილო ხორავით და შეხარხოშებულმა ბლალოჩინმა „სუფრული“ წამოიწყო.

კუთხეში ახალგაზრდა ყმაწვილი სადილობდა. ბლალოჩინმა ირიბულად გადახედა კენტად მოსადილეს და რალაც მოავონდა. „ის არის... ალბათ სამუშაოდ თუ ჩამოვიდა. შე ზენ გზენებ ვირის აბანოს“.— გაიფიქრა ბლალოჩინმა და განგებ არაფერი არ შეიმჩნია.

ქიათურიდან ჩამოსული ქლენტი დუქნის კუთხეში სადილობდა და ბლალოჩინის მახელი თვალის სწორედ მას უთვალთვალებდა. უთვალთვალებდა, მაგრამ ქუცურბეგი რომ მუდამ მადლიერი ჰყოლოდა, დღეს განგებ სდლმდა ბლალოჩინი ბადეში მოხვედრილ „საკბილოს“ შესახებ, და სადილს მზიარულად შეექცეოდა.

ოთახში ევტიხი ცინცაქემ შემოიხედა. ბლალოჩინს თვალი მოჰკრა და სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— შემოდით, ამხანაგებო!— შეიპატოცა ცინცაქემ ამფსონები და ცალიერი მაგიდა დაიკავა.

ბლალოჩინმა წყენით გადახედა მოქეიფე ახალგაზრდებს და ოსეთაშვილს გამოუძახა.

— ტყვილა გაგაფრთხილე, აქ არავინ შემოუშვა მეთქი?

— რა ექნა, მამაო. პარასკევია და დუქანში ადგილი აღარ მყოფნის. უარი კიდევ აღარ გამიძის. ძალად შემოდინა.

— ღვინო და საუბზე!—დაუკვეთა ცინცაძემ მელქენს და მანაც მის საუბარი გაუბა.

ცინცაძე თვალთ რალაცას ანიშნებდა ამხანაგებს ნიკო ბლალოჩინზე და ხელიან ჭიქებს ზედიზედ სვამდა.

— მიკიტანო!—დაიძაბა ბოლოს შეზარხოშებულმა ევტიხიმ და მავიდას მუჭტი დაახალა.

ქუსურბეგმა შუბლი მოიჩრდილა და ატრუებულ მოქეიფეს იქვენულად ახედ-დახედა.

— ღვინო მოიტა!

— ევტიხი, შენ გენაცვალე, საჭირო აღარ არის. დაითვრებით და ერთ უბედურებაში გაეხვევით, თქვენც და მეც დამლუპავთ...

— მოიტა მეთქი!

— შენ გენაცვალე!—ყელის აწევით ეხვეწებოდა მიკიტანი და ღვინის მიტანას განგებ აგვიანებდა.

— არ მოიტან? მაშ ნახარჯიც ყინულს დააწერე.

— ჩემი თავი გენაცვალოს, თუ ეხლა არა გაქვს ჯიბეზე, სხვა დროს იყოს.

— თავს იგდებ, რა არა მაქვს?—ევტიხიმ თუშნიანები ამოიღო გაუხრიწა და გადაყარა.—აი თუ არა მაქვს. შენ კი არ მოგცემ, გუნებაზე არა ვარ და არ მოგცემ. თუ გინდა პრისტავი მაქ ზის და მიჩივლე.

— ევტიხი, შენ გენაცვალე.

— ელენტმა ანგარიში გაასწორა და ხალხში შეერია. ცინცაძე ისევ კირვეულობდა და დაქუხების საბაბს ეძებდა.

— ვინ არის ეგ ყმაწვილი? სადღაც მინახავს. იკითხა ბლალოჩინმა და ცინცაძესთან შეხვედრის ამბავი თვალწინ წარმოუდგა. „გმაღლობ მამაო კურთხევისათვის“—მოაგონდა ბლალოჩინს და დენთივით იფეთქა.

— რა გვარი ხარ შენ, ყმაწვილო!—ჰკითხა ცინცაძეს ბლალოჩინმა.

— გურიელი არა ვარ. არც ერისთავი, მაგრამ გლეხის პირობაზე რამი-შეილებს მაინც არ გავექცევი.

— ბატონო ბოქაულო!

— ჰეი, ისმაილო!—შემოჰკრა ხელი-ხელს ქუსურბეგმა, მაგრამ მოქეიფე ახალგაზრდებმა „გურიანი რა გინდოდა“ შემოძახეს და ვითომ აქ არაფერიც, ხელიხელგადაქდობილი დუქნიდან ქუჩაში გავიდნენ. ბაზრობა თავდებოდა და ყაფანში თავმოყრილი სოფლელები ჩაის ჭიქებით სვამდნ ღვინოს მიწაზე დაგორებულ ტიკორებიდან.

— მოდი ყაფანში დაუმატოთ.—მიიპატიეთა მეგობრები ცინცაძემ და ჩომეთელ ჭკუასელს სავსე ტიკი მოახსნევინა.

— დავლიოთ, ძმებო, იმის შესანდობარი, ვისაც, სულ დიდი, ხუთი საათის სიცოცხლე დარჩენია.

— დავლიოთ. შეუნდოს მალალმა ღმერთმა.

ევტიხიმ ღვინო გასინჯა და სავსე ჭიქა იქვე გადალევარა.



— აღარ მინდა, ამხანაგებო, მაგარი ღვინო ყოფილა.

— საგანგებოდ წამოვიღე, ცოლზეილს ვფიცავარ. ერკონესული

— მჯერა, ძმობილო, ციხის ღვინოს არ გააწბილებს. მჯერა მუქურალი
ვარ და აღარ მინდა. ერთიც შენთვის დაისხი, დალიე და რაც გერგება გამო-
მართვი.

ახალგაზრდებმა ბაზარს ჩამოუარეს, ხილი იყიდეს და ქანდრის ჩრდილში
თავშეფარებულეებმა მწიფე მსხალს დაეტანენ.

ბაზარზე სურებისკენ მიმავალი ბლალოჩინი გამოჩნდა. დღეს რატომღაც
შეიარაღებული მცველი არ ახლდა. შეზარხოშებული ბლალოჩინი ჩორითთ მი-
ქანებდა შესვენებულ ჯორს, და რაღაცას ლულულულებდა თავისთვის.

ეცტიხში თვალი მოჰკრა ბლალოჩინს, ამხანაგებს გამოეთხოვა, მეზილესთან
შეიბრინა, შემდეგ დუქნის წინ სვეტზე მიბმული ლურჯა ახსნა და სურებისკენ
გააქანა.

* * *

ბლალოჩინი ვანის წყალს მიუახლოვდა. ჯორს სადავე მიუშვა და გულ-
გახურებული პირუტყვი ხარბად დაეწაფა ლელის ცივ წყაროს.

მოსახვევში ეცტიხი გამოჩნდა.

ბლალოჩინმა უკან მიიხედა და ცინცაძეს დანახვაზე ტანში გააფრთხილა.
«ფუჰ, დააწყველოს ჩემმა გამჩენმა!»—გაიფიქრა შემკრთალმა ღვთისმოსავმა და
ჯორს ქუსლი ჰკრა.

ჯორი გაჯიუტდა და კვინტი შეჰყარა, ნაბიჯი გადასდგა და ისევ წყალს
დაეწაფა.

— წადი შე მგლის კერძო!—აბურდლუნდა ბლალოჩინი და სადავემოქაჩუ-
ლი სახედარი ჩიტყვით გააქროლა.

ეცტიხის ნაბიჯით მიჰყავდა ზურგმოშავებული ლურჯა და ბლალოჩინის
აჩქარებას აინუნშიც არ იგდებდა. მიდის და მიიმღერის ჯერ კიდევ ღვინოგა-
მოუნელებელი ცინცაძე. მიიმღერის სურების გრძელ შარაზე და აკივლებულ
სუფსის ზვირთებს ხარბად გადაჰყურებს.

ბლალოჩინი სოფელს მიუახლოვდა და იმედით მოცულმა თავისუფლად
ამოისუნთქა. უკან მოიხედა და ცინცაძე რომ იმავე მაძილზე დაინახა, ბრაზით
აბურდლულდა: «რა აჩრდილივით დამყვება ეს ლაწირაკი!»—და ჯორი ხელმეო-
რედ ააჩქარა.

საცაა ეზოს მიუახლოვდება ბლალოჩინი. საესე ხურჯინით შინაურებს გაა-
ხარებს. თერთმეტი წლის ვაჟს ვახტანგს წითელი მესტებით მოქრთამავს, რვა
წლის დარიკოს კრელ კაბებს უსაჩქურებს. ფოფოდის კი შალაბრეშუმსაც არ
მოაქლებს ხელგაშლილი ბლალოჩინი.

ჯორი კიშკარს მიუახლოვდა და ნაბიჯი შეანელა.

«ეხლა კი დროა!»—გაიფიქრა ცინცაძემ და ლურჯას მათრახი გადააწნა.
დაეღვებაში გაიბრინა ჩამორჩენილი მანძილი და ბლალოჩინს თავზე წაადგა.

— რამე თუ მიხსენ მე ბოროტისაგან—გამოისახა პირჯვარი ბლალოჩინმა
და ჯორიდან გადმოხტომა იკადრა. «უდაბნო გამოვიარე და შინ ფათერაკი

შემემთხვეს? — გაიფიქრა მან და ჭიშკარი შეაღო. ეზოში რომ შევიდა სმნარეულოდან გამოქანებულ მოჯამაგირეს მოჰკრა თვალი და გულზე გაუმთავრა. ცინცაძეს თვალში შეატყდა და უხმოდ შეუბღვირა.

— რას მიბღვერი შე კუდიანო? — არ დააყოვნა ევტიხიმ და ცხენიდან გადმოფრინდა. ჭიშკარში შეიჭრა და ათიოდე ნაბიჯზე მიახლოებულ ბლალონინს „ვეითოერი“ გულში უსწორა.

— ბუკო, რას მერჩი, რა დამიშავეები? — აღრიალდა ბლალონინი და მოწყალე თვალებით გადმოჰხედა იარაღმომარჯვებულ ცინცაძეს, მაგრამ ამ დროს იქექა რევოლვერმა და ახმახი ბლალონინი პირქვე ჩაიკცა.

ოდის აივანში წივილ-კივილი მოისმა. შეშინებულ მოჯამაგირეს ენა ჩაუვარდა და ფეხის გადადგმა ველარ მოახერხა.

ცინცაძე ჩაკეცილ ბლალონინთან მიიჭრა, გულაღმა გადმოაბრუნა და ერთი ფინდიხი შუბლშიც ჩააჭედა.

— ეხლა ადგე და იჯაშუშე! — დაატანა ევტიხიმ, რევოლვერი ძირს დაადგო და თითონაც ცხედრის შორიახლო დადგა.

მოგროვდა ხალხი. გამორჩენენ პოლიციელებიც.

— შენ მოჰკალი? — ჰკითხეს ცინცაძეს.

— მე მოვკალი. — ამყად უპასუხა ევტიხიმ და წელზე დოინჯი შემოიყარა.

— რატომ მოჰკალი? რას ერჩოდ?

— ვიცი რომ სასიკვდილო იყო, ვთხოვე ორგანოზაციას მოკვლის ნება დაერთო, და რაკი უარით გამომისტუმრეს, მე ადგე და მაინც მოვკალი.

— საცოდავი ბიჭი! რა ახალგაზრდაა! — იცოდებდნენ ევტიხის ზოგიერთები.

— ბიჭო, ვინ გრჯიდა რომ ასეთ ღროს ამ სულძაღლზე ხელს ისვრიდი? — წასჩურჩულეს ევტიხის კომიტეტის წევრებმა.

— სასიკვდილო იყო და მოვკალი... პასუხსაც მე ვაგებ... მე ანარქისტი ვახლავარ, დიახ, ანარქისტი.

— შეცდომაა, ამხანაგო, შეცდომაა ასეთი საქციელი.

— მე ვაგებ პასუხს მეთქი! — ცხარობდა ცინცაძე და ადგილიდან არ იძვროდა. — შეც სწორედ იმიტომ არ ვაგიჟეცი, რომ ჩემს მაგიერ სხვა ვინმე არ დაესაჯად. თორემ თქვენ გეკონიათ გზას ვერ გავიგებდი? სანამ ქეციანი პოლიციელები აქ მოეთრეოდნენ, მე სათათრეთში ვიქნებოდი გასული. ეხლა რაღა გინდათ? მე მოვკალი და პასუხსაც მე ვაგებ... შემთხვევით კი არ მომიკლავს. ჩოხატაურიდან ცხენით მოვსდიე შინამდი და რაკი განზრახვა მქონდა ჭიშკარში შესული მომიკლა. მე კც სურვილი შევისრულე. აწი რაც უნდათ ის მიყონ.

— შენ თავს ვინ გვაკმარებს, ბიჭო, მთელ სოფლებს სისხლის ღვარში შეაქურებენ — ობრაქედნენ ჩუმჩუმით კომიტეტის წევრები და თანაც თვალეხი უბრწყინავდათ თერამეტი წლის ბიჭის ასეთ თავგანწირვანზე.

დატყდა ლეხული ცინცაძე საბოქაულოში გადაგზავნეს.

ქუცუქი აბეგმა დრო იხელთა და ოზურგეთში დაბანაკებულ ალიხანოვთან მივირეო და ფრინა სურებში ყახახების ჩასაყენებლად.

უარი



ქართული
ქრონიკალი

ჩამოთავდა ლანქერი.

ელიოტს ბედმა უმტყუნა და უზარმაზარი ნაძვის მორგებ წყალს სისხიდან ვერ დაძრა. არც კალაპოტის გაწმენდა მოხერხდა ამ მხნის განმავლობაში, და ისედაც გულაცრუებული კონცესიონერი უიმედობის რკალში მოემწყვდა. მოლო-მენლად ელოდებოდა ის საკონცესიო კომიტეტის პასუხსაც.

მოახლოვდა ხუმეტი იენისი. ხვალ ხელფასი უნდა დაურიგონ მუშებს. კანტორაში სიებს ამზადებენ.

კონცესიონერს ახალი ფოსტა შეუტანეს.

— ეშველა. — წამოიძახა ელიოტმა და საკონცესიო კომიტეტის მომართვა სასწრაფოდ ჩაათვალა. უცებ შუბლი შეიკრა ისედაც აცახცახებულმა ელიოტმა და ინგენერ ტომს სასომიხდილი თვალებით მიამტერდა. — დავიღუბეთ, ტომ, დავიღუბეთ.

— რა ამბავია, სერ, რას გატყობინებენ? — შეეკითხა ინგენერი.

— უარი... უარი.

— შეუძლებელია — დაიბნა ინგენერი ტომი და ელიოტისკენ გადაიხარა, თითქო უხდოდა თავისი თვალებით წაიკითხოს და დარწმუნდესო:

— უარი... მაშ, ყველაფერი გათავებულია. მმართველს დამიძახეთ.

კაბინეტში მმართველი შემოვიდა.

— შეაჩერეთ ხელფასის გაცემა. სალარო დახურეთ და შესწყვიტეთ ყოველგვარი ოპერაციები.

მართველი მიხედა და ელიოტს აღარაფერი კითხა, უხმოდ შეეაღო კანტორის კარი და განკარგულება სისრულეში მოიყვანა.

* *

საკონცესიო კანტორას სალდათები დარაჯობენ.

თვალსაჩინო ადგილას განცხადება გამოუკრავთ იენისის ხელფასის შეჩერების შესახებ. ეზოში მუშები ირევთან და კონცესიონერთან შესვლას ცდილობენ, ხიშტიანი სალდათები ძლივს ამარგებენ აკოლოგოთებულ მუშათა ტალღებს.

— ხელფასი დაგვიკლო და ეხლა გროშებსაც აღარ იძლევა?

— მივლენწავთ აქაურობას და ის იქნება.

მუშებს კომიტეტის წევრები აშოშმინებენ და კონცესიონერს დელეგაციას უგზავნიან.

— გამოვარკვეეთ და შემდეგ მოვილაპარაკოთ, — ამშვილებს მუშებს კასრადე და დელეგაციის დაბრუნებას ელოდება.

— არ მიგვიღო. დრო არა მაქვსო. — მოიტანა პასუხი დელეგაციამ.

მუშებში აღშფოთებამ იმატა.

— მასხარად გვიგდებენ.

— მეტი თავვასულობა იქნება? — ცხარობენ ამფეთქებლები.

— ავაფეთქოთ საწყობი და ის იქნება.

საწყობის ხსენებაზე კასრადეს გააეროლა. მიიხედა და როცა საწყობი სალდათებით შემორკალული დაინახა, გული გაიმავრა.

„ვინ იცის, გამწარებული ხალხი რას არ გაიფიქრებს და რანაირ უბედურებას დაატრიალებსო“—ფიქრობდა კასრადე და კომიტეტის წევრებს გაფაციცებით დაეძებდა.

— რა აშბავია, ჭიშვარდი, რატომ ხელფასს არ იძლევიან? შემოებნიერ კონცესიონერის კაბინეტიდან დაბრუნებულ რწმუნებულს მუშები.

— არ იძლევა. სალაროში ფული აღარ მაქვსო. მივიღებ და გავისტუმრებო— უპასუხა მუშებს შერვაშიძემ.

— ფული არ მაქვსო?

— მივიღებ და გავისტუმრებო.

— როგორ მოვიქცეთ, ამხანაგებო?

შერვაშიძემ კასრადე გაიხმო და რალაც დიდხანს ესაუბრა, ბოლოს დაატანა: ახვა გზა არ არის, ძალას ძალა უნდა დაუპირისპიროთო.

— ხომ არ იცით ხელფასის შეჩერების ნამდვილი მიზეზები?— ჰკითხა კასრადემ.

— არ ვიცი. ვერაფერს ვერ გეტყვი. სიები მზად იყო, ჩემი თვალით ვნახე. დღეს კი ასეთი განცხადება გამოაკრა.

— თქვენ არაფერი ჰკითხეთ?

— გაცხარებულია, არაფერი არ მიპასუხა.

— ჩვენ ვაიძულებთ, რომ გვიპასუხოს და ხელფასიც გადაიხადოს.—

ჩაიქნია ხელი კასრადემ და შერვაშიძეს მოშორდა.

კომიტეტის სხდომაზე გაფიცვის დაჩქარებაზე მსჯელობდნენ, აქ არის ჭიათურის გაფიცულ მემლაროელთა წარმომადგენელი, ამხანაგი ელენტი, რომელიც, მემლაროელებს სურების მუშებთან კავშირის დასამყარებლად გამოუგზავნიათ. ელენტიმ გააცნო ხე-ტყეზე მომუშავეთ ჭიათურის მუშების მდგომარეობა და სიტყვა მოწოდებით დაამთავრა, გაიფიცენითო.

— ვიწყებთ გაფიცვას, ამხანაგებო!— დაასვენა კასრადემ და საგაფიცვო მოწოდების ტექსტი წაიკითხა.

— გაფიცვა ბოლომდე!— დაუმატა ილიკო ტოროტაძემ.

— მართალია, გეტყვი მე! თუ გავიფიცებით, ბარემ ყველას ვაგრძნობინოთ რომ ჩვენც ძალას წარმოვადგენთ.

— ჩვენ დავიწყებთ გაფიცვას, ამხანაგებო,— განმარტა კასრადემ — დავიწყებთ და დასრულებით მაშინ დავასრულებთ, როცა ჭიათურის მემლაროელები და ბათუმის ქარხნის მუშები დაასრულებენ. თქვენ ალბათ იცით, რომ ჭიათურის მემლაროელები და ბათუმელი მუშებიც უკვე ოცი დღეა გაფიცული არიან და ქარხნები დაყრუებულია. ჩვენც იმათ უნდა მივბაძოთ. აქ მარტო სურების ხე-ტყეზე მომუშავეთა პირობები როდია ჩვენთვის საინტერესო, ჩვენი გაფიცვა, უპირველეს ყოვლისა, პოლტიკური გაფიცვაა. ჩვენი ბრძოლა ამავე დროს არის ბრძოლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

კომიტეტის სხდომაზე თავზარდაცემული კოწია ტრაპაიძე შემოვარდა.

— დავილუპეთ!— წამოიძახა მან შემოსვლისთანავე.

— რა მოხდა? ყაზახები? — შეეკითხნენ ამხანაგები გაფითრებულ ტრავაშიძეს.

— ბლაცოინი მოუკლავთ და ალბად ყაზახებსაც ჩამოგვიყენებენ.

— ბლალოჩინი?

— ვის მოუკლავს?

— ჩოხატაურელ ცინცაძეს. თვრამტი წლის ბიჭია. — ძლივს მოიბრუნა სული კოწიამ.

— მკვლელი რა იქნა?

— დაიჭირეს. მოეკლა და იქვე დამდგარიყო.

— საოცარია.

— ჩემს მაგიერ, რომ სხვა არ დასაჯონ, იმიტომ არ გავიქეციო.

— საბრალო ბიჭი! მაშ მოსალოდნელია ყაზახები ჩაგვიყენონ?

— მოსალოდნელი კი არა, შექველია, — დაატანა კოწიამ, — რა გვეშველება? ხომ ჩაგვეშალა გაფიცვა?

— რატომ? გაფიცვას ხვალღიდანვე გამოვაცხადებთ. უკვე დავადგინეთ კიდევ ამხანაგო კოწია.

— კი, მაგრამ კომიტეტის წევრები რომ ხელახლა დააპატიმრონ, გაფიცვებს ვინღა უხელმძღვანელებს? ეხლა კრიმ-გირეის დრო კი აღარ არის. გურიაში სამხედრო წესებია გამოცხადებული და როგორც აღიხანღეს მოეპრიანება ჩსე იმოქმედებს.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ამხანაგებო, იარალი ჩვენცა გვაქვს. აქვე დავავალოთ ამხანაგ შევარდნაძეს, რაზმს თავი მოუყაროს, რომ პირველსავე დამახებმაზე მზად იყოს საბრძოლველად.

— შე მზად ვარ, ამხანაგებო!

— ჰო და მით უკეთესი — განაგრძობდა კასრაძე — გარდა ამისა შესაძლოა ეს სალდათები ჩვენ მოვიმზროთ. მოსამზადებელი მუშაობა უკვე ჩატარებულია. მაშ ასე, ხვალღიდან ვიწყებთ გაფიცვას.

— ვიწყებთ, ვიწყებთ. — იყო კომიტეტის ერთსულოვანი პასუხი.

— დღის წესრიგი ამოწურულია, ამხანაგებო.

— შე მაქვს ერთი საკითხი — გაიშვირა ხელი ილიკო ტოროტაძემ. შე ვფიქრობ, რომ გვარამაძის საქმეზე საჭიროა კომისიის გამოყოფა, მანამდე კი ვაცნობოთ რაიონულ კომიტეტს მის გარშემო შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ვთხოვოთ მისი კომიტეტიდან გადაყენება.

— მართალია. — დაუმოწმეს ილიკოს სხვებმაც.

— გარდა ამისა, პასუხისგებაში უნდა მივეცეთ ხალამპრე მიკიტანიც და... ვინაიდან სახალხო კრებაზე არჩეული კომისია უკვე აღარ არსებობს ფაქტიურად, დავნიშნოთ შედიატორები და განაჩენის გამოტანაც იმასვე მივანდოთ.

— სწორია — იყო ამხანაგების ერთსულოვანი პასუხი.

შუალაშე იქნებოდა, როცა კომიტეტის სხდომა დასრულდა. გაბრუებული კომიტეტის წევრები თავიანთ ბინებზე წავიდ-წამოვიდნენ.



დაყრუვდა სურების უღელტეხილი. რახანია ლალუმენის გრძილად აღარ აშფოთებს მოსახლეობას. ნაძვნარიც დადუმებულა. ინგლისური წერხსა და ბირ-დაბირს ენაგის ქორფლი მოკიდებია.

ეს ერთი კვირაა განუწყვეტლევ წვიმდა. ლანქერი მოსკდა და ავოლოგოთებულმა მდინარემ კალაპოტს გადააღაჯა. სუფსის სათავეში ჩაყრილი მორჩილ მორჩილი ქორთუხები წყალმა გაიტაცა, მაგრამ ვიღაა პატრონი და აბობოქრებულ მდინარის ტალღებში შეტყორცნილი მორების დამჭერი!

გაფიცვებმა ჩაქლა უღელტეხილის მიდამოებში ყოველდღიური მოძრაობა და მცხოვრების მაჯისცემაც შეაჩერა.

ელიოტი სასოწარკვეთით გაჰყურებს ლანქერისაგან გატაცებულს მორების შეთამაშებას წყლის ტალღებზე. ეძახის მუშებს, სალდათებს აქეზებს და უკულმა დატრიალებულ ჩარხის შეჩერებას ლამობს, მაგრამ მუშათა საერთო გადაწყვეტილებას წინ ვინ აღუდგება! ვინ გაბედავს გაფიცვების წინააღმდეგ ხმის ამოღებას!

— გოშებით გვატყუებდა და აღარც ის გვალირსა, მოსალაპარაკებლათ მიგზავნილ დელეგაციას თვალთ არ ეჩვენა... ებლა თვითონ გვთხოვს მოლაპარაკებას.— ცხარობს ქაიხოსრო ბარამიძე და მუშებში კონცესიონერის საწინააღმდეგო ავტაციას ეწევა. წინათ მეც არ ვიყავი დარწმუნებული ამ ბურჯუების ავტაციობაში, გაფიცვის წინააღმდეგ გამოვდიოდი, ამ ახალგაზრდებს ვეჩინებოდი. შემცდარი ხართ მეთქი, მაგრამ დახე ცხოვრებას რა შესძლებია; გამოცდილებითა და ხანშესულობით მომქონდა თავი და თურმე ძველ ბილიკებზე სიარულს დაჩვეულმა ახალი ცხოვრების ფართო შარას გადავუხევე. ცხოვრება ბრძოლაა, შეილებო, თავგანწირული ბრძოლა და ამ ბრძოლაში ყოველთვის ძლიერი რჩება გამარჯვებული. ჩენი ძალა ერთობაშიაო— გამიგონია ამ ახალთაობის თავაკებისაგან და ქეშმარიტად ბრძნული თქმულებაა, მართლაც რომ ძალა ერთობაშია. როცა ერთობა ირღვევა, როცა ოჯახი ნაწილდება და იყოფა, საერთო ძალაც კლებულობს და სუატდება. გაგიჭირდებათ, შეილებო, მაგრამ არ გატყდეთ. რაკი გავიფიკეთ, სიტყვას ნულარ გადავუხევეთ. ბოლომდე მივყვეთ ჩვენს ერთსულოვან გადაწყვეტილებას.

— ყოჩაღ, ბერიკაცი! ჩაერია გლეხების საუბარში ქერივი ეგვიტო— აი ჩენი ქაიხოსროც ქე არ გაცოციალისტებულა ვინ სთქვა მკედარი არ აღგებაო. აფერუმ ქაიხოსრო, აფერუმ! შემოჰკრა ტაში ეგვიტომ და მაყურებელნი სიცილისა და მხიარულების გუნებაზე დააყენა.

— ქალი ხარ, ეგვიტო, მაგრამ ბევრს ვაჯაკს სჯობიხარ.

— ვაჯაკს რა მიმიგავს? წაებდი, მაგრამ გული კი მაქვს ვამოკერკეტებულა. რა ჯანდარაში არ გავიარე, რამდენი გასაქირი და ქერივ-ობრობა არ ვცადე, მაგრამ ამ სამიწე გულის მოტება მაინც არ იქნა.

— ვაჟი ხარ, ეგვიტო. ვაჟი.— ერთხად შესძახეს ეგვიტოს ახალგაზრდებმა და ირგლივ შემოიხსდნენ.

— დიდი აშარი ქალი ხარ, ჩემო ეგვიტო!— იხუმრა ქაიხოსრომაც.— რომ დაუბერდი, თორემ შენისთანა კურტუმელა ქერივს ქე გადააყოლებდა კაცი ამ დარდიან გულს.



— რალა დარდიან გულს, შე საცოდავო, თავი ლაჯებში გაქვს ჩარჭული, —
 აყარყულდა ეგვიტო და მადიანად გადიხარხარა.

ეგვიტოს

— მეც მაგას ვდარდობ, ვეყო, რომ მოხუცი ვარ და დაქვანებული თო-
 რემ წინათ, მოგეცა ღვთის წყალობა, ქაიხოსრომ მადლიანი განაწარდება იცო-
 და. მაგრამ მოვტყედი, ჩემო ეგვიტო, სამოცდაათობზეტი წელიწადი გადავლუნე
 და მეც მოვიხარე. ეხლა ყოველ წუთში თვალზე ხელს ვისევებ, ახალგაზრდებს
 არ შევეჯავრო მეთქი. ეგპ, ტყვილა როდი უთქვამთ, ვისაც ჩემი ახალგაზრდო-
 ბა არ უნახავს, ნურც ჩემ სიბერეს ანახვებო. მოვხუციდი, შვილებო, მოვხუციდი
 და გული ისევ ახალგაზრდა შემჩნა ბოლომდე... გული არ ბერდება თურმე.
 ეხლაც რომ ლამაზ ქალს შევხედავ, გული ძველებურად ამიძგერდება, კარგ
 ცხენს რომ დავინახავ, ჯეელობა მომაგონდება. კაი სიმღერის გაგონებაზე გული
 ამილილინდება. აწენთები როგორც ოცდა ხუთი წლის ვაჟკაცი, მაგრამ შე-
 ვინძრევი თუ არა, წელი დაიწიწკინებს და თითქო ძვლები დამცვინდაო. სიბერეს
 ვგრძნობ. ვაგლახ, სიბერევე, რა დროს მოუტაკუნებ კაცს კარებზე!

— მართლა რომ ვაგლახ, მოხუცებულობავ! დაემოწმა ეგვიტო ქაიხოსროს, —
 მეც შემომგებარა მოხუცებულობა.

— შენ ტყვილა საცოდებ ღმერთს, ჩემო ეგვიტო. შენ რომ მოგიყვანეს, მე
 კაი ორმოცი წლის ვიქცავი ვიქნებოდი. შენ კი სულ ბევრი, ორმოცდაათი
 წლის ქალი თუ იქნები, ხომ ეგვიტო!

— არ კმარა? ნახევარი საუკუნეა, ბეჩა. ბატონისგან რომ თავი დავიხსე-
 ნით, გუშინდელი ამბავივით მახსოვს. ვაი ჩემს მოსწრებას!

მოიგონა ეგვიტომ განსვენებული ქმარი და მოწყენილობა დაეტყო.

— შენ თავის დახსნაზე ლაპარაკობ და — მე ჩემი ახალგაზრდობა ერის-
 თავის კარზე გავატარე. როზგი არ დამკლებია და გამათრახებია. ეგპ, სიყრუე-
 იყო და ჩვენც უხმოდ ვემორჩილებოდით ბედისწერას.

ეგვიტომ შარას გადახედა და შუბლი მოიჩრდილა.

— ბეჩა, ელიოტი იგი ცხენოსანი თუ თვალი მატყუებს? — გადახედა ეგვი-
 ტომ თავისიანებს და ისევ შარაზე მიმავალ მგზაურებს დააკვირდა.

— ელიოტი... ინჯილერი და...

— სად მიეთრევა ნეტავი?

შუკაში ხოსია გამოჩნდა. თავმოყრილი მეზობლები რომ დაინახა, შო-
 რიდან მიესალმა და ლობზე ჩამოისვენა.

— საით მიდის, ხოსია, მაგი ინგლისელი?

— მამაჩემთან.

— არა, მართლა სად მიდის თუ იცი?

— ამბობენ, კონცესია მიატოვავო.

— ნუ გადამრიე, ვეყო... წამოსწია თავი ქაიხოსრომ, — მიტოვება რას მიქვია
 მუშებისთვის ჯამაგირი არ მიუცია. მაგ ტყირპიანს შევარჩენთ ჩვენს ნაოფლარს?

— ფიქრი ნუ გაქვს, გეტყვი მე. თუ მართალია ადგება და წაიხარგება აქედან,
 იმდენი ქონება კი შეგვარჩება, რომ ჩვენი ორი კვირის ხელფასი დააკმაყოფი-
 ლოს. ან სამუშაო იარაღები კმარა, ან თოფის წამალი. ხე-ტყე ხომ სულ ჩვენ-
 დაგვრჩება.



ქართული

და, თბილისის

- მე ყველაზე უფრო თოფისწამალი მიხარია.
- კი, გიხარია თუ დავგანებებს.
- ამბობენ, ელიოტიმა ყაზახები გამოითხოვა და, თბილისისში წაივლიდა საქმეების მოსაგვარებლად.
- მეც მოვკარი ყური, სალდათები ლაპარაკობდენ.
- რომელი სალდათები, ვეუო?
- ელიოტის.
- რაეა, მაგენმა ჩვენებური იციან თუ შენ ისწავლე, ბიკო, რუსული?
- მაგათში ქართველებიც ქე ურევია, ბაბუა ქაიხოსრო.
- ნუ გადამრიე, ვეუო. ბიკო, თუ მასეა, გადაულაპარაკეთ რამე იმ ქართველ სალდათებს და ეგება ქე მიიმზროთ.
- ვცდილობა, გეტყვი შე. კასრამე აწარმოებს მოლაპარაკებას.
- ყოჩაღ, ბიკებო, თოფისწამალი მართლა კაი საქმეა, ვინიცობაა საქირო რომ გახდეს. სახელდახელო საქმე იქნება.
- თუ ახლაც ჩამოგვიყენეს ყაზახები, შებრძოლების მეტი არაფერი გვიშველის.
- არ გვიშველის და ჩვენც ვიბრძოლებთ.
- ისე ვიბრძოლებთ, რომ ორი ორს ეკითხებოდეს. ჩვენ ვაჩვენებთ მაგ ძალთაპირებს, რას ნიშნავს გურულელებზე თოფით შებრძოლება!
- სოფლებები საუბარს შეყვეენ და შემთხვევით თავშეყრილ გლეხების საუბარი მალე ყაზახების საწინააღმდეგო ბრძოლის თათბირათ გადაიქცა.
- ქუდზე კაცი გამოეა... ხანშესულელებიც იბრძოლებენ. ამბობდა ერთი.
- არც ქალები ჩამოგჩებიოთ, ნუ გენალელებათ.—იქადნებოდა ეგვიტო და ქალებს აქეზებდა.
- ქალის ბრძოლა რაღა სახსენებელია!
- აბა, ნაცარში გდებაა სახსენებელი? ქადს კუტიც კი გამოაცხობს.
- ყველა შენისთანა გამბედავი როდია, ეგვიტო! ქალს მისი ქალობა ყველაფერში დაეტყობა.
- მაინცდამაინც შარვალი უნდა გეცვას, დედაკაცო, თუ როგორ ლაპარაკობ? ქალი... ქალი და კაცი რამ გააირივა?
- აჯილლა ხარ, ეგვიტო, ნამდვილი აჯილლა!
- აჯილლა თავლაში მიზია, ვინაა წაუხდი, აჯილლა? ვითომ იწყინა ეგვიტომ და მოსაუბრე დედაკაცს თვალეები დაუბრიალა.
- ბეჩა, ნუ გამცვითე მაგ სამიწე თვალეებით. რაეა ბულასავით შფოთავს აი მიწავასახეთქი!
- ვაეკაცი ხარ, ეგვიტო, ვაეკაცი მეთქი. კვლავ შესძახეს ეგვიტოს ახალგაზრდებმა და მზიარული სიცილხარხარი ზაფხულის სიომ გაიტაცა აყეფებულ სუფსის ნაპირებისაკენ.

**

სურებიდან გამოქცეული ელიოტი პირდაპირ მეფის ნაცვალს ეწვია ტფილისში. საკონცესიო პირობებზე დიდხან ესაუბრა და თან დაატანა.



— იძულებული ვხდები კონცესიას თავი დაეანებო. ყოველდღე გაფიცვები, თავდასხმები. გურიაში ამჟამად გართულებული მდგომარეობე შეუქმდებელი ხდის მუშაობის შემდგომ გაგრძელებას. ხელისუფლების ხელი სუსტია ამჟამად. ხმობ-ხმობული მუშები ვერ დაწყნარადა. საკონცესიო კონტრაქტში კი, თუ არ ვცდები, საპეციალური მუხლი გვქონდა კონცესიის მუშა-ხელით უზრუნველყოფისა და სრული წესიერების დაცვის შესახებ. დღეს ეს პირობა დარღვეულია...

— მოწყალეო ხელმწიფე! ვგონებ თქვენ ვერ გვისაყვედურებთ უყურადღებობას. ჩვენი ჯარის ნაწილები, პოლიცია და ადგილობრივი ხელისუფლება ვგონებ საკმაო ანგარიშს უწევდა თქვენს წარმოებას და რითაც კი შეეძლო ეხმარებოდა, ასე რომ ამ მხრივ საყვედურები უსაფუძვლო უნდა იყოს და ყურით მოთრეული. — იწყინა ვარანცოვ-დაშკოვმა გაკადნიერებული კაპიტალისტის წკიპურტები და თვითონაც არ დაერიდა, პირდაპირ მიახალა: — გადაეცით საქმე საარბიტრაჟო კომისიას და მათი განაჩენიც სავალდებულო იქნება ორივესვის. ვგონებ გასაგებია. — განგებ შეეკითხა კონცესიონერს შეფის მოადგილე და ამით თათბირის დასრულებაც გამოამჟღავნა.

ელიოტიც ასე მოიქცა, საკონცესიო კონტრაქტი გაასაჩივრა და, ვინაიდან საქმის განახლებას არავეითარი აზრი არ ქონდა რევოლუციონური ქარბუქით შეწვრილებულ ქვეყანაში, სურებში დაბანდებული თანხების ჯანაღდება სხვა გზით მოინდომა.

• (დასასრული შემდეგ ნომერში)



ვარლამ ქუთუღი წიკლაურის ბილიკი

ყინული აცვია კავკასს,
ღნება და მდინარედ სდის;
ზევიდან—ლაქვარდი აკრავს,
ქვევიდან—მუხლები კლდის.

ზეავდილობს გერგეტი ცივი,
თოვლით დაყურსულა შთა.
არწივიც სულ ისე წივის,
თითქოს მოტეხა ფრთა.

შეაედება ლანჭერის ხერგი,
ასკდება ხრამების ძირს.
ხევში იჭაფება თერგი,
თქრიალებს, ღმუის და რბის.

და სადაც სუსხია ახლა—
წრიაპი ყინულებს ტეხს.
იმედით ავდივარ მაღლა,
მყინვარზე ვაბიჯებ ფეხს.

სიყვარულით მოგაშურე წიკლაურის შთაო,
ამოგვეც და ამიყვანე რესპუბლიკის ცამდე.
როდი კმარა მწვერვალები ნისლ-ბურუსით რთაო!
მეც მწყურია შორს ბარიდან სიმღერებით გცავდე.

ვინატრე მყინვარი მოველო,
მივადგე ღრუბლების წრეს!
იბარდნე ქათქათა თოვლო,
ათოვე წრიაპის წვერს.



გავეურებ ციცაბოს იქით,
სად ცივი ქარბუქი ჭრის:
ირემის ოთხივე ჩლიქი
გარბის და ყინულებს ჭრის.

კავკასის სიმაღლეს ვერტი,
მივენდე მუხლებს და ბედს.
ბილიკზე დაუადგი ტერფი
ყაზბეგის თოვლიან ქედს.

ქედი ჰგავს ყინულის შაქარს.
ჯიხვი რომ ლოკავს და წოვს.
ზევით ცის კამარა აკრავს,
ქვევით კი—ცხვრის ფარა ძოვს.

1932 წ.



ქონსტანტინე გამსახურდია

გერმანული ცხოვრების რთმანი*

XV მანიმარი

გერმანული ფეოდალური ისტორია ერთ რამეში საქართველოსას მოგვაგონებს: გერმანიასაც, როგორც ჩვენს ქვეყანას საშუალო საუკუნოების მანძილზე ერთი და იგივე კულტურული ცენტრი როდი ჰქონდა. მრავალ ტომებად, საქერცოვებად, სამთავროებად დაყოფილ ქვეყანას მრავალი პოლიტიკური ცენტრი მოეპოვებოდა, ამ პოლიტიკურ ცენტრებს, სამეფოებისა და სამთავროების რეზიდენციებს, კულტურული ცენტრის ნიშანიც თან ახლდა. ეს ხელს უწყობდა ერთი და იმავე კულტურის მრავალსაბიერი აღნაგობის შემონახვას, გარდა ამისა, როცა მტერი, ან მტრული ცივილიზაციის შემოტევა მოახლოვდებოდა, კულტურის ცენტრიც გადაინაცვლებდა. ასე რომ უკანასკნელ საუკუნოების პრუსიული პოლიტიკური სახელმწიფოს სატახტო—ბერლინი არასოდეს არა ჰყოფილა მთელი გერმანიის თავი და ტვინი, როგორც პარიზი საფრანგეთისათვის. 1775 წლის 8 ნოემბერი საბუნდოვრო თარიღია გოეტეს ცხოვრებაში. ამ დღეს ჩამოიყვანა იგი პოსტილიონმა ჰაიდელბერგიდან ვაიმანში.

* * *

უნებლიედ თვალისწინ მიდგას ბერლინიდან ვაიმარს შიშვალეი ექსპრესიიდან ნახული ღამეული ჩვენება თან დროული ვაიმარსა. 1919 წლის ოქტომბრის შვიდი, წელი მეღანჭოლით თვალმჩილელი საღამო იყო. გრუხუნით, კშენით და რაზრაზით უახლოვდება მატარებელი უთვალავ ელექტროს ლამპიონების ნათელ ფონზე აღანძულ ქალაქის გიგანტურ სილუეტებს. ფერწასულ ვარსკვლავების ლიცილიცი მთლად მიბნედილიყო—მიწის თვალშეუვლებ ფართობზე მოზვიმე სინათლის პირისპირ.

მხარმარცხნით და მხარმარჯვნით მარტორქებსავით აზვინულან თვალმბრიალა ქარხნების კონტურები. ბღავილით, ზუზუნით, ზმულით მიმოჰქრიან კრილა, პრილა აეტომობილები, ორსართულიანი ომნიბუსები და მოტოციკლები დაჰველავენ გზატკეცილებზე (რომლითაც ვაიმარში შემოდისა ალბად ჭლარუნა ზახალიკებიან ეტლში მჯდომარე გოეტე).

ისტერიულად ყვირიან პლაკატები, კურიერები, სასტუმროს ბოები, ირგვლივ საესებით დარღვეულია ჰარმონია სმენისა და ღამეშეფენილ ლანდშაფტების იდილია...

* იბ. „მნათობი“ № 3. 1933 წ.

და გოეტეს დროს კი...

ბაწია პროვინციული ქალაქი ყოფილა ირგვლივ წყლით შემორავებული. აღმოსავლეთით მდინარე ილმი, დასავლეთით ლოტტე, ჩრდილოეთით პატარა გუბეები და ტბები გარს ერტყა, აღმოსავლეთით წყლის მიჯნის გასწვრივ უშველებელს ვალავანი იყო ამართული, ალაგალაგ ქანგურებ შეღეწილი. კარიბჭეებთან გუშაკები იდგნენ. ქალაქის ერთი მესამედი ჰერცოგის სასახლეს და მის შრამელებს ეჭირა ოდესლაც, მაგრამ ხანძარს გაენადგურებინა, ასე რომ გოეტემ მოლოდ ნანგრევებს და გარუჯულა ქვების ყორეებს მოუსწრო. ველებზე და ბოსტნებზე ყორნების, კილყავების ლაშქარი მოჴენილიყო, ზამთრის იდილიის მელანქოლიას აძლიერებდნენ.

იქ, სადაც ამჟამად მოდერნულ გემოზე გამართული მოედანია, მაშინ ტბა იყო, ტბის პირად იდგა რამოდენიმე უბრალო შენობა, ბიბლიოთეკა ხოლო ტბის გადაღმა წითელი კოშკი, „გლახზე ჰოფ“, და ყვითელი სასახლე. სამხრეთით—ჰერცოგის კოშკი. პირველ სართულზე ჰერცოგინ ლიუზა სცხოვრობდა, მეორეზე კარლ აუგუსტ აქვე იმართებოდა „საიდუმლო სათათბიროს“ სხდომები, ჰერცოგის სასახლის პირდაპირ პატარა სახლში სცხოვრობდნენ შტალმაისტერ ფონ შტაინ და მისი მეუღლე შარლოტტე ფონ შტაინ. იქვე შორი ახლო იმყოფებოდა ა. წ. „ვიტრუმს პალე“, რომელიც ჰერცოგის ქვრივს— ანნა ამალიას ეკავა. ამ სასახლის მახლობლად მიუჩინეს გოეტეს შენობა, რომელსაც „გოეტეს სახელი“ შეერქვა ბოლოს. ჩრდილო დასავლეთით იმყოფებოდა „შეინმარკტ“ (ლორების ბაზარი), ქუჩის გაყოლებით ჩამწყრივებული ჩალით დაბურული სახლები ბელლები, დაფეხილი ქოხები. ქუჩების და შუკების გადაღმა ყანები, ბოსტნები, სოფლური ლანდშაფტი მყუდროებას მხოლოდ ბღურტების ტივილი და ყვავების ყრანტალი არღვევდა.

მადამ დე სტალს ჩინებულად უხუმრნია: Weimar n'est pas une petite ville, mais un grand château ¹.

ვაიმარი პატარა ქალაქი როდია, არამედ დიდი კოშკი.

ქვეყანა კონტრასტების დღუღაბს უბყრია. სიმბინჯე სილამაზეს ეჭიდება, ხელმომპირნე გულუხვის ჯალათია და თავაშვებული მანამდისაა ხელგაშლილი, სანამ ძუნწის მიერ ჩაყრილ ფუძებზე მაგრად დაბაკუნებს.

ვაიმარის ფეოდალური სასახლეც არ შეადგენდა ამ მზრივ გამონაკლისს.

დაქვრივებული ჰერცოგინ ამალია მახინჯი იყო, თავმსხვილა, და კისერ ჩაფარდნილი, ჯუჯა, გამხდარი და კაპასი, დიდხანს ეძია თავისი ვაჟის კარლ ავგუსტის საცოლედ და მაღალი ტანკენარი, პარმშვენიერი ლუიზა შერთო.

ანა ამალია ცერემონიებისა და ეთიქეტების რიტუალს სდარაჯობდა, ლიუზას ეს ყელაფერი ისევე სძულდა, როგორც თავისი დედამთილი.

თავად ჰერცოგი კარლ აუგუსტ ტიპური თავაწყვეტილი ფეოდალი იყო (დეგენერაციის ეპოქისა), უხეში, მკვახე. თუთუნი, ნადირობა და ძაღლები ერთია მშვენიერ კოლსაც და ხელმომპირნე დედასაც. ლიუზა იდიალურ ქპარს ეძებდა და თავნება შერთა ხელში. თავის სასახლეში კარჩაკეტილად ცხოვრება დაიწყო და ყვავილების მოვლა არჩია ქმრის აღერსს.

¹ ზედ. M-me de Stael ის მემუარები.

სასახლევ არეული იყო და პარტიებად დაყოფილი. ცალკეოდ პერსონაჟი ლუიზას ქომაგი ობერჰოფმაისტერი გრაფ გორც აგებდა ინტრიგებს მტრებს. კარლ ავგუსტს ჯამუშად მიჩენილი ჰყავდა პოეტი და კომპოზიტორი ფიხან ჰეკენდორფი. პერსონაჟის პარტიის სათავეში იყო ჰილლბრანდ ფონ აინზიდელ, პერსონაჟის მენაბე, მისი ნადირობის და ქეიფის თანაზიარი. აგრეთვე კარლ ავგუსტს ემხრობოდა მწერალი ვილანდი და ფონ კნებელ. ანა ამალიასაც ჰყავდა თავისი მოენები და ერთგულნი, მათ შორის ფრიად განათლებული და გონებამახვილი, ტიპური grande dame მე-18 საუკუნისა—შარლოტე ფონ შტაინ.

ასეთ აფორიაქებულ საზოგადოებაში ზეხი შემოდგა ღმერთების მიჯნურმა, „გრივალისა და შეტევის“ აღამდარმა—გოეტემ.

„ვერტერის დაწერიდან რამოდენიმე წლის შემდეგ“, მოგვითხრობს გლაიმი, — „ვაიმარში ჩამოვედი, გოეტეს გაცნობა მინდოდა. სალამოს ანა ამალიასას მიმიწვიეს; ამბობდნენ: უფრო გვიან გოეტეს მანდ მოვაო, თანჩამოტანილი მქონდა „გოტტინგენელი მუზეუმის აღმანახი“ აქედან ზოგირამ უნდა გამეზიარებინათანადამსწრეთათვის“.

მე ვკითხულობდი, ამასობაში შეუშინეველად გაერია საზოგადოებაში ერთი ახალგაზრდა ვინმე, მალაყელიანი, დეზებიანი ჩექმები ეცვა. ჩემს პირდაპირ იჯდა და გულდასმით მისმენდა. გარდა შავად მოკიანთე იტალიური თვალებისა სხვა არაფერი მქონდა მას მაინც და მაინც შესამჩნევი.. მცირე პაუზის დროს, როცა მანდილოსნები და ბატონები ზოგიერთ რაამებზე თავის აზრს გამოსთქვამდნენ, ზოგს აქებდნენ, ხოლო ზოგსაც ამაგებდნენ, წარმოდგა ერთბაშად ეს პირ-შვენიერი მონადირე (და მე მართლაც მონადირე მეგონა იგი) თავაზიანად თავი დამიკრა და ნება მთხოვა თავად წაეკითხა რაიმე. მე მყისვე მივიღე ეს ზრდილობიანი წინადადება და ის იყო წიგნი გაუწოდე, მაგრამ ჰოე, აპოლონო და მუზეო, სამივე გრაციის სახელსაც გეფიცებით, რა გავიგონე და რა ვნახე!

Die Zephyr'n lauschben,

Die Bäche rauschben

Die Sonne

Verbreitet ihr Licht

Mit Wonne.

ფოსის, შტოლბერგისა და ბერგერის ნიმუშებიც ჩინებულად წაგვიკითხა, მაგრამ ერთბაშად, თითქოს სატანა ქეჩოში მისწვდაო, კილო შეიცვალა, და ასე მეგონა ხორცშესხმულ ველურ მონადირეს საკუთარი თვალით ვხედავმეთქი. იგი ისეთ ლექსებს კითხულობდა, რომელნიც აღმანახში არც მოიპოვებოდა. ჟამიდან ჟამზე კილოსა და ლექსების მეტრებს იცვლიდა,

ჰექზამეტრები,

იამბები,

შვიდმარცვლოვანი

— ეს ან გოეტეა ან დემონი, წამოიძახა ვილანდმა, რომელიც ჩემს გასწვრივ უჯდა მაგიდას.

¹ ob. Goethe-Kalender. 1929 წ.



— ორივენი.

— ნამდვილად დემონს შეუპყრია იგი.

ბუნებრივია: „დემონად“ ეწვენებოდა იგი თავის საუკუნეში. ^{დემონად} „დემონად“, ანუ დემონიური ელემენტი მუდამ თვალწინ ჰქონდა გოეტესაც.

„რაც უფრო მალა სდგას ადამიანი, მით უფრო ექვემდებარება იგი დემონების ზედგავლენას.

„დემონურს უწოდებს იგი“ გამოუთქმელი მსოფლიო ამოცანას¹.

* * *

„დღეს სადაღობის დროს, მოგვითხრობს ეკერმანი, ისევ დემონიურობის შესახებ ვისაუბრეთ?.

გოეტე: „დემონიურობა იგია, რაც ჭკუისა და გონების ძალით მიუწვდომელია. დემონიურობა მე თავად არა მაქვს ბუნებაში, მაგრამ მე მაინც შეპყრობილი ვარ მისგან.

ეკერმანი: „ნაპოლეონი, ვკონებ დემონიურობასთან წილნაყარი უნდა ყოფილიყო.

გოეტე: „უთუოდ, უთუოდ, უაღრესად, ასე რომ ამ მხრივ ვერაიან შეცდრება მას. დიდი ჰერცოგიც დემონიური ბუნებისა იყო, განუსაზღვრელ მძლესობითა და ამბოხით აღსავსე, მას საკუთარი საუფლო ეცოტავებოდა, და უფრო ვრცელიც რომ ჰქონოდა, ვერც იქ დაეტევოდა.

ეკერმანი: „ისიც მიზრძანეთ, დემონიური მოვლენებშიაც თუ იჩენს თავს?

გოეტე: „განსაკუთრებით. ყოველთვის და ყოველგან შელანდება იგი, ყოველგან სადაც ჩვენი გონების ძალი უმწეო აღმოჩნდება. საქრათოდ დემონიურობა ნაირნაირს სახით მხილდება მთელს ბუნებაში, როგორც ხილულში, ისე უხილავში. არსთა შორის მრავალნი პირწმინდად დემონიური ბუნებისანი არიან ხოლო ზოგზოგნი დემონიურბს განაწევრნი.

ეკერმანი: „განა მეფისტოფელსაც არ აქვს დემონიური შტრიხები?

გოეტე: „აჰ, მეფისტოფელი მთლად უარყოფითი სახეობაა, დემონიურობა კი პოზიტურ ძალმოსილებას ახლავს. ხელოვანთა შორის, მუსიკოსები არიან ამ გვარი ბუნებისა, მხატვრები იშვიათად. როგორც სჩანს, პაგანინი უაღრესად დემონიური იყო, ამიტომაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მან².

... „ლორდ ბაირონიც უაღრესად დემონიური უნდა ყოფილიყო, მიტომაც ჯადოსნურ ზეგავლენას ახდენდა იგი მასსებზე. განსაკუთრებით ქალები ველარ უძლებდნენ ბუნების მისის მოშხიბლელობას.

ეკერმანი: „ღვთაებრიობის იდეა თუ დაიტევს დემონიურობის შესატყვისს?

გოეტე: „ეჰ, ჩემო კარგო, ან რა ვიცით ჩვენ ღვთაებრიობის შესახებ? ან რა უნდა გვითხრას ჩვენმა დუხჭირმა გონებამ უზენაესის შესახებ?... თუნდაც

¹. Ekermann. Gespräche mit Goethe. B. II. გვ. 62.

². იქვე გვ. 201.

³. ეგს. II. გვ. 205.

ათასგვარი სახელიც რომ შეეარქვათ მას მზგავსად რომელიმე თურქისა, მის შრავალკილოვანი ბუნების შესახებ მაინც ცოტა იქნებ თქმული¹.

გასულ საუკუნოებში რალაც ბედითი კავშირი არსებობდა ქრისტიანებსა და პოეტებს შორის. ცალკერძო ეს გასაგებია, პოეტებს „საკუთარი საქმე“, საკუთარი შინ არა ჰქონდათ. ჯერ კიდევ პლატონმა გააძევა პოეტი თავის უტოპიურ რესპუბლიკიდან. საშუალო საუკუნის დიდი თუ მცირე მონარქების წყალობას თუ გულისაყრას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის კარიერისათვის. საკმარისია მოვიგონოთ დანტე და ჰაინრიხ მე-VII, რუსთაველი და თამარი. გურამიშვილი და ვახტანგ მე-VI, გოეტე და კარლ ავგუსტ-ვაიმარის ჰერცოგი.

ამგვარად თავის საუკუნის „დემონიურ გენიას“, ჰერცოგის კარისკაცობა, მისი Maître de plaisir-ობა დააკისრა შემთხვევამ თუ ბედმა.

მოწყენილი, ოდნავ ვერტერისტურად, ოდნავ რუსოს გემოზე გაზრდილი. კარლ ავგუსტ ქეიფობდა.

ნადიმები, ნადირობა, სასახლის ინტრიგები, იდუმალი მიჯნურობანი, მენუეტის, პოლონეზის გაშმაგებული ცეკვა და ლოთობა. დღისით ჯირითი იმართებოდა. უშველებელ ბარიერებზე ახტუნებდნენ ჯიშთან ულაყებს.

ზამთრის მოსაწყენ საღამოებსაც არ აკლდათ გართობა, ჩირალდნებით ანათებდნენ ტბებს, მუსიკის ხმაზე მწყობრად სრიალებდნენ წყვილები ყინულზე. იოჰანა ფალმერს სწერს გოეტე: „Wie eine Schlittfahrt geht mein Leben“—ჩემი ცხოვრება ყინულზე სრიალის დარად მიქროლავსო. (Aul. 160.)

შტოლბერგებიც აქ გაჩნდნენ. ვერტერის ტანისამოსს გადაიცვამდნენ, ცისფერ ფრაკიანი მეგობრები ლოთობდნენ, გამხმარ თავის ქალებიდან სვამდნენ „ტირანების სისხლს“, ქალების საჯაროდ ლოშნას არ ერიდებოდნენ, ოინბაზობდნენ, ტანისამოსებს უცვლიდნენ ერთმანეთს და მოხუცებულ ფილისტერებს ახელებდნენ. ყოველი ასეთი ქეიფისა და ორგიების მეორე დღეს „ღვთისმოსავი“ ანნა ამალია და მისი სასახლის დამები ჩურჩულსა და ჰორაობას დაიწყებდნენ და ათას წმინდანს აუედრებდნენ „შეშლილი“ ჰერცოგას სულს.

ევროპული ფეოდალური დინასტიების სულიერი გაზრწნის პროცესი მე-18 საუკუნოზე ადრე დაიწყო. ჰაბსბურგელის, ვეტინელის და ჰოჰენცოლლერის სასახლეებში გამართულ ორგიებისა და გარყენილების ამბები არც ერთ დიდს ოსტატს სიტყვისას არ გამოუყენებია, რადგან რევოლუციამდე ვინ გაბედავდა ამის აღწერას. ამ საუკუნის დიდსა და პატარა მონარქებს ტონს აძლევდნენ: ცალკერძო ლუდოვიკო მე-16, ცალკერძო ფრიდრიჰ დიდი.

ფრიდრიჰი დიდი ნეგრასტენიკი იყო და ჰიპოზონდრიით შეპყრობილი ადამიანი. პარადებსა და სამხედრო „დრილს“² გადაყოლილი.

ზაფხულობით ნაშუალამევის სამ საათზე დგებოდა.—საკმაოდ ლამაზ ცოლს არ იკარებდა და თავის მწვერებსა და მეძებრებს იწვევდა ლოგინში. დიდი ანტიფერმინისტი იყო, უფრო მეტიც: საშინელი კატომოძულე. მას მთელი კაცობრიობა სძაგდა, Cette race maudite-ს—(დაწყველილ ჯილაგს) უწოდებდა³.

1. ვგს. ტ. II, გვ. 208

2. გადამეტებულად წაფუა ჯარებისა.

3. შეად. თომას მანნ. ფრიდრიჰი და დიდი კოალიცია. გერმ. გამოც. 1918 წ.

როგორც პატარა პოეტები ღიღებს ბაძავენ ყოფაცხოვრებაში, მონარქი-ბიც ასევე იტყვიან...

როცა მარკეტების და ბაზიერების უივილი და ბუკის სმერულეყენულე კიბვინი საყვარლების კისკისი, მუსიკის პოლონეზი და რაინის ლეიხოების სუნი მობეზ-რდებოდა, ჰერცოგი, როგორც ყოველი სულიერად გამოფიტული დეგენერატი, მარტოობას ველარ იტანდა და გოეტეს მიაკითხავდა.

მერმე ისხდნენ ორივენი გოეტეს ბინაზე და ხელოვნების შესახებ საუბრობდნენ გათენებამდის.

არაა საჭირო ადამიანური სისუსტის მიჩქალვა. როგორც ამას ჩადიან გერმანელი ბიოგრაფები და მწერლები. ¹ როგორც ჭარბი პოეტი, სავსებით შორსა ვიქერ ამგვარ ქალაქნობას. მე შინდა თუშვა გენიალური პოეტის, მაგრამ მაინც ადამიანის პორტრეტი დავხატო, სხვა არაფერი. უთუოდ კარისკაცული ქედ მოდრეკილობით სავსეა გოეტეს ლექსი „ილმენაუ“, როკლშიაც კარლ ავ-გუსტს დითირამებს უმღერის პოეტი. გაცილებით უფრო ამცირება გოეტეს ჩვენს თვალში ლექსი „ჰერცოგისადმი.“ 1775 წ. ჰერცოგს კოხბეიგში შეხვდა უბრალო გლეხის ტანისამოსში გადაცმული პოეტი და ეს ლექსი გადასცა—ფსე-ვდონიმ მოწერილი. (სებ. სიმპელ.) Gebt mich mir einen gnädigen Blick, Das ist schon Unser thanen-Glück. (დაახლ. მეც ერთი მადირსკო თქვენი შემოხედვა, ეს ხომ ქვეშევრდომის ბედნიერებაა და სხვა. Aul გვე. 1(2.) ეს ამბავი თავად გა-უშხილა გოეტემ კარლ ავგუსტს და თავისი ფსევდონიმიც გახსნა.

მაგრამ ფრაუ ფონ შტაინისადმი მონაწერ ბარათში მაინც ვერ იკავებს თავს ირონიისაგან. „როცა იგი (კარლ ავგუსტი) კარგის გაკეთებას მოინდომებს, უთუოდ სისულელე უნდა ჩაიდინოს“.

სასახლის დამები, გამოჩერებულნი კამერჰერები, და ცერემონიალ—მაი-სტერები ბრაზისაგან ხელდებოდნენ, კორობდნენ და სისინებდნენ: „როგორ? ვილაც მეტიჩარა, ვილაც მოქალაქე, ვილაც ბელეტრისტი ჰერცოგის მრჩეველად და მეგობრად გადაიქცა?“

ამ „ვილაც ბელეტრისტმა“ გესლი შეაბრუნა: აზნაურებს ვერ გაუგიათ თუ როგორ შეიძლება აზნაურობის გარეშე სხვას ვისმეს ჭკუა ექნეს თავა“.

გოეტე პირველ ხანებში უჯამაგიროდ იყო ჰერცოგის სამსახურში. კვილი ფრაუ აია ველარ აუდიოდა გოეტეს მამის ბუზღუნს. სახელმოხვეჭილი პოეტისა და ვექილისათვის მამას უნდა ეგზავნა ფული?

კარლ ავგუსტმა გადასწყვიტა თავის საბჭოს მრჩეველად აერჩია გოეტე. ამ „გაუგონარმა“ ამბებმა მინისტრები, „იღუპალი მრჩეველები“ და მათი ცოლები მთლად გააცოფა. მინისტრ ფოხ ფრიტა ღმფოთდა.

სამსახურზე უარი სთქვა დემონსტრატულად. 1776 წლის ივნისის 11-ის დეკრეტით გოეტემ „გეჰაიმერ ლეგაციონს რატ“-ის ტიტული მიიღო. 1200 ტა-ლერი დაუნიშნეს.

ნაპოლეონი შესანიშნავი მათემატიკოსი იყო, მაგრამ როგორც არ უნდა ნოემდომებინა ფაუსტს ვერ დასწერდა, გოეტემ მოინდომა და ვერტერის ავტორი

¹ Karl Heinemann Goethe. ლაიპც. 1899.

ისეთივე ჩინებული ფინანსისტი გახდა (თუმცა მათემატიკა სძაგდა), როგორც პოეტი იყო.

1782 წ. გოეტე ყველაზე უფრო საქმიანი და გავლენიანი მანუსკრიპტის მთელი ბიუჯეტი მის ხელშია.

გოეტე მეტალურგიას კარგათ იცნობდა, ჰერცოგის სამსახურში შესვლის უმალ ილმენაუს მალაროების მოწყობას შეუდგა, 1776 წ. გოეტე და ჰერცოგი ილმენაუს, დალბერგსა და ტრებას მოივლიან. ამ საქმეშია ცოცხალი ინციატივა და დიდი საქმიანობა გამოიჩინა. მალაროების მოწყობაზე ზრუნვისას გაიცნო გოეტემ ქრისტიან ფონ ფოიგტ, დიდი მეცნიერი თავის დროისა.

ვერაინ წარმოიდგენდა, რომ ვერტერის ავტორი ამდენ პრაქტიკულ უნარს თუ გამოიჩენდა. ახლა სადამშენებლო კომისიაშიც მოიწვიეს იგი, გოეტე საფუძველს უყრის ვაიმარის ახალ თეატრს და საუცხოვო პარკს გამართავს რამოდენიმე წლის შემდეგ კიდევ ორ კომისიაში ირჩევენ პოეტს. ეს იყო სამხედრო და ვხატვეცილების კომისია.

მოკალეობის ჯამს თავის იფიგენიას სწერს პოეტი. ვნათლების უწყებაშია ცენერგიულად მუშაობს, იენას უნივერსიტეტზე ზრუნავს და სამხატვრო სასწავლებელში ლექციებს კითხულობს ადამიანის ჩონჩხის შესახებ. 1782 წ. ჰერცოგის დეკრეტის ძალით გააზნაურეს ვერტერის ავტორი, რომელსაც თავად მრავალი გესლი შეუნთხევია აზნაურობის მაკებართათვის.

გოეტე ვაიმარის პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმეებშია ცერევა, უნდა ითქვას პოლიტიკაში იგი ფრიად დიდი კონსერვატორი იყო.

ასე მრავალკიდოვანი იყო გოეტეს ბუნება.

გოეტე დაეინჩის შემდეგ პირველი ხელოვანია, რომელიც დაუცხრომლად ელტვის უნივერსალიზმს. მისი გენია აღმოსავლეთის ბრძენთა და მგოსანთა დარად ცალკერძოდ ვითარდება სპირალისებურად. ქართველ პოეტებში, გამო-ნაკლისები: ილია და გურამიშვილი.

ხომ ერთის შეხედვით უსულთა ტექნიკა, მაგრამ ტექნიკამ ავაციის სახით ადამიანობის უდიდეს ოკანებას შეასხა ხორცი. როგორც ხაზების ოსტატმა დაეინჩიმ ტორპედო ნავის იდეა იწინასწარმეტყველა რამოდენიმე საუკუნით ადრე, ისე გოეტემ ახალი პოეზიის ჰომეროსმა განვითარების იდეას დარეინზე და ლამარკზე ადრე მიაგნო და ლითონთმცოდნეობაში ახალი სიტყვა სთქვა.

გოეტეს შეგნებული ჰქონდა რომ ცივილიზაცია და კულტურა პარალელურად უნდა განვითარდნენ, რათა ადამიანების მოდგმამ სრულ ყოფას მიახწიოს, ამიტომაც იგი თანაბარის გულმოდგინებით მუშაობდა როგორც ილმენაუს მალაროების გეგმებზე, ისე ბერძნული ჰექზამეტრის აღორძინებისა და გერმანული ლექსის მოდერნიზირებისათვის.

გართობა შლეგებისათვის „დროის მოცდენას“ ნიშნავს, მხოლოდ ტალანტი გართობის მომენტშია შემოქმედების დუღილს განიცდის. მოკალეობაში და გართობაში უპოვნია უდიდესი სტიმული ყოველი დროის გენიას. ვაიმარში ბევრი ნადირობდა გოეტესთან ერთად, აზნაური და უაზნო, პოეტი თუ მხატვარი. მხოლოდ გოეტე მიიყვანა ამ ნადირობამ ბოტანიკის მეცნიერულად შესწავლამდი როგორც ვიციტ შტრასსბურგშივე სწავლობდა იგი ანატომიას, ლაფარეტის ფიზიონომისტიკის ზეგავლენით გოეტე ოსტეოლოგიას მოეკიდა

XVI შარლოტბე უონშაინი

გერმანული

პოეტის შემოქმედება და ცხოვრება უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენს განუყვეთელი მთლიანობა განვიფრეთ მისი ადამიანური საქციელი და შემოქმედების მისის ბუნებას შეიცნობთ. ასევე იოლად შეიძლება შემოქმედების მიხედვით პოეტის ცხოვრებას ავხადოთ საფარველი. გოეტეს ცხოვრების სარბიელზე ორა პოლარულობა ერკინებოდა ურთიერას დიონისური და აპოლონური სათავენი. ძველი ბერძნების წარმოდგენაში აპოლონური სათავე მთლიანობა იყო, ხოლო დიონისური მრავალსახიერება.

დიონისური ბუნება აღმოდებული ენებაა, გრიგალისებური ქედმაღალობა, თავდავიწყებული ქროლვა ბედის საზღვარს გადაცდენილი, შეუდრეკელი ბრძოლა შეუძლებელის მოსახვეჭად, შეუცნობელის შესაცნობათ. გამოთქმულის გამოსახბატავათ, აუწერელის ასაწერლად, აუხდენელის ასახდომად.

აპოლონური შენელებული ჭვრეტაა, მოზომვილი მოქნევა, დაკვირვებული ხილვა დალაგებული კნა.

დიონისური პერიოდი ფრანკფურტში, ლაიპციგში შტრასსბურგში განელო გოეტემ.

ეს იყო უიმედო მიჯნურობის, დაუტბრომელი ქვიფის, კითხვის, სწავლის, ფარიკაობის, ჯირითის, ლათობის, მგზავრობის, ხეტიალის დრო.

სინამდვილეში „შეუფერებელ“ გრეტხენს და ფრიდერიკეს და მიუწყდომელ ლილის ემიჯნურებოდა პოეტი, ხოლო პოეზიაში იქსიონს, აპასფერს, პრომეთეს და ნახევარ ღმერთებს უმღეროდა. პოეზია ხელობად არ გამოდგებოდა, მაინც ხელობით პოეტად დარჩენას ეტრფოდა, მოქალაქეთა შორის თავისი ადგილი ვერ ეპოვნა, მშობლიურ ქალაქში საკუთარი შინ ვერ გაეჩინა და თვით უახლოესს მეგობრებსაც ახირებულ კაცად ეჩვენებოდათ.

ვაიმარში იწყება აპოლონური პერიოდი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, არსად ისე გულმოდგინეთ არ სწავლობენ პოეტის ბიოგრაფიას, შემოქმედებას, მიწერმოწერას, როგორც გერმანიაში, მაგრამ ზოგიერთი რამ ასეთ პირობებშიაც შეუცნობი რჩება. ავიღოთ თუნდაც გოეტეს სიყვარული შარლოტტე ფონ შტაინის მიმართ.

მაგრამ ესაა: არავინ იცის თუ რატომ უყვარს ვაჟს სახელდობრ ესა თუ ის ქალი განსაკუთრებით. გარეკნობა? ფონ შტაინის ქალზე ლამაზი არ ითქმოდა.

არც თანადროულები, არც გოეტეს ბიოგრაფები ამ მხრივ არ აქებენ მას. არსებობს მისი ავტობიოგრაფიკი ორი სარკის შემწეობით დახატული,

პატარა თავი, ოღნავ ცხვირპაკუა. წვრილი თვალები, საკმაოდ დაბალი შუბლი და კისერი. შარლოტეს ქმარი ი. ფრიდ ბარონ ფონ შტაინ ჰერცოგის შტალმაისტერი (საჯინიბოს უფროსი), ფრიად საქმიანი და გონება, შეზღუდული კაცი. „შტალმაისტერის მეუღლეს, ბარონესს ფონ შტაინს ფარაუ შავი თვალები აქვს ხმა ფრიად ნაზი და მიღეული. სერიოზიულობა, სიკვალუცი, სიჭველე ზედვე ეტყობა, სასახლის მანერები ზედმიწევნით შეთვისებული აქვს, მაგრამ უალრესს სისადავესთან შეზავებული. იგი ფრიად სათნოა. ბარონესსე 30 წელს ვადასულია, უამრავი ბავშვები ჰყავს და სუსტი ნერვები აქვს წითელი

ლოყები აქვს, თვალები და სახე თეთრი იტალიური. ტანად თხელია, საერთოდ აღნიშობა მისი ელევანტურია, თანაც სადა. (Aul. 160)

შილოერი ხოტბას ასხამს 45 წლის შარლოტეს „ჯანსაღი გონების, სურძნობიერებას“ და სხვა სიქველევებს. ცხადია, როცა ქალის გონების ქება დაიწყება, იქ ალბად სილამაზეზე ბევრი რამ არ ითქმის. როცა გოეტე გამოიჯნურდა შარლოტეს, იგი უკვე ხნიერი იყო და რამოდენიმე შვილის დედა. შარლოტესადმი მინაწერ ბარათებს კითხულობ ადამიანი, აურაცხელი სააღერსო სახელებს წააწყდები, გიკვირს: რითი მოაჯადოვა ამ ქალმა პოეტი? მაგრამ რა საინტერესოა, როგორი იყო პოეტის მუხა? უმთავრესია: როგორი ემოციები გამოიწვია ამ ქალმა გოეტეს შემოქმედებაში? იფიგენიის და ოიონორას სახით უკვდავ ჰყო გოეტემ მისი ხსენება უკუნითი უკუნისამდე.

...„Ach, du warst in abgelebten Zeiten,
Meine Schwester oder mein Frau“.

ახ, შენ იყავი გარდასული დროებში,
ჩემი დაიყო, ან ცოლი ჩემი.

შევევარებული პოეტი პლატონიურ მითელოგიაში ეძიებს ამ სიყვარულის მიზეზს. „მე სხვა გზით ვერ ამიხსნია, სწერს გოეტე ვილანდს, 1776 წ. 12, 11, ამ ქალის ჯადოსნური ძალის ზეგავლენა, თუ არა დასულთა მიგრაციის შემწეობით... დიახ, ალბათ ოდესღაც ჩვენ ორივენი ერთსახეობაში ვიყავით ქალიც და ვაჟიც. მე არ ვიცი რა ვუწოდო ამას: წარსული—ყოზადი—ყოვლადობა“. (Aul. გვ. 174.)

1776 წ. გოეტეს ყურამდის მიახწევს ლილის დანიშვნის ამბავი. 9. 7, შარლოტესადმი მინაწერ ბარათში: „წუხელ ვიწეკი, ვთვლემდი. ფილიპმა ბარათი შემომიტანა. ლილი დანიშნულია. გადაებრუნდი და ძილი გავნაგრძე. საყვარელო ახგელსი. Adieu.“ ამ „დაკარგული“ სიყვარულსაც მიუძღვნა ერთგვარი რექვიემ „Jägersabendlid“ (მონადირის ღამეული სიმღერა!).

გოეტეს ეროტიკის გაგებაში ისევ ფრთხილი და გულხმიერი უნდა ვიქნეთ, როგორც შემოქმედების მიისის შეცნობაში. არც კახანოვასებური „ქალებზე მონადირე“ ლოველსად წარმოიდგინოს იგი ვინმემ. საამისოდ მას არც ბანალობა გააჩნდა, არც თუ სულიერ სიცალიერეს აპყოლილი ენებათა დეღვა. გოეტე ყოველ ადამიანს და მით უფრო ქალს, ისე განიცდიდა, როგორც ბედისწერას, როგორც ახალსა და შეუცნობ სამყაროს. იგი რომელიმე სნობისტურად განწყობილ კავალერის დარად ქალში მარტოოდენ ფიზიკურ სიახლოს საგანს როდი სჭკვრეტდა, არამედ მუხას, მადონას და ექსტატიური აღტყინების მომგვრელს.

პოეზიაში მან ომახიანად უმღერა ამ მარად ქალურს Das Ewigweibliche - ის ისე როგორც მას უმღეროდნენ პეტრარკა და რუსთაველი, ვერლენი და გურამიშვილი. ვინაიდან უბრალო მოქალაქისათვის ქალი ელემენტარული საჭიროების, ჯიშის გაგრძელების ობიექტია, შემოქმედებისათვის ქალი უფრო მეტად მუხაა, ვიდრე დედალი, უფრო მეტად მადონა, ვიდრე ლოგინის მოზიარე.

ლილიც როკოკოს საზოგადოების დამა იყო, „გრიგალისა და შეტევის“ გენიოსი ვერ ეტეოდა ამ „საზოგადოებაში, იგი დაუნდობლად გესლავდა მასეს იყო ვერტერის პერიოდი, ეს იყო დიონისებური ეპოქა მისი ცხოვრებისა:

მაგრამ მოაწია აპოლონურმა პერიოდმა და ამ ჰასაკისათვის არც ბირონს მი-
ულწევია, არც პოლ ვერლენს, არც ნიკო ბარათაშვილს. აქ კი, ექვემოთ, კაპარ-
კის მტკივრთველი გოეტე ერთბაშად ზავს ჩამოაგდებს ამ საზოგადოებრივ-
ტერისებური რევოლუციონერობა ახალგაზრდობის სიზმრებს თან გააყოლა-
და უცებ სენტენცია გადმოისროლა.

Erkenne dich,
Leb mit der Welt in Frieden.

„შეიცან თავი,
ქვეყანასთან
შეპყარი ზავი“.

და ამ ზავის პარლამენტორი იყო სწორედ შარლოტე ფონ შტაინ-
ბოჰემის პერიოდი ლაიპციგში და შტრასბურგში — თავა გოეტემ. მართლაც
და მუდმივი ბოჰემის ხელოვნებას არსად მარადეამული ღირებულების არაფერი
დაუტოვებია. დიდი სტილის ხელოვნებას. დიდი ჯაფა ესაჭიროება, საამისოდ პი-
რობებია საჭირო. გოეტემ ეს კარგად იცოდა და მიტომაც ეუბნება ჰერდერის
მეუღლეს კაროდინე ფლახსლანდს რაც ერდერს თავის „კაცობრიობის ისტო-
რიის ფილოსოფიაში“ დაუწერია „ტარტარებიდან“ — რომაელებამდის, ეს ყოვე-
ლივე საკუთარი სახლის და შინაურობის მოწყობის ამბავიაო. (Goethe-kalender 41).

* *

იოლად გასაგებია: ვაიმარში „ამ დიდი კოშკის“ შეზღუდული ცისკიდურზე
„ვარსკვლავის დარად ამობრწყინდა“ ახალგაზრდა პოეტი. ¹.

ცისფერი ფრაკი ეცვა, თითბერის ლილებიანი, ყვითელი ჟილეტი, ყვითე-
ლივე ტყავის შარვალი, მაღალყელებიანი ჩექმები, ნაწხავს ატარებდა, კარისკა-
ცური ეთიკეტის შესაფერად.

ცხადია: შარლოტე ფონ შტაინ ამ გალანტური კავალერის და თავაწყვე-
ტილი გენიის ჯადოს დიდხანს ვერ გაუძლებდა.

არასოდეს იმდენ კერძო ბარათებს არა სწერდნენ, როგორც მე-18 საუკუ-
ნეში. მერვე როგორის გულმოდგინებით სწერდნენ, ამ წერილებს და რა მცირე
მანძილებიდან!

1776 წ. 23. 11. დათარიღებულ ბარათში:

„ძვირფასო, როგორ ნებიერათ მეძინა, როგორი დიდი ბედნიერება ვიგრ-
ძენი, როცა დილის შუე მომესალმა, გული ჩემი შენდამი მადლობით სავსეა, ზე-
ციურო ანგელოზო ჩემო“.

„...უნდა გითხრა: შენ ერთადერთი ხარ დიაცთა შორის, ვინაც სიყვარუ-
ლით გული კიდემდის ამივსო და სვებედნიერი გაიხადა. შენს ფერხითთ გართ-
ხმული ვარ და გიკოცნი ხელებს“.

იმავე წელს ფრაუ ფონ შტაინ უპასუხებს:

„ქვეყანა ისე შემიყვარდა თქვენი მეობებით... გულმან ჩემმან ქენჯნით
ამიკლო, — გარნა კარგად ვგრძნობ, ჩემო, ტანჯვას რომ გაყენებ. ნახევარი წლის
წინად სიკვდილი სანატრელი მქონდა“.

¹. ვილანდის წერილებიდან. შეად. გოეტეს მიწერ-მოწერა (გვ. 154) კრებულში Alles
um Liebe (შეზოკლება Aul). Goethes Briefe გამოც. 1906 წ. W. L. Brandt.

1776 წ. 4. 3. ერფურტიდან სწერს ვოლფგანგი შარლოტეს:

„გვედრები, გვედრები, ჩემო ანგელოსო, ჩამოდი ეტერტერს, როგორმე კედელზე ფანქრით აღნიშნე, რომ იქ იყავი, ქალთა შორის, ერთადერთად, N. B.

ჩემი წერილები არვის უჩვენო.

Adieu, ანგელოსო!¹“.

„რისთვის უნდა გტანჯავდე, ძვირფასო არსო! თავი რად მოვიტყუო, ან შენ რად გაწამო? ჩვენ ურთიერთისათვის არაფერი ვართ, მაგრამ ამავე დროს ბევრს მოვასწავებთ... კარვად ვამჩნევ, ჩემო ღვთაება თუ როგორ გტანჯავთ. გუშინ ყვავილები და ატმები მოგიტანე, მაგრამ შენ აო დამიხვდით, თქვენს დაიკოს მივეცი. მშვიდობა თქვენდა. კარგა ხანია, Madonna-დ გასახვთ, Adieu, საყვარელო“.

მეგობარს—ლაფატერს ასე უსახავს ვაიმარელი ცხოვრებას: „აქ ურთიერთში არეულია: იმედი, სიყვარული, გულნაწყენობა, შრომა, გაკირვება, ავანტაურა, სიძულვილი, სისულელე, სიშლეგე... ნადიმები, ცეკვა... მალონებს შენდ მარადკამული წყურვილი ქრისტესადმი. შენ უფრო გიმძიმს ალბად, ვიდრე ჩვენ წარმართებს, სულიერი სიმძიმის წუთებში ჩვენ ჩვენი ღმერთები გვეცხადებიან“² (1777. წ. 1).

ამავე წლის ივლისში, კობერგიდან ვაიმარს ჩამოსულ ვოლფგანგს თავისი დის კორნელიას სიკვდილი შეუშცხადეს. უძვირფასესისა და უნაზესი მეგობრის გარდაცვალებამ ფრიად შეაშფოთა პოეტი. კორნელიამ ველარ ზიდა მისთვის შეუფერებელი ოჯახური ცხოვრების ჯვარი და ორი წლის ავადმყოფობას თანგადაჰყვა. გოტე მომეტებულის სინაზით მიენდო ახლა შარლოტე ფონ შტაინს დედისადმი მინაწერ ბარათში პოეტი სჩივის რომ „ძლიერი ფესვი, რომელიც მიწასთან აკავშირებდა მას, სიკვდილმა მოწალდა“. „სანამ შენ და დედა ჩემი კიდეგ მყავხართ, კიდეგ არა მიშავს“—ინუგეშებს თავს პოეტი.

ჯერ კიდეგ მგლოვიარე განწყობილება არ გაფანტულიყო, პერცივას საქმეების გამო ვარტბურგს მიემგზავრება ვოლფგანგი.

16 დეკემბერს ისევ ვაიმარს ჩამობრუნდა, მეორე დღეს თავის სახლის ოლგში იპოვნა ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი, ქრისტელ ლასსბერგ, რომელსაც რომანიული მიზეზით თავი მოეკლა. მიცვალებულს „ვერტერის ვნებანი“ უპოვნეს ჯიბეში. ამ ამბავმა შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ვერტერის ავტორზე.

ვაიმარის ცხოვრება მომაბუზრებელი გახდა. პატარა სასახლის დიდი ინტრიგები და პატარა ადამიანების დიდი გაიძევრობა მცირე ფართობზე უფრო თვალსაჩინო ხდება, გოეტე ნელინელ ოკან იხვეს და მარტოობას უჩივის, მაგრამ ეს განმარტოება საუკეთესო ატმოსფერო იყო მისი შემოქმედების მოსამწიფებლად. ვინაიდან მარტოობაში და მყუდროებაში იტვირთება მითით შემოქმედების მოუსვენარი სული.

¹. Aufl. გვ. 170.

². Aufl 192.

პერცოვის გამგზავრება შვეიცარიის ერთგვარი ხსნა იყო 1779 წ. სექტემბერში კარლ ავგუსტ (ბარონ ფონ ვედელის პასპორტით) ინკოგნიტოდ მიემგზავრება. მას თან ახლავს გოეტე, კამერპერრ ფონ ვედელ და კანონიერი კარისკაცი.

ფრანკფურტიდან 20. 9. შარლოტტეს სწერს: „ჩამოვედით, მშვენიერი სალამო. მაშა ძალიან გამოცვლილა, დედას ჯერ ძალა და სიყვარული შერჩენილი აქვს. Adieu. სალამი ყველას“.

ფრანკფურტიდან შპაიერს მიადწიეს...

„ძვირფასო, შვეიცარია ხელის გულზე გვაქვს, ზეცის შემწეობით იმედი გვაქვს, ბუნების ზენარობაში განიბანება ჩვენი სული“.

სელც, 25. 9... „ველები ვერცხლის მშვენიერებაში სთვლემენ, სათუთი სუნთქვა თავს ევლება ქვეყანას. ყურძენი შწიფდება და ღვივის. ყოველი გლეხის სახლი ვენახებითაა დახუნძული. ეჭ, ნეტავ ღმერთს ენებებინა, რომ მე და შენ აქ ვყოფილიყავით სამუდამოდ დამკვიდრებული“.

გულმა ველარ მოუთმინა გოეტეს, ელზასში გავილის. პერცოვი და მისი დანარჩენი ამაღა შტრასბურგისაკენ გაემართნენ, ხოლო გოეტე ექენდინგენიდან ზენზენაიმს წავიდა ცხენით ფრიდერიკეს სანახავად. საინტერესოა შარლოტტეს არ უმალავს და თავისი ძველი მიჯნურის მონახულების ამბავს: „სალამო უამს ცხენით წავედი ზენზენაიმს და ერთ ოჯახს ვეწვიე. ყველანი ისე დამიხვდნენ, როგორც მწლის წინად დაეტოვე. გაეხარდათ, კარგად მიმიღეს. რაკი მეც ისევე სპეტაკი და წყნარი ვარ, როგორც ჰაერი, ამიტომაც კეთილი და წყნარი აღამიანების სუნთქვა მაიმა. ამ ოჯახის ერთ ერთ ქალიშვილს ვუყვარდი ოდესღაც, უფრო მეტად ვიდრე ღირსი ვიყავი, მე იძულებული გავხდი გავყროდი. ამ ამბავს კინალამ არ გადააყოლა სიცოცხლე ამ ქალმა. იმავე ტალავერს ქვეშ დავსხედით სადაც ოდესღაც ვმჯდარვართ. მთვარიანი ღამე იყო. მე ყოველივე გამოგვკითხე... იმ ღამეს იქ დავრჩი, უთენია ჩემს გზას დავადექი“.

მეორე დღეს ისევ დაეწია გოეტე პერცოვს და მის ამაღას. შტრასბურგში ლილი მოინახულა, არც ეს ამბავი დაუმაღავს შარლოტტესათვის.

„იქაც გავცდნენ და გაიხარეს. ყოველივე გამოგვკითხე, ყოველ კუნჭულში შევიჭვრიტე. ფრიალ მაიმა, ეს კეთილი არსება რომ სვებედნიერად გათხოვილა... ერთად ვისადილეო. ნასადილეგს მე და პერცოვმა შტრასბურგის კათედრალი დავათვალიერეთ. სალამოს სპეტაკლს დავესწარით. L'Infante de Zamora-ს სალამო ლილისთან გავატარე, მთვარიან ღამეში ვისეირნეთ“...

ზიბელში ჩამოსულმა მხატვრის ჰოლზაინის სურათები დაათვალიერა. დაიწყა იურას ზეცებსა და ღრანტებში ზეტიალი. გოეტე აღტაცებულია მთების გულზეიაღობით. „მინდა ამ მთების სიღიადე შევისრუტო, ისევე როგორც საყვარელი ბარიდან თმენა და მყუდროება“.

9. 10. კვლავ შარლოტტეს ატყობინებს:

„დღეს, შაბათ სალამოს ტუნდიდან გემით გადავიარეთ ტბა. ნისლი ჩამოწვა მწვერვალებზე. აქვე უგზავნის... ლექსის Gesang der Geister—ხელნაწერს.“

„წყალს მაგონებს სული,

მიწა რომ ევლინება,



ციდან ჩამოსული
 კვლავ ცას შეეფინება,
 ძირს ჩამოვა ისევ...
 წესი არის ლეთისა,
 წესი მარადეამული...
 ნახად მოტიტინე,
 ხან ამოდ მომღერალი,
 გადმოლახა ტინი,
 მოქუხს ვერცხლის ჩქერალი,
 მოქცევაა წყლისა,
 ღრუბელი მეწამული...

რაცაფთა ტალღის
 ფრთაფარფატა
 ქარი.

უცბად აიტატა
 ზვირთების ლაშქარი
 სულს შემომქმედო
 ხარ წყლის დასადარი,
 ადამიანთ ზედო
 მოგამგზავსე ქარი.

ლაუტენაბურენიდან შტაინბერგისა და ტშინგელის მყინვარწვევრზე ავიდ-
 ლენ, 11. 10, შაიდუკ-უნტერზეენ გადაიარეს და ბერნს ჩავიდნენ. ლოზანაში
 მშვენიერი მარტიზ ბრანკონი ინახულეს და იურასკენ გაემართნენ.

„სულსა და თვალს ხიბლავს ყინვარწვევრთა გაწყაპული ქარავანები“. 27.10-ს
 ჟენევაში, რუსსოს ქალაქში მიაღწიეს. მეგობარს ლაფატერს სწერს გოეტე შე-
 ნევიდან:

„ჩვენი ურთიერთთან შეხვედრა არა მარტო საამო იქნება, არამედ და-
 ლოცვილიც... იცოდე მე და შენ მეტს ვნიშნავართ, ვიდრე ხუცების, ბოზებისა
 და ჯორცხენების მთელი კრებული...“

დიდმა აზრებმა შემიპყრო, შენ იცი ესეთი რამ უასაკო ქაბუქს ეუცხოება...
 მშვიდობით ჩემო კარგო, ჩემი სული მარადის შენთანაა. Adieu“¹.

მოგზაურებმა ჟენევიდან მონბლანისაკენ გაემართნენ, თუმცა უკვე ზამთრის
 პირი იყო და გზა საბიფათო. სენ გოტჰარდის სასტუმრო ქობიდან შარლოტ-
 ტეს ატყობინებს²: „აქვეა ჰერცოგი და ერთი მონადირე“...

„ჟენევიდან წამოსულებმა საფოიის მწვერვალები გადავლახეთ, ვალის და
 ფურკე გადმოვიარეთ... საზარლად ცივა, ცა და ღრუბლები საფირონის, ხან
 აქატის ფერია. ახალი მთვარე მთებს გადალმა ჩავიდა და საოცარი სხივი მია-
 ფინა თოვლიან თხემებს“.

¹. Aul 239.

². იქვე გვ. 241.

1. 12. ციურხიდან შარლოტტეს: „ლაფატერთან ყოფნით ვტკბები... როცა ასეთ მთლიან ადამიანს ხედავ, ასე გგონია ამ ქვეყანაზე ახლადმოსული ვარო“.

ვაიმარისკენ მომავალმა ჰერცოგმა და მისმა ამაღამ რაინოს ჰერცოგი მოინახულეს. 15. 12. ს შტუტგარტში ეწვიენ ჰერცოგ კარლ ოიგენს და სამხედრო აკადემიის გახსნას დაესწრნენ. სწორედ ამ დღეს მიიღო პრემია შეგირდმა ფრიტც შილლერმა. მადლობის ნიშნად იგი იძულებული იყო ჰერცოგის კალთაზე ეკოცნა. გოეტე როგორ წარმოიდგენდა, რომ ეგზომ დიდი დამცირების გადამტანი შილლერი, ოდესმე მისი ჯუფთი გენია გახდებოდა.

ვაიმარში დამთავრა გოეტემ იფიჯენია და ტასსო. ამ უკანასკნელის შესახებ თავად პოეტი ამბობს: „იგი ჩემი ხორცია ხორცთაგანი და ძვალი ძვილთაგანი“. აქვე იწუებს იგი ელპენორს. ამ ქმნილებებში ყოველგან მუხად შარლოტტე ფონ შტაინს ჰყავდა არჩეული. წარმატების და გამარჯვების ამბავს მუდამ შარლოტტეს ატყობინებს პირველად¹. შარლოტტე პირველი მკითხველიც იყო. ფრიდრიხ დიდი თავის დილექტანტური ცოდნით დიდად ოსაზიანი ხმით ჩაერია ჯერ ფილოსოფიაში, შემდეგ კი ლიტერატურას გადასწვდა, თავის წიგნში De la littérature Allemande, მან ფრიად პესისმისტური აზრები დააფრქვია გერმ. ლიტერატურის მიმართ. მინისტრ ჰერტცბერგისადმი მინაწერ ბოროტში ქვეყანას პირდებოდა იგი ახალ წიგნს: De la Littérature Allemande, des défauts qu'on peut lui reprocher; quelles en sont les causes, et par quelles moyens on peut les corriger², ცნობილია ფრიდრიხმა „საზაზლარი“ უწოდა („Abcheulich“) გოეტეს „გოტეს“.

შარლოტტეს პერიოდში ამუშავებს იგი „ვილჰელმ მაისტერის“ განსწავლის წლებს.

„როცა ვწერ, ამცნობს პოეტი თავის მუხას, ასე გგონია სიხარულს განიქმებ“. ამ რომანების სერიას თავდაპირველად „ვილჰელმ მაისტერის თეატრალური ნობათი ერქვა. თავად გოეტეც დიდი თეატრალი იყო, მაგრამ ბოლოს მოსწყინდა „მაიმუნების დიდოსტატობა“. (Grossmeister der Affen zu sein.)

ყოველი მამაკაცის ქალთა სქესისადმი სიყვარულში რამოდენიმე იდუმალი ძაფი სხვადასხვა მიმართულებით მიიწვეს, მაგრამ ერთია ყოველთვის მაგისტრალური. ეს ერთი მეტწილად სხვას ჩრდილავს. ცნობილი პიროვნებების რომანეაში ეს ყველასთვის თვალსაჩინოა და უჩინარო კი ერთის სიყვარულს მიაწერენ ყოველთვის.

ჯერ კიდევ შარლოტტეს რომანი მოთავებული არა ჰქონდა გოეტეს, მსახიობმა კორონა შროტერმა მოხიბლა იგი. კორონა იმ დროის უდიდესი მომღერალი და მსახიობი იყო. გოეტეს რეკომენდაციით ვაიმარის სასახლის კაპელაში მოიწვიეს.

1776, 25. 3. შარლოტტეს სწერს ლაიპციგიდან გოეტე: „აქა ვარ. ყოველივე ისეა, როგორც იყო, მხოლოდ მე შევიცვალე. Mais—ce n'est pas Julie. Adieu.

¹ Heinemann Goethe გვ. 804.

² კ. რთულად. „გერმანული ლიტერატურისათვის იმ ნაყლისათვის, რომელიც შეიძლება მას მოუძებნოთ (ქსაყვედურით), რა მიხეხებია, ან რა საშუალებით შეაძლოა მისი გამოწვევა“.

კორონა შროტერ ნამდვილი ანგელოსია. ასეთი ცოლი რომ მოეცა ლეონტის ჩემთვის, თქვენ არ შეგაშფოთებდით — ესა, საკმარისად არა გვაყვარებთ¹.

მაგრამ ყოველთვის გოეტესაც არ სწყალობდა აფროდიტე: ვაჩუქებს ქაშაოსულ კორონას ობერპოფმაისტერ ფონ აინზიდელ გაუმთავრებლად.

ერთად ერთ წერილში კორონასადმი (დანარჩენები დაკარგულია) გოეტე გულნატკენი ამბობს: „რამდენჯერ ამიღია კალამი, ჩვენი ურთიერთობის გამოსარკვევად... მაგრამ არ შემიძლია ბოდიში მოვიხადო, სანამ იმ სიმებს არ შევხვები, რომელნიც უკვე აღარ უღარუნებენ... მომიტყევე, მეც მიგიტყევე კარგი ხანია, მეგობრები დავრჩეთ...“

* * *

შარლოტტე ფონ შტაინისა და გოეტეს მიწერმოწერაში მომეტებულის ინტერესით იკითხება ის ადგილები, სადაც უბრალო, ყოველდღიურ ამბებს ეხებათ მიჯნურები. შარლოტტე ხშირად თავის ქათმების ამბებსაც ატყობინებს გოეტეს. სამაგიეროდ პოეტი თავისი ბალის ყვავილების შესახებ სწერს.

„ჩემი ვარდები ჯერ არ იფურჩქნებიან, ჩემი მარწყვის ბუჩქებიც არ მომწიფებულან, კარგად იციან, არ უნდა იჩქარონ.“

ხომ გარეგნულად ასე ბრწყინვალედ მოეწყო ამ პაეის ფრაკში გამოწყობილი „დაიმონის“ ცხოვრება? მაგრამ იგი მინც უჩივის ბედს. ვაიმარიდან წასულ შარლოტტეს სწერს:

1780 წ. 30. 6.... ხანდახან მუხლები შეკვეთება, ისე მძიმეა ჯვარი, რომელსაც თითქმის მარტო ატარებ კაცი“...

13. 10. ღამით... „საოცარია, მაგრამ ასეა, პატარა ბიჭსავით ვეჭვიანობ, როცა შენ ვინმეს თავზიანად მოეცქევი. ღამე მშვიდობისა, ჩემო ოქროვ.“

17. 12.... „გუშინ დიდხანს ვისეირნე, კარგი დარი იყო, ქურჭი ჩინებულად მათობდა... ჩემს ხეებს ბევრი ვულაპარაკე, ვუამბე მათაც, თუ როგორ მიყვარხარ.“

12. 12.... თუმცა ძალიან მინდოდა არ მოვსულედიყავ, თავი გამომეცადა თუ რამდენად ძლიერია ჩემი შენდამი სიყვარული, მაგრამ გადავწყვიტე: ოსპისწვენი ვჯამო თქვენთან ერთად და პასტეტები. 12 საათზე მოვალ.“

1781. 7. 3. „ჩვენ ხშირად ვეთამაშებით ხოლმე სიკვდილს და რა ძნელია სულ მცირე ხნით მიჯნურს განშორდე. ჩაცმისას მე ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ ჩავიცვა ესე; რომ თქვენთან მოსვლას არ ვაპირებდე. დღეს ჩვენ სახიფათო ვზებუე უნდა ვაქტნოთ ცხენი... ამაზრუნენი ქარია გარედ.“

8. 3. გუშინ გზავნა ჩვენს ურთიერთობაზე ვეფიქრობდი. ჩემი გული პირატების მიერ დაპყრობილ კოშკს ვადარე, ეს კოშკი თქვენ დაგიპყრიათ.

6. 12. „ძვირფასო, გამომიგზავნე ჩემი გასაღები, გუშინ თქვენსას რომ დამრჩა, მაგრამ ის კლიტენი, რომლითაც შენ მთელი ჩემი არსება ისე გადაპკეტე, რომ ყველასაგან შეუვალი შეფიქნი, შენ ერთს გეკუთვნის. Adieu“².

(გაგრძელება იქნება)

¹. Aul. 172. იქვე 250.

². Aul 259.

გერცელ ბააზოვი

უ მ თ ზ ა ი ნ ი *

ნაწილი მეორე

გაორიბა

..

პატარა სალოცავი საესე იყო მორწმუნე ხალხით. ლოცვა დასრულებული იყო და ის გარემოება, რომ თებაზე იდგა არა სასულიერო პირი, არამედ გაბაი მენაშე, ამტკიცებდა იმას, რომ ამქამად აქ იყო რალაც „მიტინგის“ მსგავსი. ხალხს ეტყობოდა მოუსვენრობა, დალილობა. სურდათ მალე დასრულებულიყო.

ნათანისა და ირაკლის შესვლა თითქმის არავის შეუმჩნევია, გარდა ძია დათოსი, რომელიც ყოველთვის, ლოცვის დროს და ხალხის ყოფნის შემთხვევაში, კარებთან იდგა ხოლმე. ძია დათოს ნათანის დანახვისას სახე გაუბრწყინდა და ამოუდგა მათ გვერდით. ამავე დროს თავს მოვალედ სთვლიდა მიეცა მათთვის შესაფერი ახსნა-განმარტებანი—თავისი კომენტარებით.

სალოცავს ჰქონდა ხის კედლები. იგი ახლად შეღებილი იყო, რის გამოც საღებავის სუნი ჯერ კიდევ საკმაოდ საგრძნობი იყო. ნათანს თვალში ეცა, რომ მისი ნაცნობი აივანი, სადაც მან გაატარა ერთი ღამე—იღარსად იყო და ძალიან გაუკვირდა. ძია დათო თითქოს მიუხვდა აზრს, მიეშველა:

— ნულარ ეძებ აივანს. ხომ ჰხედავ, ლოცვა გალამაზებულია და გაფართოებული. აივანი დავანგრიეთ და შემოუერთეთ. თან საღებავიც წაუსვით და ამ კვირაში გვექნება ხინუხ—ჰაბაითი¹: კამათიც ამიტომ არის გაჩერებული. ფული უნდა შევაგროვოთ. ამ საკითხზე როცა მორჩებიან ლაპარაკს, შემდეგ ჩემი საკითხი უნდა გადაწყვიტონ.

ნათანმა გაიცინა.

— კიდევ არ გადაუწყვეტიათ შენი საკითხი?

— შენი ბრალია—მიუგო ძია დათომ.—რატომ არ დამიწერე თხოვნა? იმ ღამის შემდეგ—ოთხმა თვემ გაიარა. სად დაიკარგე, კაცო? რამდენჯერ ვიყავი შენთან და არც ერთხელ არ დამხვდი სახლში...

* იხ. მნათობი № 4.

¹ ხინუხ—ჰაბაითი—სიტყვა—სიტყვით ნიშნავს—სახლის ხეიმი.

ძია დათომ შეატყო, რომ იგი ხელს უშლიდა, ამ დროს თებიძის მოლაპარაკე მენაშეს და გაჩაშდა.

მენაშე უკვე ასრულებდა სიტყვას:

— ვაყად-ჰაკეილამ ამოირჩია ხუთშაბათი, ხუთშაბათ სულამონ უნდა ჩავატაროთ ისეთი ზეიმი; რომ ახალციხელებს ზედ თვალები დარჩეთ. თქვენ კარგად მოგვხსენებთ, რომ აუარებელი ფული დაეხარჯეთ ჩვენი ლოცვის გასამშვენებლად. გაბაება დღედღამე სულ ამაზე ვფიქრობდით და სხვას არაფერს არ ვაკეთებდით...

— რა უსვინ დისოა—ჩემად უთხრა ძია დათომ ნათანს—სულ თავის თავს ახსენებენ. საწყალ შამაშს არ ახსენებენ! ეგენი სულ დასერიანობდენ და ყველაფერს მე ვაკეთებდი, მაგრამ რას იზამ... გულში ვიხრჩობ ბოლმას.

და მენაშემ ასე დაასრულა:

— ამიტომ ძვირფასო ჯამაათო, მოგიწოდებთ, რომ როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, არავინ არ დაიხიოთ უკან და თქვენი შეძლებისდაგვარად ყველამ შესწირეთ ამ დიდ საქმეს.

ირაკლიმ გადახედა ხალხს. სურდა გაეგო, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა. ზოგიერთები დარცხენილები იჯდნენ და ხმას არ იღებდნენ. ზოგი მკობლებს შესცქეროდა და ზოგიც გაპარვანზე ფიქრობდა. ბოლოს ვიღამაც ჩახველებით დაარღვია სიჩუმე, რის შემდეგაც, სხვადასხვა კუთხეში, ერთსა და იმავე დროს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად—დაიწყეს თავიანთი აზრის გამოთქმა.

— დაიწყოს ყვრა შათაშვილმა და ჩვენც მივყვებით.

— ამოაღეთ ხმა! რას გაჩუმებულხართ!

— ღმერთის სახელზე, ყელამ შესწიროს შეძლებისდაგვარად!

— ამდენი შრომა გაგვიწევია. უზინუბ-ჰაბაითოდ როგორ შეიძლება!

— გათენებამდე აქ ხომ არ უნდა ვიყოთ. მორჩით გაათავეთ!

თების წინ დადგა ერთი ახალგაზრდა კაცი და ითხოვა სიტყვის ნება.

— ეს არის შაულ ათანელიშვილი—საიდუმლო ჩურჩურით შეატყობინა ძია დათომ ნათანს.—მაგას ღმერთი არ სწამს. ტრამეაის პარკში მუშაობს და ღამით ვაგონებს რეცხავს. ასე ამბობენ, მალე კომუნისტებში იქნებაო. ლოცვაზე ტყუილად დაიარება. ღმერთსაც ატყუებს და ხალხსაც.

ოცდაორი წლის ახალგაზრდა სტოვებდა ოცდაათი წლის შთაბეჭდილებას, მის სახეზე შეიძლებოდა წაკითხვა მისი განვლილი ცხოვრებისა, რომლის მანძილზე მას უვლია გაჭირვებისა და უსიამოვნო გზებით. მისი თვალები ერთსა და იმავე დროს გამოჰხატავდნენ უკმაყოფილებასა და იმედს. ხელები მხოლოდებით ჰქონდა საესე. თითის წვერები გაშავებული ჰქონდა და მის ფრჩხილებში ჭუჭყს მოენახა ბინა.

მისი ლაპარაკი იყო დამჯერებელი და გულწრფელი, რის გამო ირაკლიმ გადაუჩურჩულა ნათანს:

— ძალიან მომწონს ეს ახალგაზრდა. იგი უნდა იყოს მეტად უბრალო და მართალი ადამიანი. ლაპარაკობა ნაძველი მუშური ფსიქოლოგიით, რაც—როგორც ვხედავ—ძალიან იშვიათია თქვენში.

შაულის სიტყვამ „ნათანზედაც მოახდინა ღრმა შთაბეჭდილება“ ნათანი სწავლობდა მის სახეს. რათა კარგად დახსომებოდა. ამ წუთებში მის გაუფლავ აზრმა რომ, პირველ შეძლებისთანავე მან უნდა გაიცნოს დავით ბიჭოჭიშვილის ეს ახალგაზრდა მუშა, რომლის ზოგიერთი აზრები მას ღრმად მოსწონდა.

— არავითარი ზეიმი არ არის საჭირო. — ამბობდა შეიჩა. — რა მიზანი აქვს ზეიმს? რისთვის უნდა ვიზეიმოთ? განა მართლა ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მეზობლები — ახალციხელები — გავაკვირვით? ერთად ერთი ხალხი ეს ჩვენა ვართ ისრაელები, რომლებსაც გეჩვევია ყოველივე დადიწყოთ ზეიმით და... დაეასრულოთ ტრაურით. არაფერი ისეთი არ მომხდარა, რომ მისი აღნიშვნა საჭირო იყოს ზეიმით. თქვენ მეტყვიით, რომ გაბებმა ლოცვა შელბესო. მერე ვისი ფულით? ღარიბებისა და გაღატაკებული ხალხის კაპიეკებია ჩაყრილი ამ საღებავებში. ყოველი კაპიეკი რომ დაამტვრიოთ — იჭიდან ვედრა სისხლი გამოვია. ნუ თუ არ კმარა, რაც შეიწირა წარსულმა? ახლა კიდევ გინდათ გაღატაკებული ხალხის ზურგზე — ქეიფი და ლბინი გამართოთ? ძვირფასო ძმებო! ხომ ხედავთ, მე მუშა ვარ. ჩემი პატიოსანი შრომით ვირჩენ თავს. თქვენი უმრავლესობა — ყოფილი მეწვრიმალებია, რომლებსაც დღეს აღარაფერი საჭმე არ გაქვთ. იმის მაგივრად, რომ დრო დავკარგოთ ზეიმზე და ახალციხელების გაბრაზებაზე — არა სჯობია ვიფიქროთ პატიოსანი სამუშაოს გამოძებნაზე? ჩვენი მთავრობა — მშრომელთა მთავრობაა. დღეს პურს სჭამს ის, ვინც მშრომელია. მართალია ბევრი მუქთახორა ჯერ კიდევ იოლად სცხოვრობს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ამ მუქთახორებს, რომლებსაც არაფერი არ აკლიათ, უნდათ დრო გაატარონ, იჭეიფონ და ამისათვის გამოუგონიან ეს ზეიმი. ღარიბებო! მე მოგიწოდებთ ნულარ წამოგეგებით მათ ანკესზე და ნურც ერთ კაპიეკს ნუ გაიღებთ ამ სისულელისათვის. ახალგაზრდებო! ნუ მიჰყვებით ძველი თაობის აზრებს და დროს ნუ ჰკარგავთ. გაახილეთ თვალები, მიმოიხედეთ თქვენს გარშემო და იზრუნეთ თქვენი მომავლისათვის.

როცა შაულმა დაასრულა თავისი სიტყვა, ისევ შეიჩა ხმაურობა.

— რას უგდებთ მაგას ყურს. ეგ სულელია.

— ღმერთი არა სწამს.

— ვისაც არ უნდა შესწიროს, წავიდეს აქედან. იმას არა ვთხოვთ.

— შაულ ათანაშვილი მთელი ჯამაათის ცოდვას იღებს.

— ჯამაათო! მორჩით. კმარა დაიწყეთ...

უმეტესობა მაინც ჩუმად იყო. შაულის ლაპარაკმა ღარიბებზე იქონია თავისი გავლენა და ისინი ისხდნენ ჩუმად, ხოლო ხმის ამოღება — მაინც ვერ გაებედათ.

ხმაურობა კი თანდათან მატულობდა.

— მალე გათენდება.

— რა დროს გათენდება. ორი საათის წინედ დაღამდა...

— ყვზრა შათაშვილო, დაიწყე!

თებაზე ავიდა ყვზრა შათაშვილი. იგი იყო ოცდარვა წლისა. ეცვა თბილისი პალატო ყვითელი საყულოთი, რომელიც უფრო ამსხვილებდა მის სქელ ფიგურას. სახე რგვალი ჰქონდა, ცხვირი — დიდი თვალები კატისფერი — გაუბედა-

ობისა და სიფრთხილის გამომეტყველებით მარცხენა ლოყაზე ჰქონდა შავი ხალი, რომელზედაც შესზრდოდა წვერი. გაპარსული იყო სუფთად. თავზე ეხურა აზიური ქუდი, რომელიც შორიდან ევროპიულ შლიაპას ჰგავდა.

ძია დათო უფრო მიუახლოვდა ნათანს.

— ეს კაცი არის ყებრა შათაშვილი, ცხინვალელების მთავარი გაბაი. თავში არაფერი უყრია, სამაგიეროდ ჯიბეში კი ბევრი აქვს. ძალიან ძუნწია. სიკვდილივით ეზარება კაპეიკის ვალეზა. მაგან გააშრო ჩემი სისხლი. ეგ არის, რაც არის, თორემ სხვებს როგორც იქნებოდა თავს მოუვლიდი. თუ ამალამაც არაფერი იქნა...

და უცბად თითონ შესწყვიტა, რომ გაეგონა ყებრა შათაშვილის შეწირულება.

მაგრამ ყებრა შათაშვილი არ ჩქარობდა ცუფრის დასახელებას. ჯერ უნდა ელაპარაკნა. მას ძალიან ახასიათებდა ეს თვისება. ლაპარაკობდა ყოველთვის პირველ შემთხვევის თანავე. არსოდეს არ იცოდა თითონ, რას იტყოდა, რა უნდა ეთქვა. არავითარი მიზანი და გამართლება არა ჰქონდა მის ლაპარაკს. მისთვის სულ ერთი იყო, რამდენი კაცი უსმენდა მას; ასი თუ ერთი. თუ კი ვინმე უსმენდა—იგი დიდი სიამოვნებით ლაპარაკობდა. როცა დაიწყებდა სიტყვას, თუ არ შეაწყვეტინებდნენ, თვითონ არასოდეს არ იფიქრებდა მის გათავებას. ოღონდ კი ელაპარაკნა, მისთვის სულ ერთი იყო, რას იტყოდა. ერთი სიტყვის განმავლობაში რამოდენიმეჯერ შეატრიალებდა თავის აზრებს, რომლებიც დაუნდობლად არლევდნენ ერთი მეორეს. როდესაც მისი აზრები დაიწყებდნენ ქანაობას, მაშინ ზოგიერთები ველარ ითმენდნენ და აწყვეტინებდნენ მას. საერთოდ, ვიდრე შესაძლებელი იყო უსმენდნენ, რადგან იგი იყო მთავარი გაბაი და ამავე დროს მდიდარი კაცი, რის გამო ბევრის ცხოვრება იყო დამოკიდებული მისგან ეკონომიურად. მაგრამ იშვიათად გაჰყვებოდათ მოთმინება ბოლომდე.

— რაც ილაპარაკა შაულ ათანელიშვილმა—ამბობდა ყებრა შათაშვილი— ყველაფერი სიმატლეა. დღეს მშრომელების მთავრობაა და ამიტომ ყველა ვშრომობთ. მუქთახორა ჩვენში არ უნდა იყოს. არც არავინა ვართ მუქთახორა თუმცა არის ერთი. ეს არის ძია დათო.

— შენ თვითონ ხარ მუქთახორა—გაჯავრებით შესძახა ძია დათომ, რომელიც მოშორდა ნათანსა და ირაკლის და დადგა თემის ახლოს, საბრძოლველად გამზადებული.

— საკითხზე ილაპარაკე. რამდენი გინდა შესწირო?—შეეკითხა ვილაც.

— მე სწორედ საკითხზე ვლაპარაკობ. ამალამ უნდა გადასწყვიტოთ მაგის დათხოვნის საკითხი. რაც შეეხება შეწირვას, ყველამაც უნდა შევესწიროთ. აბასადაური ისრაელები ვართ, ხინუხ-ჰაბაითი თუ არ გადავიხადეთ? ღმერთის სახელზე მე ვწირავ ხუთ მანეთს.

— ცოტაა—დაიძახეს ერთად რამოდენიმემ.

— ცოტაა—დაეთანხმა მათ ძია დათოც.

— დროება გამოიცვალა. ახლა ყველამ უნდა ვიშრომოთ და ისე ვიშოვოთ ფული-ვაჭარი ხალხის საქმე თანდათან უკან მიდის.—თავს მართლულობდა

ყვზრა—ხუთი მანეთი ცოტაა ამ საქმისათვის. თუმცა ამ დროებშიც კი ძალიან ბევრია.

შემოწირულება ჩატარდა უხალისოდ. ყვზრას ხუთი მანეთის შემდეგ, აქაიკ გაისმა:

- ორი მანეთი!
- მანეთ ნახევარი!
- ათი შაური!
- სამი აბაზი!
- ექვსი შაური

შაულმა შეწირულებაზე უარი განაცხადა და სალოცავიდან გავიდა. მას უკან გაჰყვა ორი-სამიკაცი. შემდეგ კიდევ გავიდა ამდენივე. ყვზრამ როცა დაინახა, რომ ხალხი სტოვებდა სალოცავს, დაიძახა:

- მოითმინეთ ჯამათო, ნუ მიდიხარ! შამაშის საქმეა გადასაწყვეტი.

ამაზე გაისმა უსიამოვნო ხმები:

— ამდენი ხანი თქვენ დაგვაბრჩეთ, ახლა ძია დათოსაც უნდა დაახრჩობინოთ ჩვენი თავი?

- რა დროს ძია დათოა ამ შუალამისას!

— აბა რისი გაბაეები ხართ, თუ მაგის საქმეც ვერ გადასწყვეტეთ?

ძია დათო ავიდა თების კიბეზე და დაიძახა:

— ჯამათო, თქვენი ცოლშვილის სადღეგრძელოდ, მოითმინეთ და მე მოვახსენებთ, თუ რაც შეილება არიან-ჩვენი გაბაეები.

ერთმა თეთრწყვერა მოხუცმა ავტორიტეტული ხმით მიმართა ყვზრას:

— ამდენი ხანი მოგვიცდია. ახლაც შეგვიძლია ცოტა, კიდევ მოვიცადოთ დაიწყე!

— ერთი სიტყვით, ჯამათო, რალა ბევრი თავი შეგაწყინოთ—დაიწყო ყვზრამ—ძია დათო შამაშად არ გვარგია. როგორც ნამდვილი წურბელა, ისე სწოვს ჩვენს სისხლს. მართალია. კარგა ხანია ჯამაგირი არ მიგვიცია, მაგრამ ანგარიშით აღარაფერი ერგება. ლოცვას თუ რამე შემოსავალი აქვს ყველაზე უმაღლეს, ჩაიგდებს ხოლმე ხელში. ყველაფერს დაეპატრონა და აღარავის არ უწევს ანგარიშს, არც რაბის, არც გაბაეებს და არც ჯამათს. ამიტომ გადაეწყვეტეთ მისი დათხოვნა.

— გადასწყვეტეთ და დაგეთხოვათ! ჩვენ რალაზე გავგაჩერეთ...—სთქვა ერთმა.

— საქმეც იმაშია, რომ ამ დათხოვას ხელს უშლის ერთი მიზეზი. ეს მიზეზია—ბალშევიკები. ძია დათო წასულა და იმათ კავშირში ჩაწერილა. თუმცა ესეც არაა დიდი მიზეზი. მე დავწერე ერთი დიდი ქალაქი კავშირის სახელზე, რომ ვინაიდან ძია დათო ჩაეწერა ბალშევიკების კავშირში—იმათმა დაუნიშნონ ჯამაგირი. ჩვენ არაფერი საქმე არა გვაქვს არც ძია დათოსთან და არც ბალშევიკებთან. ნურც ბალშევიკები გაბედავენ ჩაერიონ ჩვენი რელიგიის შინაურ საქმეებში. ყველაფერი ჩაეწერე იმ ქალაქში.

— ხომ არ გავგიჟდი! იცი რას გიზამენ ბოლშევიკები მაგ ქალაქისათვის?—შესძახა ერთმა საშუალო ხნის კაცმა. რომელიც შიშისაგან გაფითრებულ იყო.



- რას მიზამენ?
 — ციმბირში გადაგასახლებენ. აბა შენ რა გგონია, თვეჯერე ზღელს; მოგოს-
 ვამენ?
 — მერე, საიდან წაიკითხავენ იმ ქალაქს?
 — შენ არ სთქვი, დავეწერო?
 — დავეწერე, მართალია, მაგრამ ჯერ არ გამოგზავნია. მე იმას მოგახსე-
 ბდით...

ყვარა განაგრძობდა ლაპარაკს.

ხალხს მოთმინება დაეკარგა და სწავითაოდ დაიწყეს სალოცავიდან გასვლა. მათთან ერთად გამოვიდნენ ნათანი და ირაკლიც. კიბეზე ჩამოსვლისას ირაკლი ეუბნებოდა ნათანს:

— მეტად ორიგინალური კაცია ეს შათაშვილი. საერთოდ კი, უნდა გითხრა ნათან, რომ თქვენი ხალხი იმდენად ჩამორჩენილია, რომ მათ ჯერ არც კი უგრძნობიათ რევოლუცია.

— მართალია — დაეთანხმა ნათანი.

ხოლო ამ დროს, სალოცავში თებასთან მდგარი ძია დათო მობრუნდა და როცა დაინახა, რომ ნათანი და ირაკლი იქ აღარ იყვნენ, მოუწედა რაღაც ახრი და სასწრაფოდ შეაწყვეტინა ყვარას ლაპარაკი:

— ახლა კი ამოვიყრი შენს ჯავრს. შენ ავინე ბოლშევიკები, ხომ? აქ რომ ორი ახალგაზრდა კაცი იყო, ისინი მთავრობის გამოგზავნილი იყვნენ ჩემს საქმეზე. იმათმა ყველაფერი გაიგონეს.

ყვარას ფერი ეცვალა, მაგრამ ლაპარაკისათვის თავი არ მიფუნებებია. იგი ლაპარაკობდა ჩვეულებრივად, ხან ერთსა და იმავს იმეორებდა, ხან არღვევდა უკვე თქმულს და ხან უბრუნდებოდა ძველ აზრებს. სალოცავში დარჩა ორი სამი კაციც. ყვარა მაინც ლაპარაკობდა.

უკანასკნელად მას უსმენდა მარტო ძია დათო, ყვარა ისევ განაგრძობდა ლაპარაკს.

— რასაკვირველია, შენ მართალი ხარ. შენ გერგება ჯამაგირი. მაგრამ ჩვენც მართალი ვართ. ჩვენ გაბაეები ვართ და შენ უნდა გჭონდეს ჩვენი დაჯერება. შენ არ გვემორჩილები. ამიტომ შენ არ გერგება ჯამაგირი... რაც შეეხება მთავრობის გამოგზავნილ კაცებს, ჩვენ იმათ აუხსნიით...

ახლა ძია დათოსაც მოსწყინდა ლაპარაკის ასეთი დაუსრულებელი ტრიალი. სასწრაფოდ ავიდა თებაზე, მოლაპარაკეს უჩვენა სალოცავის გასაღები და უთხრა:

— თუ არ გაათავებ, ვკეტავ და მერე იდექი და რამდენიც გინდა ილაპარაკე.

4

ავგუსტინა იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და სწერდა.

იულია დასეირნობდა ოთახში, ათვალღერებდა კედლებზე ჩამოკიდებულ ახალ სურათებს, ხან შეჩერდებოდა და აკვირდებოდა ავგუსტინას ცნობის მოყვარეობით.

ავგუსტინას სახე მეტად სერიოზული იყო. ტუჩები ჩვეულებრივზე უფრო გამოწეული ჰქონდა, რაც ამტკიცებდა, რომ იგი უკმაყოფილო იყო. კაღვში ან ძაან ჩქარა მიჰქროდა ქალღმერთი, ან პირიქით, სულ ნელა. კრახავს მწყობრად, გადაკითხვის შემდეგ, ისევ ხევდა და ისევ უდგებოდა ხელახლა წერას. იულისს ყოფნას თითქმის არც ამჩნევდა.

იულია ატყობდა, რომ ავგუსტინა გამოიცვალა. უკანასკნელ ხანებში ავგუსტინა იშვიათად იცინოდა, მომეტეულ დროს ფიქრში ატარებდა. ავგუსტინა აღარ ჰგავდა ძველ ავგუსტინას. მის სახეზე აღარ იყო სიცოცხლის სიყვარულის გარეგანი გამოხატულება. რაღაცას ატარებდა საიდუმლოდ, თავის გულში და იულისს სწყინდა, რომ ავგუსტინას არ სურდა მისთვის გაზიარება.

იულიამ როცა დაინახა, რომ ავგუსტინამ მეხუთედ დახია დაწერილი ქალღმერთი, ვეღარ მოითმინა, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და მეგობრული აღერსით შეეკითხა:

— არ გინდა გამიზიარო—შენი ფარული აზრები?

— შენ გეტყვინებ.—უპასუხა ავგუსტინამ.

— არა, ავგუსტინა, შე არ მეტყვინებ. ჩემისთანა მეგობარისათვის ძნელი არ არის დარწმუნება იმაში, რომ შენში მოხდა დიდი ცვლილება. ძნელი გახდა ამ ბოლო დროს შენი გავება. შენ არ შეგეძლო რამე დაგეთარა ჩემგან. ეხლა კი გატყობ, რომ შენ რაღაცას მიმალავ.

— შენ გეტყვინებ.—უპასუხა ისევ ავგუსტინამ.

— იყავ გულწრფელი. სად გაჰქრა შენი სიცოცხლე, სიცილი, სიცოცხლის სიყვარული? განა შენ თვითონ არ შეუბნებოდით, რომ ეს ხანმოკლე დრო, რაც შეიძლება მეტი სიხარულით უნდა გავატაროთ ამ ქვეყნადო? გახა ასე ადრე დაგაეიწყა შენი სიტყვები?

ავგუსტინამ კიდევ დახია უკანასკნელად დაწერილი ქალღმერთი და მობრუნდა იულიასკენ.

იულია ჰგრძნობდა, რომ ავგუსტინას ეძნელებოდა პასუხის გაცემა. უცბად გაუეღვა რაღაც აზრმა, შუბლზე დაადო მეგობარს თითი და ჩახედა პირდაპირ თვალებში:

— ნუ თუ ასე ძლიერ მოგწონს ნათან ჯანაშვილი?

— სისულელეს ლაპარაკობ, იულია.—უპასუხა გაბრაზებით და გაწითლდა

სიწითლემ გასცა. იულისს ეჭვი აღარ ეპარებოდა თავის ნათქვამში.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. შემდეგ ავგუსტინა მოულოდნელად შეეკითხა:

— გსურს ერთი თხოვნა შემიხსრულო?

— სთქვი.

— მინდა საჩქაროდ ოსიპი ვნახო.

— რაში დაგჭირდა ოსიპი?

— ნუ მკითხავ, რისთვის. თუ გსურს—დამიძახე, თუ არა—არა.

— ეხლავე?

— ეხლავე.

— მივდივარ. მხოლოდ ამას გეტყვი, ავგუსტინა. შენ უცნაური გიბდი ამ ბოლო დროს.—

იულამ ჩაიცვა საზამთრო პალტო და გავიდა.

გარეულ მამბოვა

ავგუსტინაც კარგად ჰკრძნობდა, რომ იგი უცნაური გიბდი არ სურდა, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ ასე იყო. ნათან ჯანაშვილი იყო დამნაშავე. ეს დაიწყო პირველ გაცნობის საღამოს.

ნათანი არ გავდა სხეებს. ყველა ფეხზე იგებოდა ავგუსტინას, ნათანი არა. ყველა ჰკრძნობდა ავგუსტინას საზოგადოებაში ყოფნის საჭიროებას, ნათანი არა. ყველანი წაჰყვენ ავგუსტინას გასაცლილებლად, ნათანი არა.

მას შემდეგ ავგუსტინა ბევრს ფიქრობდა ნათანზე და უცბად მივიდა იმ აზრამდე რომ მას მოსწონს ნათანი, უფრო მეტიც—უყვარს.

ნათანს შეხვდა ორჯერ. ორივეჯერ შემთხვევით—ქუჩაში. ნათანი ჩვეულებრივად იყო ზრდილობიანი და ცივი. ავგუსტინას სიცილი, სილამიზე, მიზიდველობა—მასზე არ მოქმედებდა. ავგუსტინას არ ესმოდა თუ რისთვის არ ჰგავდა ნათანი სხვა მამაკაცებს, რისთვის შეადგენდა იგი გამონაკლისს. ავგუსტინა დარწმუნებული იყო, რომ მის ღიმილს ვერ გაუძლებდა ვერც ერთი მამაკაცი, რომ არ ეპასუხნა სამაგიეროთი. ნათანმა გაუძლო. ნათანისათვის სულ ერთი იყო. ნათანის გულგრილობა ხან აბრაზებდა, ხან უფრო უძლიერებდა სურვილს ნათანის ნების მოტეხისას. არაფერი არ შეელოდა, ნათანის დამოკიდებულებას ავგუსტინასადმი არ ეჩინებოდა არავითარი ცვლილება. ორივეჯერ, შეხვედრისას ავგუსტინამ მიიწვია ნათანი თივისთან. ნათანმა გადაუღო.

რამდენადაც შორს იყო ნათანი ავგუსტინასაგან, იმდენად უკანასკნელი ახლოს იყო მასთან. რამდენადაც ნათანი უკან იხევდა—იმდენად ავგუსტინა წინ მიიწევდა. რამდენადაც ავგუსტინასა ელობებოდა სიძნელენი—მით უფრო მეტი გამძაფრებით მიიწევდა თავისი მიზნისაკენ. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, ნათანი მოექცია თავის მოტრფიალეთა სიაში.

ავგუსტინა ამჟამად სხვაზე აღარ ჰფიქრობდა. მას იზიდავდა ნათანი, მხოლოდ ნათანი, რომელიც განსხვავდებოდა სხვებისაგან. ამ ფრონტზე გამარჯვება ასე ადვილად არ მოდიოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ავგუსტინას სახეს და ხასიათს დაეტყო საგრძნობი ცვლილება.

იულისას გასვლის შემდეგ კიდევ ორჯერ დახია დაწერილი წერილები. შემდეგ დასწერა მოკლედ: „კმარა ამდენი ჯიუტობა და გადადება. მე თქვენთან მაქვს საქმე. მე მინდა თქვენი ნახვა საჩქაროთ, ეხლავე. გელით მოუთმენლად. ავგუსტინა“.

წაიკითხა და აღარ დახია. ჩასდო კონვერტში, დახურა და ზედ დააწერა: „ნათან ჯანაშვილს“. ცოტა ხნის შემდეგ მიაწერა: „პირადათ“. როცა ოსიპმა დააკაკუნა, ერთხელ კიდევ აიღო კონვერტი ხელში, მიაწერა „საჩქაროთ“ და გაემართა ოსიპისაკენ კარის გასაღებად.

— ჩემო ოსიპ—უთხრა მას შემოსვლისთანავე—ძალიან საჩქარო საქმეა. გაიქეცი ეხლავე და ეს წერილი გადაეცი ნათან ჯანაშვილს. პასუხი მომიბრუნე, გენაცვალე საჩქაროდ.

ოსიპი იდგა კარებში და ხელში ეჭირა ავგუსტინას მიერ მიცემული წერილი.

— რაღაზე სდგახარ, ხომ გითხარი, რომ ძალიან საჩქაროა?

— იულიამ დამაბარა, ხვალ კიდევ შემოვივლიო.

— კარგი, ოსიპ. წადი ეხლა.

— მაგდებ, ავგუსტინა?

— როგორი ცუდი ხარ, ოსიპ.— უთხრა ეშმაკურად ავგუსტინამ.— ძალიან საჩქარო საქმეა და იმიტომია, რომ ასე გაჩქარი.

— მე არ შეიძლება გავიგო, რა საქმეა? — არ იჩქაროდა ოსიპი.

— არა. — უთხრა გაბრაზებით ავგუსტინამ და წერილი ჩამოართვა. — მე თვითონ წავალ.

ამის გამგონე ოსიპმა წერილი გამოსტაცა და გაეარდა. გასვლამდე უთხრა:

— გული ნუ მოგდის, ავგუსტინა, მე ისე...

— სულელი... — ჩაილაპარაკა თავისთვის ავგუსტინამ.

ოსიპის გასვლის შემდეგ გარკვევით ესმოდა თავის გულის ცემა. ძლიერ ღელავდა. არ იცოდა, როგორ მოეკლა დრო პასუხის მოლოდინში. „მოვა თუ არ მოვა“ — ფიქრობდა. „მოვა“ გადასწყვიტა.

ტანისამოსის შკაფიდან გამოიღო ლურჯი კაბა რომელიც ყველა თავის კაბებზე უფრო მოსწონდა და საჩქაროდ გადაიკევა. შემდეგ დაიფარცხნა თია. რამოდენიმეჯერ მობრუნდა სარკესთან. მოსწონდა თავისი თავი.

„ოღონდ კი მოვიდეს. მე იმას ვაჩვენებ გულგრილობას“ — ამბობდა თავის გულში.

როცა მორჩა შილიკებს, ფრჩხილებს, პუდრას და ტუჩებს, აიღო წიგნი და ჩაჯდა სავარძელში.

საცოდავი ავტორი! მისი „მკითხველი“ თითქოს კითხულობდა, მაგრამ ვინ ფიქრობდა მის გმირებზე? ავგუსტინას ჰყავდა თავის საკუთარი გმირი, რომელიც ამ წუთებში სწევავდა მთელ მის არსებას. განა შეეძლო მას ეფიქრა, ვილაც შორეულ, ისტორიულ გმირებზე?

თვალები მაინც სტრიქონებში ჰქონდა, ფურცელი ფურცელზე გადადიოდა, მაგრამ გონება კი არაფერს ითვისებდა. შავი ასოების ზევით მას ელანდებოდა მხოლოდ ერთი სახელი: „ნათან“.

ავგუსტინამ ყველაფერი წარმოიდგინა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო მისი აზრით:

„ოსიპი შევიდა ნათანის ოთახში. უკვე გადასცა წერილი. ნათანმა წაიკითხა და გაიღიმა. შემდეგ აიღო ფანქარი და დასწერა პასუხი: „ძვირფასო ავგუსტინა! მაპატივეთ ამდენი ხნის ჯიუტობა. განა შემიძლია არ მოვიდე? მელოდეთ ხუთ წუთში. ღრმა პატივისცემით. თქვენი ნათან ჯანაშვილი“. ოსიპი მორბინ და მოაქვს პასუხი. აი კიდევ მოვიდა“...

ოსიპი მართლაც შემოვიდა და გადასცა პასუხი. ავგუსტინამ საჩქაროდ გასხნა კონვერტი და პირველი სიტყვა, რომელიც მას თვალში ეცა, პატარა ბარათის ამოღებისთანავე, ეს იყო: „მაპატივეთ“.

„ხომ ეთქვი“ — გაიფიქრა ავგუსტინამ და წაიკითხა ხუთი სიტყვა, რომლისგანაც შესდგებოდა მთელი პასუხი:

„მაპატივეთ. ვმეცადინა. არ შემიძლია მოსვლა“.

უცხად აუვარდა ისტერიული ტირილი, წერილი აქცია ნაკუნაკუნად, შეხედა ოსიპის გამოსტერებულ თვალებს და ქალადის ნათქვამი უსროლა პირდაპირ სახეში. შეშინებულმა ოსიპმა უკან დაიხია. ავგუსტინა კი უფრო მიუახლოვდა და მთელი თავის გულის წყრომით დაუყვირა:

— შენი ბრალია ყველაფერი...

მოულოდნელობისაგან გაოცებულმა ოსიპმა ძლივს გააღო პირი:

— მე რა შუაში ვარ, ავგუსტინა?

* * *

— ძლივს! — წარმოსთქვა ავგუსტინამ, როცა ნათანს გაულო კარები.

ნათანი შემოვიდა გაუბედავად, ზრდილობიანად ჩამოართვა ხელი და დაჯდა. იმდენად გრძნობდა უხერხულობას, რომ ავგუსტინას ლამაზმა ოთახმა არც კი მიიქცია მისი ყურადღება. ვიდრე ავგუსტინა იტყოდა რამეს, ნათანს უკვე გაუელვა აზრმა, რომ სასწრაფოდ უნდა გაეიდეს აქედან. არ იცოდა, თუ რა სურდა მისგან ავგუსტინას, რომელიც უკანასკნელი თავის განმავლობაში საოცარი დაინებებით ეძახდა თავისკენ.

ავგუსტინა იდგა ნათანის პირდაპირ გამომწვევი ღიმილით და სასიამოვნოთ მოცინარე თვალებით.

— როგორ გეტყობათ, რომ თქვენ მთებში ხართ გაზრდილი. — დაიწყო ავგუსტინამ

— რისთვის გგონიათ ასე?

— თქვენი ხასიათი ამტკიცებს ამას. მთასავით ამაყი ხართ და შეუდრეკელი. რამდენი ენერგია დავხარჯე მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენ მოსულიყავით ჩემს ოთახში.

— განა ასე საჭირო იყო ჩემი მოსვლა?

ავგუსტინამ ტუჩებზე იკენიტა.

მხოლოდ ეხლა შეამჩნია ნათანმა, რომ ავგუსტინას ჰქონდა მეტად თავებდური და ამავე დროს მიწვიდველი ტუჩები. ავგუსტინა მიუახლოვდა ნათანს. ნათანს ესმოდა ავგუსტინას გულისცემა.

— თქვენ უცნაური ახალგაზრდა ხართ — უთხრა ავგუსტინამ.

— ამისთვის დამიძახეთ?

— ნუ თუ თქვენ ოდნავადაც არ გსიამოვნებთ ჩემთან ყოფნა? — პასუხის ნაცვლად შეეკითხა ავგუსტინა.

— არ ვიცი.

— თქვენ არ ჰგეხართ სხვა ახალგაზრდებს.

— შეიძლება.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ნათანმა დაინახა, რომ კუთხეში ჩამოკიდებული იყო ოსიპის სურათი, რომელიც მეტად იდიოტურად იცინოდა. თუმცა ამ სურათში უგი ძნელი საცნობი იყო, მაგრამ ნათანმა მაინც იცნო. მიუხედავად ამისა მხოლოდ იმისათვის, რომ სიჩუმე დაერღვია, შეეკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

— განა თქვენთვის სულ ერთი არ არის? —



- რასაკვირველია.
- ავგუსტინამ ველარ მოითმინა და უთხრა:
- თქვენ ბოროტი კაცი ხართ.
- არავითარ დანაშაულს არ ვგაჩნობ. არ ვიცი, რისთვის მეძახით ბოროტ კაცს.
- მე კი რადგანაც ვამბობ, ალბად ვიცი.
- მე სმენად ვარ გადაქცეული.
- ამაოდ. არ გეტყვით.
- თქვენი ნებაა.
- ნუ თუ თქვენთვის, ნათან, მართლაც სულ ერთია ყოველივე ის, რასაც მე ფიქრობ თქვენზე?

ნათანმა, ცოტახნის შემდეგ, ოდნავ გაკვირვებულმა უპასუხა:

— მე ჯერ არ ვიცი, რას ჭეჭრობთ ჩემზე. როდესაც გავიგებ ნამდვილ მიზეზს, თუ რისთვისაც დამიძახებთ, მაშინ ალბად გეტყვით — სულ ერთია ჩემთვის ყოველივე ეს-თუ არა.

— მაშ თქვენ გსურთ გაიგოთ ნამდვილი მიზეზი, თუ რისთვისაც დაგიძახებთ. ხა, ხა, ხა! თქვენ ბავში ხართ, ნათან, სრულიად უმანკო, რომელმაც ცხოვრების არაფერი არ იცის. განა თქვენის აზრით, აუცილებლად რაიმე მიზეზია საჭირო, რომ ახალგაზრდა ვაჟი მივიდეს ახალგაზრდა ქალთან? სიმონი სწორად გახასიათებთ, რომ თქვენ კიდევ პროვინციელი ხართ.

— რა გსურთ ჩემგან? — წამოდგა ნათანი.

ავგუსტინამ ხელი დაადო მხარზე.

— რისთვის ხართ, ნათან ასეთი ცივი და მიუკარებელი? დადევით და გეტყვით. ჰო, ასე. მიუხედავად იმისა, რომ მე არ უნდა გითხრათ ეს, მაინც გეტყვით.

ნათანი უცდიდა. ავგუსტინა კი ფიქრობდა, როგორ დაეწყო. უცბად მოკლედ გადასჭრა:

— მე თქვენ მომწონხართ, ნათან.

ნათანი არ ელოდა. გაოცებული თვალებით მიაშტერდა იატაკს და დიდხანს დარჩა ასეთ პოზაში.

— ქალები არასოდეს არ იტყვიან ისე, როგორც მე. მე მომეწონეთ, გითხარით პირდაპირ.

— მე რა უნდა ვქნა ახლა, თქვენის აზრით? — შეეკითხა ნათანი.

ავგუსტინამ გაღიხარებულა და კარგ ხასიათზე დადგა.

— რამდენად სასაცილო ხართ, ნათან. ნუ თუ მართლა არ იცით, რა უნდა ჰქნათ? ამ სიტყვას, რომელიც მე გითხარით, ელიან ჩემგან აუარებელი ახალგაზრდები. არც ერთ მათგანს არ მოუვიდოდა თავში ასეთი გულუბრყვილო საკიოხი. მე ველი თქვენგან იგივე გრძნობას, ალერსს, ტრფიალს, სიყვარულს, ხევენა-კოცნას. გესმით, ნათან?

ნათანი გაჩუმებული იყო. ავგუსტინამ მოხერხებულად მოხვია მკლავი და შეეკითხა:

— იქნებ ვინმე უკვე გიყვართ?

— არა. — უპასუხა გაწითლებულმა ნათანმა და წამოდგა.

თავის პასუხთან ერთად ნათანმა იგრძნო გულის ტკვენილი და სწრაფოდ მიმოავლო თვალი გარშემო ოთახს და დაინახა ის ადგილი, სადაც ცხელი თა-ვისი ქული.

ავგუსტინას თვალები მრისხანებით აივსო, რადგანაც შეამჩნია რომ ნათანი წასვლას აპირობდა.

— ნუ თუ არაფერი გაქვთ სათქმელი? — შეეკითხა ავგუსტინა.

— არაფერი.

— მაშ თქვენთვის სულ ერთია ყოველივე ეს?

— სულ ერთია.

— იქნებ კიდევ გძულვართ?

— არა.

— მაშ იქნებ თქვენც მოგწონვართ?

— არა.

— მაშ რას ჰფიქრობთ ჩემზე?

— არაფერს. არავითარი გრძნობა არა მაქვს თქვენსადმი. მაპატივეთ, მე უნდა წაიღო. ამხანაგი ირაკლი აღბად უკვე გაბრაზებულია, რომ დავიგვიანე. ხვალ გამოცდა გვაქვს.

ავგუსტინამ ვერც კი გაიგო როგორ გავიდა ნათანი. კარები ღია დარჩა და სარკე უჩვენებდა კიბეზე ჩამავალ ნათანს. ავგუსტინამ ასწია თავისი პატარა მკლავი და სარკეში დაემუქრა:

— დამაცა პროვინციელო... მოგტეხავ... მოგარჯულებ...

* * *

„გაორება“

სად ამოიკითხა ნათანმა ეს სიტყვა? ძნელი იყო ამეამად მისთვის ამის მოგონება, მაგრამ ის კი გარკვევით ახსოვდა, რომ ეს იყო ბავშობისას. მაშინ არ ესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. უფრო მეტიც: ვერც კი წარმოედგინა როგორ შეიძლებოდა ადამიანის გაორება.

მაგრამ ეს იყო მაშინ. ეხლა კი, ამ ბოლო ხანებში — ნათანს აღარ აკვირვებდა ამ სიტყვის არსებობა.

ავგუსტინამ გააორა ნათანას სული, ნათანის გრძნობები, ნათანის ნებისყოფა.

უკვე ღამის თორმეტი საათია. ნათანი წევს ფიცრულ ტახტზე, თავის პატარა და ცივ ოთახში. სინათლე ჩამქრალია და ნათანს სურს დაიძინოს, მაგრამ მას არ შეუძლია დაძინება.

ოთახში ბნელა და ნათანის თვალები სჭრიან სუბნელეს.

შორეული მეზობელი როიალზე უკრავს შოპენის საშგლოვიარო მარშს და ნათანი ჰფიქრობს, რომ მეზობელი ასამარებს ნათანის ნებისყოფას.

ნათანი გრძნობს, რომ იგი აღარ არის ისე ძლიერი, როგორც მაშინ, როდესაც იგი იჯდა ავგუსტინას ოთახში. მას შემდეგ ავგუსტინა გადაედა გააფორებულ იერიშზე.

მოაგონდა: პატარა ბარათები, გრძელი წერილები. ქუჩაში შეხვედრა, თავხედური, ნაძალადევი ალერსი. „შემთხვევითი“ საუბრე ერთად. ისევე შემთხვევითი შეხვედრა თეატრში.

ავგუსტინა იბრძვის მედგრად და იმედოვნად. იგი დაჩქარებული გზით გადის.

ნათანი კი აწარმოებს მხოლოდ თავდაცვას, თანდათან უკან იხევს და გაურკვეველი შიში იპარება მის არსებაში.

ნათანი წევს და ჰფიქრობს. ნათანი წევს და იტანჯება. ნათანი ეკითხება თავის თავს:

„რას ჰფიქრობ ნათან? გიყვარს თუ არა ავგუსტინა?“

და ვიღაც სხვა ნათანი უპასუხებს მოკრძალებით:

„კი“

მასში პირველი ნათანი იკრებს თავისი ნებისყოფის უკანასკნელ ძაღლონეს და კვლავ ეკითხება თავის თავს:

„ალიარე სიშართლე, ნუთუ მართლა გიყვარს ავგუსტინა?“

— „არა, არ მიყვარს, პირიქით—მეზიზღება, მეჯავრება მთელი ჩემი არსებით“

— უპასუხებს იგივე ნათანი.

ნათანი უღონოა. ნათანი სასოწარკვეთილებაშია.

ნათანი გაორებულია.

ნათანს უყვარს ავგუსტინა.

ნათანს ეჯავრება ავგუსტინა.

არსად არ არის საშველი. თვალებს ჰხუქავს ამოდ. ძილი არ მოდის.

„მიყვარს“.

„მძულს“.

„მძულს“.

„მიყვარს“.

და ისევე ასე. ნათანი ცურავს ამ დაუსრულებელ რგოლში. იგი ქანაობს სასოწარკვეთილებაში. მას აწუხებს უძილობა. მას უნდა ძილი და არ ეთინება. მას სტკივა თვალები და სიმწარისაგან ჰკბენს ბალიშს. იგი ბრუნას გვერდიდან გვერდზე და ძველი ტახტის კრაკუნე უერთდება მეზოვის თავისებურ და ორი-გინალურ ღიღინს.

ერთხანს ცდილობს მისცეს თავის აზრებს გარკვეული მიმართულება. ჰფიქრობს ამ შუალამისას, სიბნელეში. ერთხელდასამუდამოდ გადასწყვეტოს საკითხი თუ როგორ მოიქცეს მომავალში. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტას ხელა უშლის ისევე ძველი საკითხი:

„ნათან! გიყვარს თუ გძულს ავგუსტინა?“

თავში მოსდის ახალი საკითხებიც:

„რისთვის გიყვარს?“

„რისთვის გძულს?“

„ხომ არაფერ გიშლის ხელს? შენ ხომ თავისუფალი ხარ?“

„ავგუსტინას ხომ გულწრფელად უყვარხარ?“ ავგუსტინამ ხომ მხოლოდ შენ ამოგირჩია?“

„ოსიპი?“

„განა ამაზე ღირს ფიქრი? ნათან, შენ რა შუაში ხარ? ავგუსტინას როგორ შეუძლია გიყოს ოსიპის შეყვარება? ავგუსტინას არ უყვარს ოსიპი. ავგუსტინას არაფერი არ უყვარს. ავგუსტინას უყვარს მხოლოდ ნათანი. ნათანი.“

„ნათან, შენ კი, ვინ გიყვარს?“

„ის?“

„ნულარ მოიგონებ. ის იყო ოდესღაც. იმან გაიღევა შენს ცხოვრებაში როგორც დავიწყებულმა ელვამ. შემოგანათა მწვანე თვალებით. დარჩა ტკბილ მოგონებად ორი საღამო. ერთი წერილი. ეს იყო და ეს. აქედან დაიწყო საზღვარი. ეს საზღვარი გაავლო თვითონ მან. შენ წმინდა ხარ და უმანკო. უკვე მეორე წელია მას შემდეგ. შენ არც იცი ვინ იყო ის. ვერც ვერაფერს ეკითხები არც შემთხვევით შეგხვდა. ალბად იმან იცის, რომ შენ ტვილისში ხარ. ალბად აღარ ისურვა შენი ნახვა. მაშ რა გიშლის ხელს, რომ შეიყვარო ავგუსტინა?“

„მაგრამ შეგიძლია განა შეიყვარო ავგუსტინა? განა საკმარისია შეიყვარო ავგუსტინა იმისათვის, რომ მას უყვარხარ? სად არის შენი ნებისყოფა? სად არის შენი სიფაქიზე? სად არის შენი დამოუკიდებლობა? ნათან! იყავ ძველი ნათანი, შეუღრეკელი, მაღალ კლდესავით ამაყი და მიუწუდომელი. ნუ გაებმები ლამაზი გველის კლანჭებში, ნუ დაჰლუპავ ისედაც უბედურ ოსიპს. ამავე დროს შენ თავისუფალი არ ხარ. შენ კიდევ გახსოვს შორეული. შენ კიდევ ჰფიქრობ მის შესახებ.“

„სიცოცხლე! შენ აღარ ფიქრობ მის შესახებ. შენ დაგავიწყდა მისი სახეც. შენ გახსოვს მხოლოდ მისი მწვანე თვალები. განა შეიძლება გიყვარდეს მარტო თვალები? შეხედე ავგუსტინას. მას ეტრფიან ყველა ახალგაზრდები. იგი ლამაზია, მიმზიდველი, სიცოცხლით აღსავსა და სანდომიანი. იგი მზიარულია, მისი სიცილი გააპობს თვით ყინულოვან ოკეანეს. განა შეგიძლია, გულგრილი იყო ნათან ავგუსტინას ჰიმნართ?“

„შემძლია. თავი დამანებე მეორე ადამიანო. ავგუსტინა მძულს, მეზიზღება, მეჯავრება. ნულარ გამაგონებ მის სახელს. მე ერთი ადამიანი ვარ. მე ერთი ნათანი ვარ. რა გსურს... შენ, მეორე ადამიანო? რისთვის მყოფ შუაზე? რისთვის? რისთვის?“

და ნათანმა თავი ჩასლო ბალიშებში.

პასუხის მაგიერად მას წარმოუდგა ავგუსტინას მოცინარი სახე. ცოტა ხნის შემდეგ მას მოეჩვენა, თითქოს ავგუსტინა მიაქანებდა მას უძირო უფსკრულისაკენ. ნათანი უკან იხვედა, მაგრამ ავგუსტინა მაინც თავისას არ იშლიდა. იგინი უკვე იდგენ უფსკრულის პირას, როდესაც ნათანის ოთახზე დააკაუნეს.

ნათანი გამოერკვა და უცბად წამოხტა. კაქუნი კიდევ გამეორდა. აუტოკდა გული.

„ვინ უნდა იყოს ამ დროს?“ — ჰფიქრობდა ნათანი, უკიდებდა სანათს და ეძებდა ტანსაცმელს.

— ვინ არის? — იკითხა ნათანმა.

— შე ვარ. — მოისმა ქალის ხმა.

„ავგუსტინა“ — გაიჟიქრა ნათანმა და გაფითრდა. შემდეგ თვალებში მოი-
ფუნებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ეს მოჩვენება არ იყო. საჩქაროდ გა-
დაიცვა და მიუახლოვდა კარებს. როდესაც აღებდა, ხელი უკანაღებდა და სა-
ში სიტყვა ღრნიდა მის ტვინს:

„ავგუსტინა აშკარად გაიმარჯვებს“.

ნათანის ოთახში შემოვიდა ავგუსტინა და გამოცდელის თვალებით შეხე-
და ოთახის პატრონს.

ნათანი იღვა შუა ოთახში ხმაულებლად და გაცეცხული შესცქეროდა ავ-
გუსტინას.

— რასაკვირველია, არ ელოდი ჩემისთანა სტუმარს ამ შუალამისას—დაი-
წყო ავგუსტინამ.—ნუ გაიკვირვებ, ძლიერ სიყვარულს ყველაფერი შეუძლია. ამ
სიყვარულის სახელით უშენოდ შევისწავლე მთელი შენი ცხვრების პირობები,
შენი მისამართი, შენი საქმის საათები. მე ჯერ არ ვყოფილვარ შენს ოთახში.
დღისით შენ მოუტყუელი ხარ. ამავე დროს შენ გაურბი ჩემთან ლაპარაკს.
ეს კი აუცილებელია. ჩვენ აუცილებლად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. ყვე-
ლაფერი უნდა უთხრათ. ამისთვის კი ამოვარჩიე—ასეთი თავისუფალი დრო. ამ
დროს ჩვენ ვერაფერს შეგვიშლის ხელს.

— განა ჩემი ძილის საათები—ეს თქვენთვის ნიშნავს თავისუფალ დროს?
—შეეკითხა ნათანი.

— ჯერ ერთი, რისთვის მელაპარაკები თქვენობით? შემდეგ მეორე—რის-
თვის დგახარ ამ შუაგულ ოთახში და არ წამოწები ისევ? ნუ მომერიდები.
მეც შენს საწოლთან ჩამოვჯდები ახლოს.

ავგუსტინამ ხელი ჩაავლო ნათანს, რომელმაც ვერც კი იგრძნო, როგორ
მიიყვანა ავგუსტინამ საწოლთან და გადაათარა თხელი საბანი. თვითონ კი ჩა-
მოჯდა საწოლის პირზე.

— შემდეგ მესამე—განაკრძობდა ავგუსტინა—რისთვის მეკითხები შენი
ძილის საათების შესახებ? განა შენ გწყინს, რომ მოვედი ამ დროს? აღიარე
სიმართლე, შენ ხომ არ გეძინა?

— საიდან იცი თქვენ, მეძინა თუ არა?—წამოიყვირა ნათანმა.

— ვიცი.—დამშვიდებით მიუჯო ავგუსტინამ.

— საიდან?—ისევ აღელვებით და მოუთმენელი კილოთი შეეკითხა ნათანი:

— ნათან, შენ რაღაც გაწუხებს.

ნათანმა ხელი ჩაიჭნია უიშედოდ და ჰერს მიაშტერდა.

მან განსაკუთრებით დაიხსომა უკანასკნელი ორი სიტყვა:

„რაღაც გაწუხებს“.

ავგუსტინამაც, თითქოს მიხვდა ნათანის აზრებს, ერთხელ კიდევ გაიმეორა
— რაღაც გაწუხებს...

ნათანი ჩუმად იყო. ავგუსტინა ათვალერებდა ნათანის ოთახს.

ოთახი იყო პატარა და ღარიბული. ერთი ფიცრული ტახტი, ერთი სკა-
მი და ერთი მაგიდა, რომელიც ასრულებდა სამ მოვალეობას—ქადრაკის სა-
თამაშო, სასადილო და საწერისას—შეადგენდა ოთახის ავეჯეულობას. სამაგი-
ეროდ იყო აუარებელი წიგნები, რომლებიც სრული წესრიგით ელაგა იატაკზე

გაფენილ გაზეთებზე. კედელზე ჩამოკიდებული იყო მრავალი სურათები, რომელთა უმეტესობას შეადგენდა ცნობილი მწერლები და მეცნიერები. ოთახში ელექტრონის სინათლე არ იყო და ავგუსტინასათვის ძველი იყო მათი ნათის გარჩევა.

როდესაც ავგუსტინა მორჩა ოთახის დათვალიერებას და ისევ მიუახლოვდა ნათანს, დაინახა, რომ ნათანი იწვა ისევ ძველ პოზაში: პირალმა, უიმედო სასოწარკვეთილებას მიცემული და მისჩერებოდა კერს. ავგუსტინა დააკვირდა: ნათანი მას არ უტყუერდა. შეუშინველად შემოავლო ხელი და მოეხვია. ნათანმა მოინდომა განთავისუფლება მისი მკლავებისაგან, მაგრამ ამ დროს ავგუსტინა მოულოდნელად დაიხარა, მიუახლოვა თავისი ცხელი და მოწყურებული ტუჩები ნათანის ტუჩებს და მაგრად ჩაჰკოცნა.

ნათანი დაიწვა. ნებისყოფის უკანასკნელი ძარღვი გასწყდა და უღონოდ თვალები დაჰხუჭა.

— რას გაჩუმებულხარ, ნათან,— ეუბნებოდა ალერსით ავგუსტინა— რისთვის არ გინდა მომეხვიო და მაგრად ჩამიკრა გულში? ნუ იქნები ასეთი უგრძნობი. ან შემიძულე, ან შემიყვარე! ერთ-ერთი. საშუალო გზას ვერ მოვიტყენ. მე მინდა, რომ შენ გქონდეს რაიმე გრძნობა ჩემსადმი. მე მინდა, რომ შენს ცხოვრებაში მე შევიკრე ღრმად. მე მინდა რომ შენ ჩემი იყო! ნათან! რამშვენიერი სახელია! რა მშვენიერი და ჰკვიანი შუბლი გაქვს! მე მინდა, რომ ეს სახელიც, ეს შუბლიც და ეს გულწრფელი თვალეებიც— ჩემი იყოს, მხოლოდ ჩემი. გესმის?

და ავგუსტინა ამ სიტყვებთან ერთად ჰკოცნიდა ნათანს, შუბლში, თვალეებში, ტუჩებში, ყელში. ჰკოცნიდა ვნებით, გატაცებულ, როგორც მწყურვალე უდაბნოში, რომელიც ხარბად ეწაფება შემთხვევით აღმოჩენილ წყაროს.

ნათანი წინააღმდეგობას არ უწევდა. პირიქით ჰგრძობდა, რომ ავგუსტინას შიშველი მკლავები, დაფანტული თმა და მისი გულმკერდის შეხება— შეუბრალებლად სწვავდენ ძველ ნათანს, რომლის მაგიერ— მოდიოდა ახალი ნათანი, სრულიად უცნობი, რომელიც ვერ უძლებდა ავგუსტინას ნებას და მთლიანად ემორჩილებოდა მას. შეხედა ავგუსტინას. თვალეები აემღვრია... და უცბად მოხვია მაგრად მკლავები და მიიზიდა თავისკენ.

ავგუსტინა ჰგრძნობდა გამარჯვებას. ავგუსტინას სახეზე ზეიმი იყო. ავგუსტინა იციზოდა, ჰკოცნიდა ნათანს და ეკითხებოდა:

— სთქვი ეხლა, გიყვარვარ თუ არა?

— კი...— ესმოდა ავგუსტინას პასუხად, როგორც შორეული ეხო.

5

ერთხელ კიდევ დააკაკუნეს ნათანის კარებზე.

დილა იყო, ნათანი ისედაც დგებოდა. ღამე უძილოდ გაატარა. არ დაუძინია არც ავგუსტინას წასვლის შემდეგ, რასაც მოწმობდა მისი გაწითლებული თვალეები. მაგრამ მაინც ადგა. მალე ამხანაგი ირაკლი უნდა მოსულიყო და მეცადინობა უნდა დაეწყოთ.

პირველ დაკაქუნებაზე ნათანმა პასუხი არ ვასცა. კაქუნე განმეორდა უფრო ნელი და თავაზიანი.

„ეს ვინლა არის?“—გაიფიქრა ნათანმა და თითქოს თავისათვის სთქვა: „ეს ვინლა არის?“

„ჩემი ამხანაგები ასე ზრდილობიანად არასოდეს არ აკაქუნებენ“.

შემდეგ ხმაილა შეეკითხა:

— ვინ არის?

— შე გახლავართ, ბატონო ნათან,—მოისმა პასუხად ვილაყას ბოხი ხმა. ნათანმა თავის გონებაში ხაზი გაუსვა ორ სიტყვას „ბატონო ნათან“ და გაიცინა. დღემდე მისთვის არავის არ უწოდებია „ბატონო ნათან“. შემდეგ უპასუხა:

— ეხლავე.

ნათანმა კარი გააღო და ოთახში შემოვიდა ყვზრა შათაშვილი.

შემოსვლისას ყვზრას დაეტყო ერთგვარი გაუბედობა. არ იცოდა, როგორ მისალმებოდა. ჰქონდა მზად სამი სალაში:

„შალომ-ყალბემ“

„დილა მშვიდობისა“.

„ზღრასტი“.

უარპყო პირველი, „ვინ თუ მორწმუნე არ არის“, უარყო მეორე—„ვინ, თუ ეწყინოს განათლებულ კაცს ქართული მისალმება“. შერჩა მესამე. მიესალმა.

— სალაში. დაბრძანდით.—უპასუხა ნათანმა ქართულად და მიუთითა სკამზე.

ყვზრა ჩამოჯდა. ნათანი იდგა მის პირდაპირ და ელოდა ლაპარაკის დაწყებას. ამავე დროს ნათანი თვითვე ცდილობდა აეხსნა მიზეზი ყვზრა შათაშვილის მასთან მოსვლისა, მაგრამ არც ერთი მოსაზრება არ იყო მტკიცე. ახლად მოსული კი ოთახს ათვალეირებდა და ჯერ არ ჰფიქრობდა თავისი მოსვლის მიზეზების—გამომქვლავნებას.

— ძალიან ცივი უნდა იყოს თქვენი ოთახი?—დაიწყო ყვზრამ.

— დიახ.

— მერე როგორ გძინავთ ამ ზამთარში უცეცხლოდ?

ნათანმა არ იცოდა რა ეპასუხნა ამ უცნაური კაცისათვის, უპასუხა თითქოს თავის თავს:

— ისე.

— წიგნები ბევრი გქონიათ?

— დიახ.

ყვზრამ თვალი მოჰკრა ებრაულ წიგნებს და შეეკითხა:

— თორებიც გქონიათ?

— მაქვს ებრაული წიგნები—უპასუხა ნათანმა.

— დიდი ხანია ჩამობრძანდით ქალაქში?

1. შალომ-ყალბემ—გამარჯობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- რამდენიმე თვეა.
- თქვენ სტუდენტი ბრძანდებით, არა?
- დიახ.

-- მე ძალიან მიყვარს სტუდენტები. ასე განსაჯეთ, მეც არაფერი შექვს საწინააღმდეგო, რომ სტუდენტი ვიყო. სტუდენტი—განათლებული ვინმეა. სტუდენტმა კარგად იცის წეო-კითხვა, ანგარიში, თუმცა—ხანდახან არც სტუდენტობა არის კარგი. „განათლებული ვარ და ღმერთი არა მწყამო, ლოცვას აღარ ვილოცავო“—ასე ამბობენ ზოგიერთები.

ნათანი შესტკეროდა გაოცებული. უცბად მოკლედ მოუკრა:

-- თქვენ რამე საქმე გაქვთ ჩემთან?

-- უსაქმოდ როგორ შეგაწუხებდით, ბატონო ნათან?—მიუგო ყვებრამ. ერთხანს კიდევ ჩამოვარდა სიჩუნე. შემდეგ ყვებრამ ჩაახველა, კისერი მოიფხანა და დაიწყო:

-- როგორც გავიგოა, თქვენი მამა ცხინვალელია. აგრეთვე კარგი ისრაელის შვილია და სამართლიანობის მოყვარულია, ქართული ანდაზაა: „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოიხეო“. ამიტომაც მთელი ჯამაათი დარწმუნებულია, რომ თქვენც, სამართლიანი კაცი ბრძანდებით. მე ვარ ცხინვალელების ობჟრესტვოს თავმჯდომარე და მთავარი გაბაი. მე გამოგზავნილი ვარ მთელი ჯამაათის მიერ. ერთი სიტყვით, რაღა ბეგრი თავი შეგაწყინოთ, მთელი ჯამაათი გთხოვთ, ნუ დაგვლუპავთ და მტერს ნუ გაახარებთ.

ნათანის გაუგებრობა და გაოცება თანდათან უფრო იზრდებოდა. ვერ მოითმინა და შეაწყვეტინა:

-- არ შესის, რაშია საქმე. სთქვით გარკვევით, რა გსურთ ჩემგან?

-- აი, ბატონო ნათან, თქვენ რომ მთავრობის წარმომადგენელი ბრძანდებით...

ნათანმა გაიცინა.

-- ვინ გითხრათ თქვენ, რომ მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ? მე მხოლოდ უბრალო სტუდენტი ვარ.

-- თქვენი ნებაა, ბატონო. თქვენ შეგიძლიათ დაგვიმალოთ, მაგრამ ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით.

-- ვინ შეგატყობინათ ასეთი დანამდვილებით ეს ამბავი?

-- ძია დათომ.

ნათანმა პასუხის მაგიერ ისევ გაიცინა. ყვებრა განაგრძობდა:

-- ამ რამოდენიმე ხნის წინედ, სალოცავის შეღებვის შემდეგ, მიტინგი გვეკონდა. თქვენ და თქვენი ამხანაგი ე. ი. მთავრობის გამოგზავნილი კომისია—ყოფილხარათ იმ დროს ჩვენს ლოცვაში. ჩვენ არ ვიცოდით, ვინ ბრძანდებოდით და ამიტომ ვერ გეცით შესაფერი პატივი. უნდა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ ბალშევიკების მთავრობა ძალიან გეყვარს. ძია დათოს არ დაუჯეროთ. ის არის ჩვენი დამლუპველი და ამომწყვეტი. იმას გააქვს მთელი ჩვენი შინაური ამბები გარედ. თუმცა ისაც უნდა ითქვას, რომ გარეული ამბებიც შემოაქვს შიგნით. ამავე დროს, ბატონო ნათან, ენდეთ პეტროსან სიტყვას, ძია დათომ გავგალატაქა. თუ კი რამე შემოსავალი შემოსდის ლოცვას

იქვე ეპატრონება და ჩვენამდე ერთი კაპიკი აღარ აღწევს. ისიც მართალია, რომ მას რამოდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღია, მაგრამ ჩვენც მართალი ვართ, ვინაიდან მას აღარაფერი არ ეკუთვნის. ძია დათოს შეცდომას შექვიყნებთ მთავრობაც და თქვენი თავიც. უმორჩილესი თხოვნით მოგმართავთ როგორც განათლებულ კაცს და კარგი მაპის შეილს, რომ ძია დათოს არ დაუჯეროთ და საკითხი მთავრობაში მის სასარგებლოდ არ გადასწყვიტოთ. ნუ იწებებთ ჩვენი ჯამაათის გაღატაკებას და დაღუპვას.

— თქვენ რაღაც გაუგებრობით მოსულხართ ჩემთან, — უპასუხა ნათანი და განაგრძო, — მე კიდევ გიმეორებთ, რომ მე ვარ მხოლოდ სტუდენტი, მხოლოდ უბრალო მოსწავლე. პრაფერი საქმე არ მაქვს არც ძია დათოსთან, არც მის ჯამაგირთან და არც თქვენ შინაურ საქმეებთან. მე არავითარ კომისიაში არ ვყოფილვარ. მართალია, ერთხელ შემოვედი სალოცავში მე და ჩემი ამხანაგი, მაგრამ ეს იყო — მხოლოდ დათვლიერების მიზნით.

— შინდა ბატონო ნათან დაჯეროთ, მაგრამ არ შემიძლია. ძია დათომ დაიფიცა...

— კმარა ამ საკითხზე ამდენი ლაპარაკი. მე ვთქვი ერთხელ და გავათავე. ნათანი წამოდგა. ამით ანიშნა, რომ ლაპარაკი დასრულდა, მაგრამ ყვებრა შათაშვილი ისევ სკამზე იჯდა და არ ფიქრობდა წასვლას.

— ეტყობა, თქვენ კიდევ ვაქვთ სხვა საქმე ჩემთან?

— დიახ. — გაუბედავად უპასუხა ყვებრამ.

— ხათანი ისევ ჩამოჯდა და ცნობის მოყვარე თვალებით მიაჩერდა მოზაასს.

— მე კოლი შევირთე — დაიწყო ნელა ყვებრამ. — თუმცა სიმაბრტლე რომ ვთქვათ, ჯერ კი არ შემიერთავს, ებლა ვაპირობ კოლის შერთვას. მე, როგორც მოგახსენეთ, ძალიან მიყვარს სტუდენტები და განათლებული ხალხი, მით უმეტეს, ჩვენი ისრაელი სტუდენტები. ამაღამ ნიშნობა მაქვს ჩემი სიამამის სახლში. მოწვეული მყამს საუკეთესო ხალხი და საზოგადოება. იქნება ზურნა, ცეკვა, მხიარულება. ახალგაზდები — კაცები და ქალები იქნებიან საკმაოდ. მე ძალიან ვთხოვთ, უარი არ მითხრათ და გაგვაბედნიეროთ თქვენი მობრძანებით.

ნათანი დაიბნა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, დათანხმებულიყო, თუ უარი ეთქვა. ყვებრა განაგრძობდა:

— ამაღამ სრულ ცბრა საათზე დაელოდეთ ჩემს გამოგზავნილ კაცს. ის წამოვიძღვებათ და მოგიყვანთ ჩემი სიამამის სახლამდე. ჩვენ ყველანი ძალიან მოხარული და ბედნიერი ვიქნებით. არასოდეს არ დაგივიწყებთ ამ დაფასებას და პატივისცემას.

ნათანი ამ დროს პფიქრობდა თავისთვის:

„რა საერთო მაქვს ამ კაცთან და მის ნიშნობასთან? დღეს გამეცნო ეს კაცი და ასე მალე მეპატიება თავისკენ... მაგრამ მეორე მხრით — საინტერესოა ნიშნობაზე წასვლა, ჯერ ხომ არც ერთხელ არ მინახავს ნიშნობა? ამავე დროს გავეცნობი აქაურ ებრაელთა საზოგადოებას, მათ ყოფაცხოვრებას, მათი ოჯახური ცხოვრების პირობებს... წავიდე თუ არ წავიდე?..“

ყვებრა შათაშვილი მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— ხომ გვეწვევით ბატონო ნათან?

ნათანმა თახმობის ნიშნად თავი დააქნია. ყვზრას სახეზე გაუზრწინდა და გამოსალმებამდე განუყოფა:

— სრულ ცხრა საათზე მოვა თქვენთან ჩემი გამოგზავნილი კაცი...

სალამოს სრულ ცხრა საათზე ნათან ჯანაშვილის ოთახის კარა დაუკაკუნებლად შეაღო ძია დათომ.

— შენიც გვადროვოს ღმერთმა, — მხიარულად მიესალმა იგი ნათანს და ხელი ჩამოართვა:

— როგორ? ყვზრა შათაშვილმა შენ გამოგგზავნა ჩემთან? — გაკვირვებით შეკითხა ნათანი.

— აბა ვინ უნდა გამოგგზავნა, თუ მე არა? უჩემოდ ღმერთი ხომ არმად შეარგებდა ამალამინდელ ვახშამს?

ნათანი იდგა შუაგულ ოთახში, გაშლილი ხელებით და ოდნავი ღიმილით ამბობდა:

— არაფერი არ მესმის... არაფერი არ მესმის...

— რა არ გესმის? — გაცხარდა ძია დათო — ანგარიშები თავისთვის არის, ლოცვა — კიდევ თავისთვის, ნიშნობა, ქორწილი და სიმზიარულე კიდევ თავისთვის. ვის აქვს უფლება ძია დათოს წაართვას შამაშობა? არავეს. ცხინვალელების შთავარი გაბაი აპირობს და ცოლშვილებას. უჩემოდ განა შეუძლია რამე გააკეთოს? განა სხვა ვინმეს შეუძლია ჩემსავით ხალხის დაძახება და შეგროვება? განა ვინმემ ჩემსავით იცის — ვინ სად არის, ვინ სახლშია, ვინ სამუშაოდ, ვინ სად ცხოვრობს, ვინ სად სადილობს, ვინ რას სადილობს, ან ვინ რა ღროს რას აკეთებს?

— ჯამაგირის საქმე როგორ გაქვს? მოგცეს თუ არა?

— ნულარ მეკითხები მამაშვილობას. ყვზრა შათაშვილს კაცი ფულს გააგდებინებს? კორახივით! აზის ლოცვის ქონებას და მანამ მიწა არ ჩაპყლაპავს, არ აპირობს ანგარიშების გასწორებას. რა ვქნა, ასეთი იღბალი მქონია. ჩემს პატივისცემას და კეთილ გულს — არავენ არ იხსომებს. შენც კი დამივიწყე. პირველ ღამეს, როცა ქალაქში ჩამოხვედი, ბინა არა გქონდა და მე გავათევიე ღამე, იმ ღამეს ყველაფერს შეშპირდი და შენ კი უბრალო განცხადებაც არ დამიწერე. მე მოხუცი კაცი ვარ, მაგრამ სიდიდგულე მიანც არ მიყვარს. სამაგიეროს არ გადავიხდი. როცა შენი ნიშნობა და ქორწილი იქნება — ხალხსაც მე დავპატივებ და ისე მოგიღებენ, რომ დავაგიწყებ მთელი ქვეყნის დარდს.

ნათანი მხიარულად იღიმებოდა. ძია დათო განაგრძობდა:

— ტყუილად იმას ნუ იფიქრებს ყვზრა შათაშვილი, ამალამ ნიშნობა მაქვს, ძია დათო სტუმრებს დაუძახებს და მოუღებენს, პატარა საჩუქარს მიცემს და ამით საქმე გაათავდებაო. არა! ვერ მივართმევ ჩემს ჯამაგირს თავის პროცენტებით უკანასკნელ კაპეიკამდე მივიღებ. ნიშნობა თავისთვის — ჩემი ჯამაგირი თავისთვის.

1. კორახ — ბიბლიური გმირი, ძნწი კაცი.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, რისთვის მოატყუე ყვებრა შათაშვილი, თითქოს მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ? ან რომელ კომპრომისზე ვლაპარაკე? მე და ჩემი ამხანაგი ხომ შემთხვევით მოვედით სალოცავში? **შეიშინებოდა** ძია დათო ერთ წუთს დაიბნა, მაგრამ უცხად რალაც მოისაზრა და შეეკითხა:

— თქვენ რა დაგაკლდათ ამ ჩემი ტყუილით? მე ლარიბი კაცი ვარ. ამგვარად ჩემს ჯამაგირს გაეინაღდებ და თქვენც კმაყოფილი იქნებით, რომ თქენი სახელი უფრო წინ გაიწევეს.

— ეს არ არის საჭირო. მომავალში ჩემი სახელით ნურაფერს ნუ გააკეთებ. უთხრა ნათანმა ნელი ხმით, მაგრამ ისეთი კილოთი, რომ წყრომა აშკარად მოსჩანდა.

— კარგი ეხლა ნათან, ნუ გაჯავრდები, რაც იყო-იყო. ახლა კი მე მოვედი შენთან, რომ შეგატყობინო: ყვებრა შათაშვილი თავის დანიშნულით, სიდედრით და სიშამრით გელიან ნიშნობაზე.

— დამიტოვე მისამართი. ჩაეცვამ ტანისამოსს და მოვალ.

— მამაშვილობას, ნუ მოაკვლევინებ იმ ხალხს ჩემს თავს. მე აქ დაგელოდები, ჩაიცვი ტანისამოსი და ერთად წავიდეთ.

ნათანისათვის აშკარა იყო, რომ ასე ადვილად თავს ვერ დააძრობდა ძია დათოს, დაემორჩილა ბედს და შეუდგა ტანისამოსის გადაცმას.

ძია დათომ სიხარულით ცხვირი დააცემინა, გაიწმინდა თავის დაკონკილ პალტოს კალთით, გადაისვა ხელი წვერებზე და უღვაშებზე, ავტორიტეტულად ჩაახველა, შემდეგ გაათურთხა იატაკზე და დაიწყო:

— შენ ჩემზე ჯავრი ნუ მოგდის, ნათან. ჩემს ხანში ადამიანი ბევრი რამის მომსწრეა. ზე შეჩვეული ვიყავი ადამიანურ ცხოვრებას. ყველგან კაცობა მეთქმოდა. ყველა ჩემზე ოპარაკობდა: „მამასახლისი დათო“, „გაბაი დათო“, „ბატონი დათო“. სხვანაირად ვინ მომიხსენებდა? ეხლა სხვანაირი დროება დადგა. ჩემი სახელი—მამაში—შეიქნა. ყველას შეუძლია მიბრძანოს, თავში ჩამარტყას, მომატყუოს.—მე კი იმას ვცდილობ, რომ სწორედ დღევანდელ დროში არავინ შესძლოს ჩემი გაბიაზურება და მოატყუება. ყვებრა შათაშვილს, მენაშესა და მათ ძმაბიჭებს ჰგონიათ, რომ რახან ძია დათო ჩვენი შამაშიაო—როგორც გვინდა ისე მოვექცევითო. ვერა! ეხლა მე მშრომელი ვარ, ნამდვილი მშრომელი, ვასუფთავებ შენობას, ეზოს, ფეხისადგილს. ვის შევარჩენ ჩემს ნაოფლარს, ჩემს კანონიერ ჯამაგირს? თუ ძალიან გამიჭირდა, პირდაპირ ბოლშევიკებში ჩავეწერები. მერე ამოვიყრი მაგათ ჯავრს. მაკადონ!

— მაგალითად?

— ამას რალა მაგილითი უნდა? მთავრობას ფული სჭირია. ავდგები და ასე ვიზამ: რაც მთავრობას ფული სჭირია, სულ მაგათ შევაწერ გადასახადათ.

— ჩემის აზრით კი, უმჯობესი იქნებოდა მოგეძებნა სხვა რამე სამუშაო, მოშორებოდი ლოცვას, გაბაებს და მათთან დაუსრულებელ დავიდარებას—უთხრა ნათანმა და გაისწორა საყელო.

— ვერ მარიგებ სწორად—უპასუხა ძია დათომ.—კაცი მოგეხუცებულვარ ღმერთისა და ჯამაათის სამსახურში. ეხლა უნდა მივანებო თავი ლოცვას? არა,

ეს შეურღლებელი ამბავია, თუმცა—ჩვენს შორის რომ ვსთქვით, ერთსულ ვცადე სხვა საქმე, მაგრამ რაც მე მაშინ შიში გამოვიარე, კიკვილიამდე მიყარა. გადავწყვიტე, რომ შამაშობას არაფერი საქმე არ სჯობია. თუ არ მოიწყენ, ნათან, ვიდრე ტანისამოსის ჩაცმას გაათავებ, მოგიყვები ამ ამბავს.

— შესმის.

— ეს ამბავი შემემთხვა რამოდენიმე წლის წინედ. ერთ დღეს უცბად შევიგნე, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება და განვიზრახე გორში წასვლა რაიმე სამუშაოს საშოვნელად. ვიყავი ერთი თვე მეფურნესთან და ვსწავლობდი პურის გამოცხობას. ერთი თვის შემდეგ დაიწყო სუქოთი¹. უნდა გაებრუნებულყავი ცხინვალში. ცოლშვილი მოულოდნელად მომელოდა. განსაკუთრებით ჩემი ცოლი, რომელიც—უნდა სიმართლე გითხრა—ძალიან კაპასი ვინმეა. როდესაც გორში ვეპირებოდი—ასეთი სიტყვებით დამესალმა: „თუ სუქოთში არ დაბრუნებულხარ და ფულები არ ჩამოგიტანიაო—მაშინ აღარ გაბედო ცხინვალში ცოცხალი ჩამოხვიდო“. მეც, როგორც იქნა გადავარჩინე ამ ერთ თვეს სამი თუმანი. ახლა როგორ გადავარჩინე, არ იკითხავ? პურში ფული არ შეხარჯებოდა, ვყიდულობდი მხოლოდ მწვანილს და ატაშს, ღამეს იქვე ვათევდი მეფურნესთან, არ შემიტენია ჩემთვის არც ერთი გროშის საღირსელი და თითქმის მთელი ჩემი ჯამაგირი, ხუთი მანეთის გამთკლებით, წამოვიღე თან. ლინეიკაში ფულის დახარჯვას როგორ გავბედავდი და წამოვედი ფეხით.

ძია დათო შეჩერდა, ერთხელ კიდევ ცხვირი დააცემინა და განაგრძო:

— ნახევარი გზა გავლილი არ მქონდა, რომ უცბად თავზე წამომადგანილაბადარებული, თავიდანფეხებამდე შეიარაღებული, მაღალი ყაჩაღი. მე კინალამ შიშით გული გამისკდა. „ხელები მაღლაო“—დამიღრიალა და გამივარდა მიწაზე საგზაო ხურჯინი. შემდეგ მომიშვირა თოფი. ღულა პირდაპირ ჩემს გულზე ჰქონდა მომართული. იმ წუთში მე გადავწყვიტე, თუ ცოცხალი დავრჩებოდი, თავი დამენებებინა გორისთვისაც, ცხინვალისთვისაც, მეფურნეობისათვისაც და ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გამეტარებინა ტფილისში ღმერთის სამსახურში. სწორედ ამ ხანებში არსდებოდა ტფილისში ცხინვალელების ლოცვა და ეძებდენ ერთგულ შამაშს. რამოდენიმეჯერ ჰქონდათ ჩემთან შემოთელილი, მე კი ყოველთვის უარზე ვიყავი. მაგრამ იმ წუთში, როდესაც ყაჩაღი თავზე მადგა და მიჰქონდა ჩემი ნაფაგალხევი ფულები, ნედერი² დავდე, რომ დავთანხმებულყავი. ჩემი ნედერი შევასრულე—სუქოთის გასვლისთანავე. ეს ყველაფერი ძველი ამბავია. ეხლა უნდა ვიფიქროთ დღევანდელ ამბავზე. უკვე ათი საათი სრულდება და სტუმრები გველიან. ჩქარა ნათან, თვარა, მე ვიცი, ამიღამ მეც დამტოვებ მშვიერს. მეორედ აღარ გავგიმართავენ ვახშამს.

— ტანისამოსი უკვე ჩავიცვი. მე მზად ვარ. წავიდეთ.—უპასუხა ნათანმა, რომელმაც ჩაქრო სანათი და მოამზადა გასაღები ოთახის დასაკეტად.

ძია დათო და ნათანი გაემართენ ნაცნობი ქუჩებით.

¹ სუქოთი—ებრ. დღესასწაული, კარავობა.

² ნედერ—ალთქმა.

* * *



ძია დათო ამჟამად მიიბიჯებდა ნათანის გვერდით.

ძია დათოს ეცვა დაგლეჯილი ტანსაცმელი. იგი არ ჰფიქრობდა უკიდურესებებზე.

ძია დათოს ჰქონდა გრძელი და თეთრი წვერები, უყვარდა წვერებზე ხელის ფათური. ფათურებდა ეხლაც.

ძია დათოს ამალამ სამი მიზანი ჰქონდა: ნათანის ნაცნობობით თავის ქება. ეახშამი და საჩუქარი.

დროგამოშვებით შეხედავდა ნათანს. მხად ჰქონდა რამოდენიმე ამბავი, მაგრამ ნათანი არ იჩენდა ლაპარაკის არავითარ სურვილს. ნათანი მიიბიჯებდა ჩქარა და ხმას არ იღებდა.

ნათანი მიიბიჯებდა ჩქარა, მაგრამ დარცხვენიათ, გაუბედავად.

ფეხები უკან რჩებოდა. არ იცოდა რა ემართებოდა.

ხანდახან დაიხედავდა ტანსაცმელზე. ტანისამოსი ეცვა ახალი, სუფთა, ევროპული.

ქუჩაში ციოდა, მაგრამ ნათანი გახურებული იყო და თეთრი საყელო უშერდა.

„რალაც გაწუხებს“ — გაახსენდა უცბად ავგუსტინას სიტყვები.

თვალეებზე ცრემლი მოადგა. გაიცინა. გააფურთხა.

„საოცარია! მე არაფერი არ მაწუხებდა. აწუხებდა თვითონ ავგუსტინას. მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, თითქოს მართლა მე მაწუხებდა“. — ჰფიქრობდა ნათანი.

„ეხლა? — განაგრძობდა ფიქრს.

„ეხლა კი — მართლაც რალაც მაწუხებს“.

„მაგრამ რა?“

„განა მე კი ვიცი — რა?“

ნათანმა არ იცოდა რა აწუხებდა, ხოლო რალაც უცნაური წინაღობა ხელს უშლიდა. მაინც ჩქარა აბიჯებდა და განაგრძობდა თავისთვის ფიქრს:

„ტფილისი. ესეც ტფილისი. ჩაეიცვი კოსტიუმი. თეთრი საყელო. მივიღივარ ვილაც მდიდარ იდიოტის ცოლის დანიშვნაზე. ვინ იცის, ამდროს რას შევბიან ჩემი მოხუცი მშობლები? იქნებ მშიერი არიან? იქნებ ავად არიან? იმათ რომ ჩემს მეტი არავინა ჰყავთ ქვეყნად? ჩემი საბრალო მშობლები... მთელი თავისი სიცოცხლე შემომწირეს მე. როგორი სიხარულით შეხედებინა ჩემს დაბრუნებას. მალე დაიწყება არდიდეგაბი. მე უსათუოდ წავალ. მაგრამ მანამდე მე მივიღივარ... სად?... ნიშნობაზე... ძია დათოსთან ერთად... ჰმ! რა საერთო მაქვს ამ ნიშნობასთან, ან ძია დათოსთან, ან ყუბრა შათაშვილთან?... ძია დათო... მართლაც რომ ორიგინილური კაცია... წურბელა?... არა. რალაც სხვა... თავისას გაიტანს... ყოველთვის გაიტანს... მას მხოლოდ უბრალო რამე აწუხებს: თავისი პირადი საკითხი... სხვა საფიქრელი არა აქვს... თუმცა მისი წვერები... შემურდებოდა თვით გამოჩენილ მეცნიერსაც კი... თავი? თავი არა აქვს სახარბიელო... არ ვიცი, ვის უკეთესი თავი აქვს... საზნი არიან... უცნაურია“.

და ნათანმა წარმოიდგინა სამი პიროვნება.

„ძია დათო“,
 „ყვზრა შათაშვილი“,
 „ოსიპი“.

სომხის ბაზარზე შეჩერდა. ძია დათოს შეჰხედა.

შეჩერდა ძია დათოც.

— რა იყო, ნათან, რისთვის შეჩერდი?

— არაფერი... ისე გაეჩერდი— უპასუხა ნათანმა და განაგრძო გზა.

— არა, შენ მიმალავ, რალაც გაწუხებს— წარმოსთქვა ძია დათომ.

„კიდევ რალაც გაწუხებს“— გაიფიქრა უსიამოვნოდ ნათანმა.

ძია დათომ იშოვა ლაპარაკის საბაბი და დაიწყო:

— რა დროს მოწყენაა, ნათანჯან. ამაღამ უნდა ვიქეიფოთ. ყვზრაც და მისი სიმამრიც ძალიან ძუნწი ხალხი არიან. სხვა დროს აღარ დაგვპატივებენ. ამაღამ მაინც ისე უნდა გავატაროთ დრო, რომ მასპინძლებს დავავიწყოთ თავიანთი ძუნწობა.

— მე სულაც არ მოვდივარ ქეიფისათვის— წყენით უთხრა ნათანმა.

— აბა რისთვის მოდიხარ?— მიაშტერდა ძია დათო და შემდეგ თვითვე უპასუხა თავის თავს:— ჰა, ვიცი. დანიშნულის სანახავად მოდიხარ.

„რა სისულელეებს ჩმახავს ეს მოხუცი“— გაიფიქრა ნათანმა.

ძია დათო კი განაგრძობდა:

— მართლაც ღირს დანიშნულის ნახვა. თორაში რომ სწერია, მოწყვეტილი ვარსკვლავიაო— სწორედ მაგაზეა ნათქვამი. ლამაზი, კობტა მშვენიერი. ამბობენ დიდი ნასწავლი ქალიაო.

„ნასწავლი?“— გაიკვირვა ნათანმა.

— მეტიმეტად ზრდილობიანი და თავაზიანია. აფსუს რომ ასეთი კარგი ქალის პატრონი ყვზრა შათაშვილი უნდა გახდეს! რას იხამ, ფული თუ გაქვს, დაფასებაც გაქვს. ჩემს მამაპაპას ასე უთქვამს. „იეშ შამონ— იეშ ქაბოღ“¹. ყვზრა შათაშვილს ფულები ოხრად აქვს. ვინ დაიწუნებდა მაგისთანა კაცის სძობას?

„ფულია დღემდე ამ ხალხის საზომი“— ფიქრობდა ნათანი.

— ყვზრა შათაშვილი და მისი დანიშნული, ჩვენს შორის რომ ესთქვით, თურმე ვერ არიან ერთმანეთში კარგად. ასე ამბობენ, რომ დანიშნულმა უთხრა მამამისს: „მაგისთანა საქმრო მე არ მინდაო. მე და მაგ დაშორებული ვართ ერთმანეთისაგან, როგორც აღმოსავლეთი და დასავლეთიო“.

— განა ძალათი გაათხოვეს?

— რას ჰქვია ძალათი გათხოვება? ქალიშვილი ხომ მამას უნდა დაემორჩილოს. მორჩა და გათავდა! ბევრი უარი უთქვამს დანიშნულს, მაგრამ ბოლოს ისევე დაუგერებია მამისათვის. თუმცა უნდა ვთქვა სიმართლე, რომ ყვზრა შათაშვილზე არამია მაგ ქალი. ყვზრა ნამდვილი აქლემია, ის ქალი კი— შეხედავ, იტვი: ანგელოზიაო.

ნათანი მიდიოდა ჩაფიქრებული, ძია დათოს სიტყვები ღრმად ხედებოდა გულში.

— ის ქალი ისეთია, რომ სწორედ საშენოა...

¹. იეშ შამონ— იეშ ქაბოღ— არის კონება, არის პატივისცემა

„საჩემო? — შეეშინდა ნათანს — რა უნდა ამ გამოყრუებულ ბებერს ჩემგან“.
და უნდოდა ნათანს ეპასუხნა რაღაც მწარედ, მაგრამ ტუჩებზე რკენი ტა და გაჩუმდა. განაგრძობდა ფიქრს: „ყვრა შათაშვილი ძია დათოს არ იძლევის ჯამაგირს, ძია დათოს უნდა დამაინტერესოს ყვრა შათაშვილის დანიშნულით. შემდეგ მოგვივა უსიამოვნება ყვრასთან. ძია დათოსაც ეს უნდა. ხა, ხა, ხა! რა გულუბრყვილო მოხუცია... უფრო უკეთ: მოხუცი ბავშია“.

ძია დათო უცბად შეჩერდა ერთ ჭიშკართან და სთქვა:

— მოვედით...

ნათანმა მიმოავლო თვალი გარშემო. იცნო. გული აუტოკდა:

ფეთხაინი.

თეთრი სახლი.

გაიხედა ქუჩის მიმართულებით. დაინახა ნაცნობი აივანი.

„აქ, ამ აივანზე გავატარე პირველი ღამე. აქ გავიცანი ძია დათო. აქ გავიცანი პირველად ფეთხაინი. ფეთხაინი ლარიბების და ლატაკების, ფეთხაინი — ქვრივების და ობლების. ფეთხაინი — ფეხშიშველა ბავშვების. ფეთხაინი — მეწვრილ-მანეების და შემწვარი წაბლის გამყიდველების. ფეთხაინი — პაერის ხალხის. ფეთხაინი — ფეთხაინის“.

მისი ფიქრები ისევ ძია დათომ დაარღვია:

— ჩვენ უკვე მოვედით. რისთვის შეჩერდი?

ნათანმა არაფერი არ უპასუხა და შეჰყვა ძია დათოს ჭიშკარში.

მის წინ აღიმართა თეთრი სახლი სამი სართულით.

„ვიღაც დგას ამ სახლში. მე მახსოვდა. ნეტავ ვინ?“

არ უნდოდა ეკითხა ძია დათოსათვის. არ უნდოდა მიეცა ლაპარაკის საბაბი.

მეორე სართულიდან მოისმა ხმამალალი ყიყინა, ხმაურობა, ცეკვა, ტაშის კრა, აზიური მუსიკა.

ნათანს შეეშინდა ამ ხმაურობის. ნათანს შეეშინდა ყვრა შათაშვილის სიხარულის. ნათანს შეეშინდა თეთრი სახლის და მისი მცხოვრებლების.

კიბესთან ისევ შეჩერდა.

ძია დათო ნერვიულობდა.

— რა დაგემართა ადამიანო, ეს ფეხები ხომ შენი საკუთარია?

— ძია დათო, მე მინდა უკან გავბრუნდე — ჩემად უპასუხა ნათანმა.

ძია დათო გამოშტერებული თვლებით უცქეროდა.

— არ გესმის, როგორი სიმზიარულეა ზევით? ხომ არ გავიციდი? მთელი სალამო შენ გელოდები. უჩემოდ ვინ იცის რამდენი რამე შესქამეს. შენი გულსთვის ყველაფერი დავთმე. ეხლა გინდა გაბრუნდე? ვინ დამიჯერებს, რომ სტუმარი მოვიყვანე კიბემდე და შემდეგ გამეჭკა? არა, ბიძიავ, თავს ნუ მომპრი. ნათანი იღვა კიბის პირველ საფეხურზე და ვერ გადაეწვიტა ასულიყო ზევით, თუ გამობრუნებულყო.

ძია დათოს ბრაზი მოსდიოდა:

— ნუ დამაძახებინებ მასპინძლისთვის. სირცხვილია.

ნათანი ავიდა შემდეგ საფეხურებზე. უკან აღიოდა ძია დათო, თითქოს ეშინოდა, არ გამეპაროსო.



თანდათან ნათანს გულისცემა უხშირდებოდა.

„რისთვის ვერ ვერევი ჩემს თავს. რა მემართება!“ ეკითხებოდა თავის თავს და აღიოდა უკანასკნელ საფეხურზე.

აივანზე დაფუსფუსებდნენ ქალები. ხელში ეჭირათ თეთვლები, დანაჩანგლები. ზოგი რეცხავდა, ზოგი საქმელს აწყობდა. ზოგი ჩუმად ილუქებოდა, ზოგი იცინოდა.

როცა დაინახეს ძია დათო და ნათანი, ქალებმა გაიფაქრეს:

„ნეტავ ვინ უნდა იყოს ეს უცნობი ახალგაზრდა?“

ძია დათო ჰფიქრობდა:

„მართლა დაუწყიათ ამ უსვინდისოებს უჩემოდ ვახშაში“.

მხოლოდ ნათანი კი ისევე ნანობდა, რომ მოვიდა.

ქალები ყურადღებას არ აქცევდნენ ძია დათოს და ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ ნათანს. მხოლოდ ძია დათომ, რათა ერევენებინა, რომ მას აქვს უშუალო კავშირი ამ უცხო სტუმართან, გაბედულად შეალო დიდი ოთახის კარები და დაიძახა:

— მასპინძელო, მოვედით!

დიდი ოთახი სავსე იყო სტუმრებით, რომლებიც შემოსხლოდნენ გრძელ მაგიდას. განათება ძლიერი იყო. ნაწილი სტუმრებისა და მოცეკვავენი განაწილებული იყვნენ სხვა ოთახებში.

— მობრძანდით! მობრძანდით!— აიშალენ სიხარულით სტუმრები და მასპინძლები.

ძია დათომ თითქმის ძალით შეაგლო ნათანი დიდ ოთახში.

ყველაზე თავში მას გამოეგება ყვარა შათაშვილი.

— შე ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ დაგვაფასეთ და მობრძანდით— უთხრა მან.

ნათანი გაწითლდა და ძლიერ მოახერხა ასეთ შემთხვევაში მიღებული სიტყვა:

— მოგვილოცაეს...

ყვარა შათაშვილმა მოჰკიდა ხელი ნათანს და მიიყვანა თავის სიმაშრთან.

— გაიცანით. ჩემი სიმაშრი. ბენიამინ ბერიძე.

ნათანს შეანათა მწვანე თვალებმა. შეხედეს ერთმანეთს და იცნეს.

ნათანს გააერკოლა. მხოლოდ ბენიამინ ბერიძემ კი თითქოს არასოდეს არ უნახავს, ალერსიანად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— შე ძალიან მოხარული ვარ თქვენს გაცნობას. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სახლში. შე ძალიან მიყვარს სტუდენტები...

„მართლა?“ ირონიულად შეეკითხნენ ნათანის თვალები მასპინძლის ნაცნობ მწვანე თვალებს.

— ეს კიდევ ჩემი სიდედრია. ზილუა ბერიძე— განაგრძობდა ყვარა გაცნობას.

— ძალიან სასიამოვნოა— უთხრა ნათანმა და თვითონ გაუკვირდა თავისი პასუხი:

„რა არის სასიამოვნო?“

სტუმრებიც უდიდესი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს ნათანს, მის მოძრაობას, ფეხის გადადგმას, ყოველ სიტყვას, მის ტანსაცმელს.

ნათანი ჰგრძნობდა, რომ მისღამი ყველა იჩენდა განსაკუთრებულ მატყვის-ცემას.

„ეს ყველაფერი ძია დათოს ოინებია. იმან შეუქმნა ამ ხალხს დიდი შთაბეჭდილება ჩემზე. იმან გააფრცელა ლეგენდა ჩემს შესახებ. მაგრამ ეხლა დრო არაა ამის გამოსწორებისა“.

ძია დათო კი ფეხდაფეხ მისდევდა ნათანს და ამაყად იცქირებოდა გარშემო, თითქოს ამბობდა: „შეხედეთ, როგორი სტუმარი მოვიყვანეო!“

ვისაც ნათანი ჩამოართმევდა ხელს, ძია დათო საჭიროდ სცნობდა თვითონაც ჩამოერთმია მისთვის ხელი და თან დაემბატა:

— მაზალ-ტობ!¹ დანარჩენისაც მოგვასწოროს ღმერთმა!

დანიშნულის დედმა, სიძე, ნათანი და ძია დათო მიუახლოვდნენ მაგიდის თავს სადაც თავჩაღუნული იჯდა დანიშნული, რომელსაც პირისახე ოდნავ დაფარული ჰქონდა თეთრი აბრეშუმით.

— გაიცანით!—განაგრძობდა ყვბრა—ეს გახლავთ ჩემი დანიშნული.

ნათანი იღვა გაოცებული და ვერ ერკვეოდა რისთვის არ უწყვიდა ხელს დანიშნულს.

— გაიცანით! ეს ჩემი ქალიშვილია—დაუმატა ბენიამინ ბერიძემ.

თეთრი საფარიდან მოჩანდა ქალიშვილის მწვანე თვალები.

„რა საოცრად ჰგვანან მამისა და ქალიშვილის თვალები ერთმანეთს“—გაიფიქრა ნათანმა და თავისი ხელი დანიშნულს გაუწოდა.

დანიშნულმა გაღიძრო საფარი, თავი ასწია და ნათანს შეხედა.

ნათანმაც ისევე დანიშნულს შეხედა.

ორივეს ლოყები გაუწითლდათ, თვალები გაეზარდათ და გაოცებული, რეტდასხმული გაშეშდნენ ერთმანეთის პირდაპირ.

„რა მოხდა?“ გაიფიქრეს შეშფოთებულმა მშობლებმა, სიძემ, ძია დათომ და სტუმრებმა.

მართლაც არავინ იცოდა რა ხდებოდა ამ ორი არსების გულში, რომელთაც გულისცემა გაუძლიერდათ, დაავიწყდათ ყველაფერი და თითქოს ისინი იღვენ დროისა და სივრცის გარეშე, თავის გარშემო აღარ ამჩნევდნენ არაფერს და საოცარი თვალებით მხოლოდ ერთმანეთს შესცქეროდნენ... ვიდრე მათივე გულის სიღრმიდან გამოსულმა ორმა ამოძახილმა—ისედაც ცნობისმოყვარეობით გაოცებულ მაყურებლებს არ დასცა მოულოდნელი თავზარი.

ეს ორი ამოძახილი კი იყო ორი სახელი, რომელიც წარმოითქვა თრთოლვით, კივილით და არაჩვეულებრივი ხმით:

— ნათან!

— ესთერ!

(გაგრძელება იქნება)

1. მაზალ-ტობ—ქარგი ბედი.

საზოგადოებრივი

გზა და გზა

ნაწილი პირველი

შრომის სკოლის იციანზე დგას ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი მარინა. დგას რაღაც გარინდებული პოზით და დაბურული თვალებით გაჭყურებს სიერ-ცეს. ფიქრობს, ოცნებობს, თუ ტყვილ-უბრალოდ მიაბჯინა თავისი შავი, დიდ-რონი თვალები გურია-აქარის მთებს?!

გაზაფხულის მოწყენილი დღეა და მზე ისე ნაზობს და ჭირვეულობს, როგორც პატარა პატარძალი ქორწინების პირველ საღამოს. თინიანი მოძრაობით გაურბის ხშირი ნისლის ზოლს, მაგრამ ეს ნისლი მაინც ეხვევა მას, იპყრობს, ერევა და ამ გაუვალ რკალში ჩაეარდნილი მზე ჩადროსანი ქალივით ბორგავს და სვედიანობს.

მარინა დინჯი ღიმილით ადევნებს თვალს ბუნების უცნაურ თამაშს და ებრალება ლამაზი ტუსალი, რომელსაც ქაჯეთში გამოშწყვედულ ნესტანს ადარებს.

— წერილია— მოესმა უეცრად ფოსტალიონის ხმა და პაწია ვარდისფერი კონვერტი ფოთოლივით დაეცა მის ფეხებთან.

აიტაცა, თავისი ვიწრო, გრძელი თითებით გახია და...

„მარინა! მოულოდნელად გამახარე, მოდიხარ ტფილისში? ძალიან კარგი ჩემო მეგობარო, მიკვირდა, რომ დღემდის შერჩი პროვინციას და მასწავლებლის თანამდებობას. შენ ამაზე მეტი შესაძლებლობა გქონდა, გახსოვს რას ამბობდენ შენზე მასწავლებლები „ამ ქალს დიდი მომავალი აქვს, საჭიროა მხოლოდ იმუშავოს და სხვა... შენ კი... შენ არ ატარებ პარტიულ წინდატს, მაგრამ გულითა და ბუნებით სოციალისტი ქალი ხარ და შენისთანა ამხანაგს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩემთვის. ნუ ყოყმანობ, ნუ გეშინია, ჯერ-ჯერობით ჩემთან იმუშავე ქალთა განყოფილებაში, დამეხმარები სარედაქციო საქმეებში, შეხვალ, უნივერსიტეტში და დაიწყება შენთვის ახალი ცხოვრება, ცხოვრება მოძრავი და შინაარსიანი.“

ამ დღეებში მივდივარ აქარისტანში, რომ ვნახო და გავეცნო აქარელი ქალის ყოფა-ცხოვრებას. როცა დავბრუნდები, გურიაში გამოვივლი. ნახვამდის ჩემო მეგობარო.

შენი პოლინა⁴.

სიხარული ტალღასავით დაირბა მასში და უნებურად სასწავლებლის გამგის კაბინეტში შეიჭრა.

— შენ ისე ბრწყინავ, როგორც ბავში, რომელიც უხვად დაასაჩუქრეს, რა მოხდა?

ამ სიტყვებით შეეგება მას სასწავლებლის გამგე დიტო კეთილაძე. ის იყო ორმოცი წლის პატარა ტანის კაცი, მაგრამ ფერმკრთალი სახე და დაღლილი გამოხედვა მას უფრო ხნიერის იერს აძლევდა.

მარინა რამოდენიმე მსუბუქი ნაბიჯით მიუახლოვდა, მანამდე, სანამ მათი დაუდგა წინ და...

— აბა გამოიცანი.

— წერილი მიიღე.

— ჰო.

— შინაარსი?

— მე ვტოვებ თქვენს პროვინციას.

— და არც კი გრცხვენია, გიხარია რომ გვშორდები?— წარმოსთქვა მან და თავისი წყნარი ლურჯი თვალებით საყვედურით ახედა აღფრთოვანებულ ქალს.

— არა, მრცხვენია. მე მთელი შვიდი წელიწადი გაცდევინეთ. ვიცი, დავაშავე, მაგრამ... მე ისევ დაებრუნდები.

— ნუ ვილაპარაკებთ ამაზე მარინა. შენ თავისუფალი იყავი და ხარ დღესაც. ჩვენ ბოლომდის დავრჩებით მეგობრები.

— მაპატიებ?

— რას? გრძნობა ბრძანებით არ მოდის.

გულში აღძრული ტკივილები პირსახეს ნაოჭებად მოედო და რომ არ შეემჩნევიანებია ქალისათვის, წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და სასწავლებლის ეზოს გახედა.

ქვევით, პიონერების ჯგუფი პატარა მაკრატლით ვახეზს უვარგის ფოთლებს აცლიდნენ.

მეორე—უკვე მოზრდილი და მზეზე გარუჯული ბავშვები ხეხილის ბაღს რწყავდნენ და წყლის საქაჩავი ხელიდან ხელში გადადიოდა.

მესამე—16-17 წლის კუნთებიანი ვაჟები რკინის რიკულებში ხელებს უყრიდნენ და მზიარული ყიჟინით შეჯიბრი გაემართათ.

— ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ, ჩემი ხელით არის გაკეთებული. ხუთმეტრი წლის განმავლობაში ვდარაჯობდი ამ სკოლას და ახლო-მაზლო სოფლის ჯანსაღ ახალგაზრდებს ყოველწლიურად ვისტუმრებდი უნივერსიტეტისკენ. მე მიყვარს ეს დაბა, ეს მოზარდი ახალგაზრდობა, ეს მშრომელი გურული გლეხები, პეტაგოგური მუშაობა, ყველაფერი ეს ისევ ჩემთან რჩება და ამიტომ არ მოვიწყენ. კარგად იყავი მარინა, და გწამდეს, რომ შენი სახე ჩემს გულში არასოდეს არ წაიშლება.

ამ სიტყვებით ის მიუახლოვდა მას, ჩრდილ-დაკარგული სახე მზიარული ღიმილით შეანიღაბა და ორივე ხელი მეგობრული გრძნობით გაუწოდა.

მარინა მძიმედ ეშვება თავის ფართე ხავერდის საფარძელში და დახუჭული თვალებით ემწყვეტება მოგონებათა რკალში.

ის მიჰყვება ამ რკალს, მიდის შორს, შორს და ხედავს ის მწვანე კოინდარით დაფარულ ფართედ გადაშლილ ეზოს, რომელსაც ამშვენებებს ალვის ხის

ხეივანი, მაღალი ქანდრები, ჯიშინი ხეხილის ხეები და აქა-იქ მიმორგული მაისისა და შემოდგომის თეთრ-წითლად მოელვარე ვარდებუკანა ხეები და სხვადასხვა ყვავილები და ამ ყვავილებში განუწყვეტლად ბუჩიან ფურცლებზე მწიკნის, რომ ისინი თავს ამხადებენ, და მასაც არა ერთხელ უგემნია შარბათივით ტკბილი თავლი და ფიჭა. ხუთი წლის აცულქებული გოგონა მოელი დღის განმავლობაში დასდევს ჩიტებს, პეპლებს, კალიებს, ჰკონავს მინდვრის ყვავილებს, კოტრიალობს მწვანე სურნელოვან ბალახებში და თვითელი მცენარე, მწერი თუ ცხოველი ათასი კითხვით ავსებს მის პატარა თავს და ეს ცნობისმოყვარე ბავში ცდილობს ყველაფერს მისწვდეს, ყველაფერი შეიგრძნოს და გამოიცნოს.

მზიარულად უყურებს ქვეყანას და ეს ქვეყანა ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც რაიმე სანახაობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის მორთეს და ააფერადეს. მის მზიარულებას მხოლოდ პატარა შოშხო ჩრდილავს. ის ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, მაგრამ ეხლავე ეტყობა, რომ ლამაზი ხარი გამოვა. გიშგრივით შავსა და მსხვილს თვალებს მრისხანეთ ატრიალებს და დაღუნული თავითა და ფეხთა ბაკუნით მიიწევს ბავშვისკენ.

— მიშველე ბაბუა, მიშველე!—იწივლებს ის და გულგახეთქილი ავარდება ორსართულიანი სახლის აივანზე. პაპაც მზრუნელებით იხრება მისკენ და მის გულზე მიბნეული ჯვარ-მენდღენი სასიამოვნოთ წყარუნებს. ეს არის ჯილდო ბრძოლის ველზე მიღებული, ჯილდო და მოხუცი აზნაურიც სიამაყით ატარებს მათ. მარინა ხშირად ეთამაშება ამ მენდღებს და იმ დიდს მოსირმულ ჯინჯილებთან ჩინებს, რომლებიც პაპას უკვე მოუძვრია მზრებიდან და თავის ოთახში ძველ სკივრში ჩაუყრია. უკერეტს აჩუქურთმებულ აივნის სვეტებს სპარსული სტილით გამოკვეთილს და იმ ფერადებით ატრელებულ ჯაჭვიან თალს, უმთავრეს ოთახში სალამაზოდ რომ გაუკეთებიათ ქერზე. ფურცლავს წიგნებს, სინჯავს სურათებს, აცოდვილებს დედოფალებს, და როცა ყველაფერი ეს სწყინდება, ალებს განჯინას, იტაცებს ტკბილეულობას და, სადმე კუთხეში დამდგარი, არხეინათ შეეჭყევა მათ.

სურათი იცვლება. ვახაფხულის მზიარული დილაა, მათ სახლში კი მიცვალებული ასვენია. მოკვდა პაპა და გალაქულ კუბოში გაფითრებული წევს ის.

მარინას სურს მიუახლოვდეს, აკოცოს თეთრ წვერზე, მიუალერსოს მის ხელებს, მაგრამ ეშინიან, ვერ ახერხებს ნაბიჯის გადადგმას, დედა სტირის, მამა და ნათესავებიც სტირიან. მასაც უნდა ატირდეს, მაგრამ ცრემლი არ მოსდის და ისიც დაბნეული, შეწუხებული მისდევს სამგლოვიარო პროცესიას.

„მოკვდაო“—ფიქნებიან, მაგრამ რა იცის ბავშმა რა არის სიკვდილი? პაპა მოუკლა, დედ-მამა აუტირა, ალბად საშინელი რამ იქნება,—ფიქრობს ის და შეშინებული უქერს ხელს დედის კალთას.

პირველი სვედა უცნაურად მოქმედობს გრძნობიერ ბავშვზე და ისიც თითქოს დადინჯდა, თითქოს მოშინაურდა.

მოულოდნელად გაეცინა. რა მოაგონდა? დედამ პატარა ქალაღზე ანბანი ჩამოუწერა და ხელზე მოსამახებურე თორმეტი წლის ბავშვს გადასცა, წერაკითხვა უნდა ასწავლოს. მარინამ წაართვა ქალაღი და თვითონ დაიწყო კითხვა.

— შენ ჯერ პატარა ხარ, არ შეიძლება შენი სწავლა. — ეუბნება დედა და სცდილობს გამოართვას ქალაღი.

— არა, მეც მინდა ვისწავლო. მინდა ვიცოდე რა სწავრობენ ^{ქართულში} წიგნებში, გაჯიუტდა მარინა. დედა იძულებულია დასწეროს მეორე ქალაღი. გადის თვე და ხუთი წლის ბავშვა გაუსწრო თორმეტი წლის გოგონას.

მან უკვე დაისწავლა წერა-კითხვა და ძველ „ბუნების კარს“ ხელიდან არ იშორებს. წიგნი მისთვის მთელ სამყაროდ გადაიქცა და დედოფალების საზოგადოებას თავი მიანება.

დრო მიდის, მიდის და... დიდი ქალაქი, სასწავლებელი, ამხანაგები, მასწავლებლების მთელი ჯგუფი.

დაიწყო სერიოზული შრომა და დაითალხა მხიარული ნათელი დღეები. მოიწყინა, მაგრამ იცის, რომ ეს კედლები არსად არ გაუშვებენ მას და ისიც ურიგდება თავის ხვედრს: ეჩვევა სკოლას, ამხანაგებს, იზრდება, ლამაზდება, ქალიშვილობს, ბეჯითად ეკიდება მეცადინეობას. მასწავლებლები სასწავლებლის სიამაყეს ეძახიან, ხელს უწყობენ, წიგნებს აწვდიან, დიდ იმედებს ამყარებენ მის მომავალზე.

შეუწინებლად გაიარა დრომ და დადგა გამოთხოვების წუთიც. უკანასკნელი დღე ამხანაგებთან გატარებული. უკანასკნელი საუბარი აღმზრდელებთან.

უკანასკნელი საზეიმო საღამო და...

ისევ სოფელი, ისევ დედ-მამა.

ჩვიდმეტი წლის გოგონა ბავშვივით მოედო მთასა და ბარს, მინდვრებს და ყვავილებს, ტყესა და მდინარეებს.

არასოდეს აღარ მოშორდება სოფელს, აღარასოდეს, მაგრამ... რად ათვალიერებს მას მახლობელ პროვინციიდან სტუმრად მოსული მოხუცი ქალი, ასეთი მუშტრის თვალით? რა უნდა მისგან?

— უნდა გაგათხოვოთ, შვილო. კარგ კაც მიგცემთ, ნასწავლს, სახელოვანს — ეუბნება დედა.

— ბედნიერი იქნები მარინა, ბედნიერი — უმატებს მამაც.

მარიხა უარზეა. მას არ სურს დასტოვოს სოფელი, დედ-მამა, საყვარელი პატარა გოგი, ეს ხუთი წლის ხუჭუჭა ბიჭი, რომელიც მის მშობლებს გვიან შეეძინათ და რომელსაც სიყვარულით ეძახიან „ნაბოლარას“. არა, მას არ უნდა გათხოვება. ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვია, გამოუცდელი, ცხოვრების [ასპარეზზე, ახლად ფეხმუდგმული და როგორ შეუძლია გაჰყვეს ისეთ კაცს, რომელსაც არ იცნობს, რომელიც არ უყვარს, მაგრამ მშობლები ხან ნაზი მოფერებით, ხან მკაცრი დატუქსებით იმორჩილებენ მას.

თუთრად მორთული, მდიდრულად ჩაცმული, მოწყენილი ზის ის ნაცნობ მეგობრებში და უკვირს, როგორ მოხდა ყელაფერი ეს?

კეთილი გამომეტყველება აქვს მის საჭმროს, მაგრამ ის მაინც შიშს გრძობს სრულიად უცხო მამაკაცისადმი. ის მზად არის მოიგლიჯოს ეს საათი, ეს სამაჯურები, ეს ოქროს რგოლი, რომელიც ეხლა გაუკეთეს მარჯვენა ხელის თითზე და გაექცეს ამ კაცს, ამ მღვდელს, ამ ადამიანებს, რომლებიც დროს გასატარე-

ბლად და საქეიფოთ მოსულან აქ, მაგრამ მას არა აქვს ამდენი გამედღეულება და ისიც უაზროთ ემორჩილება ყველას, ჰკოცნის ნათესაეებს, ექვემდებარება ყველა მოლოცვებს, ღებულობს თაიგულებს.

ჩხავრის ღვინით შეზარბოშებული სტუმრები ყანწებს ყანწებზე სკლიან. ვილაც უცნობი ახალგაზრდა სვამს მის სადღეგრძელოს და ამბობს გრძელ სიტყვას ცოლისა და დედის მოვალეობაზე. მარინა ბუჩანშია. მას კარგად არც კი ესმის, რას ლაპარაკობს ეს კაცი, მაგრამ ხედავს, რომ საჭიროა პასუხი მიუგოს მას. მაგრამ სიტყვის თქმის მაგიერ ის ოდნავი თავის-დახრით ეუბნება მას მადლობას და გრძნობს საშინელ დაღლილობას, სევდას, სულიერი მარტოობის სიმწვავეს. ხედავს, რომ შეცდომით მოხვდა ამ-წრეში, რომ არაფერი არა აქვს საერთო ამ ვალეშილ ხალხთან, რომ უცხოა მისთვის ის კაციც, რომელსაც მის საქმროს ეძახიან და თითქოს იხსნება ფარდა აქამდე მის თვალზე ჩამოფარებული და ხედავს გზას, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა ის, გაჰყოლოდა ზევით, სულ ზევით — შეცნიერებისა, საბელისა და დიდებისაკენ. ტკივილისაგან გული ეკუმშება და დანისლული თვალებით შეჰყურებს დედას. ეს იმერელი აზნაურის ამპარტავანი ქალი სუფრის თავში ზის და, საზეიმოდ მორთული, ვილიცას ემასლაათება. ღვინით დატვირთული მამაც გურულ სიმღერებს აკრიმანჭულებს და დღეს პირველად დაუწყო კრიტიკული თვალით ცქერა მშობლებს და მის გულში მათდამი სიყვარული თითქოს შეირყა.

რად არ დააყენეს შინ? რად გაიმეტეს ასე და ან რატომ მზიარულობენ იმ დროს, როდესაც ის ასე უბედურია? ამ კაცს შეუძლია აკოცოს მას, და ამის ახსენებაც კი შიშით ავისებს მის გულს.

ეს წუთიც დგება. მარინა კანკალებს, ბავშვივით ეფარება კუთხეს და ხედავს, თუ როგორ შემოვიდა ოთახში მისი დანიშნული, როგორ მიხურა კარები და როგორ მიუახლოვდა მას.

გულს მკერდი ვერ იტევს. ერთი წუთიც და... იტირებს, იყვირებს, დაეცემა, მაგრამ კაცი, რომელსაც ბედმა ასეთი როლი არგუნა და რომელმაც იგრძნო მიზეზი ქალის ასეთი შეწუხებისა, — შესდგა, მოსახვევად გაშლილი მკლავები მორჩილებით დაუშვა ძირს და უსაყვედუროდ გავიდა მეორე ოთახში.

მარინა აღტაცებულია. მისი გული სავსეა მისდამი მადლობით. ის მოითხოვს დაცვას, შეწვევას, გრძნობის გამორკვევას. დიტო თანახმაა და მარინაც ინიშნება მასწავლებლად იმ სასწავლებელში, სადაც ის ვამგის თანამდებობას ასრულებს.

ისინი ყოველდღიურად ხვდებიან ერთმანეთს, ერთად მუშაობენ, მსჯელობენ, მეცადინეობენ, მაგრამ სიყვარული, ისეთი სიყვარული, რომელიც ქალ-ვაჟს სჭირდება, მაინც არ აღიძრა მასში. ის ქვაა, ნამდვილი ქვა, და იტანჯება იმის გამო, რომ არ შეუძლია ეკუთვნოდეს მას, როგორც ქალი, როგორც საყვარელი ქალი. დიტოც გრძნობს ამას და სწუხს, რომ შეცდომით გაიფუჭა თავისი მომავალი ცხოვრება და ტყუილ-უბრალოდ შეაწუხა ის ქალიც, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია.

ორივე ხედავს განშორების საჭიროებას, მაგრამ ვერცერთი იმათგანი ვერ ამბობს გადაწყვეტ უკანასკნელ სიტყვას. მათ შეტად უყვართ ერთმანეთი, შეტად აფასებენ ერთმანეთს და ურთიერთის დაკარგვა ეძნელებათ.

წლები კი მიდის, მიდის და ისინიც თითქოს ეჩვევიან ასეთ ცხოვრობას, ურიგდებიან თავიანთ ხვედრს და კმაყოფილი არიან იმ პაწილა სიბუნებოლოდ, რომელსაც აძლევს მათ ის წმინდა, გულწრფელი, მეგობრული და მოყვარული დასწრება, დროთა განმავლობაში რომ დაწყარდა მათ შორის.

* *

მაისის მზიარული დღე უცებ შეიცვალა. ღრუბლის პატარა ნაგლეჯები, რომლებიც აქა-იქ მოსჩანდა, შეერთდნენ, დამძიმდნენ, გაიშალნენ და შემდეგ წვიმიან და კობის ისეთი კორიანტელი დატრიალდა, რომ ნიაღვარი ღრიალით მოედო ქუჩებს.

გრიგალნი აწყვეტილი ცხენებივით აჯირითდნენ, დაბრუნდნენ, აღრიალდნენ და ისევ ჩადგნენ. ცაც ისევ შელამაზდა:

ნისლის მსუბუქი ნაფლეთები წითელი ფარჩის ნაქრებივით დაიკვცა მიკიბულ-მოკიბულ მთის მწვერვალზე, და კიდევ შეძდევს... მზემ ისევ გამოიკვირება დაგლეჯილ ღრუბელთა კალთებიდან, როგორც იკვირება ცელქი და ონავარი ბავშვი, რომელმაც სახლში ყველაფერი მიანგრ-მოანგრია და მერმე ისევ ზოესურვა წესრიგი დაამყაროს.

მარინა ყველაფერს ამას თვალს ადევნებს თავისი ოთახის დაკეტილ ფანჯრიდან, მაგრამ როცა მზემ მასაც მოხედა და მოარშიყე კაბუკივით თვალი ჩაუკრა, მარინას გაეცინა, მხეს პაეროვანი კოცნა გაუგზავნა და საჩქაროდ გაიქრა ქუჩაში.

ჩქრიალა, რომელიც განსაკუთრებით უყვარს და რომელშიც არა ერთხელ უბანანია, ისე ადიდებულა, და ისეთი მრისხანებით მოაგორებს ატალახებულ ტალღებს, რომ მას სულაც აღარ უხდება ჩქრიალს სახელი.

წყლის ნაპირზე უეცრად ეტლი შეჩერდა.

— ნიკა, შენ გინდა ვახვიდე ამ ადიდებულ მდინარეში? — იკითხა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ეტლში იჯდა და თვალებით ზომავდა წყლის სირღმეს.

— ამაზე უფრო დიდ მდინარეშიც გავსულვარ, მაგრამ ცოტა ხანს ცხენებს დავასვენებ. ისინი ოფლიანია და არ მინდა წყალში შევიყვანო,

— კეთილი, მე ცოტას კიდევ გავივლი და დახუთულ მუხლებს გავიმართავ, ხუთმეტრი ვერსი გამოვიარეთ და ჯერ კიდევ ბევრი გზა გვაქვს გასაფლელი. ამბობენ ამ მიდამოებში მალე მატარებელი დაიწყებს სირბილსო. არ გინახია ეს ამბავი, ნიკა?

— რატომ, მიხარია — წარმოსთქვა მეეტლემ ისეთ კილოზე, რომ მისმა „მიხარია“ წინააღმდეგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— შენი შემოსავალი იკლებს ამის გამო, ჩემო ნიკა, და მუშტრები წითელი ღვინით აღარ გაგიმასპინძლებიან.

— არა უშავს რა, მაშინ მე ჩემ „ფაიტონს“ გავყიდი და კონდუქტორად დავდგები. — დაიამედა თავისი თავი ნიკამ და ცხენის სადავეებს მაგრად ჩამოსწია.



— იმ ეს აზრი მომწონს. კარგია, როცა ადამიანი ჩიხს თავს აღწევს — ამ სიტყვებით ის გადმოხტა ეტლიდან, პალტოს ფოლაკები გაიშინა, აწაფუნქქული გაისწორა და... შესდგა, გაქავედა.

მან შეამჩნია ახალგაზრდა ქალი, რომელიც მისკენ პროვოლით იდგა და ტალღათა სრბოლვას შეჰყურებდა. და ისიც უცქერის ამ ქალს და უცქერის რაღაც „გადაქარბებული ცნობის მოყვარეობით. უცქერის ისე, როგორც უცქერენ იდამიანს, რომელიც ოდესღაც სიზმარში უნახავთ, ანდა საღლაც, ცხოვრების რომელიღაც გზაჯვარედინზე შეხვედრიან.

მარინამ უცნობი მაშაკაცისგან ასეთი ყურადღება თავებდობად მიიღო, გაჯავრებულმა წარბები შეიკე და პირსახე მიიბრუნა.

ვაჟმა იგრძნო, რომ შეურაცყო ის ასეთი მოუხრიდებელი მზერით და ჩქარი ნაბიჯით გაბედულად მიუახლოვდა.

— ბოდიშს ვიხდი კანდიერებისთვის, მაგრამ მე არც თავხედი ვარ და არც შემთხვევით გზად გავლილი დონქუანი. მგონია საღლაც მინახავხართ, მაგრამ სად ეს კი ვერ მომგონებია.

ალბათ სცდებით, ყმაწვილო, მე თქვენ არ გიცნობთ, — მიუგო ქალმა ცივად და თავის ამაყური აღებით აგრძობინა, რომ მასთან ლაპარაკი არა ჰსურს.

— შეუძლებელია ვსცდებოდე. მე თქვენ საღლაც გნახეთ, სწორეთ ასეთი გამომტყელება გქონდათ... — დაფიქრა, თითებით შუბლის ნაოჭები შეაჩინა და... — ჰო, პოლინა, თქვენ იცნობთ მას? ის არის ქალთა განყოფილების გამგე და ამავე დროს რედაქტორობს ჟურნალ „ახალ ქალს“.

— პოლინა ჩემი სკოლის ამხანაგია და აგრეთვე ჩემი საუკეთესო მეგობარიც, მაგრამ... თქვენ თბილისში ცხოვრობთ? — ჰკითხა ქალმა და მის პირსახეს უკმაყოფილების ჯანყი ერთბაშით მოშორდა.

— მე ექიმი ვარ და ვმასხურობ ტვილისის ერთ ერთ საავადმყოფოში. პოლინა ჩემი ნათესავია. მეც იმასთან ვნახე ფურადებოთ დახატული თქვენი სურათი და ისე ძეუტხოვა თქვენი თვალების გამოეჩეულება, რომ საათობით შევეყურებდი მას. მე მინახავს ულამეზესი ქალები, მაგრამ ჩემი თვალები წუთითაც არ შეჩერებულა მათ სახეზე. თქვენ კი იზიდავთ ადამიანს რაღაც სხვა რამით, რომელიც თბოულობს და ევირვებას, ამოცნობას, გაგებას.

— თვითველი ადამიანის ცხოვრება საესეა იდუშალებით, უცნაურობით და ამოცანებით: ამ მზრით მე გამოჩაკლისს არ შევადგენ.

— ცხოვრების ცვალებადობას ყველა ერთ გვარად არ განიცდის, ზოგი ყველასფერს ზერელედ გრძობს, ზოგი კი უფრო ღრმად და უფრო მძლავრად.

— ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა არც დიდი ტანჯვა და არც დიდი სიხარული. უკმაყოფილო ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ პროვინცია და ჩემი პატარა საქე არ მაკმაყოფილებს. ვგრძნობ, რომ მე შემძლია გავაკეთო ამაზე უფრო მეტი, გავაკეთო ისეთი რამ, რაც ყოველდღიურ საარსებო წერილმანებს დამავიწყებს და ჩემს არსებობას გაამართლებს.

— პოლინა ამბობს, რომ თქვენ უნივერსიტეტში შესვლას აპირებთ და იმედიც აქვს დაეხმარებთ მას პარტიულ მუშაობაში. ეხლა კი გამოგემშვიდობებით და იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ტფილისში გიხილავთ.

— გადაეცით პოლინას ჩემი სალამი და უთხარით, რომ მე ველოდი, რომ მისი სიტყვებით მისკენ რამოდენიმე ნაბიჯი წარსდგა და ანგორე უცემლად მის ხელს ხელი დაადო, ამ შეხებამ უცნაურად იმოქმედა ორივეზე, ისინი თითქოს შეივრხენ და თითქოს პირველად იგრძნეს ერთმანეთი.

— დავალებას პირნათლად შევასრულებ, ნახვამდის... მარინა. უკანასკნელი სიტყვა ისეთი გრძობით ითქვა და ეს თქმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მარინას სიფითრემ გადაჰკრა და მისი გულიც უცნაურმა და უჩვეულო განცდამ გასწორა, ვაჟი დაიხარა, ტუჩებით შეეხო ქალის თითებს და ცხენებიც აზვირთებულ მდინარეში შეიკრუნ.

მარინამ ერთი წუთით დახუჭა თვალები და როდესაც გაახილა, ვაჟი უკვე გაღმიდან უქნევდა ქულს და შორიდან ღიმილით უგზავნიდა სალამს.

ვინ იყო ნეტავ ეს უცნაური მოგზაური, რომლის სახელიც არ იცის მარინამ, მაგრამ რომელმაც მაინც მოახერხა რამოდენიმე წუთის განმავლობაში შეტრილიყო მის გულში და იქ წლობით დამკვიდრებული მყუდროება შეეშფოთებინა?



— რამდენადაც მოულოდნელი იყო შენი მოსვლა, იმდენადვე დიდია ჩემი ზიზარული. სამი დღეა აქა ხარ და მე ჩემი თავი ისევ სიზმარში მგონია. რამდენიმე წელიწადი შესრულდა რაც ერთმანეთი არ გვინახავს და მეც ისე მენტრებოდი შენ, პოლინა. ისე ძალიან მენტრებოდი, — ამბობს მარინა და მხურვალედ ეხვევა საყვარელ მეგობარს.

ორივენი აივანზე სხედან და ორივენი სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენენ.

მარინა საშუალო ტანისა და ნაზი აგებულობის ქალია. პირის კანი თეთრი, ჩვილი და სათუთი აქვს და ლოყებზედაც ოდნავი ვარდის ფერი დაჰკრავს. სწორი ცხვირი, პატარა წითელი ტუჩები და ქერა, მხრებამდე დაშვებული ხუჭუქა თმები მის სახეს ბავშურ გამოიმეტყველებას აძლევს. ყველაზე უცნაური თვალები აქვს. ეს დინჯი, სერიოზული და ქვიანი თვალები სულ სხვა გამოიმეტყველებით და სულ სხვა მზერით ათვალისწინებენ საგნებსა და მოვლენებს, და ზოგჯერ ისე სასტიკად იყურებიან, რომ ზოგნი იტყვიან ხოლმე: მარინა ფრიად სასიამოვნო ქალის შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ თავისი თვალების ცივი ელვარებით არ ჰყინავდეს ირგვლივ ყველას და ყველაფერსო.

თვითონ მარინა თავის ასეთ ხასიათს ამგვარად ხსნის.

— ბუნებით კეთილი და ლმობიერი ვარ, ხოლო ჩემი თვალების ცივი ზისასტიკე იმას ნიშნავს, რომ მე რაიმე უარყოფითი მხარე აღმოვაჩინე იმ პიროვნებაში, ვინც ეს იგრძო. მე მოვითხოვ, რომ აღამიანი არ იყოს წვრილმანი, გაუტანელი, ამპარტავანი და შურიანი. მოვითხოვ, რომ ის ამაღლდეს თავის საკუთარ თავზე, თავის საკუთარ ბუნებაზე, ეს იქნება მისთვის უდიდესი გამარჯვება და იქნება აგრეთვე გზა არაუყოფისაკენ. თვითელი ჩვენთაგანი ჭუჭყი და ტალახია და თუ ეს ტალახი ყოველდღიურად არ ჩამოვაცალეთ ჩვენს სულიერ არსებობას, ყველანი ქაობად გარდავიქცევით და ქაობი კი არაფერს უმზადებს კაცობრიობას, გარდა შხამისა და საწამლავისა.

მალალი და სუფთა, სპეტაკი და მოუსყიდველი, ასეთი უნდა იყოს მისი შეხედულებით თვითელი ჩვენთაგანი და სწორედ ასეთ პიროვნებად სთვლის ის იმ სამიოდენ ადამიანს, რომლებსაც მეგობრობს ის.

პოლინა მარინას სრული კონტრასტია. ის არის საშუალოზე ცოტა უფრო მალალი, შავგვრემანი, მიზიდველი, შეთვალეზიანი და ჯანსაღი იერისა. ფართო შუბლი და მოზრდილი წითელი ტუჩები ალამაზებს მის დარბაისელ სახეს. ყოველ მის მიხვრა-მოხვრაში მოსჩანს ქალღური სინაზე, თუმცა ერთი შეხედვით შეატყობთ, რომ ის ბევრს არ ფიქრობს თავის გარეგნობაზე. წარბებს-შორის ჩაწოლილი ორი ნაოკა მის ძალასა და ენერჯიას ადასტურებს და მთელს მის არსებას ემზნევა, რომ ცხოვრების მძიმე ამოცანები არა ერთხელ დასწოლია მის მხრებს და რომ ამ მხრებს ყოველთვის აუწყევია ეს ტვირთი, აუწყევია მტკიცედ და ღირსეულად.

მარინას ალერსიან სიტყვებს გადაქარბებული ყურადღებით უგდებს ყურს და მისი თმის კულულებს თითებით ეფერება.

— შენ გინდა ისევ იმ გიჟმაჟ გოგონად მეჩვენო, ოდესღაც რომ იყავი სასწაელბელში, მაგრამ, ჩემო კარგო, მაშინდელი შენი მზიარულება ბუნებრივი იყო. ეხლა კი ნაძალადევი და ნერვიული. ორი წლით ჩემზე უმცროსი ხარ და ორი წლით ჩემზე გვიან დაამთავრე სასწავლებელი. ოცდა-ოთხი წლისა ხარ და პირსახე ისევ ბავშვისა გაქვს, მაგრამ ხასიათი საგრძობლად შეგცვლია. შენ მწერდი, რომ კმაყოფილი ხარ ცხოვრების, მაგრამ ახლო რომ შეგხედდე, აღარა მჯერა შენი გულწრფელობა. მე მაკვირვებს შენი და დიტოს ურთიერთობა. ოდესღაც ერთმანეთი დანიშნეთ, მაგრამ ერთად არ გიცხოვრიათ. შენ კი დღესაც თითქოს ვალდებულად სთვლის შენს თავს, ბოდის იხდი და რაღაცასი გრცხვენია, რასა ჰგავს ეს?

— რატომღაც მგონია, პოლინა, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც ამ კაცს გაეყვები, ძალიან პატოს ვცემ მას, ვაფასებ... მიყვარს.

— გიყვარს უბრალო მეგობრული სიყვარულით, და ნუ თუ მეტს არაფერს მოითხოვ ცხოვრებისგან?

— სიციცხლის მიზნად მამაკაცის სიყვარულს არა ვთლი. ის იმდენად დიდი და წარმტაკი უნდა იყოს, რომ არც კი უნდა გეცალოს ვნებებზე ფიქრისთვის. ხომ ამბობ შენ, რომ ამდენი წლის განმავლობაში ერთი წამიც არ დაგიკარგავს მამაკაცზე ფიქრში, ალბათ საზოგადო საქმე უფრო ძვირფასია, ვიდრე პირადი ბედნიერება.

— მე არ ვიტყვოდი უარს ამაზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ეს. კერძო ცხოვრებაში ბედნიერი ადამიანი გაასკეცებული ენერჯიით აკეთებს საზოგადო საქმეს. უსათუოდ საქებია, როცა პირადი სიხარული ეწირება საკაცობრიო იდეალებს, მაგრამ, როცა ამას არ მოითხოვს საპირობა, სისულელეა უარის თქმა სიყვარულსა და ბედნიერებაზე.

— შენს წინ რომ ეხლა სარკე იდგეს, შენ თვითონ შეგაშინებდა საკუთარი პირსახის გამომეტყველება. მოზდა რამე შენს ცხოვრებაში?

— თუ მეგობარი ხარ, ამის შესახებ ნურაფერს მკითხავ. გახსოვდეს მხოლოდ, რომ ძალიან უბედური ვარ და, თუ შეგიძლია, ტანჯვა შემიმსუბუქე.



ქართველთა
წიგნების
კავშირის
კავშირის

— როგორ მივალწიო ამას?

— გიყვარდე.

— ახ, პოლინა, შენსავით ძლიერ მე არვინ არ მიყვარს.

— მჯერა და მეც მიხარია, რომ ტფილისში ვადმოდიხარ.

— იქ განა შეგობრები არა გყავს?

— პარტიული ამხანაგებია, მათთან საქმე მაკავშირებს.

— შე მაკვირვებს შენი ამგვარი გარდატეხა. გიმნაზიაში მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდი პოლიტიკურ საკითხებს. შენი ოცნება უნივერსიტეტის დამთავრება იყო, და როცა 1916 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში მოხვდი, შენ პარტიულ მუშაობას ზოპირად ხელი და თავი ირკუტსკის გუბერნიაში ამოჰყავი.

— იმ დროს რომ აგრე არ მოვექცეულიყავი, ვავგაიქებოდი. არალეგალური ცხოვრება, არალეგალური მუშაობა მაგიწყებდა საკუთარ თავს და ჩემთვის სწორედ ეს იყო საჭირო. რა სიხარულს განვიცდიდით, როცა თავს ვალწვევდით ჯაშუშების მიერ დაგებულ ხაფანგს და გაეცურებდით რომელიმე გაიძვერა პოლიციელს დღეს, როცა მიზანი სანახევროდ მიღწეულია, ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობაში, სიამოვნებით მომავონდება ჩვენი წარსული ცხოვრება, ჩვენი წარსული ბრძოლა და მუშაობა. მაგრამ ჩვენი საუბარი გაგრძელდა, მე კი მიწოდდა ბალი მენახა და შემეგრძნო სოფლის მყუდროება.

— წავიდეთ, ჯერ კიდევ ადრეა.

და ქალები ჩქარი ნაბიჯით დაეშვენ დაბლობში. წითელი და თეთრი ყვავილები ბავშვებზე სუნთქავდნ და მწიფე ალუბალიც სასიამოვნოდ უაღერსებდა თვალებს. ქალების დანახვაზე დიტომ მიატოვა სასახლევი მაკარტელი და კალათით მიუახლოვდა მათ.

— ალუბალი დაგიკრიფეთ, მაგრამ ასე გვიან რად გამოხვედით სასეირნოდ? მზე ჩადის და მალე ნესტი იქნება.

— მე ნესტისა არ მეშინია, მაგრამ მარინა კი გავინაზებიათ. ის ძალზე ფერმკრთალი მეჩვენება.

— მარინა არ სარგებლობს ჰაერით. ის მთელი დღე დახშულ ოთახში ზის და წიგნებს ჰყლაპავს, კი არ კითხულობს, ჰყლაპავს. ეს მავნებელია მისთვის, მაგრამ არა სჯერა.

— მე არაფერი მტკივა და თუ ამ უკანასკნელად ცუდად გამოვიყურები, ამის მიზეზი შენც იცი.

— მარინას ის აზრი აწუხებს, რომ უნდა დამშორდეს. თქვენ აღბათ იცით ჩვენი ისტორია.

— ვიცი და მიკვირს. თქვენ, ამხანაგო დიტო, ქორწინების ასეთი ძველი წესის მომხრე ხართ? წარმოუდგენელია!

— მე მარინას ვიცნობდი შორიდან. მიყვარდა და მომწონდა, მაგრამ იმდენი გაბედულება არ მეყო, რომ პირადათ მიესულიყავ მასთან. დედა გავგზავნე მარინას მშობლების აზრის გასაგებად და თვითონ მარინასიც შეკლომა მოხდა, მაგრამ ჩვენ ორივენი დროზე შევდექით. მეც ვიცი რა ძალიან სცდილობდა მარინა ერთუქებია ჩემთვის თავისი გული, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და მეც მიხა-

რია, რომ ის სტოვეებს აქაურობას და მოდის თქვენთან, ხალხში გაერევა, იმე-
ცადინებს, იშრომებს, გაიცნობს ახალ ადამიანებს, წავა წინ...

— შენ?— ჰკითხა მარინამ დაღრუბლული სახით და თვალებში დაჭრა.

— მე... მე გაუძლებ როგორმე, შენი კარგად ყოფნა მსურს... მსურს ამიტანი-
ნებს. ვახსოვდეს მარინა, რომ შენი გადაწყვეტილება მე მახარებს, როგორც გინ-
და დამთავრდეს ის, მაინც მახარებს. ხომ გესმის რაზე ვლაპარაკობ?!

— მესმის და მეგონა უკეთესი აზრის იყავი ჩენზე.

— ამით ჩემი აზრი არ შეიცვლება, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვასწო-
რდეს შეცდომები?

— დიტო, თუ შენ ჩემს წასვლას ასეთი მნიშვნელობა მიეცი და ასეთი
გადაკრული სიტყვებით მელაპარაკე, მე დავრჩები, მე... ავტირდები. — წარმოს-
თქვა მან აღელვებული ხმით და მის პირსახეს ოდნავემა სიწითლემ აპკრა.

— ჩემო კეთილო მეგობარო, მე ვიცი რომ პატივს მცემ, მადასებ და გებ-
რალები.

— შენ კი გინდა თავიდან მომიშორო.

— არა. მე მინდა არ ვუშლიდე ხელს შენს წინსვლასა და განვითარებას,
მაგრამ თუ ოდესმე მოგატყუოს ცხოვრებამ და ადამიანებმაც, თუ ველარ იპოვო
ის, რასაც დაეძებ და რისი ხილვაც გწადია, მაშინ ისევე ჩემთან დაბრუნდი და
მე ბედნიერი ვიქნები შენი სიახლოვით.

— აი რატომ მიყვარს, რატომ მხიბლავს ეს კაცი, სთქვა მარინამ, როდეს-
საც დიტო დაშორდა მათ.

— უსათუოდ კეთილშობილი ადამიანია, მაგრამ შენ რომ მაინც... არ
გინდა?!

— აქ არის მთელი ტრალედია. მე მაოცებს ის თავისი სულეერი სიმაღ-
ლით და გრძნობების სიფაქიზით. მიყვარს და პატივს ვცემ, როგორც ადამიანს,
მეგობარს, მაგრამ როდესაც იღვიძებს მის სისხლში მამაკაცი და როდესაც მი-
ახლოვდება როგორც მამაკაცი, მე ვცოვდები და შიშა და ზიზღს ვერ ვაღწევ თავს.
მე ვებრძოდი ჩემს თავს მთელი შვიდი წლის განმავლობაში, მინდოდა გაეღვიძა ჩემს
არსებაში ქალს და აღძრულიყო ენება მასდამი, მაგრამ ამაოდ, მე ამას ვერ
მივალწიე.

— გრძნობის დამორჩილება აგრე ადვილად არ შეიძლება და შესაძლოა
მართლაც მოხდეს ის, რაზედაც ველაპარაკებოდა დიტო.

— არა მამაკაცზე ვფიქრობ მე, არამედ სწავლაზე. თქვენ ორივეს რატომ-
ღაც გავიწყდებათ ეს.

— მართლა, მარინა, გერმამ დიდი ამბით დამაბარა შენთან მოკითხვა.

— გინ არის გერმა? — იკითხა მარინამ და იგრძნო, რომ გაწითლდა.

— ექიმი გერგაძე, წყლის პირად რომ გაიცანი. ჯიუტი ხარ. ამ სამ დღე-
ში ერთხელაც არ იკითხე ის კაცი, და ეს სიწითლე საკმაო საბუთია იმისა,
რომ...

— თუ ეს მართლა იძლევა რაიმე საბუთს, მე იმ კაცს არც შევხვდები.

— ის მოდის ხოლმე ჩემთან და შენ ამას ვერ მოახერხებ. არ გაშინებს მისი
შეხვედრა?

— არა, თუ ეს აუცილებელია. მე ბავშვი არა ვარ და ვიცი სარგობა და დავიჭირო თავი.

— კრ.. კრ.. კრ.. გაისმა უცხრად კრიკინების გალობა და ქალებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

— ოჰ, ჩემი საყვარელი კრიკინები! რამდენი ხანია რაც ამითი ხმა არ გამიგონია!— წარმოსთქვა პოლინამ და ფართოდ გახილული თაქლებით გახედა სივრცეს. ტყე აშრილდა და შორს სადღაც ამ ტყის სიღრმეში ბუღბუღების საამური სტვენაც გაისმა.

ორმაგი ორკესტრი უნაზესი ბგერებით მოედო არე-მარეს და ორივე ქალს თავისი წარსული ბავშობა მოაგონდა.



მარინა მსახურობს „ახალი ქალი“-ს რედაქციაში, მუშაობს უპარტიო ქალებში. დადის უნივერსიტეტში, აირჩია სამკურნალო ფაკულტეტი, გინეკოლოგიური დარგი. მას უნდა შეისწავლოს ბუნება ქალის, ამ ბიოლოგიურად დაზარალებული ადამიანის, რომელსაც მამაკაცთან სოციალური გათანასწორობაც კი ვერ ანიჭებს სრულ თავისუფლებას და ვერ ხსნის იმ ჯადოსნურ კვანძებს, რომელითაც შეუბოძავეს ის ბუნების უსასტიკეს კანონებს.

ხშირი ორსულობა, ხშირი მშობიარობა, ბავშვის კვება, მუღმივი ავადმყოფობა, აი ხვედრი თვითღული დედაკაცისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქალს მაინც იმდენი ენერჯია შერჩა, რომ დასძლია თავისი ფიზიოლოგიური ტრალედია და წავიდა წინ მამაკაცური გამბედაობით, წავიდა წინ მამაკაცური ნაბიჯებით.

თანდათანობით იპყრობს ის ცხოვრების მწვერვალებს. დღეს უკვე არიან ქალები კომისრები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, არიან მეცნიერებიც და ხელოვანებიც.

მარინა ცდილობს დაეწიოს მათ და ისიც მუშაობს, ფიქრობს, კითხულობს. მისი ოთახი წიგნთსაცავს უფრო ჰგავს, ვიდრე საცხოვრებელ ბინას და ისიც ეძლევა ამ წიგნებს ისეთი გატაცებით, რომ აღარ რჩება დრო წავიდეს თეატრში ყოველ პრემიერაზე, მოისმინოს ოპერა, ნახოს დრამა კინო და ახალი სურათები.

ცხოვრობს სრულიად განმარტობით. იცვამს სრულიად უბრალოდ. ჩაცმის სტილი ასეთი აქვს: ზამთარში— შავი ხავერდის კაბა, თოვლივით თეთრი საყელო და სამაჯურები. ზაფხულში— თეთრი ტილო, თეთრი აბრეშუმი, პალტოს საყელოზე ყვითელი ყვავილი. ეს ფერი უყვარს და მის ოთახში დანარჩენ ფერებს ეს ფერი სკარბობს.

ყვითელი სუფრა, ყვითელი საბანი, ყვითელი აბაჯური, ყვითელი ხალათი. სტუდენტებთან კარგი ურთიერთობა აქვს, მეგობრობით კი არავეს მეგობრობს.

რამდენიმე ახალგაზრდამ სიყვარულიც გამოუცხადა. ყველა ერთი და იგივე პასუხით გაისტუმრა.

— დაიკადეთ, ამხანაგო, უნივერსიტეტს დავამთავრებ, ექიმი ქალი გავხდები, და მაშინ მოდით და შელაპარაკეთ გარძობებზე.

ზოგი ასეთ პასუხს ხუმრობაში ატარებს, ზოგს სწყინს, ზოგიც თავს შეურაცყოფილად გრძნობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველას ავიწყდება ეს უსიამოვნება და ისევ შეგობრულად ხედებიან იმ უცნაურ ქალს, რომელიც არასოდეს არ ავიწყდება და როზელიც სულ მუდამ იკეთებს ყვეზელსა და თეთრ სამაჯურებს.

— რა მშვენიერი იყო წუხელის ნატა ვაჩნაძე, არა მარინა, — უთხრა ერთ-ხელ ერთმა ამხანაგმა.

— არ ვიცი, მე ეს ქალი ეკრანზე არ მინახავს. — უპასუხა მან და ამ პასუხმა ისეთი გაცირება გამოიწვია მის ამხანაგებში, რომ თვითონვე გააცინა მისი სიტყვების მიერ გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ.

— სად ცხოვრობთ, ქალიშვილო? ტფილისში თუ ჯუმათის მონასტერში? — შენიშნა ირონიულად ერთმა ახალგაზრდამ.

— რუსთაელის პროსპექტზე ვცხოვრობ, და კინო „მინიონი“ ჩემი ოთახის ფანჯრიდან სჩანს.

— ავხსნათ ეს სიტყვით?

— არა.

— სიზარმაცით?

— არა.

— მაშ?

— ჯერ ერთი, არა მცალია, და მეორე კიდევ...

— რა? სთქვით, — შეეკითხნენ აქეთ იქიდან ცნობისმოყვარეობით.

— საუბარი გამიგრძელდება, ჩვენ კი....

— ჩვენი პროფესორი ჯერ კიდევ არ მოკა. დაიწყეთ.

— მინდა ამხანაგებს შეკითხვა მივცე.

— გისურვებ.

— ვთქვით, რომ თქვენ კითხულობთ უშესანიშნავეს წიგნს უშესანიშნავეს ავტორისას. გაიგეთ, რომ იგივე ნაწარმოები მიღის ეკრანზე, დატოვებთ წიგნს რომ წახვიდეთ კინოში?

— დავტოვებთ, ცოცხალი ადამიანების ნახვა უფრო საინტერესოა, ვიდრე...

— აი, მე ეს არ მესმის და არ მესმის იმიტომ, რომ კინოს კარგად დაწერილი წიგნი მიჩვენია. ასეთი შემთხვევა მოხდა: მიღის „ანა კარენინა“ ეკრანზე, ეს წიგნი მიყვარს, მე ის ათჯერ წამიკითხავს და ათჯერვე უმაღლესი სიხარული და სიამოვნება განმიცვლია. მე ვგრძნობ ამ წიგნს და ამ წიგნის ავტორს, ვგრძნობ და განვიცდი თვითნებულ წერილმანს და ყველაფერი ეს ისეა ჩემში ჩამჯდარი, რომ მისი ამოშლა დროსაც არ შეუძლია. ბილეთი ვიყიდე და მოუთმენლად ველოდები დასაწყისს. დარბაზში სინათლე ჩაქრა, ტილოს პროექტორმა დაარტყა და... გამოვიდა ვიღაც, სხვილი, მოუხეშავი მანდილოსანი. დადის, თამაშობს, ლაპარაკობს, თვალებს აბრიალებს, ერთი სიტყვით — სკდილობს გვაჩვენოს და დაგვიხატოს ამ მშვენიერი ქალის სულისცემა. ამოდ! შე ვგრძნობ რომ ყოველივე ეს ყალბია. არა სჩანს ნამდვილი განცდა. არა სჩანს ანნას დემონური სილამაზე, მისი დემონური ტემპერამენტი, მისი გრაცია. და მამზიდველობა. გუნება და შთაბეჭდილება გამიფუჭდა და შემდეგ, როცა ამ ნაწარმოებ-



ზე ვფიქრობ, თვალწინ ყოველთვის ეს სქელი და უშნო ქალი დამიდგება და მიშლის ანნას ნამდვილი სახის დანახვას.

— რენო, — დაილაპარაკა ვილაკამ და მარინამაც ლამაზად შეხსწევითა. პროფესორმა თავაზიანად მოუხადა ყველას ქუდი და დინჯი ნაბიჯით შევიდა დარბაზში. ლექცია დაიწყო.

სხდომა დამთავრდა.

პარტიელი ამხანაგები აქა-იქ კიდევ კამათობენ. სალაპარაკო ბევრია, გასაკეთებელი უფრო მეტი.

ერთ ერთ ჯგუფს გამოეყო მაღალი, ქერა ვაჟკაცი, და განმარტოებულ პოლინას მიუახლოვდა.

— სალამი, ამხანაგო! — გაიღიმა მან და გასხნილ ტუჩებიდან კბილები ისეთი ელვარებით გამოაკრთო, როგორც სამაჯურში ჩასმული ბრილიანტები. პოლინა ერთბაშათ შემობრუნდა და შეეცადა დაემალა ის მღელვარება, რომელიც ამ კაცის სიახლოვემ აგრძნობინა.

— დღეს შენ გაიმარჯვე. მომილოცავს. — უთხრა მას ზურაბმა და ისევ გაიღიმა.

— როგორ? შეეკითხა პოლინა ღიმილითვე.

— უპატრონო ბავშვთა ახალი თავშესაფარი, უმუშევარი ქალთა დახმარება და ბრძოლა პროსტიტუციასთან. ეს ხომ შენი პროექტი იყო და აღბათ გაგახარებს გამოტანილი რეზოლუცია. რაც შეეხება შრომას, ეს შენზე და ამხანაგ ქალებზეა დამოკიდებული.

— თანხა იყოს და შრომა აღვილია.

კარებთან ცოტახანს კიდევ შედგენ და ამხანაგების კამათში რამოდენიმე სიტყვა თვითონაც ჩაურთეს.

ღამის 12 საათი იყო, დარბაზიდან რომ გამოვიდნ და ქუჩაში მიმავალ კომკავშირელების ჯგუფს შეეფუთენ. მათ შორის ქალებიც იყვნენ და ხალისიანად ესაუბრებოდნ ერთმანეთს.

რაზე?! კომკავშირელთა მომავალ ყრილობაზე. შეჯიბრების თვალსაჩინო შედეგებზე. სპორტზე და ვარჯიშზე. ერთმანეთთან თავი ამხანაგურად ექირათ და არ ისმოდა მათ შორის არც შაბლონიური ქათინაური, არც გადაქარბებული სიტამამე.

— ახალი თაობა მოდის, — შენიშნა კმაყოფილებით ზურაბმა — მოდის მომზადებული პოლიტიკურად, განვითარებული გონებრივად. გაჯანსაღებული ფიზიკურად. მათი ნაბიჯი მსუბუქია, წინსვლა სწრაფი, შემეცნების პორიზონტი გარკვეული და ნათელი. მე მახარებს ახალგაზრდობის წინსვლა, მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ, რომ ჩემსა და ამ ახალს შორის დგას რაღაც და ეს რაღაც არის... ძველი, ძველი აღზრდა, ძველი კულტურა, ძველი ტრადიცია. მე მახოვს ჩემი საკუთარი ოჯახი და ოჯახი ჩემი ახლობელი ნათესავებისა, ეს ძველი ბიბლიური ადამიანები ქრისტეს მოციქულების მცნებათა მიხედვით რომ ცხოვრობდნ. მე არ შემიძლია უირონიოდ წარმოვიდგინო ეს ხალხი, მაგრამ მე ვიზრდე-

ბოდი მათთან ერთად და ის მორალური ზეგავლენა, რომელიც ბავშობიდან მომყვა, დღესაც უნებურად შემარხვეს ხოლმე.

პოლინა დაფიქრებული უგდებდა ყურს ამ საუბარს და მას შემოიხეზაზე, „ვარ თუ არა მე გაკიცხვის ღირსი ამისათვის?“ უპასუხა: *მისწერეთ*

— თუ ეს ზეგავლენა უმნიშვნელო ხასიათისაა—არა, და თუ ეს ზეგავლენა მახინჯ ფორმებში მელავენდება, მაშინ კი ღირსი ხარ. მაგრამ მე გიცნობ შენ და ვიცი, რომ შენში ძველს ახალი სჭარბობს.

— საით წავიდეთ ეხლა?—იკითხა ზურაბმა, როდესაც დაინახა, რომ პოლინა შეჩერდა.

თავთავიანთ ოთახებში.

— მე ლაპარაკი მინდა შენთან.

— აკი ვილაპარაკეთ.

— შენი გამოცნობა მინდა მე.

— ვერ შეიძლება. არის ხოლმე შეცდომით დაწერილი ამოცანა, რომლის გამოცნობა არ ძალუძს თვით უდიდეს მათემატიკოსსაც კი, ასეთი ვარ მე, და სჯობია თავი დამანებო.

— მე ვგრძნობ თითქოს ერთ უდაბურ თვალწარმტაც ტყეში გზა ამრეოდეს, ბილიკს ვეძებდე, რომელიც შენს გულამდე მიმიყვანდეს.

— ბილიკები გადაჭრილია. გული არ არსებობს. ტყუილად ჰკარგავდროს.

— დარწმუნებული ვარ, პოლინა, რომ შენ ჩემი იქნები.

— არასოდეს.

— არ მოგწონვარ?

— პირიქით, მე ყველაფერი მომწონს შენი, და სხვა დროს, სხვა პირობებში შენს მეტს არავის ავირჩევდი.

— მიზეზი?

— ეძიე ჩემს წარსულში.

— გიყვარდა ვინმე?

— ნეტავი ასე ყოფილიყო, მოგონება მაინც დამრჩებოდა.—მიუგო ქალმა ჩაწყვეტილი ხმით და თვალბეჭებში განუსაზღვრელი სევდა გამოუკრთა. ზურაბმა იგრძნო, რომ რალა; მეტად მტკივნეულ რამეს შეეხო და შენანებული გრძნობით ხელი დაადო მის ზელს.

— უკეთესია სხვა ვინმეზე იფიქრო. ასე აჯობებს ჩვენთვის, ორივესთვის. ნახვამდის, ჩემო მეგობარო.

ისევე ამოცანა, ისევე გაუგებრობა. ოთხი წელიწადია რაც ზურაბის სული სასოწარკვეთილებით აწყდება ამ საიდუმლოების ცივ კედლებს, მაგრამ ვერ კიდევ ვერ გაარღვია ის. ნუ თუ ვერასოდეს ვერ განსკვრეტს სიღრმეს იმ უფსკრულისას, რომელიც ამოთხრილია მათს შორის?!

* * *

ქალაქის საუკეთესო უბანი. გაშლილი ჰორიზონტი სუფთა ჰაერი. დიდი სახლი, მრავალი მოსამსახურე და ბავშვები, ბავშვები: შავგვრემანი, ქერა, წი-

თური, შევთვალა, კროლა, მახვი, ლურჯთვალა. თავშესაფარის დასათვალე-
რებლად მისული პოლინა ბავშვებს სხვა და სხვა შეკითხვებს აძლევდა:

— შენ, დოდო, თურმე ხშირად კირვეულობ და აწუხებ ხარ კატომ?!
— მალინა მჩხვლეტს. ის დიდი და ვერ მოვერიე.

— რად სჩადიხარ ამას, მალინა?!—ეკითხება ის გაბუტულ წითელ ლოყე-
ბიან გოგონას, რომელიც კოპებ შეკრულა დგას და პაწია თითებით აწვალებს
ცხვირს.

— დოდო თმებს შქაჩავს და სათამაშოებს არ მიყენებს. ფეხები მოსტება
ჩემს დათუნისას, აბა ამას შემოხედეთ!—ამბობს ის და ცდილობს იატაკზე აკოტ-
რილებული სათამაშო ფეხზე დააყენოს.

— შენ ეხლა ხუთი წლისა ხარ და კვიიანი უნდა იყო. არ გაბედო მეორე
ჯერ ასეთი რამ.

— ბიჭუნავ, რად სტირი შენ?!

— პეტო მეუბნება, შენი დედა მოკვდაო. მართლა მოკვდა ჩემი დედა?!—
ეკითხულობს ის სლოკინით და მჯიღებით იწმენდს თვალებს.

— არა, პატარავ, შენი დედა სხვაგან წაიდა და როცა დაბრუნდება,
ტკბილეულობასა და ვაშლებს მოგიტანს. არ დაუჯერო პეტოს, ჩვენ მას ამისათ-
ვის დავსჯით.

— რამ დაგიკაწრა ეს სახე, მიშო?

— ვალიამ ბზრილა წამართვა და ვცემე.—ამბობს ის დაქადებით და ბზრი-
ალას უბეში ინახავს.

— აქ საბავშვო სახლია და არა მოედანი, როცა ვინმე დაგიშავენს რამეს,
მომეღელ ქალს უნდა მიმართო. ამიერიდან აგრე აღარ მოიქცე, ხომ კარგი?

ისიც თანხმობის ნიშნად მოზრდილ თავს აკანკურებს და პოლინაც უფ-
როსთა განყოფილებაში გადადის.

— პოლინა, პოლინა!—აღტაცებით იმეორებენ ბავშვები და მთელი ჯგუფი
ეხვევა მას.

— რას აკეთებთ გიგებო, კარგათ სწავლობთ?—ეკითხება ის მათ და თვი-
თეულ მათგანს სააღერსო სიტყვას ეუბნება.

— მე გუშინ ამოცანა ჩინებულად გამოვიყვანე.

— მე სცენაზე ვითამაშე.

— მე ლექსი დავწერე.

— მე.. მე..—ამბობს ერთი 12 წლის შავვერმანი გოგონა და პოლინას
გაუბედავად წინ უდგება.

— სიტყვი, რა გინდა, ჩემო კარგო?—ეუბნება პოლინა და თავზე აღერსით
ადებს ხელს.

— მინდა წერილი გავგზავნო ჯაეახეთში.

— მომეცი წერილი, მე გავგზავნი მას და განსაკუთრებულ ბარათსაც მიე-
წერ იქაურ მმართველობას, რომ წერილი დანიშნულებისამებრ იქნეს გადაცე-
მული

— ოჰ, დედა პოლინა, რა კარგი ხართ!—აღტაცებით ამბობს ბავში-
და საკმაოდ მოზრდილ კონვერტს იღებს ჯიბიდან.

„ჩემი სიბრალო, ჩემი უსახლკარო და ობოლი ბავშვები“, — ეძიებოდა ის და ამაყად შეჰყურებს სასეირნოდ გამოსულ მოწაფეებს, მზიარულ ქვიშვლებითა და დოლების ბრახუნით რომ მიეშურებიან ქალაქის ზალისკვეთისკენ.

* * *

მარინა ეროვნულ გალერეიაშია, ერთ-ერთ სურათის წინ დგას.

ყოველთვის, როდესაც ამ სურათს შეჰყურებს ბარათაშვილის ლექსი აგონდება „გასწი, გაფრინდი, გადამატარე ბედის სამზღვარი“.

იშლება სივრცე თვალუწვდენელი და უდაბურ გზებზე მიჰქრის მხედარი, მიჰქრის განწირული სულისკვეთებით, ეძლევა განწირული სულისკვეთებით წვიმას, ქარს, გრივალს, და მარინა ეკითხება თავის თავს: საიდან ილტვის და საიო მიისწრაფის ის თავისი შავი ქვეიანი მერანით, აქონრილი ფაფარით რომ მიადრენს რაინდს უხილავ მხარეში? და ხედავს შორს, ძლიერ შორს, უსახლკარო სივრცის სანაპიროებთან ჰკიდია მზე, და ღღერება ოქროს შადრევანი ალისფერ თასებში. ქაბუკი ისწრაფვის მზისკენ და მხეც ეძახის მას.

ფეხის ნაბიჯმა თავი გვერდზე მიაღებინა. მის წინ ექიმი გერგაძე იდგა.

— ეს კაცი რომ სინამდვილეში არსებობდეს, მე მისი სასტიკი მტერი ვიქნებოდი, — სთქვა მან და ქალს ღიმილით გაუწოდა ხელი.

— რატომ?

— თქვენ ისეთი თაოათ შეჰყურებდით მას, რომ... ოდესღაც მეც ასე მიზიდავდა თქიერი სურათი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ ოდესმე გიპოვიდით. მე მოვიდა და თქვენი შორეული, მაგრამ მაინც ცოცხალი სახე. ეს თვალები, ის უღლი, ეს ტუჩ...

მარინა აიშარათა. სასტაკი თვალის შეველო ახალგაზრდა კაცს და...

— თქვენ გავიწყდებათ, ექიმო, თუ სად ვიმყოფებით ჩვენ. — ამ სიტყვებით ის ცივად შემობრუნდა, მუხუშუმის გამგეს რაღაცა ჰკითხა და საჩქაროდ მოეფარა კარებს.

ორი წელიწადია, რაც ეს ქალი აქ არის და ამ ხნის განმავლობაში ერთ-ხელაც ვერ შეხვდა მას მარტოს. ერთხელაც ვერ დაელაპარაკა განმარტოებით. ის თითქმის გაუარბის მას, თითქოს ემალება. რატომ? ეშინია?

როდესაც მოულოდნელად სადმე შეეფეთება, მარინა მას დამშვიდებით ვერ უხვდება ხოლმე. მის პირსახეზე სიწითლე თამაშობს და აშკარაა, რომ ის ებრძვის თავის თავს, ებრძვის თავის გრძნობას, მაგრამ ვის შეუძლია გაუძლოს ამ ბრძოლას?!

ეს ქალიც უნდა დამარცხდეს, მაგრამ აქ საჭიროა მეტი სიფრთხილე, საჭიროა შეარჩიოს დრო და საჭიროა რაიმე ხერხი იხმაროს, რათა გასტეხოს და დაიმორჩილოს ეს გაამაყებული ქალიშვილი, რომელიც არავის არ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და ფუთობით დაათრევს სამეცნიერო წიგნებს.

* * *

საავადმყოფოში ნერვიული მდგომარეობაა. ამ კვირაში ზედიზედ მოიყვანეს ოთხი მომაკვდავი.

ერთს კიბო უზის მუცელში და მისი იქიდან ამოქრა შეუძლებელი ზღბდა. მეორეს კუჭი დაჩარჩული აქვს მოჭრინენელი იარებით. მესამეს ჰკლავა ნაწლავ-

ვების ავადმყოფობა და მეოთხე, ყველაზე ახალგაზრდა და მშვენიერია ქალი, მოწამლულია ტუბერკულოზის შხამით. ამ ქალს ვიოლას ეძახიან და მის სანახავად ხშირად მოდიან მისი დედა და ის კაცი, რომელსაც უყვარს და რომლის ცოლიც უნდა გამხდარიყო ის.

— ექიმო, თუ მორჩენა შეუძლებელია, გთხოვთ, გვედრებით, მომეცით რაიმე სასიკვდილო წამალი, რომ დავისვენო, რომ დავიძინო.— ეუბნება გერმას კიბოსგან დაავადებული დედაკაცი და ზედმეტი ტკივილებისაგან იმტვრევს თითებს, იკრუნჩხება, თრთის.

გერმა აძლევს რალაც უმნიშვნელო წამალს, ეუბნება რამოდენიმე სანუგეშო სიტყვას და გადადის მეორე ავადმყოფთან. აქაც უიმედობა, აქაც სიკვდილის სურვილი. აქაც უმნიშვნელო წამალი და აქაც უმნიშვნელო სიტყვა.

— აბა თქვენ რალას მეტყვით, მშვენიერო ქალო?— ეუბნება ის ქლექიან ასულს და თანაგრძნობით შეჰყურებს მის დიდრონ ცეცხლოვან თვალებს, სადაც ჯერ კიდევ ღვივის ვნება და სიცოცხლის სურვილი.

— კარგს ვერაფერს, ექიმო, ალბათ მალე მოგვედები,— ამოხს ის დამშვიდებით და „მარგარიტა გოტიე“-ს ფურცლავს.

— ხომ გითხარით, რომ კითხვა არ შეიძლება მეოთხე— ამოხს გერმა და წიგნს ხელიდან აცლის.

— მე არ გკითხოვლობ, ექიმო, მე მხოლოდ ვფურცლავ. ეს წიგნი ჩემს მეგობარმა მარჟეტა ოდესღაც მაშინ ჯანსაღი ვიყავი.

— დიდი ხანია იცნობთ მას?

— სამი წელიწადია, და მე ვფიქრობ დღეს, რამდენად უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მასთან ერთად მეცხოვრა სამი თვე, მეცხოვრა ნამდვილი ცხოვრებით, ვიდრე ეს სამი წელიწადი, რომელიც მე მოვანდომე ექიმობას და... შედეგს ხომ ხედავთ?

გერმას უნდოდა ეპასუხნა მისთვის, მაგრამ ამ დროს შემოვიდა ამ ქალის მეგობარი და მან უსიტყოდ მიატოვა ისინი.

— რა უბედური მდგომარეობაა!— ჩაილაპარაკა კაბინეთში გერმამ.

— რა მოხდა?— იკითხა სოსომ, ახალგაზრდა ექიმმა, რომელიც მაგიდასთან იჯდა და გახეთქს დაჰყურებდა.

— საკვირველია, ნეტავი რაზე ფიქრობდა კანონმდებელი, როდესაც თავის კანონებს სწერდა და ბეჭდავდა?

— ადამიანებზე... ალბათ.

— ბევრი საგულისხმო რამ გამოჩნა მას.

— მაგალითად?

— აი თუნდაც რომელიმე მომაკვდავი, რომელსაც ვერ უშველის ვერავითარი წამალი, ასეთი ვინმე ხშირად მძიმე ტვირთად აწევს ოჯახს, აზარალებს სახელმწიფოს, იტანჯება, წვალობს, რად უნდა ხდებოდეს ყველაფერი ეს? საწამლაღის ორიოდ წვეთიც საკმარისია, რომ ბოლო მოელოს ამ უბედურებას. იცი დღეს რა მომივიდა? კიბოთი დაავადებულმა ავადმყოფმა მოითხოვა სიკვდილი, მოწყალებასავით მოითხოვა და მეც ხელი უნებურად წავიღე კარბოლის სიმეკავისაკენ. მაგრამ ჩქარა ისევ ვძლიე ცდუნებას (ალბათ პასუხისმგებლობის

გრძობამ იმოქმედა) და ისევ... უვნებელი წვეთები მივაწოდე, ნუ თუ არა სჯობს მოვკლათ ეს ქალი, ვიდრე კიდევ რამოდენიმე კვირას ვაწვადოთ.

— ეს უფლება არა გვაქვს.

— ეჰ! არ ვიცი რაღა უფლება გვაქვს ჩვენ. ამ ქალის კივილი არ აძინებს ავადმყოფებს და ნერვებს გვიშლის ჯანსაღ ადამიანებსაც.

— ექიმი ნერვებზე არ უნდა ლაპარაკობდეს. — მიუფო სოსომ და საათს დახედა. ისარი ექვს საათს უჭვენებდა და საღამოს ბინდ ბუნდი ნისლივით აწვებოდა მთებს.

— ნახვამდის, გერმან. ვინძლო იფხიზლო, შენ ხომ მორიგე ხარ დღეს.

— ვარ და... ღმერთმა დასწყველოს ეს საავადმყოფოც და ეს მორიგეობაც! — წარმოსთქვა მან და შურით გახედა ქუჩებში მზიარულად და წვეილწვეილად მოსიარულე ქალვაეებს.

* * *

დეკემბრის უკანასკნელი რიცხვებია.

სუსხიანი ქარი ეღება ქუჩებს.

ცივა. უნივერსიტეტის შენობიდან გამოსული მარინა ჩქარი ნაბიჯით მიეშურება შინისკენ.

— მეც წამოვალ შენთან. მე მცივა, მე მშია, მე ბინა, არა მაქვს. — ესმის მას სასოწარკვეთილებით წამოსროლილი სიტყვები და ხედავს თორმეტი წლის გაფითრებულ გოგონას. ის მისდევს ჩასუქებულ შუახნის კაცს, რომლის გარეგნობა უნდა ადასტურებდეს, რომ ის ვიღაც დიდი სპეკულიანტი უნდა იყოს. უცნობი მუშტრის თვალით ზომავს ბავშვს, ისვამს იქავე მღვარ ეტლში და ქრება.

— ვაიმე! — წამოიძახა საშინელი განცდით შეპყრობილმა მარინამ. — ბავშვი სრულიად ბავშვი, რომელსაც არც კი უნდა ჰქონდეს წარმოდგენა მამაკაცზე, პყიდის თავის თავს, პყიდის სრული შეგნებით.

— მე მცივა, მე მშია, მე ბინა არა მაქვს — ესმის მას ჩაწყვეტილი ხმა პაწია გატანჯული ადამიანისა და გული სევდისგან ეწურება. მაგრამ აი მეორეც, და აქაც საშინელება, აქაც ბოროტება. ფეხშიმე ქალი, სიცოცხისაგან აკანკალებული, თავში შეელი, მოუხურავი, მიმდგარა ბალის ერთ-ერთ კუთხეში და ათვალიერებს მიმავალ მგზავრებს. მაგრამ ვინ მიაქცევს ყურადღებას სიცოცხით და ორსულობით დამახინჯებულ დედაკაცს? სხვა ლამაზიც ბევრია. ფეხშიმე დედაკაცი ერთიღამავე სიტყვით უხვდება თვითებულ გამვლელს, მაგრამ ყველა დაცივითა და ზიზღით შეპყურებს მას.

— უბედურო, რამ მოგიყვანა აქ? — შეეკითხა მას მარინა და აღშფოთებით შედგა მის წინ.

— გაკირვებამ, უსახსრობამ, გარყვნილი ადამიანის მხეცურმა საქციელმა.

— წამოდი, მე მოგცემ ამაღამ ბინას.

— ამაღამ, ხვალ კი ისევ ქუჩა, ისევ დამცირება.

— არა, არა, მე საღამე საქმეს მოგიწყობ, დაგეხმარები. წავიდეთ, წავიდეთ.

— ვინა ხარ შენ, კეთილო ქალო? — ეკითხება მარინას ცხელი ხელით ცუცხლით გამთბარი დედაკაცი.

— ეგ სულ ერთია, შენ, თვითონ მითხარი, შენ მალე დედა უნდა გახდე და როგორ გახვედი ქუჩაში სხეულის გასაყიდად, ეს... ეს...

— ვიცი, რაც უნდა მითხრათ. მაგრამ მარტო მე ჩავედივარ ამ საქმეს? რატომ არ შეიბრალა იმ კაცმა ის ბავშვი, რომელიც მის მიერ ჩაისახა. რატომ არ შეიბრალა ქალი, რომელიც მოტყუებით ჩამოიყვანა სოფლიდან და, როდესაც მოსწყინდა, შეუბრალებლად გააგდო ქუჩაში?!

— არავისთვის არ მიგიმართავს?

— მივმართე, მაგრამ ის ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. ისევ მე დამცინეს, ისევ მე გამამტყუნეს.

— შენ რომ დამირეკე სამსახურში წასვლას ვაპირებდი, რა საქმე გავიჩნდა? — კითხულობს ოთახში შემოსული პოლინა.

მარინამ მოკლედ უამბო ყველაფერი.

— მე დედათა და ბავშვთა სახლში წაგიყვან, ნუ გეშინია — ეუბნება პოლინა ატირებულ ქალს და თავზე აღერსით ადებს ხელს.

— საჭიროა ენერგიული ზომების მიღება პროსტიტუციის წინააღმდეგ, ეს სხე არ შეიძლება — უსაყვედურებს მარინა.

— საუკუნოებით დამყარებულ ბოროტებას ასე ჩქარა ვერ აღმოვფხვრით. ააჭიროა დრო, შრომა, უქმად არა ვსხედვართ. მაგრამ რასაც ვერ მოვერევით. იმას მომავალ თაობას უნადგორებთ და ის დაამთავრებს იმ საქმეს, რომლისთვისაც ვიბრძოდით და ვიტანჯებოდით ჩვენ. — ამ სიტყვებით ის ქალთან ერთად გადის ოთახიდან.

— შეიძლება დღეს შემოვიდე თქვენთან? — კითხულობს ტელეფონით ახალგაზრდა მხატვარი და მარინას ყოფილი მოწაფე ანატოლი.

— ძალიან ცუდი დრო აგირჩევია. მე დღეს ყოველი მამაკაცი მამრანებს.


— რა მოხდა? — კითხულობს ის შესფოთებული ხმით.

— გრძელი ამბავია. მთელი კვირა დამჭირდება, სანამ ეს საშინელი განცდა გათავდებოდეს. როცა შესაძლებელი იქნება, დაგირეკავ. — და ტელეფონის სასმენელი ჩამოაჭიდა, შემდეგ ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა.

„სად არის ქალისთვის გზა ხსნისა?“ — „შრომაში, წინსვლაში, მეცადინეობაში“. — „ვის უნდა ენდო?“ — „არავის, არავის.“ — „რის იმედი უნდა გქონდეს?“ — „საკუთარი თავის, საკუთარი შრომის უნარიანობის.“ — ფიქრობს ის და იმედიანად მიეშურება უნივერსიტეტისკენ.

(შემდეგი იქნება).





გალაქციონ ცაშიძე

გალაქტიონ ტაბიძე

პირველი მაისი

ღმკი წარმოტქმული არალეგალურ
სალამოზე 1908 წელს, პირველ მაისს.

პირველი მაისი,
პირველი მაისი,
პირველი მაისი
მოვიდა ამაყი:
წათელი უაყაიო
თუ იასამანი,
ხვერდის ვარდები
და თეთრი ხამბახი.
მეფეს კი, მეფეს კი—
ქარით და გრიგალით
თითქო არაეისა
და არარაისი—
ციხეში, ბორკილში
შიშშილში—ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალამი იმ დღეებს
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ გაწევას
იმ პირველ მაისებს!



გიორგი ნატროშვილი

გალაქტიონ ტაბიძე

შემდინარე საუკუნის პირველი ორი ათეული წლების მანძილზე პროლეტარულ რევოლუციამდე ქართულ ლიტერატურაში იგრძნობოდა ყოველმხრივი კრიზისი. როგორც თავად-ახანაურული პოეზია, ისე ხალხოსნურიც უკვე დაცემის გზაზე ეშვებოდა, მხოლოდ პროლეტარული მწერლობა ნინოშვილიდან დაწყებული ახლად იღვამდა ფეხს. კლასიკური რეალიზმის ეპიკონები და ნაწილობრივ „დემოკრატიული“ პოეტებიც მომბებრებელი ერთფერობით იმეორებდნენ იმ იდეებს, მხატვრულ სახეებს, ფორმებს, რომელიც ჩვენი ლიტერატურის კორიფეებმა სთქვეს როგორც ახალი სიტყვა. ეს კრიზისი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ამ პერიოდში „დემოკრატიულ“ პოეტების ეპიგონური რეალიზმი უკვე გაითქვიფა სიმბოლიზმში (აბაშელი და სხ.) ამ ნიადაგზე შეიქმნა ნამდვილი ეკლექტიკური პოეზია. მისი იდეური ჰეგემონია წვრილბურჟუაზიული მკითხველის მასებში უკვე საგრძნობი ფაქტი ხდებოდა. ამ გარემოებას, ლიტერატურის დონის ამ საერთო დაბლა დაშვებას ნათლად გრძნობდა მაშინდელი ლიტერატურული კრიტიკაც. „ჩვენს თანამედროვე მგონებს—სწერდა ერთი მაშინდელი კრიტიკოსი—ესთეტიკური მშვენიერება დაახლოებით ასე აქვთ წარმოდგენილი: ლამეა... ისმის სიოს იღუმალი ჩურჩული და ბულბულის შორეული სტენა—მგოსანი სდგას მიყრდნობილი ხეზე და სტირის, სატრფომ ულაოატა ვერაგულად. ძირს აგდია ჩანგი, რომელსაც სიმები აქვს დაწყვეტილი... ამ დაუსრულებელმა ვარიაციებმა ერთსა და იმავე თემაზე კბილები მოგვკვეთა მტავე ტყემალივით ¹.

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამთავრებამ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია მოწყენილ გუნებაზე დააყენა: თვით რევოლუციის საუკეთესო თანამზაგრმა პოეტმა ი. რ. ევდოშვილმა წითელი დროშა ფედერალისტურ ნაციონალიზმზე გასცვალა და წყრომით შეაქცია ზურგი მუშათა კლასს... ერთი სიტყვით ეს ისეთი დრო იყო, როდესაც არა მარტო დეკლასიური ინტელიგენცია, არამედ ბოგდანოვი და ლუნაჩარსკიც კი ახალი ლმერთის ძიებაში იყვნენ გართული. ასეთ ეპოქაში გამოვიდნენ ასპარეზზე ქართველი სიმბოლისტები და კერძოდ გალაქტიონ ტაბიძეც. გალაქტიონ ტაბიძე მართალია არ ეკუთვნოდა „ცისფერ ყანწების“ დაჯგუფებას, მაგრამ მათ იდეურად აახლოვებდათ ის გარემოება, რომ ორივე ფრანგულ სიმბოლიზმის მემკვიდრენი იყვნენ. გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში ისევ გამოჩნდა ბარათაშვილის პესიმიზმი და მისი მერანი ფანტასტიურ ლურჯა ცხენების სახით, რომელნიც მიიჩქარიან ამ ქვეყ-

ნიდან, რომ დროზე გასცილდნენ „ამათა ამაოებას“. წერილმწერეთაშივე ინტელიგენციის დაღლილმა თაობამ, რომელმაც ვერ გაიგო მუშათა კლასის და მისი ფოლადისებური პარტიის მიზნები—დაჰკარგა ბრძოლის გზის ძებნის უნარი და დაწამოიჩოქა რეაქციის წინაშე. იმედის გაცრუებამ დეკლასიური ინტელიგენციის შეგნებაში მრავალ გვარი სახე მიიღო: არაგვისპირელი მწარე სარკაზმით და ცინიკური ირონიით დასცინოდა ამ ქვეყანას, დასცინოდა ადამიანთა სიყვარულს იდეალურ მეგობრობას და ამავე დროს ჩუმი ქვითინით გლოვობდა თავისი წირის ადამიანის ფილისტერულ გადაგვარებას, ის ცხოვრებაში ხედავდა მხოლოდ თვალთმაქცობას და ფარისევლობას, ყანწელების ერთი ნაწილი ნაციონალიზმში და პორნოგრაფიაში (ელენე დარიანი და გრიგოლ რობაქიძე) ეძებდნენ გამოსავალს, ხოლო გალაქციონ ტაბიძე ე. წ. „წმინდა“ ხელოვნების ტრადიციების მიხედვით განცალკევებული ლოცულობდა ბუნების ტაძარში, მთაწმინდის მთავრის და აკაკის საფლავის წინაშე. ფაქტიურად მათ ყველას ერთი კლასიური ბაზისი ჰქონდათ. რეაქციის ბნელ ლაშქარში ისინი ვერ ხედავდნენ პროლეტარულ მოძრაობის ბრწყინვალე მომავალს და რასაც ხედავდა ყოველი მოწინავე პროლეტარი—მას ვერ ხედავდა დეკლასიური ინტელიგენტი, რომლის თვალებს აბნელებდა ფრანგული სიმბოლიზმის ქაოტიური ფილოსოფია.

გალაქციონ ტაბიძე თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ნამდვილი წარმომადგენელი იყო რომანტიული სიმბოლიზმისა. სიმბოლიზმი ყველა ხალხთა ლიტერატურაში დაიბადა როგორც რეაქციონური მოვლენა, რადგანაც მან გამოსვლისთანავე ბრძოლა გამოუცხადა ადამიანთა სოციალურ იდეებს, მათს ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის და რომანტიზმის გულგრილი მისვლა ქვეყანასთან თავის მთავარ ღოზუნგად გაიხადა. სიმბოლიზმს აქვს თავისი ფილოსოფიური საფუძვლებიც, რომელიც იდეალისტურ სუბიექტივიზმიდან დაღრმავდა მისტიციზმიდან მოდის. სიმბოლიზმი ცნობილია აგრეთვე ნეორომანტიზმის სახელწოდებით. რომანტიზმი თავის დროს გამოვიდა ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიიდან, სიმბოლიზმებიც მაინცა და მაინც არ გასცილებიან გერმანულ იდეალიზმის სისტემას. სიმბოლიზმის თეორეტიკოსებიც პროტესტს უცხადებდნენ პოზიტივიზმს და მატერიალიზმს. მე-XVIII საუკუნის ფრანგმა მატერიალისტებმა: პოლბახმა, ჰელვეციუსმა, დიდრომ უარყვეს „სული“ და ადამიანის ფსიქოლოგია მიიჩნიეს მატერიის უბრალო გამოვლენათ, რის შედეგადაც მაშინ ჰენისე თქმით „სული“ შეურაცყოფილი შურს იძიებდა რენისე მეორე მხარეს (ე. ი. გერმანიაში) და ფიხტეს და შელინგის ფილოსოფიაში ცხადდებოდა, როგორც მატერიის უარყოფელი და აბსოლუტური არსი სამყაროსი, როგორც ცალკე ტრანსცენდენტური ქვეყანა: ეს ფილოსოფია სავსებით გაიზიარეს სიმბოლიზმებმა. რენე გილი სწერდა: „სიმბოლიზმი—ეს ძალზე ბნელი სპირიტუალიზმია, ახლო მდგარი ფიხტესა და ჰეგელის ფილოსოფიასთან, ის მთლიანად დაჩრდილულია მისტიკური გრძნობით და დაღლილია ქვეყნის რეალურობით“. ამასვე ამტკიცებდა ვალერი ბრიუსოვიც: „თავის მთავარი თვისებებით—სწერდა ბრიუსოვი—ინტელექტს არ შეუძლია შეცნობა სავსების არსის და ამიტომ ყოველგვარი შემეცნება—მენციერულიც და შემოქმედებითიც მოწოდებულია შეიცნოს მხოლოდ მოვლენები, რომელთა კემზარტი მიზეზები რჩება გამოუც-

ნობელი“. ეს კანტის აზრების უბრალო განმეორებაა, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. სამართლიანად სწერდა კოვანი, რომ „სიმბოლიზმს თეოლოგიურ და რომანტიულ მსოფლმხედველობასთან შედარებით არაფერი მხალისარ შეუქმნია“. როგორც ბრიუსოვის სიტყვებიდანაც სჩანს, მათ დაუპირისპირეს ერთი-მეორეს არსი და მოვლენა, „საგანი თავისთავად“ (ნოუმენი) და „საგანი ჩვენთვის“ (ფენომენი). ამით მათ მთლიანად გაიმეორეს კანტის მოსაზრება წმინდა და პრაქტიკულ გონების შესახებ. ხელოვნება გადაიყვანეს პრაქტიკულ გონების სამეფოში, ეს იყო მათი წარმოდგენით ტრანსცენდენტური ქვეყანა, რომელიც არ ემორჩილებოდა მკაცრი აუცილებლობის კანონებს კანტისთვის და მისი მიმდევრებისათვის, არც შემდეგ დროის მოაზროვნეთათვის (რომელთა რიცხვშიც შედის სიმბოლიზმის თეორეტიკოსი მეტერლინიცი) არ არსებობდა ის ქვეშარიტება, რომ თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა, რომ მოვლენის შეცნობა არსის შეცნობას ნიშნავს. ცხადია, ამიტომ მათ თავის წარმოდგენაში შექმნეს ცალკე სამყარო, ზე-ემპირიული და ბუნებისაგან გათიშული. ამ ზეგრძნობად ქვეყანაში მოთავსებულია მათი აზრით მარადიული მშვენიერება, რომელიც სინამდვილის მიღმა სდგას. რეალური პლანი უარყოფილი მათ მიერ, როგორც არასწორი გამოკრთომა ზეგრძნობადი და ფანტასტიური ქვეყნისა, როგორც მკრთალი ნათელი ქვეყნის მიღმა არსებული მშვენიერებისა, იქედან გამომდინარეობდა სიმბოლისტიკის მისწრაფება დაუსრულებლობისადმი და საიდუმლოებისადმი. ცალკე ქვეყანა, მოვლენათა მიღმა მხარე—ამ საიდან სცდილობდნენ ისინი აეღოთ თავისი თემები, რომელიც არა ჰგავდა ცხოვრებას და გამოგონილი იყო. მათი წარმოდგენით ჭალიც რალაც არაჩვეულებრივი ცისფერი ლანდია, წუთიერი მოჩვენება, მთვარეც მათ ლექსებში საკუთარი კალიბრისაა; ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს ვალაქტ. ტაბიძის პოეზიაში. განა იღია ჰავკავაძე და აკაკი წერეთელი არ სწერდნენ მთვარეზე, ლამაზ ასულებზე. მაგრამ ეს ყველაფერი ქვეშარიტი რეალიზმით იყო მათ მიერ ხორცშესხმული, ადამიანური ქვეყნიდან იყო აღებული. ცხადია ამის შემდეგ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სიმბოლიზმი ნამდვილი რევოლიუციონურ-პროლეტარული ხელოვნებაა, როგორც ამას მინსკი სჩადიოდა—მთლიანად გაუგებრობა და სიყალბეა¹. როგორც ვსთქვით სიმბოლიზმმა „შექმნა მოვლენათა მიღმა ქვეყანა, გაექცა რეალურ ცხოვრებას. ქრისტიანულმა რეალიზმაც შექმნა მეორე ქვეყანა, ეს იყო ბიბლთური სამოთხე, მაგრამ სიმბოლისტიკური გაგება არ ემთხვევა მას, ვინაიდან სამოთხის ცნებასთან (როგორც ქრისტიანულ ზღაპრებში და ლეგენდაშია აღნიშნული) უთუოდ შეუთავსებელი უნდა ყოფილიყო მაგარი სასმელების კულტი და ბოჰემური კაფეშანტანური თავაშვებულება, რის გამოკლება სიმბოლიზმის მხატვრულ პრაქტიკიდან თითქმის შექლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა სიმბოლისტიკურ „მიღმურ ქვეყანაში“, რომელიც არ იყო მსგავსი რეალურ ცხოვრებისა—იყო რელიგიურობის ელემენტები და უმთავრესად კანტიანიზმი. ეს დაშორება რეალურ ცხოვრებისაგან და დაახლოება ხელოვნურად გამოგონილ ლანდების და აჩრდილების სამყაროსთან—დიდ ადგილს იკავდა ვალაქ. ტაბიძის პირველი პერიოდის შემოქმედებაში.

¹ ამ საკითხში მინსკის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშრეა პლენაროვი. იხ. მისი „Собр. сочинение“ ტ. XVII, გვ. 292—293.



ეს ნათლად მტკიცდება პოეტის მაშინდელი ლექსებისაგან, ის სწორს ლექსს: „ლანდი არაქვეყნიური“ პოეტს ევლინება მოჩვენება ჭალის სახეობის ქვეყნიდან“, რომელსაც იგი მიმართავს:

„ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო, მე იმგვარად გარდამქმენი,
რომ მეგონა თუ ზორცხმული იგი ლანდი იგი შენი,
ხელუბლებელს, ჰაეროვანს სხეულს ხელი ვერ შევახვ
და ვიგრძენი, რომ თანდათან იშლებოდა ლანდის სახე.

.....
ვდგევარ გრძნობა მორყული,
მოგონება სევდას მაქსოვს,
მაგრამ მახსოვს, მუდამ მახსოვს
ლ ა ნ დ ი წ მ ი ნ დ ა მ ო წ ყ ე ნ ი ლ ი,
ლ ა ნ დ ი ა რ ა ქ ვ ე ყ ნ ი უ რ ი, ლ ა ნ დ ი უ ც ხ ო, შ ო რ ე უ ლ ი“.

ამავე იღვას „ნეორე ქვეყნის“ შესახებ ანვითარებს პოეტი აგრედვე თავის ლექსში „ხელოვნება“.

„რას მიაწვდებდა თუ მისწვდებდა კაცის გული, კაცის ხელი...
არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,
მაგრამ ქვეყნად არ არსებობს—ის აღერის ის ამბორი,
არის საღვთო ბილიკები ამ სიცოცხრის ციკლში მიმავალი“.

ამ „საღვთო ბილიკების“ (რომელნიც „უცხო ქვეყნისაკენ-მიდიან), ძებნას ხშირად ვხვდებით ტაბიძის ლექსებში:

1. „გწვურია, ოდეს სანთლები ელავს
წაიღო სულთ აურხაური,
ბაგით შევიო მადონას ხელებს
და იგრძნო სუნთქვა არ აქაური“.
2. „და ერთად-ერთი ნახი დარაჯი
გადიფრენს ირგვლივ აზრდილი მერისი
არ-ამქვეყნიურ უხუნდარაში
გაიყოლიებს სულის სიბერეს“.

მაგრამ ყველაზე უფრო დასრულებულად და მთელი თავისი მისტიური სახით ეს იღვა გადმოცემულია ლექსში: „ლურჯა ცხენები“. აქ არის მისწრაფება „სამუდამო მხარისაკენ“, საითაც „ჩქარი გრგვინვა-გრიალით“ მიიჩქარიან ლურჯა ცხენები, რომ გადაიყვანონ პოეტი „საოცრების უბეში“ სადაც მოშორებული იქნება ამ ქვეყნიურ საკითხების რეალისტურ ატმოსფერას.

თავის შემოქმედების ამ პერიოდში გალაქციონ ტაბიძე მთლიანად გატაცებული იყო ფრანგულ დეკადანსით, ის უარყოფდა რეალურ ცხოვრებას, რომლის ფილისტერული სახე (სხვა სახეს კი პოეტი არ იცნობდა, რადგან არ იცნობდა მუშათა კლასს) მხრებზე აწვა მას, არ აძლევდა მომხიბლავ იდეებს და უპიროვნოდ ხდიდა მას. ამას ვერ ითმენდა დეკლასიური ინტელიგენცია, მით უმეტეს ეპოქაში, როდესაც საზოგადოების ამ წრეს ავადმყოფობად ჰქონდა გადაქცეული ზეკაცობის და ინდივიდუალიზმის იდეებით გატაცება. ამ ნიადაგზე ტაბიძის პოეზიაში ფეტიშად და მთავარ თემად გახდა „უგზობით დაღლილი სული“. თუ როდესმე ქართულ ლიტერატურას ევროპიულ პოეზიასთან დამოკიდებულება ჰქონდა—ეს იყო ისევ მეოცე საუკუნის დასაწყისი. მე-XVIII სიუკუნის მან-

ძილზე და უფრო ადრეც ქართული ლიტერატურა სპარსეთის და საერთოდ აღმოსავლეთის გავლენის ქვეშ იყო, მე-XIX საუკუნის კლასიკოსები ილია და აკაკი რუსულ რეალიზმის იდეებზე აღიზარდნენ, ხოლო სიმბოლისტებმა მთლიანად დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ლიტერატურას მიმართეს და გადმოიტანეს იქიდან კაფე-შანტანების და ბოჰემის იდეები—ესეც იმ დროს, როდესაც სიმბოლისმი იქ უკვე სასიკვდილოდ ხუჭავდა თვალებს.

გ. ტაბიძის იმ დროინდელ ლექსების მთავარი განწყობილება—უიმედობაა, უკანასკნელ საზღვრამდე მისული პესიმიზმი და თავგანწირულება. იგი წერდა:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირალებს
თმა გაწეწილი ქარი,
გზა იყო უდაბური
უსაზო, უპირქუბო,
მიჰქონდათ კიდევ კუბო.
ყოჩნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს“.

სამგლოვიანო პროცესიის ეს მხატვრული სახე უზომოდ პოპულიარულია გალაქტიონისათვის. ამ შავი კუბოების და დათოვლილ ზამთრის ბაღებს იქით მას ეჩვენებოდა, რომ ასაფლავებდნენ მთელ დედამიწას, აღარაფერი რჩებოდა საიმედო და პოეტი მწუხარე მარტოობის გრძნობას ეძლეოდა:

„და მე ავტირდი ვით მეფე ღირი
ღირი ყველასგან მიტოვებული“.

ყოველ სიმბოლისტს სურდა ყოფილიყო თავის არსებაში ჩაკეტილი პოეტი, განცალკევებული ინდივიდუალისტი, განუმეორებელი ერთეული, უწინაპრო და უშთამომავლო, მაგრამ მათი საკუთარი მისწრაფების მიუხედავად ყველა მათ ჰყავდათ თავისი წინამორბედებიც და ეპიგონებიც; ლექსში „მე და ლამე“ გალაქტიონ ტაბიძე სცდილობს შექმნას ილიუზია ასეთი მსოფლიოსაგან მოწყვეტილობისა:

„დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დაეატარებ.
არ ვფიქვანებ ქვიანად არვის, ნივსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეტაბრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენაზული“.

თვით ალ. ბლოკიც სწერდა; „სიმბოლისტი პოეტი არის პირველყოვლისა თეურგი ე. ი. მფლობელი საიდუმლო ცოდნისა, რომლის თანახმად ხდება მისი საიდუმლო მოქმედება. ამ საიდუმლოს რომელსაც მხოლოდ შემდეგ იგებს ქვეყანა, ის უცქერის როგორც თავის საკუთრებას. ეს არის მისი საუნჯე“. ამავე აზრის მატარებელია გ. ტაბიძის ზემოდმოყვანილი ლექსის ტაეპი.

ჰენრიხ ჰენე სწერდა ნოვალისისა და გოტმანის შესახებ: „უდიდესი მგზავსება ამ ორი პოეტისა იმაში მდგომარეობს, რომ მათი პოეზია იდეურად ავადმყოფურია. ამიტომაც ამბობდნენ, რომ მათი ნაწარმოების შესახებ უნდა ილაპარაკონ ჭკიმიებმა და არა კრიტიკოსებმა. ვარდისფერი კრთომა ნოვალისის მთელ

შემოქმედებაში—სიჯანსაღის ფერი კი არ არის, არამედ ავადმყოფობის, ვარდისფერი კოლორიტი გოფმანის ფანტასტიურ ზღაპრებში—გენიის აღი კი არ არის, არამედ ციებ-ცივლების ცეცხლია. საერთოდ ამჟამად ჰგავს მღვთაპატურა დაემზგავსა საერთო ლაზარეთს“. სწორედ ასეთივე იდეოლოგიის შემადგენელი ატმოსფერა შეფობდა მაშინ ყველა ქვეყნის სიმბოლისტიების შემოქმედებაში. ეს მწუხარე ატმოსფერა, ეს მელოდიური კენესა თავის დაღს აჩენდა გ. ტაბიძის პოეზიასაც. ამიტომ ბუნებრივი იყო მისთვის ასეთი სევდა, პესიმიზმი:

„მიდის ზაფხული... ბალში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნეშო
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის ძვირფასო, რისთვის ნუგეშო?
ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩემი და ფერმიზიდლი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთად-ერთი გზა არის სიკვდილი.

სიმბოლისტიური ბოჰემის კულტი ამ განწყობილებებთან ძლიერ ახლოა, სიმბოლისტიური პოეზია, როგორც ასოციალური მოვლენა ინდივიდუალიზმსა და მისტიკასთან ერთად სდევნიდა ლექსიდან ყოველგვარ კლასიკურ უბრალოებას, სამაგიეროდ ჰქმნიდა რითმების რთულ ტექნიკას, ამ მხრივ გალაქტიონ ტაბიძის ლექსი უდიდეს სიმაღლეზე იყო ასული.

გ. ტაბიძის პირველ პერიოდის ლექსებში ამ ბოჰემური სიმბოლიზმის გვერდით, რომელიც უშუალოდ ბურჟუაზიული ქვეყნის სატახტო ქალაქის გადაგვარებამ შექმნა—ის ოდა ისეთი მოტივებით, რომელიც უფრო სპეციალურად რომანტიზმს ახასიათებდა. მის ლექსებში კიდევ ერთხელ ენა ამოიღდა გერმანული რომანტიზმის სიღრამ იმ ქვეყნიური ცისფერი ყვავილის შესახებ. ცნობილი გერმანელი რომანტიკოსი ნოვალისი ასე იწყებდა თავის რომანს: „ჰენრიხ ოფტერდინგენს: „ახალგაზრდა ადამიანი შეფოთავდა საწოლზე, ფიქრობდა უცხო ქვეყნიდან მოსულზე და მის მიერ მოთხოვნილ ამბებზე. არა, საუნჯეს არ აუფსია ჩემი სული ასეთი გამოუთქმელი სურვილებით—ფუნებოდა ის თავის თავს—ჩემგან შორსაა ყოველგვარი ანგარება, მაგრამ მე გატაცებით მსურს ვიხილო ცისფერი ყვავილი. ის განუწყვეტლად იქცევს თავისკენ ჩემს ფიქრებს, მე უკვე სხვა აღარაფერზე ფიქრი აღარ შემიძლია! ასეთი გრძნობა არასოდეს არ გამომიცდია. მე მიჩვენება თითქოს ჩემი ცხოვრება დღევანდლამდე იყო სიზმარი, ან კიდევ სიზმარმა გადმომიყვანა მეორე ქვეყანაში, ვინაიდან ამ ქვეყანაში, სადაც მე ჩვეულებრივად ვცხოვრობ ვის სცალია ყვავილებისათვის?“ ეს ცისფერისადმი შეუჩერებელი მისწრაფება მძლავრად იყო ფეხმოდგმული მთელი რომანტიზმის და შემდეგ ზოგიერთ სიმბოლისტიების მხატვრულ პრაქტიკაში. გ. ტაბიძეც გამოეხმაურა ნოვალისის ამ ტრფიალებას ცისფერი ყვავილისადმი:

„იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხაველი,
თოვლა სილას მიაწება
ნოვალისის ყვავილი“.

რით აიხსნებოდა ასეთი მისწრაფება ცისფერისაკენ? მათი თვალსაზრისით ცისფერი სიმბოლო იყო ყოველგვარი არა ამქვეყნიური ჩვენებების, ეს პროტესტი იყო რეალური ცხოვრების წინააღმდეგ, და ამიტომ ამ უკანასკნელის ემპირიული საზღვრების გარეშე ეძებდა დასაყრდენს. ამ პუნქტშიაც ნათლად სჩანს გ. ტაბიძის ემოციონალური არქაულობა.

„აჰ შრავალია ცისფერი ფერი
ეს ფერი მარად თვალს ეფვარება
როგორც ქალწულის სახელი შერი
არის ცისფერი და მწუხარება“.

ასევე სწერს გალაქტიონი ქალის შესახებ, რომელიც მას ევლინება ლანდურ ჩვენებაში:

„სადღაც შორს მუსიკა ქარავით კითხულობდა:
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი,
ასეთი ცისფერი“.

ამ კიდევ განა ბარათაშვილური ტრფიალება არაა ცისფერისადმი გალაქტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“? დამოკიდებულება ბუნებასთან გ. ტაბიძის პოეზიაში არსებითად ისევე რომანტიულ ხასიათს ატარებდა. პოეტი ვერხვის ფოთოლთა შრიალში ისმენს უძველეს ზღაპრებს და ბარათაშვილის („მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსასაკოთა და უსულთ შორის“...) მზგავსად ადამიანურ ენაზე ამეტყველებს ჩინარს.

* *

ამ განწყობილებათა რკალში იყო მოქცეული პოეტი, როდესაც დაიწყო მსოფლიო ომი. რა გამოხმაურება ჰპოვა მის პოეზიაში ამ მოვლენამ? საზოგადოთ პოეტი, რომელიც „წმინდა“ ხელოვნების პრინციპების დაცვას ცდილობს — არ ეხმაურება საზოგადოებრივ პოლიტიკურ საკითხებს, მისთვის ტურგენევის სიტყვით, რომ ეს თქვეთ მილოსის ვენტრა უფრო ძვირფასია, ვიდრე 1789 წლის პრინციპები. მიუხედავად ამისა სინამდვილეში ასეთი პოეტები კლასთა ბრძოლის კანონზომიერების ძალით მიჯაჭვულნი იყვნენ „მიწაზე“; გალაქტიონი არ მისაღებია ომს, როგორც იტალიის ფუტურისტები, მას არ გამოუცხადებია ომი ქვეყნის შიგნით და პირიქით ინდივიდუალისტური პაციფიზმით და ადამიანის წერილ ბურჟუაზიული სიყვარულით (და არა პროლეტარული პოზიციებიდან) ქრისტიანული სათნოების პოზიციიდან მან გაილაშქრა მსოფლიო სასაკლავოს და იმპერიალისტური კაციაშია პოლიტიკის წინააღმდეგ. გ. ტაბიძე სწერდა სწორედ ომის წლებში:

„ომი, სასაფლაო და რკინის გზები.
მკლელობათა რიცხვი.
ადამიანის სასიკვდილო ზრიალით სტებება
ოქროთი მოვარაყებელი სირცხვილი.
ტფია... რა მწარეა ის რაზედაც ჩემად არიან“.

ლექსში „ქარი მსოფლიო ომის მაუწყებელია“ იგი სწერდა:

„მშვიდობით! იყო და აღარ არი
ბედნიერება გრძნობა მდებელი:

დარეკეს ხარი
 მსოფლიო ომის მაუწყებელი;
 წაელენ სოფლები, მზე აღარ მოვა,
 არ გააშუქებს დაღლილ თიხას.
 ცხედრების გროვა
 ცელის მიუწოდებელ სანაშაობას*.



როდესაც ფრიდრიხ ადლერმა 1916 წელს მოკვლა ასეტრიის პრემიერ-მინისტრი შტიურგკი—ამ ფაქტსაც გამოეხმაურა გალაქტიონი და ამალღებული პათოსით უმღერა ქუჩის დემონსტრაციას.

გალაქტიონ ტაბიძეს რევოლიუციამ მოუსწრო იმ დროს, როდესაც მის პოეზიაში მეფობდა მხოლოდ ბოჰემა, რომანტიული ცრემლი, სიკვდილის მწუხარება, მისტიური ინდივიდუალიზმი, წასვლა ცხოვრებიდან და პროტესტი რეალურ სამყაროს წინააღმდეგ, რელიგიური ტრაგიზმი. სიმბოლიზმმა ამ დროსათვის უკვე ამოსწურა თავისი თავი, მან უკვე დაასრულა თავისი ათასერთი ზღაპარი, რომელიც ისტორიამ მას არგუნა სათქმელად. ამ დროს დაიწყო რევოლიუცია. პოეტმა საკუთარი თვლით დაინახა, თუ როგორ ინგრეოდა მეფის რუსეთი. ამ ნიადაგზე მის მაშინდელ მხატრულ ფაქტებში იპოვა გამოვლენა გრანდიოზული გარდატეხის ამბავი. გ. ტაბიძე გაიტაცა რევოლიუციამ, მისმა გარეგნულმა დიდებულებამ, მაგრამ ძნელი იყო მისთვის მისტიციზმის ქაოსის ერთი ხელის მოსმით უარყოფა, მან ერთბაშით ვერ მოიხსნა რომანტიზმის სამგლოვიარო მანტია და ამიტომ პირველ ხანებში მისი მოსვლა რევოლიუციასთან ანარქიულ და ქაოტიურ ფილოსოფიის დაღს ატარებდა. ასე რომ, რევოლიუცია გალაქტიონმა გაიგო როგორც მარადიული ჯანყი, ბუნტარული ნგრევა და განუწყვეტელი გრიგალი. სინამდვილეში კი ოქტომბერი ჩატარდა არა როგორც ანარქისტული ჯანყი, არამედ, როგორც მწყობრად ორგანიზაციული პროცესი, რომელიც იმ თავითვე განსაზღვრა ლენინური პარტიის ტაქტიკა-ტრაგედიამ. ასე იყო თუ ისე, რევოლიუციის დროს ძველ ღირებულებათა გადაფასების პროცესში გალაქტიონი როგორც პოეტი ახალი ქვეყნის მხარეზე აღმოჩნდა. „მწერალთა ნაწილი დარჩა ძველ ქვეყანასთან და ილუპება მასთან ერთად, რადგან შეუძლებელია მძორთან ამღერება. მთელმა საზღვარგარეთელმა რუსულმა ლიტერატურამ ვერ შექმნა ვერც ერთი დიდი მხატვრული ნაწარმოები. სხვები დადუმდნენ და გადაიქცნენ მარილის სვეტად, როგორც სთქვა ანნა ახმატოვამ თავის ტრაგიკულ ლექსში: „ლოტის ცოლი“. იმათ იციან, რომ ილუპება სოღომ-გოშორი, ხედავენ რომ დაილუპა ძველი ქვეყანა, მაგრამ ისე არიან დაკავშირებული მასთან, რომ ველარ აშორებენ თავალს მისი დალუპვის სურათს. და სდგანან მარილის სვეტებად გადაქცეულები. ნაწილმა მწერლებისამ, უფრო ახალგაზრდამ, სცადა ეცნო ახალი ცხოვრება. ეს იყო დიადი ტანჯვების და გმირული ბრძოლების ხანაში. ისინი გრძნობდნენ, რომ რუსეთის თავზე გუგუნით გადადის ისტორიის ქარიშხალი. მათ არ შეშინებიათ ელვების და ქუხილების. სუნთქავდნენ მძაფრ ჰაერს, რომელიც სცემდა მათ სახეში თმების გლეჯით და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ქარიშხალს“. ასე დაიბადნენ საბჭოთა მწერლები. ისინი დაიბადნენ, როგორც მომღერლები ნგრევის სილამაზის და სიდიადის (ქარლ რადეკი). მწერალთა ამ მეორე ნაწილის რიგებში იღვა მაშინ გ. ტაბიძე (ე. გალაქტიონ ტაბიძემ ჰენეს

მგზავსად რომანტიზმის ცისფერი ყვავილი რევოლუციურ სიმღერაზე გასცვალა, მის პოეზიაში შერის ნაცვლად ცხრაასწვიდმეტის ბარეკადებზე გამიჩნდა, ისე როგორც ჰენიმე 1848 წლის რევოლუციის მოახლოების *ქვემოთაქვე* რომანტიულ სიყვარულზე ლექსების წერა და უმღერა სიღვინის ფეიქრებს, „ჯონ რიდში“ ტაბიძემ გაამასხარავე რომანოვების დინასტია, ისე როგორც ჰენიმე თავის დროზე გენიალური ცინიზმით გაანადგურა პოპენკოლერების სამეფო გვარი. ამრიგად მოხდა ძველი ქვეყნის კატასტროფა და რევოლუციის ტალღამ პოეტი ახალი ქვეყნის ნაპირზე გადაისროლა. ამ დღეების შემდეგ „გალაქტიონ ტაბიძის ლექსების იდეური არსება აღმავალი ხაზით იზრდება, დღეს ის უკვე მოწინავე საბჭოთა მწერლის პოზიციაზე სდგას.

მუდმივი სასოწარკვეთილებაში მყოფი პოეტი რევოლუციის პირველ დღეებში გაიტაცა ბრძოლის პათოსმა და იმედინად წამოაძახებია:

„სასოწარკვეთის დედამიწას ნება ვინ მისცა?
მიწა გამოჩნდა, მფობრებო ახალი მიწა.“

გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციის შემდეგდროინდელი შემოქმედება სავსეა რევოლუციონური ბრძოლის პათოსით და ენტუზიაზმით. პოეტი, რომელსაც მსოფლიო ეჩვენებოდა „შელაქების ელიზიუმად“ და სასაფლაოდ—დღეს მუშათა კლასის იდეებს უმღერს. ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა მის პოემებში „ეპოქა“ და „რევოლუციონური საქართველო“. „ეპოქაში“ შეგრძნობილია ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზული როლი. ტაბიძეს იტაცებს ამ რევოლუციის ყოველი მომენტი: იგონებს პოემაში სამოქალაქო ომის წლებს, იქვე ეხება ევროპის პროლეტარიატის აუტანელ გაჭირვებას, ნათელი სურათებითაა გადმოკეცილი „ეპოქაში“ სოციალისტური მშენებლობის სურათებიც. „ოპოქას“ აქვს ნაკლოვანებაც, განსაკუთრებით ფორმალური ხასიათისა: ასე მაგ. პოემას არა აქვს სიუჟეტი და ამიტომ იგი მთლიანად ერთ ძალზე გრძელ ლექსს მიაგავს. გარდა ამისა „ეპოქაში“ ადგილი აქვს „ლირიკულ წყალდიდობას“, მას აკლია ფაქტების მონტაჟი.

გალ. ტაბიძის უკანასკნელი ლექსები მთლიანად განტვრუთულია მკვდარ თაობათა ყველა ტრადიციებისაგან. მან თავისთავში უკვე დასძლია წერილობურეუზიული ინტელიგენტის მერყეობა. პოეტმა საკმაოდ ვრცელი და რთული შემოქმედებითი გზა გაიარა, ეს ისტორიამ ორ ნაწილად გაჭყო: ცხრაასწვიდმეტამდე მისი პოეზია იყო იმედ გატრუებული უკანდახევა მთელი ფრონტით, ცხრაასწვიდმეტის შემდეგ წინსვლა ჯერ ზიგზაგებით, ნელი მოძრაობით, მაგრამ შემდეგში ნათელი და მტკიცე ნაბიჯებით.

* *

ოქტომბერმა შემოჰსხნა ბორკილები ნამდვილ შემოქმედებას, მან დაამსხვრია ის მლუდებები, რომელსაც რეაქციის ობსკურანტიზმი გარს ავლებდა ხელოვნებას — იმ ფრთას ხელოვნებისას, რომელსაც სურდა განუყრელ კავშირში

ყოფილიყო პროლეტარიატთან, კემშარიტებასთან და ისტორიულ სიმართლესთან. გალაქციონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე იგრძნო ეს განახლების ეპოქის ქროლევა, ეს სიახლე „ძლევა მოსილ - ამ სუბსტანციის“ ცვატელისა დიაღმა ზვირთმა“ თან გაიყოლა პოეტი, გახვია თანაჲს ტანტანტან და ჩამოაშორა დაყრუბულთა, და დაბრმავებულთა თაობას, რომელთაც არ სურდათ დაენახათ მშრომელი მილიონების გამარჯვება, არ უნდოდათ გავგონათ ლენინის იდეების განხორციელება ესენი იყვნენ ერთი ნაწილი სიმბოლისტების (ვ. ბრიუსოვის, ალ. ბლოკის და სხ. გამოკლებით) ბოლშევიკების სიძულელით გადარეულ მერვეკოვსკეების, რომელიც გაეზიზნენ ისტორიულ კემშარიტების პოზიციას და დონკიხოტური ბრძოლა დაიწყეს მის წინააღმდეგ. რევოლიუციამ, როგორც იშვიათმა ბალხაშმა ისე განკურნა ჩვენი პოეტი პესიმისტურ კრილობებისაგან, მისტიკურ ფანტაზიის ტივილებისაგან და სწორედ ამავე რევოლიუციის წყალობით გახდა გალაქციონ ტაბიძე იდეურად გაჯანსაღებული:

„იმიტომ ხდება რევოლიუცია,
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნი,
რომ პოეტების არ გაისმოფეს
უიმედობა, კენესა, წუწუნი.
იმიტომ ხდება რევოლუცია,
რომ ამიერიით არ გვეკარება
მწუხარე ხანა დეკადანსისა:
დაცემა, გაბრუნა, გადაგვარება“.

(„ეპოქა“, გვ. 82)

„ეპოქას“ ფაბულა ძლიერ ფართო და ვრცელია, მაგრამ ამ პოემას არა აქვს სიუჟეტი. ეს საერთო დამახასიებელი თვისებაა გალაქციონის პოემების, ასევე იყო „ჯონ რიდიც“. უკანასკნელი ვრცელი პოემა „რევოლიუციონური საქართველო“ ამ ხრივ ნაწილობრივ ახალ ნაბიჯს წარმოადგენს. მასში არიან ცალკე გმირები (კულაკი, ნიკა და სხ.), არის სიუჟეტიც მაგრამ „ეპოქა“ მთლიანად უგმირო და უსიუჟეტო პოემაა, მისი სიუჟეტი — მსოფლიოა, რომლის ფარგალში შედის როგორც პოლიტიკური, ისე ყოფითი და იდეოლოგიური მოვლენები, ლაყბობა ერთა ლიგაში, ლორდ კემენდენის გამოსვლები, კოლონიალური ქვეყნების ჩავგრა, კაპიტალიზმის კრიზისი, ინდუსტრიალური საქართველოს მიზინებლობა, ბარიკადებზე ბრძოლა, იდილიურ რომანტიზმის სიკვდილი, ქარხანა და სოფლის ყანები, იმპერიალისტური ომი, „ტეოდორ ნეტტე“ (ამ თემას მაიაკოვსკიშაც უძღვნა ლექსი „ტეოდორ ნეტტეს — ამხანაგს და ხომალდს“) და ინტიმური ფსიქოლოგიის საკითხები, ყველა ამ პრობლემის გადაჭრას პოეტი აწარმოებს მოწინავე საბჭოთა პოეტის თვალსაზრისით. გ. ტაბიძე გრძნობს ახალი ეპოქის ტემების რიტმს და სისწრაფეს:

ააყირავენს ეს ათი წელი
ათიათასი წლის ისტორიას“ —

სწერდა გასაბჭოების ათი წლის თავზე. „ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა“ — სწერდა „ეპოქაში“ გ. ტაბიძე. იგი ეხებდა არა მარტო თანამედ-

როვე მშენებლობას, არამედ წარსულის რევოლუციონურ ბრძოლებსაც, მას „ინტერნაციონალის“ ჰიმნის გაგონებაზე აგონდება პარიზის კომუნა:

„მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,
სცენა პარიზის საშინელ დღეთა,
ფრსალელების მიერ მხეტურად
კომუნარების რბევა და ჭლეტა“.

ინტერნაციონალი
განგაობისა

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ „ეპოქაში“ პოეტი ენმარება მაქსიმ გორკის რევოლუციონურ რომანტიზმს. ენება რა იგი ოქტომბრის გადატრიალებას — სწერს:

„და აღექაეი პეშკოვის მაშინ
მელოდიების სტეფეს გაზაფხულის
ჰიმნი მომავალ რევოლუციის
ჰიმნი მასისთვის მებრძოლი გულის.“

ბოძთან რომ ეგონს უცდიდა მგზავრი
გათვრებულთ თოვლიან მოხერით
ამ გაზაფხულის დღეს იმვე მგზავრის
ირონიულად და ამოოხერით—
უფლება აქვს რომ შეხედეს ძველ რუსეთს
წლების სხვა წლებთან გადამწინდელი
ინის კითხვაზე ის დრო სად არის?
სთქვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი“.

ამ ლექსებში გალაქტიონი აგრძელებს რევოლუციონურ პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს;

თავის უკანასკნელ ლექსებში გ. ტაბიძე გვიხატავს აგრეთვე ე. წ. „წვრილმანებსაც“, რაც სოციალისტური რეალიზმის პერსპექტივებით ისტორიულად გამართლებულია. პირიქით მაიაკოვსკიმ ამ დარგში გენიალური ნიმუშები მოგვცა („ჰიმნი სადილს“, „ჰიმნი ქრთამს“); პოეტი რეალისტისათვის პირველ პლანზე სინამდვილის მრავალფეროვნების მხატვრული შემეცნება სდგას, ამ პროცესში ის გვერდს ვერ აუხვევს „ქრძო“ და „ცალკეულ“ მოვლენათა გადმოცემას, რომელნიც საბოლოო ანგარიშში იძლევიან რევოლუციის სახეს.

გ. ტაბიძის ლექსებში მისტიკური სიმბოლოზში — ჯანსაღი რეალიზმით შეიცვალა, წვრილმარეუხიული უიმედობა — პროლეტარულ ოპტიმიზმით და სიზნევით, ინდივიდუალიზმში — კოლექტივიზმით. მისი ლექსების თემა დღეს არის არა „ცისფერი ყვავილი“ და „მთაწმინდის მთვარე“, არამედ დამკვრელი მუშა (და მოწინავე მშენებელი. წითელარმიელი და კოლმეურნე გლეხი: ის დღეს უკვე გახდა ახალი ადამიანის სულსკვეთების გამოშხატველ პოეტად, ასეთი გარდატეხა პოეტში, ასეთი გადასვლა „მარადიული საკითხების“ სფეროდან სოციალურ პრაქტიკის ატმოსფეროში — ღირსია მისალმების, გამხნევების; პროლეტარიატი ყოველთვის აფასებდა თავის ბანაკში მყოფი მწერლის ბრძოლას, მის შემოქმედებითი გაქანებას აძლევდა ცოცხალ ენერგიას და უძლეველ პერსპექტივას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გალაქტიონ ტაბიძე ყოველთვის გრძნობს

მომენტის ამოცანას და ამ მხრივ მის მხედველობითი არეს გარეშე არ რჩებოდა ისტორიული ნაბიჯები ეპოქისა. მას აქვს ლექსები საბჭოთა პრესის, ეროვნებათა ძმური კავშირის და საერთოდ აქტუალურ პოლტიკურ კითხვებს შესახებ:

ჩვენ დღემდე უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე ბევრი პოეტის ლიტერატურულ სიკვდილს და დაღიწყებას მოვესწარით და კიდევ ბერს მოვესწარებით. მაგრამ არ მოკვდება ისეთი პოეტი, რომელმაც ადრე გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ ისტორია პროლეტარიატის მხარეზეა და თავისი მძლავრი შემოქმედებით უნარი მოახმარა ახალ ეპოქას, ასეთი პოეზია დარჩება ლიტერატურის ისტორიაში მომავალ თაობისათვის, როგორც საუკეთესო მემკვიდრეობა. ამავე ხასიათს ატარებს ვალ. ტაბიძის პოეზიაც რევოლიუციის შემდეგ.



გალაქტიონ ტაბიძე

ი ჳ ე ე

რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი:
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.
ასე იყო და ასეა
ბრძოლა ჩვენი მიწის,
რწმენა ბევრად ძვირფასია:
მან გატანა იცის.
ურყეველი რწმენის მტერი
გზას ვერარით აგნებს
როს სხვადასხვა მხრით უცუქრის
ათასნაირ საგნებს.
საგანიც ფერს მისთვის ხშირად
იცვლის იმის გვარად—
როგორ ხედავ, რანაირად,
რომელ მხრიდან და რად!
განა ვისმე ვიყავ მონა
როცა მდევდა ზრახვა
და მრავალი დღეთა კონა
ძლიერ ლელვას გაპყვა?
არა მონა! ო, პირიქით,
თავი უფალ სახით
ოქროსა ესჭრი, როგორც ვკრიდი
საკუთარი დალით.
მაგრამ გრძნობათ სიმაისეც,
ფიქრო—აღმაფრენის
თუ მონა ხარ, მონა ისევ
საკუთარი რწმენის!
რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი



ყოველ ნიკზე ძლიერია
 ქვეყნის დაცვის ნიკი.
 ერთხელ ღამით, ცეცხლის აღზე
 მიედიოდით ტოლნი.
 მიედიოდით და ჰა, თვალწინ
 აღიმართა სმოლნი.
 სმოლნი, სმოლნი! იქ იმ დროის
 მახვილი და ბრძმედი
 ჰქუხდა, რწმენით, მსოფლიოის
 მთელი მეექვსედი.
 ის, ტიტანი, ვინ სთქვა სახლად?
 მრავალ ღამე-ნათევს
 სწევს იდეა მაღლა-მაღლა,
 ზრუნვა — ტვირთვად ადევს.
 ფანჯრებიდან თვალს აცეცებს
 ლულა ტყვიამფრქველის.
 გუშაგის ხმას: თქვენ ვის ეჭბთ?
 ვუპასუხე: ლენინს!



დავით კლდიაშვილი

გალაქტიონ ტაბიძე

ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას,
ვეძებ უბილავს...
რა სიწყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო!
ჭეი, გაიღვიძე ქარო ძლიერო,
გამოალევიძე ზიღამო მკვდარი.
გასწი, უამბე ადამიანებს —
ჩემი ოცნება მიუსაფარი;
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი
ჟუშორესი თანამგრძნობელი,
ისიც დიღია მისთვის, ვისთვისაც
ზღვა - უღაბნოა მთელი სოფელი...

ასე დასვედიანებული იყო ახალგაზრდობისას „უბილავის მძებნელი“ მგოსანი, მთრთოლავი, რომ მის აღელვებას არაეინ გაიგებს. მაგრამ იგი შემცდარი შეიქმნა. მისი ლელვა, მისი სულისკვეთება ერთმა კი არა, მრავალმა გაიგონა, მრავალთა გულს მოხვდა და აღელვა და მათი შეების მიმცემი შეიქნა და შეიყვარა; ეს იმიტომ რომ მისი აღელვება, მისი სულის მოძრაობა მხოლოდ მგოსანისა კი არ იყო, არამედ ათასი მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანების; ბედმა მას დააკისრა ყოფილიყო გამომსახველი, გამომთქმელი იმ ადამიანების სულის კვეთების, რომელთა შორის იგი იყო; და ადამიანებმა შეიყვარეს, მათი სულიერი ცხოვრების გამომსახველი და მუდამ სიყვარულით შემოსილს იყოლიებს. ეს ბუნების ჯილდოა. ცოტა ხდება ასეთი ბედნიერება; და ამათ შორის ჩვენს საყვარელს გალაქტიონ ტაბიძეს, ქართული ლირიკული პოეზიის მშვენებას და სიამაყეს.

ღიბ, გალაქტიონის განცდანი მარტო მას კი არ ეკუთვნის — იგი ჩენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი.



მასილ ბარნოვი გალაქტიონ ცაშაძე

ლექსთა კრებული მომძივო ტანის, პაეროვანი ციაგი ნაზთა გრძნობათა. განცდათ წალკოტი პირადპირად ყვაევილით საესე. შგ+ძნობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი.

ქართული ტკბილი. სულ უბრალოდ, მემამატად იწყობს სინღერას, ლაგეარდ ცაში სანავარდოდ ჰშლის ფრთებს თანისთან, სი+ყვის სიუხვე, კუთხის ლამაზი თქმა ერთ თაიგულად. სინამდვილეც ხომ აერთებს აწ ქართველთ მოდგმას.

ცეკვით მოზღტის, მოიმღერის ლექსთა მდინარე ხან ღიმილი, ბევრჯერ დარდი ხმაშეწყობილი. მღერის ქართველი ლხინშიც, გლოვაშიც. ზარით ტირილი გოდებაა ლექსად რხეული.

მთელი ლაშქარი საარაკო სახეებისა, უღვეელი სხვადასხვაობა, მიჰნიქეზიით ლექსებში მათ სიციცხლის ძალა: გილიძიან, გებევიან, ალერსს გეტყვიან; ცულქობენ შენს წინ. ხანდახან კიდევ გელრიჯებიან. ახალი არე ჩვეებებით საესებით საესე. თუ წაშლილან სინამდვილის, ზმანებათა, ოცნებათ მზღვრები?! სინამდვილეს ეთერიული ხორცი შეუსხავს, ოცნების სახეს შემოსავს ნივთიერება.

საოცნებო სახეთ სიუხვე წერილ ლექსებში ველარ ეტევა. გალაქტიონ! ოცნებები დაგრაზმიან, გთხოვენ პოემებს.

(„გალაქტიონი“. სალიტერ. ბიულეტენი. 1927 წ.).





გიორგი ქუჩიშვილი გალაქტიონ ტაბიძე

ძაფი ნერვის არ არის
ჩემში არა პოეტის.

გალაქტიონ ტაბიძე.

იშვიათად მიცდია კალამი საპუბლიცისტო წერილზე, თუმცა ცხოვრება პოეტისაგანაც მოითხოვს ლიტერატურის ამ დარგში წვლილის შეტანას.

მიუხედავად ასეთი გამოუცდელია, მე მაინც ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს ორიოდ სიტყვით გავცხადებ იმ საერთო სატრიუმფო გუგუნს, რომელშიაც ამპათოლოგები ვაშა და ტაში ირხევა.

ვისია, ვინ დაიმსახურა ამ ზღვა-ხალხის ასეთი თავანკარა სიყვარული? გალაქტიონ ტაბიძე.

* *

და ეს მაღალი სახელი, ეს მისი 25 წლის შემოქმედებითი დღესასწაული ისე არავის აბარებს, არავის აფრთოვანებს, როგორც მოზეიმე გალაქტიონ ტაბიძის უახლოეს მეგობარს, რომელსაც მასთან ერთად გამოუყვლია 25 წლის მანძილი — მოფენილი ნარ-ეკლითაც და ია-ვარდითაც.

მე და ჩემ განუყრელ მეგობარ-პოეტს შხამიც ბევრჯერ შეგვისვამს ცხოვრებისაგან და შარბათიც. ცრემლებს წვიმაც გვირხევნია და სიცილისაც, უბსკრულეშაიაც გადავჩეხილვართ მუხლ-დაღწილი ჯიხვივით და მწვერვალეზვადაც ავირბენია ირმისებური ლალი ხვილით.

* *

გალაქტიონ ტაბიძის ელვარე ნიჭიერებას მისი პირველი ლექსივე ამკლავნებდა.

მე მასში ვხ დავდი მომავალ დიდ პოეტს, რომელიც საკუთარ თავზე მეტათ შევიყვარე.

მე და გალაქტიონ ტაბიძეს მრავალჯერ შემოგვივლია მთელი საქართველო, და შავნელ რიაქიისაგან გულგატეხილ მასებში ბრძოლის ხალისი და მომავლის ნათელი პერსპექტივები შეგვიტანია.

ჩვენ შევდიოდით აგრეთვე მოწაფეთა არალეგალურ მარქსისტთა წრეში, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, სადაც ვათავსებდით ჩვენს ლექებს.

გალაქციონ ტაბიძე უდიდესი წარმომადგენელია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის, ამ აზრს ვერ უარყოფენ მისი მოწინააღმდეგეებიც.

გალაქციონ ტაბიძის პოეზიის გავლენა საგრძნობია არა მარტო ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე, არამედ ზოგიერთ სახელმწიფო პოეტზედაც. გალაქციონ ტაბიძის ყოველი ლექსი უაღრესად მუსიკალურია. აი ერთერთი მაგალითი:

„ჭარი ჰჭრის, ჭარი ჰჭრის, ჭარი ჰჭრის,
ფოთლები მიჰჭრიან ჭარდაჭარ...
ზეთა რიგს, ზეთა ჯარს რკალად ზრის,
სადა ზარ, სადა ზარ, სადა ზარ!
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს...“

* *

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გალაქციონ ტაბიძე ასეთი განწყობილებით შეხვდა პეტერბურგში:

„გათუნდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა...
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კადეც გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახედება მტრის რისხვა-მუქარას.
გათუნდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა...“

* *

ოქტომბრის ძღვეამოსილი რევოლუციის დროს გალაქციონ ტაბიძე გაბედულად დადგა პროლეტარიატის დიქტატურის მხარეზე.

მან უშუალოდ განიცადა ეს რევოლუცია

„პოეტი ახლა გამდგარი განზე
დროგადასული და მოხუცია;
უნდა შეერთო მასების ტალღებს,—
ამიტომ ხდება რევოლუცია.“

და აქი ამიტომაც იყო, რომ გალაქციონ ტაბიძე უყოყმანოდ გადაეშვა რუსეთის სამოქალაქო ომის ქარცეცხლში და ილტაცებული სიმღერით შეეგება მოსკოვის ქუჩებში გამართულ ბარიკადებზე ანთებულ დროშებს.

* *

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული გალაქციონ ტაბიძე ასეთი შთაბეჭდილებით და მამხილებელ პირდაპირობით მიმართავს ჩვენს პოეტებს:

„ოყო ბურჟისი გაურღვევილი,
და კაკაბედა * ვეიამფრტვეელი,
დღემ მოხუშული წარბი შეზარა,
დაცლილ ქუჩებზე მკედრები იყარა.“

უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა
 და ბნელ ცისაკენ გაინავარდა.
 ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინაზ,
 როა იმედები სხვა დავიანაზე.
 ეს უნდა ვუთხრა შიეთ მოვითება:
 მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს
 თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოსში
 ტკბილად გვიჩნათ საქართველოსში.“



* *

მთელი სიმძაფრით ვადიგრიანლეს სამოქალაქო ომებში.

ძალაუფლება მუშათა კლასში იგდო ხელთ.

საქართველოს 3 წლით დააგვიანდა გასაბჭოება.

კონტრევოლუციონური ბანდების ლიკვიდაციის შემდეგ, გამარჯვებულ-პროლეტარიატი და მისი მოკავშირე მშრომელი გლეხკაცობა შეუნელებელი-ენტუზიაზმით ვადანდის შრომის ფრონტზე, დამბლა დაცემულ მრეწველობისა-და სოფლის მეურნეობის აღდგენა-აღორძინებისათვის.

საკუთარი რესურსებითა და მხრებით შენდება ახალ-ახალი გიგანტები, ყალიბდება და მტკიცდება კოლექტიური მეურნეობანი.

გალაქტიონ ტაბიძეც აქეთვე იბრუნებს პირს.

იგი განთავისუფლებული შრომის შედგარი მომღერალია:

„ქვეყანა შრომით მიიმართება,
 ქვეყანა მძღავრი—არა მონური,
 უზარმაზარი, ჯერ არნახული,
 რევოლუციონური“.

გალაქტიონ ტაბიძემ კარგად იცის, რომ საჭიროა პროლეტარული წეს-წყობილების საკეთილდღეოდ მუშაობა და ბრძოლა:

„ასეთ დროს
 უნდა აჩქარდე, უნდა აჩქარდე, უნდა დაეწიო
 ისე სწრაფად, როგორც შეგიალია.
 წამმა დაყოვნება არ იცის...
 ჩქარა, ამზანაგო, თორემ დაგვიანდა.
 წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება,
 ვინ სთქვა გადადება,
 დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის!“

მისი მახვილი კალამი შემდეგნაირად ახასიათებს ობივატურლად განწყობილ მწერლებს:

„როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა
 და ავჭალაში კიოდა ტურა,
 იმ ხანისთვის თუ გამოდგებოდა
 თქვენი მხატვრული ლიტერატურა,“

ქალაქის ინდუსტრიის გარდა, არა ნაკლები სიძლიერით გვიხატავს იგი-რეკონსტრუქციამწილ საბჭოთა სოფელს.

ჯერ ეს ლექსი რაოდენი ღირებულებისაა:



გერმანული
ლიტერატურა

„შარი შარს, შარი შარს,
კოლექტივო, შარი შარს!
აბა ჰე! აბა ჰე!
აბა მივეთ შარი შარს!
წაეიდეთ, მოვედოთ,
თავისუფალ შთა და ბარს!
მიეიდეთ, მიუღდგეთ
გაერთიანებულ ჯარს!
ჰარიჰა, ჰარიჰა,
ჩაეეკიდოთ გუთნის ტარს!
ჰარიჰა, ბობოლა
ძველ ღობეებს უვლის გარს!
ჰარიჰა, ტალატო,
ფელით გუთამსა და ბარს!
შარი შარს, შარი შარს,
კოლექტივო, შარი შარს!
აბე ჰე, აბა ჰე,
მიუდგეთ ჰექტარსა და გას!
წაეიდეთ, მიეხე ერთ
ცეცხლმოდებულ შთადაბარს!
დროშებით მიეფუგეთ
გაერთიანებულ ჯარს!
ვინ ნაზავს რამე დარს,
აბალ საქართველოს დარს!
მეხი — მეხს, ქარი — ქარს!
ჩვენ ეს მივეთ შარი — შარს!“

ეს ლექსი კი არა, ძლევამოსილების ჰიმნია განახლებულ მთლიან კოლმეურ-
რნობათა მრავალილიონიანი არმიისა.

* * *

იგი არც კოლონიალურ ქვეყნებს სტოვებს ყურადღების გარეშე.

ის გრძნობს, რომ აღმოსავლეთის მშრომელი ხალხი იმპერიალისტ-დამპ-
ყრობელთა მძიმე უღლის ქვეშ ეწევა მონურ შრომას:

„ის ცრემლებით ჭაოვს ხალიჩა-ფარჩას,
ხატავს ყვაეილებს და იალონებს,
რომ ჭაოვლები შეენებად დარჩეს
ისევ ევროპის მდიდარ სალონებს!“

მაგრამ დახეთ:

„დგება, იღვიძებს აღმოსავლეთი,
მას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
არც უდაბნოის კორიანტელი,
არც მოშავალი ბარიკადები,
დახეტიალობს ცეცხლის ამური
მოულოდნელი სიმშრავაღეთი,
მან მოიარა ყველა ქვეყნები
და ინაზულა აღმოსავლეთიც“.

ძნელია ყოველივეს აღწერა ამ პატარა წერილში.

მოკლედ: არ არსებობს თემა, რომელსაც ნიქიერი პოეტმა ვერ შეხებულეს. გალაქტიონ ტაბიძე ღრმა შეგნებით გაემიჯნა წარსულს, ყუმბარებით ააფეთქა უკან დასახვევი ხიდეები და აღმავალ კლასთან ერთად ხმამედგრად მიიმღერის გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ — უკლასო საზოგადოებისაკენ!

მაშ, გამარჯვება ჩვენს უნიქიერეს იუბილიარ პოეტს — გალაქტიონ ტაბიძეს!

19⁷ V 33 წ.

გალაქტიონ ტაბიძე რეაქციის პერიოდში

თ. ჟღენტის მოგონებიდან

... „პოეტებიდან ჩვენი დავალებით და ჩვენთან ერთად მუშაობდნენ: ვ. რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე (მაშინ თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს) ქუჩიშვილი და სხვები.

... „პარტიის პროფესიონალური მომუშავენი იმ დროს მძიმე ეკონომიურ პირობებში მუშაობდნენ. საწევრო გადასახადიდან შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ კომიტეტს უძნელდებოდა მხარებში კავშირის დასაქერად თანხის გაღება და პროკლამაციების ბეჭდვა...

... რადგან საოლქო კომიტეტს თავისი მუშაობის საწარმოებლად განსაზღვრული პროცენტები მიჰქონდა ქუთაისის კომიტეტისაგან, საჭირო შეიქნა წყაროს გამოძებნა. ამ მიზნით ქუთაისის ორგანიზაციამ განიზრახა დიდი ლიტერატურული საღამოების მოწყობა. შედგენილ იქნა გეგმა. ერთი ასეთი საღამო მოეწყოა ქუთაისში. რომ პოლიციას ეჭვი არ აეღო, რომ ეს იყო კომიტეტის საქმე, საღამოს დაერქვა გ. ტაბიძის საღამო და როგორც ღარიბი პოეტი, ის მიიღებდა შემოსავლიდან წილს. საღამომ შემოსავალი მოგვცა 300 მანეთზე მეტი, გამოწვეული იყო ტფილისიდან პოეტი ქუჩიშვილი, ქუთაისიდან მონაწილეობა მიიღეს ვ. რუხაძემ, ია ეკალაძემ, ნოე ჩხიკვაძემ და სხვებმა.

ია ეკალაძესთან, — რომ მას საღამოში მონაწილეობა მიეღო, — წავედიო მე და პლებეიშვილი — გაბრიჩიძე (როგორც მახსოვს თვით გალაქტიონ ტაბიძეც იყო). ია ეკალაძემ კარგად მივეიღო, მხოლოდ გვითხრა, სოც. დემოკრატების სასარგებლოდ მე არ გამოვალ, მაგრამ თქვენ ისე მოგიკახრაკებთო საქმე, რომ სახელად გალაქტიონ ტაბიძის საღამო დაგიჩემვეთათო. გალაქტიონ ტაბიძეს დიდათ ვცემ პატივს და ამიტომ უთუოდ მივიღებ მონაწილეობასო.

პოეტი ნოე ჩხიკვაძე მონაწილეთა სიაში გამოცხადებული არ იყო. ეს გარემოება მას აიძულებდა არ გამოსულიყო, მაგრამ ჩემის თხოვნით ისიც გამოვიდა საღამოზე“...

თენგივ ჟღენტი. — „ზოგიერთი ეპიზოდები პარტ.-მუშაობიდან 1905 წ. შემდეგ“. იხ. „რევოლუციის მატინე“, 1928 წ. № 209)



„სწრაფი გრგვინვა-გრიალით“
ჰკრიან ლფოჯა ცხენები“...

ალამიანები & ფაქტები

ბ. ზიზინეიშვილი

კამე

თავი XXV

უცხოეთში სოფნა და დაბრუნება

ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით, თუ სად იყო და რას აკეთებდა კამო უცხოეთში გაქცევის შემდეგ. ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები ამის გარკვეულსა და ხათელ სურათს ვერ იძლევა. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო პარიზსა და ბალკანეთში, მოხვდა სტამბოლში, ცხოვრობდა კონსპირატიული მოსაზრებით ქართველ კათოლიკე ბერებს შორის და რაღაც დიდ აქტებს ამზადებდა ამიერკავკასიისათვის.

ზოგი ცნობა კამოს საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ ჩვენ გავიგეთ ვილაც მიხეილ ორლოვის საბეზლო წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე უკვე კამოს საქართველოში დაბრუნების და მისი შეპყრობის შემდეგ, ე. ი. 1913 წლის დამდეგს. ჩვენთვის უცნობი სამძებროს მოხალისე სწერს:

„მოწყალეო ხელწიფევი! გავიგე ვაზ. „კავკასკი კრაიდან“, რომ ქ. ტფილისში დაპატიმრებულია ვილაც კამო სომეხი—ექსპროპრიატორი. ამიტომ პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდეგი: ჩამოვიდა თუ არა აქ კამო ევროპიდან, ის საბაჟოში თურქეთის ხელისუფლების აგენტებმა დაიჭირეს. იგი განთავისუფლებული იქნა ქართველი კათოლიკე ბერების შუამდგომლობით (ეს ბერები რუსეთის ქვეშევრდომებია ქართული მონასტრის „ნოტრ დამ დე-ლურდ“ ფერიკუსის გარეთ უბანში), ხოლო ყუმბარებს, რომელიც მას აღმოაჩნდა, კონფისკაცია უკვეს. ხსენებული კამო ერთხანს დასახლდა ზემოხსენებული მონასტრის სახლში პაპასკუსპრიში. ბერებმა მისცეს მას თავიანთი ეგობრის—ერთი ბულგარელის პასპორტი და გავზავნეს ბულგარეთში ყუმბარების შესაქენად, ხოლო შემდეგ რუმინეთით რუსეთსა და კავკასიაში უნდა წასულიყო. ზემოხსენებული კამო ბერებთან ცხოვრობდა ვილაც ირაკლი ტატიშვილთან ერთად (რომელიც არ ვიცი ანარქისტი იყო თუ ექსპროპრიატორი), ვანო აღიხანიშვილსა და პეტრე ურუშელთან. უკანასკნელი ცოლით და ქალიშვილით მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაში გადავიდა ზემოთდასახლებული მონასტრის ქარ-



თველ კათოლიკე ბერების დაეინებით. ამათი სკოლა პაპასკუსპრის უბანში, სარგებლობს რა საფრანგეთის მთავრობის მფარველობით, თავშენაფარს წარმოადგენს რუსეთიდან გამოქვეულ პოლიტიკურ და სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის. ხმები დადის, რომ კამო სტამბოლიდან წამოსვლის დროს ბერებს დიდს ფულად დახმარებას დაჰპირდა სემენარიის ასაშენებლად. ამას წინათ მიუხედავად იმისა რომ კათოლიკე ეპისკოპოსმა კავკასიაში წასვლა აკრძალა, ზოგიერთმა ქართველმა ბერებმა შეცდომაში შეიყვანეს ჩვენი საეპოქო და მშობლების ავადმყოფობის ფულსიკვდილის მომიზეზებით წავიდნენ რუსეთში საერო ტანისამოსით გამოწყობილი რაღაც საიდუმლო საქმის გამო*....

შეუდგ ჩამოთვლილია საპოლიციო დოკუმენტების მიხედვით ის ბერები, ვინც რუსეთში წავიდა, მათ შორის ბერი მარკო, იგივე გიორგი ხიტაროვი, სოფ. ვალელი (ახალციხის მაზრა).

დამკველი განყოფილების ცნობით მარკოს ფსევდონიმი შემდეგნაირად იქნა გამოცნობილი:

ქართველია, შედის შავიზღვის მეზღვაურთა „სანიციური ჯგუფის“ ცენტრის შემადგენლობაში. ის განაგებს სტამბოლიდან კავკასიაში ლიტერატურის გადაგზავნის საქმეს. ქ. აღესის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის ცნობებით, მარკო სომეხია, სოციალისტ-რევოლიუციონერი, 28—30 წლისა, მუშაობს არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტზე. უფრო მოგვიანო ცნობების მიხედვით მარკო სომეხია, კავკასიელი, გვარად ტარასოვი, თურქეთში გაქცეული; სტამბოლში დურგლობას ეწევა. 1912 წლის დეკემბრის სააგენტურის ცნობებით, ბათუმში ცხოვრობს მარკო (27 წლის საშუალოზე დაბალი ტანისა), რომელსაც კავშირი აქვს „მეზღვაურის“ რედაქციასთან. ბათუმში ის აგრეთვე „კოროტკის“ სახელწოდებითაც უნახავთ. ამ პიროვნების შესახებ საერთოდ გარკვეული ცნობები არ მოიპოვება.

გამოურკვეველი რჩება როგორც კამოს კავშირი სტამბოლელ ბერებთან და მისი ნამდვილი განზრახვა, რომელიც აიძულებს მას ურჩიოს თავის დას ჯავაირას (უკანასკნელი იმ დროს სასჯელს იხდიდა გაქცევის დახმარებისათვის) სტამბოლში ჩასვლას. ვინც კამოს იცნობს, მისთვის აშკარაა, რომ წერილის ნამდვილი შინაარსი სადღაც სტრიქონებს შუაა მიშალული.

ძვირფასო დაო ჯავაირა! გიძღვნი სალამს და გისურვებ ყოველივე კეთილს. ჯავაირა! უფროსებს სთხოვე რომ საზღვარგარეთ წამოსვლის ნება მოგცენ. კარგი იქნება რომ სტამბოლში ცხოვრების ნებას შენც მოგცემდნენ. აქ არის ქართველ კათოლიკე ქალთა მონასტერი, სადაც მე კარგად მიცნობენ და შენც კარგად მოეწყობი. გარდა ამისა, თუ მოინდომებ უცხო ენებს შეისწავლი, რადგან იქ არის ძალიან კარგი, სანიმუშო სასწავლებელი, სადაც სპეციალურად სწავლობენ უცხო ენებს. მონასტერში ცხოვრება ძალიან იაფია: ყველაფერი თვეში დაგიჯდება 9 მანეთი. თუ მთავრობა ნებას დაგრთავს საზღვარგარეთ მოიხადო სასჯელი, ძალიან კარგი იქნება. როდესაც ამის შესახებ დაიწყებ თხოვას, შემატყობინე. შენი ნახვის მონატრული სიმონ*.



1913 წ. 20 სექტემბერს ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა აცნობა ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოს უფროსს:

„ამასთან ერთად გაახლებთ ცნობისთვის თქვენს მაღალკუთხედში მდებარე ასლს იმ წერილის ნაგლეჯისას. იგი იბოვეს ტფილისის № 2 საპატიმროს კარიდორში და დაერთო საგანგებო საქმეთა გამომძიებლის წინასწარ გამოძიებას, იმ ბრბოს საქმის შესახებ რომელიც კოლორის გზაზე თავს დაესხენ ფოსტას. როგორც ჩანს, ეს ნაწყვეტი დღიურის მავვარს რაღაცას წარმოადგენს. შესაძლებელია ეს დღიური შეადგინა ცნობილმა ტერორისტმა ტერ-პეტროსიანმა, რასაც უთითებს დღიურის ერთი ფრაზა იმის შესახებ რომ მისი, ავტორის შესახებ გერმანელი დელეგატი კანი (ალბათ კონი) უამბობდა კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესზე რუსეთის დელეგატებსო. წერილი ბუნდოვანია. ამიტომ თუმცა დედანის ორთოგრაფია დაცულია მაგრამ ასლში ზოგიერთი ფრაზა მაინც გაუგებარია ან დაუბოლოებელი. განსაკუთრებით საყურადღებოა დოკუმენტის ის ადგილი, სადაც მოხსენებულია თურქეთის პოლიციის დამოკიდებულება რუსეთის მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიებთან და თურქეთის ხელისუფალთა მზადყოფნა რევოლუციონერების რუსეთში შემოსვლის დასახმარებლად და მათ მიერ იარაღის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა შემოსატანად“.

აი წერილის ტექსტი:

„მე ჯერ მინდოდა ილიჩი, დამესახელებია როგორც ინტერნაციონალური ბიუროს წევრი. ხოლო შემდეგ დავასახელე ბლაგიევი, იქაური ესდეკების ბელადი, რომ მიცნობს მე საზღვარგარეთიდან, თუ მას არ დავავიწყდი თქო. ამის შემდეგ მომცეს რამდენიმე მანეთი და გამაყოლეს თავის საიდუმლო აგენტი,¹⁾ რომელსაც უბრძანეს ეჩვენებინა ჩემთვის ბლაგოევის სახელი და მითხრეს მივსულიყავი 4 საათზე. თუ ბლაგოევი დაადასტურებს თქვენს ვინაობას, გამოგვივებთო... მე წავედი აგენტთან ერთად ბლაგოევის სანახავად. ჩვენ მოულოდნელად შევხვდით მას ქუჩაზე. მე მადლობა უთხარი აგენტს და გავყევი ბლაგოევის, ავუხსენი საქმე ვუთხარი ვინც ვიყავი. ის განცვიფრდა და მითხრა, რომ ის მიცნობს კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესიდან, სადაც მე გავიგონე თუ რას უამბობდა თქვენს შესახებ რუსეთის დელეგატებს გერმანელი დელეგატი კანიო“. ამის შემდეგ ბლაგოევის მაშინვე უნდოდა წამოგვეყოლოდა გრადონაჩაღნიკთან, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ოთხ საათზე ვარ დაბარებული თქვენთან ერთად ან უთქვენოდ შეთქი. მაშინ მან მითხრა: „თქვენ ოთხ საათზე წადით, ხოლო მე ტელეფონით მოველაპარაკები და ვეცდები გავათავისუფლონო“. მე ამის შესახებ მივსწერე გრადონაჩაღნიკს, ხოლო მან უკვე გამომიტყდა, თავისუფალი ხართო, რადგან ბლაგოევი და კირკოვი გითავდებეს, რომ თქვენ სწორედ სოფნუჯი ხართო, და ბოდიშს იხდიდა, რომ უმიზეზოდ დამაპატიმრეს, ხოლო ვაზეთებში გამოაცხადეს: დააპატიმრეს სტამბოლიდან მოსული ორი პირი, ერთი რუსი აფიცერი მეორე სოციალისტი სოფ-

¹⁾ ჩანს, ლაპარაკია ვამოს რომელიღაც შემთხვევით დაპატიმრებაზე ბულგარეთის სახლურებში...

ჩუკი, რომელთაც უთავდებეს ბლაგოვემა და კირკოვემა, ამიტომ ბოდის ვიზლით სოფელის წინაშე გამოვედი თუ არა იქიდან, მერაშტა წასტუმროს, ცოტა დავისვენე და 9 საათზე წავედი ჩვენს ნაცნობთან. მან არაფერი არ იცოდა, მაგრამ ჩემთვის კარგი ვახშაში მოემზადებია და დაეპატიუნა კიდევ ორი მაკედონელი ვოევოდა. მე უკანვე ყველაფერი როგორც იყო, აგრეთვე ისიც, რომ მათ აქედან გასვლის ვადა დამიდევს 24 საათი და ნება მომცეს წავსულიყავი მხოლოდ ბულგარეთით, როგორც მათ აღრვეე ვუთხარი, ისინი უკმაყოფილონი დარჩენ, რადგან მე უნდა წავსულიყავი ბურგასით ტრაპიზონში. ამაზე მათ გადაწყვიტეს, ხვალვე ერთი ვოევოდა წასულიყო გრადონაჩალნიკთან და ეთქვა; მართალია, სოფელსოციალისტია, მაგრამ ამავე დროს თურქეთის ქრისტიანთა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის წევრია, ის ჩვენთან საქმეზე ჩამოვიდა ამიტომ მას უნდა მიეცეს ნება წავიდეს როცა უნდა და სადაც უნდაო—ხოლო გრადონაჩალნიკმა ნება დაგვართო და კიდევ ბოდისიც მოიხადა. მეორე დღეს საღამოს ყველაფერი მხად იყო და მე და ჩემი ვოევოდა დაუბრკოლებლივ წავედით ბურგასში. იქ მან სტამბოლის ბილეთი მიყიდა რადგან ტრაპიზონთან პირდაპირი მიმოსვლა არ იყო. მან შეიტანა ჩემი ნივთები და კარგად მომაწყო, მე კი ისე დავასაჩუქრე, როგორც მითხრა მეგობარმა, და წავედი. მოვედი სტამბოლში, რადგან გემი პატარა იყო, ნაპირს ვერ მიადგა. მე არ გამოვედი; მენავე გავგზავნე ნაპირზე, მოეხმო ჩემთან მედუქნე ტფილისიდან გამოქცეული ჩემი კარგი ნაცნობი და თარჯიმანი, რომელიც 25 წელიწადს ცხოვრობდა იქ და საკონტრაბანდო საქმეს მისდევდა. როდესაც მოვიდა, ვუთხარი, ან ნივთები უნდა მოვიტანოთ ნაპირზე, ან გავიგოთ, არის თუ არა გემი ბათუმ—ტრაპიზონისკენ, მიშავალი. იქ დატვირთვის საქმე მოწყობილი იყო. შემდეგ მოვიდა და მითხრა: ოთხი დღის შემდეგ აესტრიის გემი გადის და შეიძლება ნაპირზე გადმოუსვლელად პირდაპირ გადაჯდომა, ხოლო როცა ნაპირზე გადმოუსვლელად გემიდან გემზე ჯდებიან, საბაჟოს მოხელენი აღარ ათვალეიერებენ ნივთებსო. რადგან მე არ ვიცნობდი ადგილობრივ პირობებს, უნდა დამეკურებიო გამოცდილი კაცისთვის. ჩვენ წავილეთ ყველა ჩვენი ნივთები, ჩავკეციით ნავში და გაესწიეთ გემისკენ. გავიარეთ თუ არა რამდენიმე საჯენი, საბაჟოს მოხელემ გაგვაჩერა, რომელიც ნავით დაგვეწია. ჩემი თარჯიმანი ენერგიულად აცხადებდა პროტესტს, თქვენ უფლება არა გაქვთ გაგვაჩეროთ, რადგან ერთი გემიდან პირდაპირ მეორეზე გადავდივართო. მათ ჩვენს პროტესტებს ყურადღება არ მიაქციეს და საბაჟოში მიგვიყვანეს. იქ ჩემი თარჯიმანის საშუალებით ვითხოვე, რომ ნივთები არ გაეხსნათ და მთავარ საპოლიციო სამართველოში გავგზავნეთ, მათ დაგვიჯერეს და ჩვენ მენავესთან ერთად წავედით პოლიციის პრეზიდენტში. იქ თავდაპირველად თვით სტამბოლის პოლიციის პრეზიდენტმა გამომიძახა: მე აფუხსენი, რომ ივანე ზოიძე ვარ, ქართველი ფედერალისტი, რამდენიმე კვირის წინათ ჩამოვედი აქ რათა აქ გაბატონებული პარტიის ბელადები გამეცნო და მეთხოვა კავკასიის გამათავისულებელ მოქრაობაში იკვივე როლი ეკის-

რათ, რაც რუსეთმა და ავსტრიამ, მაკედონიასა და ალბანეთში იქის რეს მეტოქი, და რადგან რუსეთმა ტრიპოლიტანიის ომით ისარგებლა და თავს უყრის თავის ჯარს ყარსში, რათა ძალით გამოახსენეინოსთ სრუტეები და შეიძლება ომმაც იფეთქოს ამიტომ ჩვენ გვინდა მოგვყიდოთ ყველა საჭირო იარაღი და მოგვეცეთ გვექონდეს თავისუფალი მიმოსვლის და მოქმედების ნება თურქეთში და აგრეთვე ცოტაოდენი დახმარებაც თქვენი მხრით; ეს საჭიროა ახლავე მოხდეს, ვიდრე არ დაგვიანებულა, თორემ როდესაც ომი იფეთქებს, მაშინ დიდი დახმარების აღმოჩენასაც, მოინდომებთ მაგრამ უკვე უხერხული იქნება სხვადასხვა მოტივების გამო და ჩვენც იძულებული ვიქნებით უარი ვთქვათ, როგორც ეს იაპონელებთან ომის დროს ვთქვით, და სხვ., ეს კი, რაც ახლა ჩვენ დაგვიკავევს საჭირო იყო, რომ დაგვეშაღებია და ამავე დროს მიგვექცია თქვენი ყურადღება; შემდეგ ამის გამო გვეთხოვა თქვენი დახმარება, რადგან თქვენთვის დიდათ სასარგებლო იქნება; ეს მე აქ არ გამომქონდა, არამედ მინდოდა გადავჯღაღარიყავი გემზე, რომელიც მიდიოდა ტრაპიზონში, იქ კი თქვენთვის ცნობილი ბეგი ა—ის დახმარებით გადმოვტვირთავდი და გავგზავნიდი ბათომში და სხ.

ამ განმარტების საპასუხოდ მხოლოდ ერთი განცვიფრებული პასუხი მესმოდა: „პეკი—პეკი“, ე. ი. „კარგი—კარგი“

მერე დაჰკითხეს მედღუქნეს.

მან სთქვა, რომ მიქონდა 3—4 დღის შემდეგ ბათომში მიმავალ გემზე და სხვა არაფერი; ხოლო ჩემი მოხუცი თარჯიმანი ემუდარებოდა, მე სრულიად არაფერი არ ვიცოდი გარდა იმისა, რომ მან, ე. ი. მე მოვიტანე რამდენიმე კვირის წინათ სარეკომენდაციო წერილი ჩემი ძველი სტამბოლელი ნაცნობისგან, რომელიც ახლა კავკასიაშია, ხოლო თურქეთის ომის შემდეგ, პოლკოვნიკ ქართველ თავადს... დაკითხვის შემდეგ მითხრეს, საღამოს ვაგათავისუფლებთო, მანამდე კი კარგად მოწყობილ ბინაში, შემიყვანეს, და ძალიან კარგი სადილი გამოიტანეს. ხოლო საღამოს 9 საათზე მთხოვეს მომეცადა დილაშდღე. ღამის გასათევად ერთ თავის საიდუმლო აგენტს უბრძანეს. სხვათა შორის, სომეხს, ყოფილ სულთან გამიღის დროინდელ დაშნაკეკანს, მოენახა უახლოესი სასტუმრო ჩემთვისაც და თავითვისაც, რომ თავის ნებით არ გამოჩენილიყო ქუჩაზე. როგორც ყარაული. დილას 8 საათზე ავდექით. ჩემმა ყარაულმა მკითხა, რას მოვისურვებდი საუზმედ. მას უფროსებისგან ნაბრძანები ჰქონდა ყველაფერი, შეესრულებია რასაც კი მოვითხოვდი. რადგან მე მივეცი მხოლოდ ჩვენება, რომ მე ეს ყუმიარები ჰუნგრეთის საზღვარზე ვიშოვე და ჩემი ძველი თარჯიმანის ჩვენებანი მნიშვნელოვანია, ამიტომ ეს ნიშნავდა ჩემდამი უნდობლად განწყობას, ჩემმა ყარაულმა იცოდა; მან, სხვათა შორის, მიამბო, თუ როგორ შოვობდენ ისინი, ე. ი. დაშნაკეკანები ამას საბერძნეთიდან იქ მცხოვრები სომეხების საშუალებით, და თუ მომავალში კიდევ დაგვირდებათ თქვენ ან სხვას, ათინაში უნდა მოძებნოთ სომეხთა ეკლესია, იქ გაეცნოთ აქედან გაქცეულ დაშნაკებს, რომელნიც მუდამ იქ ცხოვრობენ და მათ

საშუალებით ყველაფერის შოვნა შეიძლება, მხოლოდ უნდა უთხრა, რომ სომეხი ხართო. ამ ამბავის და საუზმის შემდეგ უკანვე წავედით პოლიციის პრეზიდენტში. იქ შემოიყვანეს ჩემთვის დანიშნულ ოთახში 12 საათზე პოლიციის პრეზიდენტმა გამომიძახა და მითხრა; თქვენც მჯერება იმ პოლიკონიქმა და კიდევ იმ მეორემ, დაადასტურეს, ვინაშნაც მათგან სარეკომენდაციო წერილი გაქონდათ, ამიტომ მე ვთხოვთ, არ იწყინოთ და კიდევ 7 დღეს დარჩეთ ჩვენთან გუშინდელ პირობებში, სანამ გაზეთები დაანებებდნენ თავს წერას, რომ ვილაც რუსი ანარქისტი შეიპყრეს, რომელმაც არც თავის გვარი იცის და არც სახელი; ეს ცნობა გაზეთებში შემთხვევით მოხვდა, ჩვენ კი მეტ ცნობას ალარ მივცემთ. ხოლო თუ ახლავე გაგიშვით, რუსეთის მთავრობას შეუძლია მიზეზი გამოგვიძებნოს და ერთგვარი უსიამოვნება მოგვაცუნოს, ამიტომ შეიძლია დღის შემდეგ ფარულად გაგზავნით ათინაშიო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მაგრამ მთავრობის მიერ ამ სამდღიან დაპატიმრებაში ერთი უბედურება ის იყო, რომ მათ ორჯერ გამართეს ძალიან არისტოკრატიული სადილი, მივყავდით ლამის გასათევად პირველხარისხოვან სასტუმროებში, თუ არ ჩავთვლით ჩაის, რაც იქ ძალიან ხშირად მოჰქონდათ. როდესაც გავიგე ორი დღის შემდეგ, რომ ყოველივე ეს ჩემს ხარჯზე იყო, მეტად ცუდ გუნებაზე დავდექი, რადგან ეს კმაყოფილება 3—4 მანეთზე მეტი დამიჯდებოდა. მინდოდა მეთხოვა, რომ ეკონომიის გულისათვის საპატიმროში გადავიყვანეთ, მაგრამ შესაძლო იყო დამეკარგა ავტორიტეტი იმათ თვალში, ვინც მე ლამის კავკასიის მომავალ შეეკი-ფაშად ან რომელიმე სხვა დიდებულად მთვლიდა. მე კი ვფიქრობდი, მომავალში გამოგვადგება მეთქი, და მხოლოდ თავი მოვიავათყოფე და ნახევრად შიმშილობა დავიწყე. მაგრამ ამან არ მიშველა, რადგან ყველაფერი წინდაწინვე იყო შეკვეთილი განსაკუთრებული განკარგულებით, რასაკვირველია ჩემს ანგარიშზე. მე ათინაში გამგზავნეს, რა თქმა უნდა, მეორე კლასით და ჩემი ხარჯით მაგრამ ერთი საინტერესო ახსნა დამავიწყდა. როგორც ამბობენ—ზოგი კირი მარგებელიაო, და ეს ასე იქნებოდა, რომ ჩვენი საქმე კარგად წასულიყო. გაგზავნის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა დამიძახა და მითხრა: „თქვენ მალე იქნებით თავისუფალი, ამიტომ გკითხავთ, როგორც კერძო ნაცნობს. რამდენად ძლიერი არიან რუსეთის რევოლუციონერები საერთოდ და კერძოდ კავკასიელებიო?“. მე, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი დიდებულად დავუსურათე. მან ჩემი პასპორტი დამიბრუნა და მითხრა „თქვენ შეგიძლიათ უკანვე დაბრუნდეთ და გაიტანოთ რაც გინდათ, მხოლოდ ფრთხილად იყავით. ჩამოსვლისას გვეჩვენეთ, რათა შეგვეძლოს განკარგულება მოვახდინოთ და შემთხვევით არ დაგაკაონ. და თუ თქვენ და თქვენი ორგანიზაცია რითიმე გამოიჩინთ თავს, ჩვენ მხოლოდ ფარულად აღმოვიჩინთ ყოველგვარ დახმარებას, რაც კი დაგჭირდებათ“. მივედი თუ არა პირეში, მაშინვე მოენახე სომეხი მენავე. მან ამიხსნა როგორ უნდა წავსულიყავი ათინაში. პირეიდან ათინაში ელექტრო მატარებელი დადის.

მე ბილეთი ვიყიდე 50 სანტიმად და წავედი. მისვლისთანავე დავიწყე სომური ეკლესიის ტებნა“.

როგორც ჩანს, კამო ტფილისში 1912 წლის ზაფხულში ჩამოვიდა და ასაფეთქებელი ნივთიერება და იარაღები ჩამოიტანა.

ერთხელ გვიამბობს ამა. ა. ბებურაშვილი, — როცა მის წინაშე ვსდები, გავიგე, რომ ვილაც უცხოელი მელოდება შევედი თუ არა, ჩემ შემოსაგებებლად ვილაც სათვალეზიანი, ძალიან მოდურად ჩაქმული შავგვრემანი კაცი წამოდგა. ამ უცხოელს არც ერთი ნაკეთი არა ჰქონდა რაც კამოს ზოგაგონებდათ; მიუხედავად ამისა ის მაინც კამო იყო. მაშინ ერთ კვირამდე დარჩა ჩემთან. შინიდან მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდიოდა და გამძაფრებულ არაღეგალურ მუშაობას ეწოდა. ის იმდენად კარგად იყო დაგრძობიებული, რომ უახლოესი ადამიანებიც კი ველარ სცნობდენ. მაგრამ ეტყობოდა, კამოს გარშემო გაჩენილიყვნენ. მოლაღატენი „ჩრდილოეთ ნომრების“ ახლოს, სადაც ის იყო გაწერილი, უკვე ფილერების ჯგუფები დაფუსფუსებდენ.

ტფილისის ქანდარმთა სამმართველომ ძალიან კარგად იცოდა კამოს ჩამოსვლის ამბავი, რაც დაუყოვნებლივ შეატყობინა თავის განყოფილებებს.

სრულიად საიდუმლოდ. ტფილისის საგუბერნიო ქანდარმთა სამმართველოს უფროსის მოადგილე რაიონში.

№ 8958

ქ. ტფილისი

ტფილისის დამცველი განყოფილების უფროსის მიერ მიღებული სააგენტურო ცნობების მიხედვით ამჟამად ქ. ტფილისში იმყოფება სიმონ არშაკისძე პეტროსიანი (ტერ-პეტრესოვი და ტერ პეტრუსოვი), რომელიც ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებიდან გაიქცა და რომელიც იძებნება პოლიციის დეპარტამენტის 1911 წლის 21 ოქტომბრის ცირკულიარით №120480/169.

მან ჩამოიტანა ტფილისში დინამიტი და მანუზერები ბათომში თუ ბათუმთან ახლოს ამიერ კავკასიის სარკინისგზო ზაზუნ განზრახული გაძარცვის მოსაწყობად. პეტროსიანი შეღებლია შავგვრემანად, იცვამს შავს ბიჯაკს, თეთრ შარვალს, ჩალის ქუდი ხურავს, შავ სათვალეებს ატარებს. ის იყო სიღნაღში, იქ მოძებნა ოთხი კაცი, რომელნიც დაპირდენ მონაწილეობის მიღებას განზრახულ გაძარცვაში.

კავკასიაში წამოსვლისას, ტერ-პეტროსიანიც ქ. ოდესაში შეხვდა თავის ნაცნობს ივანე მანჯავიძეს. უკანასკნელი თანამონაწილეა პეტროსიანის მიერ განზრახული გაძარცვისა. მანჯავიძე ზეინკალია. ახლა ქ. ბათომში იმყოფება. მისი ნიშნები. 29 წლის, მაღალი, შავგვრემანი, შავი გრძელი უღვაშები და წვერი ბულანეე. შავი საბიჯაკო ტანისამოსი აცვია. შავი ქუდი ახურავს.

გატყობინებთ რა ამას მანჯავიძის პიროვნების, კავშირების, დანაშაულებრივ მოქმედების გამოსარკვევად და ტერ-პეტროსიანის მოსაძებნად და შესაპურობად, კავკასიის სარაიონო დამცველი განყოფილება გთხოვთ აცნობოთ რაიონს ყოველივე, რაც ამას მოჰყვება. ხელს აწერს როტმისტრი ფონ-გოერცი.

თაში XXVI

კოჯრის საქმე



კამოს ჩამოსვლის შემდეგ, 1912 წელს 24 სექტემბერს კოჯრის გზატკეცილზე ქალაქიდან სამი ვერსის მოშორებით თავს დაესხნენ ტფილისიდან მიმავალ ფოსტას. თავდამსხმელი რვა კაცი იყო. მათ სამი ყუმბარა ესროლეს მცველებს, სამი დარაჯი და მეეტლე მოკლული აღმოჩნდა, ერთი დარაჯი და ფოსტალიონი დაჭრილი. დაჭრილმა დარაჯმა სროლა ასტეხა. შეიქნა განგაში. თავდამსხმელებმა ვერ გამოიჩინეს ვერც მიხვედრილობა და გამჭვრიახობა, რომელიც ახასიათებდა კამოს წინანდელ აქტებს, და ვერც შეკავშირების სიმტკიცე. ისინი ხელცალღირი გაიქცენ. ოთხი მათგანი ქალაქში დაიშალა.

ამუშავდა ოხრანკა; გამომძიებლებისკენ „სააგენტურო ცნობები“ წამოვიდა, ამჟამად ამ ცნობებს ახასიათებდა ის საეჭვო სიზუსტე, რომელიც ჩვეულებრივ გამცემის ყოფნას მოწმობს დევნილი ჯგუფის წიაღში, ან მის ახლო-მახლო.

მარცხით გათავებული ექსის პირველ დღეებშივე საქმებრო განყოფილების უფროსმა შიილო ცნობები, რომ ამ საქმის ერთი მეთაურთაგანი ვინმე „გიგო“ ბომბისტი-ტერორისტი, რომელიც მონაწილეობდა მთელ რიგ ტერორისტულ გამოსვლებში ყუმბარებით ჯერ ამიერკავკასიაში და შემდეგ სპარსეთში.¹⁾

გაგებულ იქნა აგრეთვე, რომ გიგო საგარეჯოს ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში წასულიყო. იქ თვალყურის სადევნებლად პოლიციის აგენტები გაგზავნეს.

ამავე დროს ოხრანკამ გაიგო, რომ თავდასხმის ორგანიზაციის უახლოესი თანამონაწილენი იყვნენ ვილაც ქართველი ქალი და ახალგაზრდა კაცი, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ შეეძინათ საჭირო საგნები და, სხვათა შორის, ერთნახევარქლორისტული რკინით გატენილი ბამბა დაჭრის დროს სისხლის დენის შესაჩერებლად. გარდა ამისა ოხრანკის აგენტურამ საიდუმლო ცნობების თანახმად ძებნა დაუწყო უცნობ ფოსტის მოხელეს, რომელმაც საჭირო ცნობები მიაწოდა ორგანიზაციას. ცოტა უფრო გვიან ისიც შეიტყვეს, თომ თავდასხმის უშუალო მონაწილენი იყვნენ ვინმე მეტსახელად „კამოდ“ წოდებული და კიდევ ყოფილი აღმინისტრაციულად გადასახლებული—სახელწოდებით „მარტიროსი“.

სისხლის დენის შემაჩერებელი ბამბის პაკეტზე ხელმოწერის მიხედვით პოლიციამ ხელთ იგდო იმ ძაფის ერთი ბოლო, რომელიც მებრძოლი რაზმის ბირთვში იხვეოდა: აფთიაქის მოსამსახურებმა გაიხსნეს ნიშნები ბამბის მყიდველი ქალის და იმ ახალგაზრდა კაცის, რომელიც მას უცდიდა ქუჩაში. გულმოდგინე ძიების შემდეგ აღმოჩენილ იქნა ბინა იმ ქალისა, რომელიც მარიამ მაისურაძის პასპორტით ცხოვრობდა საპიორთა ქუჩაზე სახლი № 14, ამასთან თვალყურის დევნებისას ამ ქალს დაერქვა „ლეჩაქი“, ხოლო ახალგაზრდა კაცს „მუზიკანტი“.

¹⁾ გიგო (ანუ, მათიაშვილი) კამოს უახლოესი აშანაგე იყო, ითვლებოდა კამოსებური ყუმბარების კეთების ერთერთ სპეციალისტად. ის შეპყრობილ იქნა და გაუდაიკვალა კატორაში.
ბ. ბ.

საპიორთა ქუჩაზე სახლის № 14 მეთვალყურემ 27 ოქტომბერს აღმოაჩინა, რომ „ლეჩაქის“ ბინიდან უცნობი კაცი გამოვიდა, რომელსაც მეთვალყურეობაში დაერქვა „ჩორნი“. უკანასკნელს ახალგაზრდა გამოჰყვა, (მეტი სახელი „კოტიკოვია შაკა). ისინი აბანოში წავიდნენ და ისევ უკან დაბრუნდნენ. საპიორთა ქუჩაზე სახლი № 14, სადაც ეტყობოდა ორთავემ გაათენა ღამე. შემდეგ „ჩორნი“ გამოვიდა საპიორთა ქუჩის სახლიდან № 14 და პუშკინის ქარვასლაში სამკერვალო სახელოსნოში წავიდა იქიდან მალე გამოვიდა და ყაზბეგის ქუჩაზე (სახლი № 1) წავიდა.

5 ნოემბერს ნაშუადღევს 3 საათზე შენიშნული იქნა, რომ „ჩორნი“ მივიდა სახლში № 14, საპიორ. ქ., ხოლო საღამოს 6 საათზე იმავე სახლიდან „ლეჩაქის“ ბინიდან ცალკალკე გამოვიდნენ „ჩორნი“ უცნობ კაცთან ერთად (მეტი სახელი „რიეი“) და „მუზიკანტი“, რომელნიც გოლოვინის პროსპექტზე შეერთდნენ. შემდეგ „მუზიკანტი“ წავიდა, ხოლო „ჩორნი“ და „რიეი“ სასტუმრო „უნივერსალში“ შევიდნენ. „ჩორნი“ მალე გამოვიდა იქიდან და სასტუმრო „კავკაზში“ შევიდა და იქ დარჩა.

6 ნოემბერს „რიეი“ და „მუზიკანტი“ სამკერვალო სახელოსნოში წავიდნენ პუშკინის პასაჟში.

საღამოს 8 საათზე „რიეი“ გამოვიდა მარტო და გოლოვინის პროსპექტზე შეხვდა უცნობს (მეტი სახელი „ქნიაზი“), რომელსაც ოც წუთის ელაპარაკა, ხოლო შემდეგ მამა-დავითის ქუჩაზე შეხვდა მეორე უცნობს (მეტი სახელი — „პლაშჩ“) და მასთან ერთად საღამოს ცხრა საათამდე სეირნობდა. შემდეგ სოლოლაკის ქუჩაზე წავიდა — სახლი № 15. მიღებული ზომების წყალობით¹⁾ გამოირკვა, რომ უცნობი „რიეის“ სახელწოდებით სწორედ ის „გიგო“ იყო, გიორგი მათიაშვილი, რომელსაც პოლიცია ეძებდა.

7 ნოემბერს „რიეი“ ქუჩაზე შეხვდა უცნობს (მეტსახელად „სერაია პაპახა“), და მასთან ერთად შევიდა დუქანში, იქ დაჰყვეს დაახლოებით ორი საათი.

9 ნოემბერს დღის თერთმეტის ნახევარზე „ლეჩაქის“ ბინიდან ფოსტის მოხელე გამოვიდა (მეტსახელად „ჩინოვნიკი“), ფოსტაში წავიდა და იქ დარჩა, ხოლო დღის ორის ნახევარზე ისევ მოვიდა „ლეჩაქის“ ბინაზე და 15 წუთის შემდეგ უკანვე ფოსტის კანტორაში დაბრუნდა. საღამოს შეიდ საათზე „ლეჩაქის“ ბინაზე მოვიდა „პლაშჩი“, რომელიც ათი წუთის შემდეგ გამოვიდა გოლოვინის პროსპექტზე და შეხვდა „რიეის“.

მეთვალყურეობის დამოუკიდებლად სააგენტურო ცნობებით გამოირკვა მკვიდრო კავშირი „რიეისა“, „ჩორნისა“, „პლაშჩისა“, „ქნიაზისა“, „ლეჩაქისა“, „მუზიკანტისა“, „ჩინოვნიკისა“ და პუშკინის ქარვასლაში სამკერვალო სახელოსნოს შორის. მალე „ლეჩაქის“ ბინაზე საპიორთა ქუჩის სახლში № 14 სიარული შეწყდა, „ჩინოვნიკი“ უკვალოდ გაქრა. ამ დროს გამოირკვა, რომ „პლაშჩი“ ყოფილი ადმინისტრაციულად გადასახლებული ტერორისტი მარტიროს ლოლაძეა, ხოლო „ჩორნი“ ცნობილი „კამოა“, და რომ ისინი უშუალო მონაწილენი

¹⁾ ცხადია, „სააგენტურო ცნობები“, ე. ი. გამცემის ან ჯგუფის პერიფერიაში გამჟვარალი-ჯაშუსის ჩვენებით.

არიან 24 სექტემბრის თავდასხმისა. სამეთვალყურეო პირთა დასაზღვრებლად ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებულ იქნა გამოგონილი შენიშვნა, — თითქოს ერთერთ სახლში საპიორთა ქუჩაზე ადგილი ჰქონდა ფულემაქონელებს დატყუებას, ამისთვის ამ ქუჩაზე დაწესებულ იქნა თვალყურისდევნილება. რომ 9 ნოემბერს საღამოს საპიორის ქუჩაზე შეპყრობილი იქნა ორი დამტყუებელი, რომელნიც გამოტყდენ დანაშაულობაში ამ შემთხვევის წაკითხვის შემდეგ სამეთვალყურეო პირებმა მაშინვე ისევ თამამად დაიწყეს სიარული „ლეჩაქის“ ბინაზე, გარდა „ჩინოვნიკისა“, რომელიც არსად არ ჩანდა. უკანასკნელი ამბავი კიდევ იმით აიხსნება, რომ ვიღაც უცნობმა სამეთვალყურეო პირთ შეატყობინა, ეანდარმები „კამოს“ გაფაციცებით ეძებნო. ამასთანავე ტფილისის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის სიტყვით „კამო“ 8 ნოემბერს საღამოს ქართულ თეატრში ენახათ.

„სამძებრო განყოფილების ფილერებისადმი წარდგენილ ტერ-პეტროსიანცის, ექვსი წლის წინათ გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათში, — ამზობს ტფილისის პოლიცემისტერი თავის მოხსენებაში კამოს დაქერის შესახებ, — ფილერებმა აღმოაჩინეს მსგავსება „ჩორნისთან“, მაგრამ ამას გადაქრით ვერ ამზობდნენ. ამავე დროს ტფილისის საგუბერნიო ეანდარმთა სამმართველოს უფროსმა (11 ნოემბერს) სიტყვიერად მიცნობა, რომ მისი ცნობებით კოჯრის გზაზე ფოსტაზე თავდასხმა ტერ-პეტროსიანცმა მოაწყო, რომელმაც ყუმბარები ოდესიდან მოიტანაო“.

14 ნოემბრიდან, როცა გაზეთებში გამოგონებული შენიშვნა გამოქვეყნდა, საპიორთა ქუჩის სახლში № 14 თითქმის ყოველდღე დაიწყეს სიარული „რიეჟი“ და „პლანშია“, ხოლო 16 ნოემბერს „რიეჟისთან“ ერთად ამ სახლში უცნობი ქალი მოვიდა (მეტი სახელი „კრასნი გალსტუქ“).

18 ნოემბერს თვალყურის დევნება დაეწყო უცნობს (მეტი სახელი „რიეჟი კურჩაივი“) რომელიც ქუჩაზე შეხვდა „პლანს“, და მეორე უცნობს (მეტი სახელი „კეპკა“), რომელიც შეხვდა „პლანს“ რესტორან „სიმპატიაში“, ისინი იქ რალაც დიდ საქმეზე ლაპარაკობდნენ რომლისთვისაც ეშვადებიან. იქ „კეპკამ“ განაცხადა, რომ ის ყოველთვის „მზათ არის“. ამავე დღეს „პლანში“ მარტირუზოვის სააფთიაქო მაღაზიაში იყო ღვინის აღმართზე.

19 ნოემბერს „ლეჩაქი“ რალაც შეხვეული ნივთებით მივიდა იმ სახლში, სადაც, როგორც აღმოჩნდა, „კრასნი გალსტუქი“ ცხოვრობდა. ამავე დღეს „რიეჟი“ ფეხსაცმელების სახელოსნოში იყო გიმნაზიის ქუჩაზე.

21 ნოემბრიდან თვალ-ყურის დევნება დაუწყეს უცნობს (მეტი სახელი „სერაია პაბახა“), რომელიც „რიეჟის“ შეხვდა გოლოვინის პროსპექტზე. იმავე დღეს „ჩინოვნიკი“ ორჯერ იყო საპიორთა ქუჩის სახლში № 14

25 ნოემბერს „რიეჟი“ უეტრად გაჩნდა რკინისგზის სადგურზე, სადაც „კანტორშიკის“ შეხვდა და მოულოდნელად, თითქმის მატარებლის დაძვრისას შეხტა ვაგონში და წავიდა ბაქოსკენ. ამის შემდეგ მალე იქნა მიღებული სააგენტურო ცნობები, რომ ის „კამოს“ სანახავად წავიდა და მალე უნდა დაბრუნებულიყო.

28 ნოემბერს სალამოს ბაქოს მატარებელით დაბრუნდა „რიეი“ და „ლეჩაის“ ბინაზე მივიდა.

29 ნოემბერს „ლეჩაის“ ბინაზე იყო „სერაია პაპახა“, ხოლო „რიეი“ იყო მარტირუხოვის სააფთიაქო მაღაზიაში, სადაც ორ საათზე დასრულდა მის შემდეგ იქ „პლაში“ მიდის, რომელიც იმავე მაღაზიაში 3 ნოემბერსაც იყო. სააგენტურო მითითების მიხედვით, „პლაში“ უსათუოდ სადღაც ამზადებდა ასაფეთქებელ ყუმბარებს, ანდა ვილაცასთან მიჰქონდა მასალა მათ დასამზადებლად და, სხვათა შორის, თხელი შუშის მილს ეძებდა ყუმბარისთვის.

12 დეკემბერს შენიშნულ იქნა ერთგვარი გამოცოცხლება სამეთვალყურეო „რიეის“, „კანტორაშიკის“, „სერაია პაპახის“, საფეხსაცმელო სახელოსნოს (გინაზიის ქუჩაზე), „ლეჩაის“ ბინის, „კორინნევაია შლიაპის“ და „კნიაზის“ ურთიერთობაში, ხოლო „სერაია პაპახა“, ეტუბოდა, ვილაცას მოსვლას ელოდა ალექსანდრეს ბაღში, სადაც მივიდნენ „რიეი“ და „კანტორაშიკი“ და იქ შეხვდნენ „სერაია პაპახას“. იმავე დღეს შეშინებული იყო, რომ „პლაში“ დაუთავშირდა უცნობ სათვალეზიანს და სალამოს ექვს საათზე წავიდა მუშტაილის ბაღში. იქიდან გზა მიდის ალექსანდროდორფის კოლონიაში, და ისიც იქ მიიმალა, ამასთანავე „რიეი“ და „კორინნევაია შლიაპა“ ერთად მიდიოდნენ, უცნობი კი მიდიოდა ქუჩის მეორე მხარეზე ოცი ნაბიჯით უკან. ხოლო „ბრიტი“ „რიეის“ და „კორინნევაია შლიაპის“ ათი ნაბიჯით უკან ვერის დაღმართზე ყრუ კარუსელის დაღმართთან ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, დაეშვნენ ქვევით მტკვრისკენ, იქ გაჩერდნენ და ლაპარაკობდნენ. შემდეგ „რიეი“ და „კორინნევაია შლიაპა“ ვერის ხიდისკენ წავიდნენ, ხოლო უცნობი და „ბრიტი“ ყრუ რაკეტის ქუჩაბანდით წავიდნენ, რომელიც სატელეგრაფო კანტორასთან გამოდის, მაგრამ მათი გაყოლა აღარ შეიძლებოდა და სადღაც მიიმალენ.

აღნიშნულის შესახებ, — იტყობინება პოლიცეისტიერი. — დაუყოვნებლივ ეცნობა სამძებრო განყოფალების უფროსს და მეც მომხსენდა. „ბრიტის“ და „ჩორნის“ ნიშნების შედარება გვაფიქრებინებდა ამ პირების და „კამოს“ იგივეობას.

სამეთვალყურეო პირთა ყოფქცევის მიხედვით სხვა ნიშნებთან დაკავშირებით, ეს ორგანიზაცია ამირებდა რალაც გამოსვლის მოწყობას. ვინაიდან სატელეგრაფო კანტორაში უქმეებში დიდძალი ფული დაგროვდა, ამიტომ საფუძვლიანი ექვი დაიბადა რომ ხსენებული კანტორის გაძარცვა მზადდებოდა. ამის გამო ჩემი განკარგულებით სატელეგრაფო და საფოსტო კანტორების დაცვა დაუყოვნებლივ იქნა გაძლიერებული პოლიციის რაზმებით. ვაიცა განკარგულება როგორც კი გამოჩნდებოდა „ბრიტი“, აუცილებელი შეეპყროთ იგი; ამასთან მისი დაპატიმრება ერთნაირი ნიშანი იქნებოდა ყველა მონაწილეთა შესაპყრობად“.

8 იანვარს „რიეი“ ისევ იმ უცნობს და „კნიაზს“ შეხვდა. ქალაქში ყმალებთან — ზალიყო სიმონიშვილსა და ჟორჯიკთან ამტყდარი სროლის შემდეგ „რიეი“ იყო მარტირუხოვის სააფთიაქო მაღაზიაში, ხოლო 9 იანვარს მივიდა „კნიაზის“ ბინაზე.



ძლიერი რაზმის გამოჩენამ, ეტყობოდა გავლენა მოახდინა და აღნიშნული პირები აღარ ზიდებოდენ ერთმანეთს, ხოლო „მჭიჭიჭე“ უხუც დაიშალა. ამიტომ ჩემი განკარგულებით საგანგებო ცნობებს შემოქმედებული ყაჩაღების შესახებ, რომელნიც მოკლულ იქნენ სატელეგრაფო კანტორის ახლოს, დაემატა, რომ ვინაიდან ქ. ტფილისში ყაჩაღები ჩამოვიდნენ, ჩემი განკარგულებით მიღებულ იქნა ზომები საკრედიტო დაწესებულებების და განსაკუთრებით სატელეგრაფო და საფოსტო კანტორების დასაცავად. გაზეთებში ამ ცნობების გამოქვეყნებას უნდა დაემშვიდებია სამეთვალყურო პირები. და შართლაც იმავე დღეს 10 იანვარს ისინი კვლავ გამოჩნდნენ თავისუფლად; დღისით სატელეგრაფო კანტორასთან მივიდნენ „რიეი“ „კორინგივია შლიაპა“, „პლაში“ და „სერაია პაპაბა“,—ხოლო დაახლოვებით საღამოს 7 საათზე სასტუმრო „სევერანია ნომერა“-სთან (გოლოვინის პროსპექტზე) შეიყარნ „რიეი“ „კნიაზი“ და „შრიტი“. „კნიაზი რამდენიმე ხნის შემდეგ წავიდა, ხოლო „რიეი“ და „შრიტი“ შეპყრობილ იქნენ სამძებრო განყოფილების მოხელეების მიერ.

შემდეგ იმავე მოხელეებმა ქუჩაზე შეიპყრეს: „პლაში“, „სერაია პაპაბა“ „კნიაზი“, და „ლენაქი“, შემდეგ გაჩხრეკილ იქნა შენიშნულთა ბინები, ამასთანავე დააპატიმრეს: „მუზიკანტი“, „ჩინოვნიკი“, „კანტორ-შრიკი“, „რიეია“, „რიეი კურჩაი“, სააფთიაქო მაღაზიის პატრონი კონსტანტინე მარტირუხოვი, მისი ნოქარი გიორგი შიონიახცი, ხოლო „ლენაქის“ ბინაზე დაიჭირეს „ლენაქის“ ძმა ნიკოლოზ რომანოვი და დედა მისი თეკლე რომანოვი.

11 იანვარს დაპატიმრებულ იქნენ სათანადო განხრეკის მოხდენით „კეკა“, გიმნაზიის ქუჩის სახარაზო სახელოსნოს პატრონი და მისი მუშა.

სულ შეპყრობილ იქნა 18 კაცი, რომელთაც დაასახელეს თავისთავი ბულგარეთის ქვეშევდროში ნიკოლოზ ქრისტესასძე ტრაიზინი, მეტ სახელად „რიეი“, მეტი სახელი „ჩორნი“ და „ბრიტი“ მარტიროს არტემისძე (არუთინისძე) ლოლაძე; ტიგრან ოგანეზასძე ვართანოვი—მეტი სახელი „მუზიკანტი“, ივანე ანტონის ძე თუშმალოვი—მეტი სახელი „სერაია პაპაბა“; კონსტანტინე სიმონისძე თავ. მიქელაძე—მეტსახელი „კნიაზი“; ბაღდასარ ტიგრანისძე საფაროვი, ტფილისის საფოსტო-სატელეგრაფო კანტორის მოხელე მეტსახელი—„ჩინოვნიკი“, მარბამ დავითის ასული შიონურაძე—მეტსახელი „ლენაქი“, ნიკოლოზ დავითისძე რომანოვი, გიორგი სტეფანესძე შიონიანი (სააფთიაქო მაღაზიის ნოქარი), დობინტი პეგრიძე პაპიძე—მეტსახელი „კანტორ-შრიკი“, თეკლე ზაქარიას ასული რომანოვი; გერმანიის ქვეშევდროში პოლინა იულის ასული რუნაუ—მეტსახელი „რიეია“, კონსტანტინე ვალუსტოვიჩ მარტირუხოვი (სააფთიაქო მაღაზიის პატრონი), ივანე ალექსანდრესძე ხუციევი—მეტსახელი „რიეი კურჩაი“, მიხეილ როსტომისძე კიკნაძე—მეტსახელი „კეკა“; არამ გიორგისძე ასლამაზოვი (გიმნაზიის ქუჩის სახარაზოს პატრონი) „ალექსანდრე მიხეილისძე კაჩოვეი (ასლამაზოვის სახარაზოს მოსამსახურე).

დაპატიმრებულთაგან ნიკოლოზ ტრაიჩევი და მიხეილ ჯენტი გამოტყდნენ, რომ პირველი მათგანი გრიგოლ ოსეთისძე შიშველი იყო, ხოლო მეორე — სიმონ არშაკისძე ტერპეტროსიანიცი“. შიშველი იყო

ასე ტრაილოზდენ ტფილისის ქუჩებზე განწირული ადამიანები — გაერთიანებული ქანდარმული და პოლიციურ-სამშებრო მეთვალყურეობის ქვეშ. ვინ „აშუქებდა“ მშრომელ რაზმს შიგნიდან, არ ვიცით. მაგრამ მოყვანილი დოკუმენტის სტრიქონებს თუ კარგად ჩაუყვირდებით, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ ეს „აშუქება“ ყოველშემთხვევაში კამოს ძალიან მახლობელ პერიფერიიდან გამოდიოდა.

1913 წელს 9 თებერვალს შეპყრობილი და დაბორკილებული კამო მიჰყავთ ტფილისის საოლქო სასამართლოს II სისხლის სამართლის განყოფილებაში მისი სულიერი მდგომარეობის შესამოწმებლად. კამომაც, პროკურატურამაც და ექიმებმაც იცოდნენ, რომ ეს ცარიელი ფორმალობა იყო. სიმულაციის ამბავი მოთავებული იყო: მიხეილის საავადმყოფოდან გაქცევის და რამდენიმე ექსის შემდეგ აღარაფერს არ შეეძლო კამოს ხსნა. ამეამად ექიმების შეკითხვაზე მოცემული მისი პასუხები დიდათ ანსხვავებდა უწინდელ შემოწმებათა პასუხებისაგან. ეს პასუხები მოკლეა, მოკეთილი, დაუდევარი. ახლა კამოსთვის სულერთია დაუჯერებენ თუ არა მსმენელები მის გადავიწყებას.

ყველა მის არა გახსოვს“-ს მხედველობაში აქვს არა ექიმები აოამედ გამოძიებლები და ობრანკა. მთელ რიგ ფაქტებს კამო უარყოფს („მე არ გავქცეულვარ“, „ბრაგინს არ ვიცნობო“ და სხ.), ყოველ შემთხვევისათვის, რომ ხელფები არ შეიბოროკოს გამოძიების დროს. კამო არ ნებდება, მაგრამ მის სიტყვებში უკვე გამოკრთის დაურწმუნებლობა და ბრძოლის სრული უიმედობა.

ოქმი

1913 წელს 9 თებერვალს. ტფილისის საოლქო სასამართლო ქ. ტფილისში. II სისხლის სასამართლოს განყოფილებაში გახსნა თავისი გამწესრიგებელი სხდომა შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარის ამხანაგი: ე. ვ. ჩემესოვი. სასამართლოს წევრები: ნ. ა. იასტრინსკი და თ. ფ. ილიაშენკო.

ექიმები: ბროძელი, ზენკევიჩი და იაშვილი.

მდივნის თანაშემწე ნ. გ. ბერძენოვი პროკურორის ამხანაგის ნ. გ.

ტაჩიევის თანა დასწრებით.

სასამართლოს უნდა განეხილა ბრალდებული (სისხ. სამ. დებ. 102 მუხ. 2 ნაწ., სასჯ. დებ. 13, 12, 16, 27, 16, 30, 16, 32, 16, 34 მუხ. და კან. კრებ. XXII წიგნ. 279 მუხ.) სიმონ არშაკისძე ტერ-პეტროსოვის სულიერი მდგომარეობის შემოწმების საქმე.

სხდომა დაიწყო ნაშუადღევს 12 ს. 15 წ.

სასამართლოს სხდომაზე საქმის გარემოების შესახებ სასამართლოს წევრის ნ. ფ. ილიაშენკოს დაწვრილებითი მოხსენების შემდეგ დარაჯების მიერ შემოყვანილ იქნა შესამოწმებელი პირი, რომელიც მიცემულ კითხვებზე უპასუხებს:



ეროვნული

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

კავშირების

სამსახური

საქართველოს

საზღვარგარეთო

1. რა გეკვიათ? — სიმონ არშაკისძე პეტროსოვი.
2. რამდენი წლისა ხართ? — 40 წლისა.
3. საიდან მოხვედით? — იქიდან. პოლიციიდან.
4. როგორ მოხვედით პოლიციაში? — დამიძახეს: „შენსდები, ხელები მაღლა“ — და წამიყვანეს.
5. წინათ არ ყოფილხარ დაპატიმრებული? — წინათ არა ვყოფილვარ...
6. ეკუთვნოდით თუ არა რაიმე პარტიას? — მე რევოლუციონერი ვარ.
7. რას აკეთებთ? — ვმოგზაურობ.
8. 1911 წ. 15 აგვისტოს სად იყავით? — არ ვიცი.
9. ხომ არ ყოფილხართ მაშინ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში? — არ მახსოვს.
10. გახსოვთ მიხეილის საავადმყოფოდან რომ გაიქცეით? — არ გაქცეულვარ, არაფერი არ ვიცი.
11. მონაწილეობა არ მიგიღიათ ყაჩაყურ თავდასხაში, რომლის დროსაც გატაცებული იყო ფული? — არ მიმიღია მონაწილეობა.
12. სად იყავით აქამდე? — საზღვარგარეთ.
13. ვინ გაძლევდათ ფულს საზღვარგარეთ წასასვლელად? — ფულს ჩემიანებს ვართმევდი.
14. იქნება სწავლობდით, და თუ სწავლობდით, სად? — აქ ვსწავლობდი, გიმნაზიაში.
15. სადაური ხართ — ტფილისელი ვარ.
16. იცნობთ ჯავაირას, არუსიაკს და სანდუბტას? სად არიან ისინი ამჟამად? — ვიცნობ, მაგრამ სად არიან — არ ვიცი.
17. სწერდით თუ არა წერილებს დებს? — დებს არასოდეს არ ვწერდი წერილებს.
18. იცნობთ ბრაგინს? მოგიტანათ მან რამე? — ბრაგინს არ ვიცნობ და არც არაფერი არ მოუტანია ჩემთვის.
19. ხომ არ გახსოვთ ბორკილები რომ გადიხერხეთ ფეხებზე? — არ მახსოვს, ყველაფრის დახსოვება შეუძლებელია.
20. მაშასადამე დაგავეიწყდათ? — დიახ, დამავეიწყდა.
21. სად არიან ისინი, ვინც ფულს გაძლევდა? — მე ყველგან მყავს ნაცნობები, საზღვარგარეთაც მყავს.
22. რას აკეთებდით საზღვარგარეთ? — ვხედებოდი და ვესაუბრებოდი ამხანაგებს; აგრეთვე ვწერდი ქართულად სხვადასხვა ჟურნალებში.
23. მაშ თქვენ არ გახსოვთ, რომ წინათ საავადმყოფოში იყავით? — სრულიად არ მახსოვს.
23. არც ის გახსოვთ რომ, შარშანწინ აქ მოხვედით და ხელში რაღაც ჩიტი გეპირათ (პეტროსიანის ექიმმა ბროძელმა უჩვენა სწორედ ის ადგილი სადაც იგი იდგა წინანდელი შემოწმების დროს) — ვიყავი თუ არა აქ ოდესმე არ მახსოვს, ჩიტის შესახებ არაფერი არ მახსოვს.
25. გინახივართ მე აქ როდისმე? — (კითხვას აძლევს ექიმი იაშვილი). — არ მახსოვს.

ეროვნული

ტფილისში

26. თქვენ დაესხით თავს ფოსტას კოჯრის გზაზე! — ამას ჩემი მტრები მიგონებენ.
27. შარშანწინ აგვისტოში სად იყავით? არ ყოფილხართ ტფილისში? თქვით კატეგორიულად — სად ვიყავი არ მახსოვს, ტფილისში არ ვყოფილვარ, კატეგორიულად ვამბობ, რომ მე მაშინ სადღაც სხვა ქალაქში ვიყავი.
28. სახელდობრ სად იყავით საზღვარგარეთ? — ყველგან ვიყავი, ერთ ადგილას ყოფნა არ შემიძლია.
29. პარიზში იყავით? — პარიზშიც ვიყავი.
30. ფულს ყოველთვის ამხანაგები გაძლევდნენ? საიდან შეეძლოთ მათ ეძლიათ ფული თქვენთვის, როცა თქვენს მოგზაურობას ბევრი დასკირდებოდა? — ყოველთვის ამხანაგები მაძლევდნენ და მოგზაურობა იაფი მივდებოდა, სულ ცოტა.
31. პარიზს გარდა კიდევ სად იყავით საზღვარგარეთ? — ვიყავი იტალიაში როცა მას თურქეთთან ომი ჰქონდა, და ამ ომში მონაწილე ვიყავი. მოხალისედ ჩავეწერე.
32. ვის მხარეზე იყავით? დაასახელეთ ერთ-ერთი ქალაქი, სადაც თქვენ მონაწილეობდით ბრძოლაში? — მე ვიყავი იტალიის მხარეზე, ქალაქის სახელი დამავიწყდა.
33. იტალიურად ლაპარაკობთ? — ცოტა ვიცი.
34. რომელიმე ბრძანება გვითხარით იტალიურად. — ბრძანება არ მახსოვს.
35. ვინ იყო კიდევ თქვენთან მოხალისედ? — ბევრი იყო, სომხები, ქართველები და რუსები.
36. როგორ არ გახსოვთ ბრძანება? თუ მართლა იყავით იტალიის ომში, ბრძანება ხომ მხოლოდ იტალიურად უნდა ყოფილიყო? — ჩემს გარდა იქ სხვებიც იყვნენ ქართველები, სომხები და რუსები.
37. ვარგი, მაგრამ ბრძანება ხომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართულ, რუსულ ან სომხურ ენაზე? — პეტროსიანიც ამაზე არ უპასუხებს.
38. მეოპიდესჯერ ხართ თქვენ ამ შენობაში? — მე აქ პირველად ვარ.
39. თქვენ ამბობთ, ორმოცი წლისა ვარო. რომელ წელიწადში დაიბადეთ? — დიახ, ორმოცი წლისა ვარ და დავიბადე 70—80 წელს.
40. ახლა რომელი წელია? — 1913 წელი.
41. რომელი თვეა? — რაეცი. ისეთ საკანში ჩამსვეს, რომ აღამიანს არ შეუძლია იცოდეს არცდღე და არც თვე.
- ექიმების წინადადებით პეტროსიანმა ტანთ გაიხადა და გაშინჯულ იქნა მათ მიერ. გაშინჯვის დროს ექიმებმა რამდენჯერმე უჩხვლიტეს ქინძისთავი სხეულის სხვადასხვა ნაწილებში. მხოლოდ მარჯვენა გვერდში იგრძნო ჩხვლეტა, შემდეგ მან თვითონვე ჩაიცვა.

დამსწრეთ საჭიროდ აღარ მიაჩნდათ, კიდევ რაიმე კითხვა შეეცათ პეტროსიანციისთვის, ამიტომ ის გაყვანილი იქნა სხდომის დასრულებამდე.

მერე დაისვა კითხვები და მათზე ექიმების პასუხის მიღების შემდეგ კურორის ამხანაგის დასკვნის მოსმენის შემდეგ სასამართლომ გამოარკვია შემდეგი:

ტერ-პეტროსოვის საქმიდან ჩანს, სხვათა შორის, რომ იგი შემოწმებული იქნა საოლქო სასამართლოში 1911 წელს 12 მაისს; იმავე რიტყვის დადგენილებით სასამართლომ აღიარა, რომ საქმეში არ მოიპოვება ცნობები. რომლის მიხედვით შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ტერ-პეტროსოვის ქალაქ ტფილისში ერევნის მოედანზე 1907 წ. 13 ივნისს 250.000 მანეთის გატაცების დროს რაიმე სულიერი ზეადმყოფობა ჰქონოდა, რასაც შეეძლო მოესპო მისთვის შესაძლებლობა გაეგო თვისება და მნიშვნელობა მის მიერ ჩადენილი ქმედობისა და ეხელმძღვანელა თავის ყოფაქცევისთვის; მაგრამ შემოწმების დროს მას, ტერ-პეტროსოვის, აქვს ქუჩის აშლილობა ისტერიული ფსიხოზის სახით, რაც გადადის იმ გვარ ქუჩანაკლებობაში, რომელიც უსაბამს მას შესაძლებლობას გაიგოს ჩადენილი ქმედობის თვისება და მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს თავის ყოფაქცევას.

ზემოთქმულის მიხედვით, ტერ-პეტროსოვის საქმე კავკასიის საოლქო სასამართლოს არსებითად არ განუხილავს და ის, ტერ-პეტროსოვი, გამოთვლებამდე პატიმრად იქნა დატოვებული ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს გიჟთა განყოფილებაში, საავადმყოფოში ტერ-პეტროსოვმა დაჰყო მხოლოდ სამი თვე და 15 აგვისოს მოახერხა იქიდან გაქცევა, — ამ მიზნით მან გახერხა ფანჯრის ლანძვები და ბორკილები, რომელიც მას ედგა.

ის გარემოება, რომელშიაც გაქცევა მოხდა და რაც განმარტებულია საბრალდებლო აქტში იმ პირების შესახებ, რომელთაც ამა-თუ იმ სახით შეუწყეს ხელი გაქცევას, — არაფითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ წინათ ტერ-პეტროსოვი იგონებდა თავის შეშლილობას, ნამდვილად კი სრულიად ჯანმრთელი ადამიანი იყო: მან მოიპოვა ნდობა საავადმყოფოს მოსამსახურეთა დაბალი პერსონალის მხრით, რამაც შეასუსტა მისი თვალყურის დევნება; ერთი მათგანი, ბრაგინი, საბოლოოდ გადაიყვანა თავის მხარეზე და უკანასკნელის დახმარებით მიმოწერა გამართა თავის დებთან, იშოვა საჭირო იარაღი და სპეციალურად მისთვის დაყენებული მკველის მეოხებით მოახერხა განუხორციელებინა განზრახული გაქცევა და უკვალოდ დამალვა. ამის შემდეგ გავიდა წელიწადზე მეტი და ტერ-პეტროსოვი ისევ გაჩნდა ტფილისში და განაგრძობდა თავის ბოროტმოქმედებას.

ფოსტაზე თავდასხმა კოჯრის გზაზე 1912 წელს 24 სექტემბერს: სამძებრო პოლიციის თვალყურის დევნებამ აღნიშნული დროის პერიოდში (1912 წლის სექტემბრიდან 1913 წ. იანვრამდე) გამოარკვია, გარდა ამისა, ტერ-პეტროსოვის კავშირი მთელ რიგ ბოროტმოქმედ პირებთან და მათ მიერ სატელეგრაფო კანტორის გაძარცვის განზრახვა ამასთან

ერთად ტერ-პეტროსოვის ყოფაქცევა სპობს ყოველგვარ შესაძლებლობას დაეუშვათ, რომ ის არანორმალური ფსიქიურად შერყეული ადამიანია; პირიქით, ყველა მისი მოქმედება მოაზრებული, ფრთხილი და სწონებით გონივრულია.

დასასრულ, ტერ-პეტროსოვი შემოწმების დროს ყველა კითხვაზე იძლეოდა ცოტად თუ ბევრად გონივრულ პასუხს, ზოგში კი თავს იმართლებდა არცოდნით ან დავიწყებით. და ეს სწორედ იმ შემთხვევებში ხდებოდა, როცა კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა უხერხული იყო მისთვის.

საკრებულო, რომელმაც განიხილა ყოველივე ზემოხსენებული, აღიარებს, რომ საქმის ყველა ხელთკონებული ცნობის მიხედვით არაა არავითარი საბუთი დაეუშვათ, რომ შემოწმებულ პირს ტერ-პეტროსოვს, რაიმე ამა-თუ-იმ სახის სულიერი ავადმყოფობა ჰქონდეს; ამიტომ პროკურორის დასკვნის თანახმად ის ადგენს: აღიარებულ იქნას, რომ ამჟამად ბრალდებული სიმონ არშაკის ძე ტერპეტროსოვი სულგვრად ჯანმრთელი ადამიანია.

თავი XXVII.

გასამართლება და განაჩენი

ახლა კამო უკვე მაგრად ყავდათ ჩაქერილი, — გვიამბობს მისი დამცველი ანბ. ა. ბებურიშვილი. მეფის მთავრობის აგენტებს არ შეეძლოთ ეპატივნათ კამოსთვის არც ის, რომ იგი ისე დიდხანს ასულელებდა მათ მოსაჩვენარი სიგიჟით, და არც მისი ვაბედული გაქცევა. კამოს ისევ სამხედრო სასამართლო და საღრჩობელა ემუქრებოდა. ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებიდან ჩანს, თუ როგორ და ვის ზიერ ვიყავი გამოწვეული კამოს დასაცავად სასამართლოში, ეს იყო ჩემი პირდაპირი მოვალეობა, როგორც პირადი მეგობრის და პარტიულის ამხანაგის; მაგრამ ეს იყო მძიმე და სამწუხარო მოვალეობა. არავითარ დაცვას აღარ შეეძლო მისი ხსნა. ბოროტმოზარული ჯალათები აღარ მალავდნენ თავის განზრახვებს. ჩვენი მიზანი იყო იმდენად არა „შემამსუბუქებელ გარემოებათა მოგონება, რამდენად ის, რომ დამცველის უფლებით შესარგებლა და შემემსუბუქებია მისთვის პატიმრობა, ვყოფილიყავი მის ახლოს. მე შემეძლო ყოველ დროს შევსულიყავი და ცალკე შებაასნა მასთან; ვფიქრობდი: მომიხდებოდა მისი დამშვიდება. მაგრამ ის სრულიად გულგრილად უყურებდა თავზე დატეხილ უბედურებას. მას რატომღაც სწამდა, რომ ამჟამადაც აიცილებდა თავიდან მარყუჯს, შხიარულობდა და ცხოვლად დაინტერესებული იყო პარტიული საქმეებით. საჭიროდ მიმაჩნია მოვავიწოთ კამოს თანამედროვეთ და ვაუწყო იმათ ვინც მის შემდეგ შესდგა ფეხი ცხოვრებაში, რომ მენშევიკებმა ამჟამადაც, მოიწადინეს მისი სახელის ვატება და გაწბილება. მათ გაავრცელეს ხმები, თითქო კამომ გასცა ის ამხანაგები, რომელთაც მასთან რაიმე კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა. მე ჩაუუჯეკი მის საქმეს. კამო გამოჰქიებულს ძალიან ვრცელს

და არეულდარეული ჩვენებებს აძლევდა; ასე რომ საგამოძიებელ ხელახველება ვერას გზით კერა ახერხებდა ვისიმე პასუხისსებაში მაქცემას მის ჩვენებასთან დაკავშირებით.

ქართული

ამხანაგებიც ხელისუფლებაც გათავისცემბათ ემზადებოდნენ მარტოველისთვის, როგორც პირველნი, ისე მეორე აშკარად ხედავდნენ, რომ პროცესი დასრულდებოდა მხოლოდ და მხოლოდ „სიკვდილით დასჯით—ჩამოღრჩობის საშუალებით“.

მაგრამ კაქოს, გარდა ამ. ა. ბებურიშვილისა, რომელიც ხშირად ნახულობდა მას, მეტეხის ციხეში სხვა მახლობელი ადამიანებიც ჰყავდა თვით ციხეში. ესენი იყო მისი პარტიული ამხანაგები ბალშევიკები—უშაშარნი, უბრალონი სიკვდილის არად ჩამდებელნი, რომელთაც, როგორც კამომ, იცოდნენ „Од-ной лишь думы власть—одну лишь пламенную страсть“. უიმედობას არას დროს არ ეძლეოდნენ და მათ სწამდათ ცხოვრება, სწამდათ რევოლუციის გამარჯვება, მისი ჩაუქრობლობა და სიდიადე.

კამო მეტეხში, რომ მოიყვანეს, ხელფეხზე ბორკილები ედვა,—გვიამბობს ერთი მათგანი—მისთვის განსაკუთრებული მეზღაღუტრობა და საგანგებო რეჟიმი დააწესეს. ისე მოხდა, რომ მასზე აღრე მე მოვხვდი მეტეხში; ვიყავი კამერაში სართულით დაბლა, პირდაპირ მის ქვემოთ. მისი დღეები დათვლილი იყო. ათი დღის თუ ორი კვირის შემდეგ იგი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. თითქოს არავითარი ხსნა არ იყო. ამას ვგრძნობდით მეც და ისიც. საჭრო იყო წერილობითი კავშირის გაბმა გამოლაპარაკება და მოთათბირება ვინ იცის შეიძლება, კიდევ მოახერხოს გაქცევა და კიდევ ერთხელ დასცინოს სიკვდილს? წერილის მიწერა და პასუხის მიღება ადვილი საქმე არ იყო. ასი თვალი უყურებდა ყოველგვარ გადაცემ-გადმოცემას. ბოლოს, გადაწყვეტიტ თავის გამეტება. მივიმხრე სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელსაც საღამ-საღამობით ნავთის ლამფები დაქონდა. დავითანხმე წაეღო კამოსთვის ჩემი ლამფა და ეთქვა, რომ მე სპეციალურად მას ვუგზავნი ჩემს კარგ ლამფას. ლამფის თალფაკში იყო წერილი. მე ვიცოდი, მასში გაიღვიძებდა შეთქმული და მიმიხედებოდა რომ ლამფას ტყვილა-უბრალოდ არ გაუგზავნიდი. და მართლაც ის მიხედა. პასუხი გამომიგზავნა, სადაც სიტყვა-სიტყვით შემდეგს მწერდა: „მივხვდი, წერილი ენახე. სიკვდილს შეეფრიგდი. სრულიად დამშვიდებული ვარ. ჩემს საფლავზე ამდენ ხანს მაღალი ბალახი უნდა გაზრდილიყო. ხომ არ შეიძლება ყოველთვის დაეუძვრე ხელიდან სიკვდილს! როდისმე ხომ უნდა მოგვკდე. მაგრამ ცდა ბედის მონახეურა. ეცადე რამე მოიგონო. შეიძლება კიდევ დავაყაროთ ჭოქოლა მტრებს. მე დაბორკილებული ვარ და არაფერი არ შემიძლია გაეაკეთო. ჭენი, რაც გინდა. მე ყველაფერზე თანახმა ვარ“. დავიწყეთ უდიდესი გეგმის შემუშავება, მაგრამ როდესაც თითქმის ყველაფერი მზად იყო, საქმე ჩავარდა. მეტრისმეტად საწყენი იყო. მეც მოვიშალე. მერე გადამიყვანეს სხვა კამერაში, მის გვერდით. ცოტა კაი გუნებაზე დავდექი. ერთმანეთს ვცხმაურებოდით კედელზე კაკუნით. ისევე შეუდექით გაქცევის გეგმების შემუშავებას. კამო სრულიად დაწყნარებული იყო. ახლოვდებოდა საქმის გარჩევის დღე. ამხანაგები ცდილობდნენ გადაეღვათ საქმის გარჩევა, რომ ამასობაში გაქცევის ორგანიზაცია მოგვეწყოს საქმე გვარდებოდა, მაგრამ ძალიან ნელა და ზღაზენით. უკვე მოვიდა თითქმის გასამარ-

თლების დღე სიკვდილის აჩრდილი ისევ დაძრწის ჩვენს „სასიკვდილო კარიდორში“. ჩვენ ორთავეს ბორკილები გვედვა. ის სულ თავის ბორკილებს მოვლავში იყო, მუდამ წმენდდა მათ, — ამიტომ ისინი ყოველთვის ელვაობდნენ. ყურადღებას აქცევდა წვრილმანსაც. მახსოვს, ერთხელ მის ახლოს გავიარე ბორკილებში. შემომხედა, რატომღაც ჩაჩუმდა. ვფიქრობ, მასზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მე ბორკილებში დამინახა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ სიცილით მითხრა: „გავცვალოთ ბორკილები, შენი უკეთესია ჩემსაზე“. მე ვუთხარი, რომ ჩვენი ბორკილები ერთნაირია. „მერე რატომ უფრო გიბდება ბორკილები?“ ჩვენ ვიცხობდით. ის სიკვდილს დიდხანს მოელოდა.

მე უფრო ვწუხდი ვშეთთავები, ვიდრე ის, მაგრამ მოხდა რალაც სრულიად მოულოდნელი. ბედმა ისევ გაუღიმა მას. მოახლოვდა რომანოვების სამეფო სახლის სამასი წლის საიუბილეო დღესასწაული. წარსულისათვის სიკვდილით დასჯა უქმდებოდა. მაშასადამე, კამო ცოცხალი დარჩება. მაგრამ ნიკოლოზის ჯალათები ცდილობდნენ მისი საქმის გათავებას ამინსტიის გამოცხადებამდე. ამას კი ვერ მიაღწიეს.

რასაკვირველია, თუ კამო გულგრილად უყურებდა სიკვდილით დასჯას, კატორღა ხომ სრულიად აღარ იყო მისთვის საშიშარი. მისი მეგობრებიც და მტრებიც ერთნაირად დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ არ არის ისეთი კატორღა, საიდანაც მას არ შეეძლებოდა წასვლა. ამიტომ შიში დაგვებადა რომ შეეძლოთ ის მოეკლათ სასამართლოში წაყვანის ან უკან წამოყვანის დროს „ვაქცევის ცდისათვის“. ვინც იცნობდა კამოს, ის ადვილად დაუჯერებდა ოფიციალურ ვერსიას და საშინელი ბოროტმოქმედება სრულიად დაუსჯელად ჩაივლიდა. „ამიტომ კამოს გზა მეტებიდან საოლქო სასამართლოში და პირიქით, — მოგვეთხრობს ამხ. ბებურიშვილი, — ყველაზე საშიშარი და ბნელი წერტილი იყო მისი უკანასკნელი პერიოდის ციხის ცხოვრებაში. ამას გრძნობდნენ როგორც თვითონ ის, ისე მისი ამხანაგები.

თუ არ ვცდები, სასამართლოში იგი, გამონაკლისის სახით, ეტლით წაიყვინეს მეტად დიდი კახაკთა კანუოს თანხლებით. სასამართლოს სხდომის დროს მას თავი ეჭირა არაჩვეულებრივ იმაყად და გაბედულად. თითქოს მას კი არ ასამართლებდნენ, ის ასამართლებდა. იგი არ უარყოფდა იმ ფაქტებს, რომელიც პირადად მას ეხებოდა, და მოსამართლეებს, როგორც წინა დამომძიებლებს, არავითარ რეალურ ცნობებს არ აძლევდა სხვების შესახებ. ჩემი დაცვა ძალაუვნებურად ძალიან ფერმკრთალი გამოვიდა.“

1913 წლის 2 მარტს კამოს გადაუწყვეტეს სიკვდილით დასჯა-ჩამოხრჩობა. მისი ოცი წლის კატორღით შეცვლით. სასამართლოდან დაბრუნებისას მან მწუხარებით უთხრა ამხანაგებს: არ მინდოდა მანიფესტით მეხსნა თავი სიკვდილისაგან. უკეთესი იყო საკუთარი საშუალებით მომხდარიყო ეს. მაგრამ სულ ერთია — დიდხანს მაინც არ ვიჯდომები, მე გადავუბდი მათ ჩემი ხსენისათვის“.

პირველ ხანებში კამო დარჩა ისევ მეტებში — სასიკვდილო „კარიდორში“. მაგრამ კატორღელებს აქ დიდხანს არ აჩერებდნენ. იგი უნდა გადაეყვანათ ცენტრალურ რუსეთში ხარკოვით. ის გადაიყვანეს ხარკოვში მხოლოდ 1915 წ. მარტში.



ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გაქცევის მარცხით გათავებულნი კავშირით მისი ამხანაგები აწყობდა შეტეხის ციხეში. მაგრამ ამ უშედეგო ხელშეწყობა ამაჲ კამოს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი გაქცევის შესახებ მისი ოცნება კინალამ განხორციელდა მისი ტფილისიდან ხარკოვში გადაყვანის დროს. გზაზე სრულიად შემთხვევითი და უმნიშვნელო დამაბრკოლებელი გარემოებანი აღი- მართა,—და საქმე ისევ ჩაფარდა. ამ ცდის გარემოების შესახებ თვითმპყრობე- ლობის აგენტებმა არაფერი არ იცოდენ. ამიტომ ამბავი ოფიციალურ დოკუ- მენტში არ არის მოხსენებული. ამის შესახებ ჩვენ გვიამბობენ ამაჲ კამოს და— ამაჲ ჯავაირა და ამაჲ ნუშიკ ზაფარიანი. ჩვენ ვისარგებლებთ უკანასკნელის მო- გონებებით, რომელიც დაიბეჭდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს პარტიის ჟურნალ „რე- ვოლიუციის მატყანეში“.

„1915 წ. მე ვმუშაობდი ბალახანაში, ბაქოში, ვაძლედი კერძო გა- კვეთილებს. ერთ ცივ ღამეს, როცა თერთმეტ საათზე დავბრუნდი შინ, ნერვიული კაკუნი შემომესმა ფანჯარაში. გავაღე კარი—დავინახე ამაჲ ჯავაირა, რომელიც მუდამ ტფილისში ცხოვრობდა. ჯავაირამ მთხოვა სა- ჩქაროდ ჩამეცვა და გავყოლოდი მას ქალაქში. მხოლოდ გზაზე, ვაგონში ამიხსნა მან თავის ბაქოში ჩამოსვლის მიზეზი. მისი ძმა ამაჲ კამო უნდა გაეტარებიათ ხარკოვის საკატორღო ციხეში. კამოს გამოგვზავნა ციხიდან წერილი გაქცევის ფართო გეგმითურთ. საჭირო იყო ყველაფერი მომზადებულიყო სულ მოკლე ხანში, რადგან ეტაპი ბაქოში გაჩერდებოდა მხოლოდ ორი დღით. გეგმა ჩვენ ცოტა ფანტასტიურად გვეჩვენებოდა, მაგრამ ვიცნობდით რა კამოს, ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ის ამხანადაც მოახერხებდა თვითმპყრობელობის ხელიდან თავის დაღწევას.

„ღამის პირველი საათი იქნებოდა მივედით ამაჲ სტეფანე შაურიანი- თან. ის ჩვენ გაგაღვიძეთ და ვუამბეთ გაქცევის გეგმა. ამაჲ სტეფანემ მო- გვისმინა ყურადღებით და ფულის საშოვნელად წავიდა, რადგან იმ დროს ორგანიზაციას სრულიად არავითარი საღსარი არ ჰქონდა. მან ძლივ-ძლი- ობით იშოვნა ორმოცი მანეთი. ამასთან ერთად მან გვირჩია ამაჲ კამოს დავალებანი უდიდესი სიზუსტით შეგვესრულებია და არ დავექცებულიყა- ვით საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

„ამაჲ კამოს გეგმა ასეთი იყო: გზაში მას უნდა დაეძინებია ჭაღის და- რაგები დამაძინებელი ფხენილით, გადაებერხა ბორკილები და დამალუ- ლიყო. მერე უნდა ჩაეცვა კოსტუმი, რომელსაც მიაწოდებდა იმავე მატა- რებელში მყოფი ამხანაგი, გრიმი გაეკეთებია და უნდა დარჩენილიყო მა- ხლობელ ქალაქში, ჩვენ გვევალებოდა საიმედო ამხანაგის მონახვა. ასეთი იყო ამაჲ ბესო გელენიძე, რომელიც ბაქოში ცხოვრობდა არალეგალურად და ოდესღაც კამოს მებრძოლ რაზმში ითვლებოდა.

ჩვენთვის აღვილი ამბავი არ იყო მკველებმისათვის ორმოცდაათი და- მაძინებელი პიროვნების დამზადება. ეს საქმე მოაგვარა ექიმმა ელისაბედ სარუმოვამ. მან ღამით შემოიარა ყველა ნაცნობი ექიმები და იშოვა, რაც კი რამ საჭირო იყო. პიროვნებები მზად იყო.

დილით მოენახეთ ამხ. გელენიძე, ვიუიღეთ კამოსთუი კქუდი, სა-
ცვლები, კოსტუმი, ფეხსაცმელები ჩემოდანი და სხ. ხერხი ვიშოვეთ მხო-
ლოდ ერთი; მოვზიღეთ ცოპი, ჩავდეთ ის შიგნით და კამოსთუი კქური.
ფული კი გაუბეველი ბანდეროლით შეკრული ასანთის კარლოფში ჩავსვეით.

დადგა ეტაპის წასვლის დღე. ჩვენ ძალიან ველავდით. ჩვენ ვი-
ცოდით, რომ დაცვა გაძლიერებული იყო და ეტაპს დიდი ყურადღებით
იდევნებდენ თვალყურს, ეტყობოდა ხელისუფლებას ეშინოდა კამოს გაქ-
ცევის და ყოველგვარ გამაფრთხილებელ ზომებს ღებულობდა. მაგრამ აი
ჩნდება კამოც. კონფორები ხალხს ფანტავენ. კამოს ტუსალის ქურთუკი
აცვია. აბიჯებს თავისუფლად და მხნედ, ბორკილებში ძლივს ჩანს, ისმის
მხოლოდ მათი გულსაკლავი ჩხარუნი. ჩვენ მას ყვავილს ვუსვრით რომ
ყურადღება მივიტკიოთ. შევხედეთ ერთმანეთს. ჯავაირა სწრაფად აძლევს
მას პურსა და ასანთს... მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერაფრით ვერ
ვიშოვეთ კამოს მატარებლის ბილეთი. ბევრი ვეხვეწეთ დაეთმოთ ჩვენთვის
ბილეთი, ვარწმუნებდით, რომ მომაკვდავ დედასთან მივდავართ, მაგრამ
აქედან არაფერი გამოვიდა რა. გაისმა შესამე ზარი გელენიძე დიდი ვაი-
ვაგლახით შეძერა უბილეთოდ ვაგონში ტუსალთა ვაგონის გვერდით.

დიდი ლაპარაკი მოგვიხდა კონდუქტორებთან, რომელნიც არ უშვე-
ბდენ გელენიძეს. უკანასკნელს მივეცი თთელი ჩვენი ფული ჯარიმის გა-
დასახდელად და ვთხოვეთ არას გზით არ დაეტოვებია მატარებელი.

გავიდა ერთი კვრა. არავითარი ამბავი არ ისმოდა. მაგრამ, როგორც
იქნა, დაბრუნდა ამხ. გელენიძე და მწუხარედ გვაუწყა, რომ გაქცევა არ
შოსერხდა.

ამხ. კამო უხვად გაუმასპინძლდა დამაძინებელი პირობებით თავის
კონვოელებს. ბოლოს მათ ყველამ დაიძინა. კამო, გავიდა ფეხისალაგში
ბორკილების მოსახერხად მან გააფრთხილა ამხ. გელენიძე, რომ ყველაფე-
რი მზად ჰქონოდა. მან უკვე გადიხერხა ბორკილი ერთ ფეხზე, შეუღვა
მეორეს ხერხას, მაგრამ ამ დროს, სამწუხაროდ, ხერხი გატყდა. ბორკილე-
ბით გაქცევა კი პირდაპირ დალუპვას ნიშნავდა. კამომ ამხ. გელენიძეს
ურჩია უახლოეს სადგუზე ჩამომხტარიყო, თვითონ კი საშინელ გუნებაზე
დაბრუნდა თავის ადგილას.—ხორკოვიდან მიღებულ წერილში ამხ. კამო
დიდი წუხილით იგონებდა ამ მარცხს. მაგრამ არ კარგავდა იმედს, რომ
ის მაინც მოახერხებდა განთავისუფლებას ამ „ცოცხალ საფლავიდან“...

გატყულება შემდეგ ნომერში.



ქვეყნი და მუშაკნი

ზალვა რადიანი

„არსენა მარაბდელი“

მიხ. ჯავახიშვილმა სალიტერატურო მუშაობა დაიწყო რამდენიმე ათეული წლის წინად, მაგრამ ჩამოყალიბებული სახე, მან როგორც მწერალმა, მიიღო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მიხ. ჯავახიშვილის სამწერლო გზა არსებითად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გაიშალა. ეს გზა სავსე იყო წინააღმდეგობით, სერიოზული რყევით და შეცდომებით.

მიხ. ჯავახიშვილისთვის „ჯაყოს ხიზნები“ იყო სერიოზული შემოქმედებითი ეტაპის დასაწყისი საქართველოს ოქტომბრის შემდეგ. ამ რომანში მან გვიჩვენა რევოლიუციის მეოხებით დაცემა და განადგურება ფეოდალური არისტოკრატის ნაშთის—თეიმურაზ ხევისთავის და კულაკის, მხეცივით გაუმადლარი, გაიძვერა და შეუბრალებელი ჯაყოს.

„ჯაყოს ხიზნებს“ შემდეგ ჰოპყვა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიაც მიხ. ჯავახიშვილი ამტკიცებდა თანამედროვე რევოლიუციონური ბრძოლის მთელი რიგი საკითხების ბურჟუაზიულ გაგებას. უკანასკნელი წლების მანძილზე მან გამოაქვეყნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც პასკვილს წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურაზე („დამპატივე“ და სხვ.), ანდა, რევოლიუციის მიერ განადგურებული მოწინააღმდეგე კლასების ნაშთების, „ყოფილი აღამიანების“, „ნაკაცარების“ იდილიზაციას ახდენდა („გივი შადური“ და სხვ.).

მარქსისტულ—ლენინური კრიტიკა სრულიად სწორ შეფასებას აძლევდა მიხ. ჯავახიშვილის ანტი-რევოლიუციონურ, ანტი-თანამედროვე და არსებითად ბურჟუაზიულ იდეურ მისწრაფებებს.

სოციალიზმის ძლევაშისილმა გამარჯვებებმა ყველა ფრონტებზე—გამოიწვია ძველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოსვლა. ლიტერატურის სფეროში ინტელიგენციის ეს მობრუნება გამოიხატა მწერალთა კადრების სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობაში მწერალთა უმრავლესობა, რომლებიც პროლეტარული რევოლიუციის წინა წლებში მერყობდნენ, სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე რადიკალურ შემობრუნებას ახდენენ და ცდილობენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში. ეს პროცესი არ არის ცალკეული ხასიათის, იგი მასიურს მოვლენაა.

უკანასკნელად მიხ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა დიდი რომანი „არსენა მარაბდელი“, რომელიც წარმოადგენს მწერლის რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიულ-სემპობრუნების გამოხატულებას.

„არსენა მარაბდელი“ ისტორიული ხასიათის რომანია. ისტორიული ეპარის მხატვრული ლიტერატურა ჩვენში უკვე დიდი ხანია არსებობს.

მწერალი ისტორიას, წარსულს არ მიმართავს „საერთოდ“, „განურჩევლად“. აქ გარკვეული კლასიური კანონზომიერება მოქმედებს. ყოველი კლასის მწერალი ისტორიიდან შერჩევით იღებს ისეთ ფაქტებს, რომელიც შესატყვისია მისი კლასიური მსოფლმხედველობის და მის საფუძველზე აშუქებს ისტორიულ მოვლენებს.

ისტორიკოსი არ შეიძლება იყოს ობიექტიური. იგი უდგება ისტორიული მოვლენის შესწავლას წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისით, იგი წარსულის მოვლენებს უყურებს თავისი კლასის და დროის თვალსაზრისით.

ასევე, მწერალი—ისტორიული რომანის ავტორი, წარსულს ხედავს თავისი კლასის თვალებით.

კავშირი თავის ეპოქასთან ბევრს მეტად მარტივად ესმის. ისინი ფიქრობენ, რომ „თანამედროვენი“ არიან მხოლოდ იმისათვის, რომ გამოსახვის ობიექტით თანამედროვე ფაქტებს და მოვლენებს იღებენ. ეს უდიდესი პრობლემის მეტად პრიმიტიული გაგებაა. მართალია, მხატვრულ შემოქმედებაში, ობიექტის შერჩევასაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა მთავარი, გადაამწყვეტი. მწერალს შეუძლია ასახოს შორეული საუკუნოები, მაგრამ მაინც იყოს თანამედროვე. არ არსებობს „არა თანამედროვე“ მწერალი. მწერლები, რომლებიც შორეულ საუკუნოებზე სწერენ, ისინიც კი უნარესად თანამედროვენი არიან. მხატვრულ ნაწარმოებში საქმე არა მარტო გამოსახვის ობიექტში, არამედ მიდგომასა, გაშუქებასა და მსოფლმხედველობაშია.

როდესაც მწერლები გარბიან ეპოქისაგან და გადადიან წარსულში, ამით ისინი არსებითად თავისებურად უდგებიან თანამედროვეობას. ისტორიული ფაქტების გათვალისწინება, მის საფუძველზე შექმნილი მხატვრული სახეების ხასიათი, გაშუქება მოვლენების, განისაზღვრება იმ პოზიციით, რომელიც უჭირავს მწერალს თანადროულ კლასთან ბრძოლაში. ისტორიის კანონზომიერების გაგებას მწერალი ახდენს თანადროულობაში აღებულ ორიენტაციის საშუალებით.

სხვადასხვა კლასის მწერლები „წარსულის სულებს“ იხმობენ იმისთვის, რომ ისინი ჩამბული იქნან თანამედროვეობის სოციალურ—კლასიურ ბრძოლაში. წარსულის გაცოცხლება ხდება თანადროულობაში არსებულ ბრძოლის იარაღად.

ჟენრიხ სენკევიჩი პოლონეთის ისტორიიდან, მე-XVII საუკუნის მასალაზე, რომელშიაც გამოხატული იყო „რეჩ პოსპოლიტას“ ბრძოლა კახაკებთან, შეედებთან, თათრებთან და სხვ.—ჰქმნიდა პოლონელ შლიახტის სახეს, რომელიც იყო მე XIX საუკუნის პოლონელ მემამულის სიმბოლო.

3. სენკევიჩი არსებითად ეწეოდა პოლონეთის ისტორიის მარსიფიკაციას. ისტორიულ რომანებში იგი უკრაინელ გლეხობის მხაგრელს, სისხლიან მხეცს, თავად ვიშნევეცკის მოსავედა ნაციონალური გმიერისკაცად წარმოჰყავდა ის კეთილშობილ იდეებისათვის მებრძოლ პიროვნებად. პოლონელ შლიახტას სახავდა დიდი კულტურის მატარებელ ძალად, ხოლო მათ მიერ შევიწროებულ, უფლება-აყრილ და განადგურებულ უკრაინელ გლეხობას გამეცხვებული, ველურ და მოჯანყე უსახო მასად.

კონან დოილი თავის ისტორიულ რომანებში („სერ ნაიგელ“, „თეთრი რაზმი“ და სხვ.) იძლეოდა ბურჟუაზიული ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობის აუცილობლობის იდეალიზაციას.

ჩვენში თავად აზნაურობის წარმომადგენელი მწერლები გაურბოდენ მძაფრ კლასთა ბრძოლის ჩვენებას საქართველოს ისტორიიდან ისინი წარსულში ეძებდენ კლასთა ჰარმონიის „დამადასტურებელ“ „საბუთებს“. ამის გულისათვის ისინი ისტორიულ სინამდვილესაც კი ამახინჯებდენ.

ი. ჭავჭავაძე „დიმიტრი თავდადებულში“ კლასთა ჰარმონიის მთელ თეორიას ახეთიარებდა. „დიმიტრი თავდადებული“ წარმომადგენს მეფის და თავად-აზნაურობის იდეალიზაციას. ამ პოემის მიხედვით გამოდის, რომ ჩვენში ისტორიულად მეფე და თავად-აზნაურები მამები იყვენ, ხოლო ყმა—გლეხები კი შვილები.

ა. წერეთელიც „მორნიკე ერისთავში“ ფეოდალური ურთიერთობის ასეთსავე იდეალიზაციას იძლეოდა.

სულ სხვა აზრით უდგებოდა ჩვენს ისტორიას ე. ნინოშვილი. მისთვის გურიის 1841 წ. გლეხთა აჯანყება იყო პოლიტიკური არგუმენტების გამოუღვეელი არსენალი თავის თანადროულობაში. ე. ნინოშვილმა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში წარმოებულ გამოწვეულ კლასობრივ ბრძოლის საფუძველზე გვიჩვენა მშრობელი მასების ბრძოლის აუცილებლობა მხაგრელების წინააღმდეგ. ე. ნინოშვილმა ნათელყო, რომ ჩვენში წარსულში არა „მამაშვილური“ დამოკიდებულება არსებობდა ბატონებსა და ყმებს შორის, არამედ მძაფრი კლასიური ბრძოლა. გურიის გლეხთა აჯანყება ე. ნინოშვილისთვის გახდა რევოლუციონური ბრძოლისაკენ მოწოდების სიმბოლო.

ჩვენს პირობებში წარსულის დაუმახინჯებლად დანახვა შეუძლიათ მხოლოდ იმ მწერლებს, რომლებიც ფლობენ რევოლუციონური პროლეტარიატის მსოფლმხედველობას. ამის გარეშე არ შეიძლება სწორად შევიცნოდ და გავიგოთ წარსული.

როგორი გზებით შეიძლება ხოლმე მწერლები წარსულს?

ისტორიულ მასალას მწერლები უმთავრესად ორი სახით იყენებენ: ერთი—როდესაც ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის ისტორიულ სინამდვილეს, როდესაც ისტორიულ მოვლენებს აშუქებს იმის მიხედვით, რამდენადაც ეს ესაჭიროება მას თავისი იდეის, მსოფლმხედველობის მოსაცემად. ასეთია ჰიუგოს დრამები. ამ დრამებში ჰიუგო, როგორც თვითონ აცხადებს, ცდილობდა „დიადისათვის დამატებითი სიმართლე და სიმართლისათვის—დიადი“. ამიტომ არის, რომ ჰიუგო თავის დრამაში „მარია ტიუდორის“ შესახებ ისტორიულ მოვლენ-

ნებს მეტად უმნიშვნელო ანგარიშს უწევს. ამ დრამაში თანახმად მისი განცხადებისა, მას სურდა მოეცა მხოლოდ „მეფე-ქალი-დიადი, როგორც მეფე და მართალი, როგორც ქალი“; მეორე გზაა—როდესაც მწერალს აქვთ ტრეპი მან ფიქსაცია უყო ისეთ სურათებს, ფაქტებს, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, რომ მან შესძლო ისტორიული პროცესის ყოველი მომენტის, ყოველი დეტალის მთლიანად გაგება თავისი კლასობრივი პრინციპების მიხედვით.

წარსულის პირველი გზით ჩვენების პირობებში უმეტეს შემთხვევაში ისტორიული პირები და ფაქტები „პქრებიან“, გვჩვენა მხოლოდ ეპოქის საერთო გარემო, საერთო ფონი, რომელზედაც იშლება ინტრიგა არა ისტორიული გმირების მეოხებით. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ისტორიაზე სჭარბობს მხატვრული გამოგონებები. აქ ისტორია გამოყენებულია მხოლოდ დეკორაციით, ფსიქოლოგიური ხიტუაციების მოტივიროვკათ.

ჩვენის აზრით, რასაკვირველია, უფრო გამართლებულია ისტორიული მოვლენებისადმი მწერლის მიდგომის მეორე გზა: ისტორიულმა რომანმა უნდა გვიჩვენოს ის, რაც იყო სინამდვილეში. ისტორიული რომანის ფუნქციაა აღადგინოს გმირი, ეპოქა. ისტორიულ რომანში გამოგონილი ფაბულარული ხაზი მეორე პლანზე უნდა იყოს გადაწერილი. ისტორიულ რომანში თვითონ ისტორია უნდა იყოს მთავარი გმირი. ისტორიულ რომანს უნდა ახასიათებდეს ფაქტიურობა, დოკუმენტალობა, კონსტრუქციული პლანის ერთნაირობა და რაც მთავარია, მოქმედების კონცენტრაცია სინამდვილეში არსებული ისტორიული პირების ირგვლივ. სწორედ ასეთ რომანს ვითვისებთ ჩვენ, როგორც ისტორიულს, როგორც წარსულის მხატვრულ განათებას.

ისტორიული რომანი მეტად საერთო ცნებაა, ვინაიდან იგი აერთიანებს სხვადასხვა მიმართულების ნაწარმოებებს. ამ სხვადასხვანაირობის დიფერენცია უნდა ვაწარმოოთ სტილის ხაზით, რომელიც არსებითად საზღვრავს ისტორიული ნაწარმოების კონსტრუქციას, მხატვრულ ხერხებს, მასალის ორგანიზაციას და სხვ. სტილი, როგორც განსაზღვრული სოციალური წრის ანარეკლი, არის ის ნიშანი, რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ ისტორიული რომანის კონკრეტული ანალიზის დროს.

ისტორია არ უკარნახებს მწერალს მხატვრული გაფორმების განსაზღვრულ პრინციპებს, იგი განისაზღვრება იმ დამოკიდებულებით წარსულისადმი, რომელიც არსებითად გამომდინარეობს მისი როლისაგან აწმყოში, მისი კლასიური მდგომარეობისაგან თანადროულობაში.

„არსენა მარაბდელ“-ს თემატიური არე მეტად მდიდარი და საყურადღებოა. იგი შეეხება წარსული საუკუნის გარკვეულ პერიოდს, როდესაც მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება, რუსეთის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა, ღრმა ეკონომიურ—პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები ჩვენს ცხოვრებაში, ახალი კლასობრივი გაღმჯგუფება და ბრძოლა, დაცემის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატის შეთქმულებანი, გლეხთა აჯანყებები და სხვ.

„არსენა მარაბდელი“ ერთმანეთის პირის-პირ დგება ფეოდალური, თავად-აზნაურული და უფლება აყრილი, დაჩაგრული ყმა-გლეხობის საქართველო-



შევიწროებულ და აუტანელ პირობებში მყოფმა გლეხთა მასებმა თავისი ინტერესების დამცველად გამოიყენა არსენა ოძელაშვილი.

არსენა ცხოვრობდა და იბრძოდა მაშინ როდესაც ბატონ-ყმობის მიხედვით თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს, რომელიც უკვე წინააღმდეგობაში მოექცა სოციალ-გეოგრაფიკული პროცესის ინტერესებს და დაცემის გზით დაექანა. მაგრამ მიუხედავად ამისა დაჩაგრულ ყმა-გლეხობას მით უფრო მძიმედ უნდა ეგრძნო ამ წოდების ექსპლოატაცია. მომავლადვე საზოგადოებრივი კლასების გახარწის და დაცემის პერიოდი განსაკუთრებით ხასიათდება გადაგვარებით და სრული პარაზიტობით. გასული საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენში უკვე ნათლად მოსჩანდა თავად-აზნაურთა წოდების დაცემა, ბატონ-ყმურ წყობილების ნგრევის პროცესი

ყმა-გლეხებში იზრდება იმის შეგნება, რომ მათ თავიდან უნდა მოიშორონ პარაზიტების—თავად-აზნაურობის ბატონობა. გლეხები აყვობენ აჯანყებებს, რომლებიც მიმართული იყო ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. დაქსაქსულ გლეხთა აჯანყებებს არ შეეძლოთ გადაზრდილიყვინენ რევოლუციის, ვინაიდან ქალაქებში ჯერ კიდევ არ იყო დარაზმული თვითონ რევოლუციონური კლასი, რომელიც გააერთიანებდა და უხელმძღვანელებდა გლეხობას. ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კი გლეხთა ბრძოლა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ვერცხვობდა ცალკეულ გამოსვლის, აჯანყების ხასიათს, რომელიც მიმართული იყო თავისი უშუალო მხაგრეულის—მეზამულის და არა მთლიანად მთელი სისტემის წინააღმდეგ. გლეხობა არ მიისწრაფოდა პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ. ყველაფერი ამის დასასრული კი ყოველთვის იყო ექსპლოატატორული კლასების გამარჯვება.

არსენა ოძელაშვილი ღარიბი, უფულებო და დაჩაგრული ყმა-გლეხობის საყვარელი გმირი იყო.

არსენა ვერ ურიგდება ყმა-გლეხობის ადამიანურ უფლებების ჩაწიხვლას, მის დამცირებას. ბატონ-ყმურ—თვითმპყრობელური წყობილების სისასტიკემ ააშხდრა არსენა თავის დროინდელ ცხოვრების წინააღმდეგ.

არსენა ბატონ-ყმურ უსამართლობას უმთავრესად ინდივიდუალური გზით ებრძოდა. მისი შეგნება ჯერ კიდევ არ იყო მისული იქამდე, რომ დაენახა დაჩაგრული მასების შეერთების. შეკავშირების აუცილებლობა და ისე გალაშქრება მთელი ბატონ-ყმური სისტემის წინააღმდეგ.

მიუმატა თუ არა მიხ. ჯავახიშვილმა რაიმე ახალი მომენტი არსენას, თუ მან მხოლოდ ის გაიმეორა, რაც ხალხმა მოგვცა იმის შესახებ?

არსენას პორტრეტის დახატვისას მიხ. ჯავახიშვილმა სინამდვილე იყვანა პიპერბოლამდე. მან არსენას მოქმედების ასპარეზი მეტად ფართოდ გადაგვიშალა. მიხ. ჯავახიშვილმა არსენას ბრძოლა დაუკავშირა თავისი ეპოქის ყოველ მოვლენას, ყოველ პრობლემას. ხალხის მიერ წარმოდგენილი არსენა რომანში მეტად გაზვიადებულია. იგი ყველაფრის მცოდნედ არის გამოყვანილი. იგი თავისუფლად მსჯელობს პუგაჩოვზე, დეკაბრისტებზე. საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე, მისთვის ნაცნობია ნაპოლეონი და მისი ცხოვრება, იგი ჩვეულებრივად „ეფუხვის ტყაოსნის“ ენითაც ლაპარაკობს და სხვ.

არსენა უდიდეს სოციალურ ტიპს წარმოადგენს. იგი მოქმედებს გარკვეულ გარემოში. თავისებური საზოგადოებრივ-სოციალური ამოცანებითაა დაკავშირებული თავის საყურადღებო. უთუოდ გამართლებულია, როდესაც მიხ. ჯავახიშვილმა მთავარი ყურადღება მიამჯობა არსენას როგორც სოციალურ ტიპს.

არსენას შეგნებული აქვს თავისი დროინდელი ცხოვრების კლასობრივი ხასიათი: ერთ მხარეზეა—გაბატონებული წოდება—თავად-აზნაურობა, მას გვერდში უდგია თვითმყრობელური მთავრობა მეორე მხარეზეა—უფლებო, დამონებული ყმა-გლეხობა.

არსენა ლაპარაკობს: „რუს ხელმწიფეს თათრის სისხლი მოჰშივა... მოჰშივა და ჩვენ უნდა გვაზღვევიოს; ბატონს ქალაქში ტლინკაობა მოუნდება და ისიც ჩვენ მოგვადგება; უთვალავ ჩინოვნიკს მოჰშივა და ისევე გლეხა უნდა გააძღოს, გლეხის ავლადიდებას კი ნათქომა, კურდღელიც კი აიკიდებსო“...

არსენა ყოველგვარი ზოროტების სათავეს ბატონ-ყმურ ურთიერთობაში ხედავს. იგი მოითხოვს ბატონ-ყმობის გაუქმებას, თვითმყრობელურ სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატის ბარბაროსულ მოქმედების მოსპობას გლეხობის მიმართ: ... „ყველანი უბრალო ვართ და ბევრი არაფერი არ გვინდა: ხელმწიფემ სალდათათ არ გაგვიყვანოს, ხარკი მოგვიფონოს, ბატონ-ყმობა მოსპოს, ყველანი გაგვათანასწოროს და მიწა მიწის მუშას დაურიგოს, თუ არა და... თუ არა და ამ საქმეს ჩვენვე შეუდგებით და კიდევაც ვაგაკეთებთ...“

არსენა მეტად დიდ პროგრამას ისახავს. აქ ჰიპერბოლასთან გვაქვს საქმე. ეს პროგრამა არსებითად მთელი რევოლუციური მოქმედების გეგმაა. არსენა დარწმუნებით ლაპარაკობს, რომ კიდევაც განახორციელებს ამას. ამ პროგრამის ძირითად დებულებებს არსენა მთელი რომანის მანძილზე ხშირად იმეორებს.

მიხ. ჯავახიშვილის ინტერპრეტაციაში ხალხის მიერ შექმნილი არსენა ხშირად „იკარგება“ და მის მაგივრად გერჩება მეოცე საუკუნის რევოლუციური იდეების მატარებელი პიროვნება. ისტორიულად ტნობილია, რომ არსენა ასეთ დიდ რევოლუციონურ ალტყინებამდე არას დროს არ მისულა.

არსენა ასეთი დიდი ლოზუნგების მატარებელია, მაგრამ როგორია მისი პრაქტიკა? როგორ მოქმედობს იგი ამ ლოზუნგების საფუძველზე?

აი აქ გამოიყვას მიხ. ჯავახიშვილს არსენა უმწიფო. რომანში არსენა მოსჩანს, როგორც განმარტობული პიროვნება, რომელიც ვერ გრძნობს თავისი კლასის რეალურ დახმარებას, არსებით საქმიან თანაგრძნობას, რომელიც სინამდვილეში იყო. თვით არსენას თანამებრძოლებიც კი ხშირად უფრო აქტიურ ძალადაა გამოყვანილი (მაგ. ლაცაბიძე).

რომანში ერთგვარი წინააღმდეგობა არსებობს არსენას თეორიასა და პრაქტიკას, განზრახვასა და შესრულებას შორის. ამ მხრივ მიხ. ჯავახიშვილმა თავის გადაჭარბებულ ჰიპერბოლას ვერ გაუყეთა ლოდიკური დასვენა.

არსენა საესეა წინააღმდეგობებით. მასში საგრძნობია ჰუმანიტური განწყობილებანი. პირველ ხანებში იგი თავის დაუძინებელ მტერსაც — გიორგი კუქატელსაც კი დაინდობს. ასეთივე ჰუმანიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ის ზაალთან, გიგოლასთან, სუმბათაშვილთან, ფარსადან ბოდბისხველთან და სხვ.

არსენას ისიც კი აქვს შეგნებული, რომ პირადი შურისძიება არ არის დაკმაყოფილება. იგი გაურბის სისხლს, მკვლევლობას. მაგრამ ამ პრინციპს იგი ბოლომდე ვერ მიჰყვება. სწორედ ამ პრინციპის შეუსრულებლობის ერთადერთი ილუპება იგი.

არსენა რომანის დასაწყისში ყველაფრის შემძლეა. მთელი გლეხობა მას უჭერს მხარს, მას მიჰყვება. მაგრამ მისი დასასრული კი მეტად უფერულია. იგი ილუპება სრულიად შეუფერებელ გარემოცვაში.

არსენა ხშირად უარესი აქტივობის გამოხატველ ლოზუნგებს ისვრის. იგი ცდილობს სხვებიც აიყოლიოს თან. ვერ ითმენს, როდესაც მის ასეთ მისწრაფებებს წინააღმდეგობით ხედებიან. იგი აცხადებს: „თუ აღამიანი სი-მართლის ძებნაში მოკვდება, ისიც ხომ ნათქვამია: ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა... სახელის გატეხას, თავის გატეხა სჯობიაო. სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა... მამა ჩემი გვაშინებს, მოგვერევიანო, მე კი ვიტყვი: ხმალსა არ უშლის სიმართლე, ფეხი წინ წასდგი, გასწვდება“. არსენა თავის მოწოდებით ჰქმნის მთელ მებრძოლ ატმოსფეროს. მას სხვებიც მიჰყვებიან. ისინიც ცდილობენ აედევნონ არსენას, ერთად იბრძოლონ მჩაგვრელების წინააღმდეგ. ფიქრობთ აი ეს—ეს არის არსენა ანგარიშს გაუწევს იმას, რასაც ის თვითონ ზემოთ ლაპარაკობდა, გაითვალისწინებს ხალხის მიდრეკილებას და ხელმძღვანელობას იკისრებს, რათა ისინი წაიყვანოს მჩაგვრელების წინააღმდეგ. მაგრამ ამ დროს... გაისმის არსენას მოდუნებული ხმა: „მამა ჩემი მართალს ამბობს. ამოდენა ჯარს ვერას დაეაკლებთ, მაგრამ სხვა ღონეც მოგვეპოვება. ქვეყანა დიდია და უღრანი ტყეც ბევრია. გაიპარნეთ, დაიფანტენით, დაიკარგენით...“ სრულიად გაუგებარი და დაუჯერებელია ერთ და იმავე დროს სხვადასხვა მოსაზრებების გამოყენება. ეს მით უმეტეს მაშინ, რომ არსენას მიერ წამოყენებული მეორე მოსაზრება გლეხობის სისუსტის შესახებ უფრო ადრე და უფრო ბუნებრივად გამოსთქვა ღვთისაგან. მაგრამ მაშინ არსენა მას არ დაეთანხმა.

რასაკვირველია, არსენას აქვს შესაძლებლობა, რომ გამოამკლავნოს საგმირო საქმეები იგი ხშირად სწადის ინდივიდუალური ხასიათის გმირობას. მაგრამ იგი ამაზე შორს არ მიდის, იგი ვერ ახერხებს თავის გმირობას საზოგადოებრივ—კოლექტიური სახე მისცეს, დარაზმოს გლეხობა აქტიური ბრძოლისათვის ექსპლოატატორების წინააღმდეგ. მისი გმირობა უმეტესად შემთხვევითია, უსისტემო. მისი მოქმედების მოტივები ხშირად ვერ გააჯერებთ, ვინაიდან იგი გაუმართლებელია.

არსენა დიდხანს იბრძვის, დიდხანს მოქმედებს, მაგრამ საბოლოოთ მაინც ილუპება.

ჯარდა არსენა ოძელაშვილისა, მიხ. ჯაფახიშვილმა რომანში გამოიყვანა მთელი წყება საინტერერესო ტიპებისა. ისინი დახასიათებული არიან ერთი რომელიმე ნიშნით, რომელიც არის განხორციელება ძირითადი ინსტიქტების—აზრის, რწმენის, გმირობის და სხვ. ეს ნიშანი გადატანილია პერსონაჟის გარეგნობაზე და აქედან ვგებულობთ, ვეცნობით თვით აღამიანს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სევეასტი ლაკობიძე და კარპიჩა. მათთვის დამახასიათებელია რკინის ნებისყოფა და მათთვის სიძულვილი. იქ სადაც არსენა გაუბედავობას, სისუსტეს იჩენს, ყოყმანობს, სხეულს აზოქმედდნენ ისინი. მათთვის ნიშნულია მაქსიმალისტური მიდრეკილებანი. მათ არ იციან შუა გზაზე შეჩერება. მათი ცხოვრების დასასრულიც გმირულია.

მთელი თავისი სიდიადით მოსჩანს არსენას მამა— „ცალთვალა დევი“— ლეთისავარი. ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი მოქმედება ბუნებრივი და დამახინჯებულია. ყოველ მის მოსაზრებას ღრმა გამოცდილება, დაკვირვება უდევს საუფქვლად.

არლოვის სახით მიხ. ჯავახიშვილმა კოლონიზატორის, თვითმყრობელური რუსეთის პირწავარდნილი აგენტის ტიპი დაგვიხატა.

თავისებური— უარყოფითი, გაიძვერა და გაქნილი ტიპია, გიორგი კუჭატელი.

„არსენა მარაბდელში“ მოქმედება ვითარდება კინექტიურად. რომანის გმირები ხშირად ინაცვლებენ ადგილს: ხან მარაბდაში არიან, ხან ტფილისში, ხან შულავერში, ხან ქვიშხეთში, ხან ახალციხეში და სხვ. „არსენა მარაბდელში“ მოქმედების მხრივ ვერ შევხდებით სტატიურობას ისე, რომ გმირები ერთდა იმავე ადგილზე უცვლელად იყრიდნენ თავს და იქვე ვითარდებოდეს კოლიბები.

როგორ გვიხატავს მიხ. ჯავახიშვილი რომანში არსენას და მისი ძმობის გარემოცვას და როგორი გზებით ვითარდება მკვეთრი კლასობრივი ბრძოლები?

რომანში კლასობრივი ბრძოლა ხშირად შორდება თავის კანონზომიერებას და იგი უბრალო შურისძიებად იქცევა. ეს მომენტი რელიგიურად მოსჩანს არსენას ძმობის მთელ რიგ მოქმედებებში. კლასობრივ ბრძოლის ლოდიკის სრული გაუთვალისწინებლობის გამოა რომ მიხ. ჯავახიშვილი „ზოგჯერ ისეთ დეტალიზაციაში გადადის, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის დამახასიათებელი თვით აჯანყებულ გლეხობისათვისაც კი (სუმბათაშვილის ბავშვის მკვლელობის სცენა და სხვ.).“

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში უდიდეს როლს თამაშობს ემაციონალური მომენტი. არ არის საკმარისი „ცივი“ მომსენებლის „ობიექტიური“ ტონით მოაყვე ამბავს. საჭიროა ან, თანაგრძნობა, ან ზიზღი, ან, სიყვარული ან სიძულვილი. სწორედ ამ სახით არის აგებული ყველა დიდი მხატვრული ნაწარმოები. ეს მხარე კი ხშირად აკლია „არსენა მარაბდელს“. მახ. ჯავახიშვილი უფრო მეტად უბრალო მთხრობელის როლში ცდილობს გამოვიდეს. ყოველგვარი ცდა, რომ შეჩერდეს მემატინანს პოზიციებზე, რომელიც „გულგრილად უცქერის ბოროტებასაც და სიკეთესაც“, ყოველგვარ განზრახვას, რომ თითქოს დაჩრქობექტიური, მიეყვართ იქამდე, რომ მოვლენების ნამდვილი აზრი და ხასიათი მახინჯდება, იჩქმალება. მიუხედავად პუბლიცისტური უკან დახევებისა, ტონის სიმკვეთრისა, ცალკეული მახვილი სურათისა, „არსენა მარაბდელში“ მაინც გვაქვს ცდა ზეკლასიურ პოზიციებზე მდგომ მეთვალყურის როლში გამოსვლის. მიხ. ჯავახიშვილი ფაქტის არსებით ინტერპრეტაციას ხშირად გვერდს უვლის, არ ხსნის მის სოციალ—კლასიურ შინაარსს.

„არსენა მარაბდელში“ არის მთელი რიგი იდეური ხასიათის შემქმნელი, მიუღებელი მოსაზრება.

მიხ. ჯავახიშვილი ვერ იჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას წინააღმდეგად. იგი ისტორიასაც კი ლეგენდათ აქცევს ხოლმე. ამის შედეგია ის, რომ ავტორი ხშირად სრულიად უსაფუძვლო მოსაზრებებს აყენებს ჩვენი წასრულის შესახებ. მას ჰგონია, რომ ბატონ-ყმური ურთიერთობა ჩვენში რუსეთის შემოსვლის შემდეგ გამწვავდა, თორემ მანამდე კი მამა-შვილური დამოკიდებულება არსებობდა ბატონებსა და ყმებს შორის.

სტენდალი ხშირად ეკითხებოდა თავისთავს: „რა არის ჩემი მიზანი?“ და თვითონვე უპასუხებდა: „ვიყო რაც შეიძლება დიდი პოეტი: ამისათვის კი საჭიროა ვიცოდე ადამიანი მთელი თავისი სისრულით“ სტილი, ეს მხოლოდ მეორე ნაწილია, რომელიც შეადგენს პოეტს“.

სტენდალის ვაგებით—სტილი, ლიტერატურული ენა უნდა ემსახურებოდეს ერთ მიზანს: სწორად და ნათლად იქნას გამოსახული აზრი.

იშვიათი სიტყვების და ნეოლოგიზმების ძიება, აზრის გარკვეულობის განზრახ დაბნელება სიტყვების გულისათვის, რომელიც ახასიათებდა შატოპრიანის სკოლის რომანტიკოსებს, სტენდალს ეჩვენებოდა, შარლატონობათ მკითხველის მოტყუებათ, ვინაიდან შინაარსის, იდეების და ფაქტების მაგიერ ისინი იძლევიან მყვირალა სიტყვება და ფრაზებს.

თვითონ სტენდალის მთელი სტილისტიური მუშაობა მდგომარეობდა სიტყვების, ენის ისეთი სახით გაშალაშინებაში, რომ იგი ხდებოდა გასაგები, ნათელი და პირდაპირ „გამჭირვალე“, ხელს უწყობდა შინაარსის გარკვეულობას. ცნობილია, სტენდალის განცხადება, რომ როდესაც იგი სწერდა „პარმის მონასტერს“, ყოველდღე კითხულობდა ნაპოლეონის „სამოქალაქო კოდექს“ რათა შეექმნა შესაფერისი ტონი.

ჩვენის აზრით უსათუოდ სწორია მხატვრული სიტყვის დაუფლების ის გზა, რომელიც დასაბა სტენდალმა. სამწუხაროდ, ბევრს ჩვენს მწერალს არ აქვს შეგნებული მხატვრული შემოქმედების ეს აუცილებელი ატრიბუტი. ამის შედეგი კი არის მათ შემოქმედებაში „ცარიელი“, „გაუგებარი“, უაზრო“ და „შეუფერებელი“ სიტყვები, რაც აბნელებს აზრს, ასეთი მოვლენის მრავალ მაგალითს შეხვდება მკითხველი გრ. რობაქიძის („გველის პერანგი“ და სხვ.), დ. შენგელაიას („სანაფარდო“, „ტფილისი“ და სხვ.) და სხვა თანამედროვე მწერლის შემოქმედებაში. მიხ. ჯავახიშვილის ნაწერებს არ ახასიათებს ასეთი „სიტყვათა ქმნალობა“. მაგრამ სამაგიეროთ იგი მეორე უკიდურესობაში გადადის, რაც დიდათ ენებს მისი შემოქმედების მხატვრულ ეფექტიანობას. „არსენა მარაბდელში“ იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს აზროვნებას მხატვრული სახეებით, რის გამოც რომანში საკრძნობია მსჯელობა „საერთო“, „მშრალი“ სიტყვებით. მიხ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელში“ მხატვრული სახეებით აზროვნების მაგიერ იძლევა „გაშისვლებულ“ სიტყვათა ტავტოლოგიას, გადაჭარბებულ ფრაზეოლოგიას.

„არსენა მარაბდელში“ მიხ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული-შედარებები უმეტეს შემთხვევაში ვერ არის მხატვრულად ძლიერი. ამავე დროს ერთი და იმავე შედარება სხვადასხვა ვარიაციებით მრავალჯერ მეორდება.

არსენა მარაბდელის* ენა ხან პათეტიურ—ამალღებული და დეკლამატიური და ხან „გულგრილი“ და განცდილი.

—მელი პოზიციიდან უდგება მიხ. ჯავახიშვილი იმ მძაფრი კლასიური ბრძოლების მხატვრულ გაშუქებას, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში?

უდაოა, რომ მიხ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელში“ მოახდინა გარკვეული ძვრა ბურჟუაზიული იდეოლოგიიდან, რომელიც ახასიათებდა მის ადრინდელ ნაწარმოებებს. „არსენა მარაბდელში“ მიხ. ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელია წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია. ძველი „ტირთისაგან“ მთლიანად გაუნთავისუფლებლობის შედეგია ის, რომ მიხ. ჯავახიშვილმა ამ რომანში დაუშვა მთელი რიგი სერიოზული იდეური ხასიათის შეცდომა, წამოაყენა მიუღებელი მოსაზრებები.

მაგრამ მიუხედავად ამისა, „არსენა მარაბდელს“ უდიდესი დადებითი მხარეები აქვს, რითაც მაინც შევა საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც სერიოზული მონაპოვარი. ამ რომანმა მიხ. ჯავახიშვილი ჩვენი უახლოესი ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე დააყენა, როგორც შემომქმედი. იდეურმსოფლმხედველობითი ბარდაქმნის ზნაზე შემდეგში მას კიდევ ბევრი აქვს დასაძლვეი. მან უნდა შესძლოს მათი გადალახვა.

აბა, მოუსმინოთ თუ როგორი სიტყვებით აღაპარაკებს წასრულზე მიხ. ჯავახიშვილი არსენას პაპას მ ა ხ რ ა ს: „ჩვენს დროშას სხვანაირი ხალხი მოსდევდა. ჩვენს საკინკლაოდ არ გვეცალა. ყმა და ბატონი თქვენსავით ერთმანეთს არ სჭამდა. იარაღს ხელიდან არ უშვებდით და ტანგაუხდელად გვეძინა. ათი კარი გვექონდა ჩასაკეტი და ერთს რომ ვეცემოდით ამ დროს ცხრას გვიმტრევდნენ. ყმამ თავისი იცოდა და ბატონმა კიდევ ბატონისა. ოძელაანთ მარტო წყლის ზიდვა და ცოტაოდენი ღალა ევალებოდათ, ერთი გოგოც ასდიოდა. ბატონსაც ათასი საქვეყნო საქმე ეკისრებოდა. ეხლა კი ბატონს საქმე გამოეღია. ქალაქში ცხოვრებას შეეჩვია. ახეულას კოშკით დაგვაწვა და მარტო ამის-ღა გაიძახის მოიტა და მოიტაო“...

მაგრამ ამას ლაპარაკობს არა მარტო არსენას პაპა, არამედ ამასვე იცო-რებს ღ ე თ ი ს ა ვ ა რ ი ც —არსენას მამა.

მიხ. ჯავახიშვილს ყოველგვარ კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე მოჰყავს ტორმასოვისა და მარშალ ორბელიანის საუბარი, საიდანაც ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ ქართველი თავად—აზნაურობა და მეფეები მტკიცედ მიზღვედნენ ტრადიციას, რაც გამოიხატებოდა გლეხობისადმი ტკბილ, პუმანიურ დამოკიდებულებაში.

კლასთა ბარმონიის ტემპურ გამოხატულებას რომანში წარმოადგენს ხორეშანიის მოქმედება გლეხთა ღმირთ არლოვის თავდასხმის შემდეგ.

ალ. ორბელიანის სიტყვები კიდევ უფრო ამძაფრებს ამ მოსაზრებას: „... ახლა კი რუსებმა ყველაფერი ჩამოგვართვეს, გლეხი და თავადი ერთმანეთს გადაჰკიდეს... ჩვენებური ბატონ-ყმობა უფრო ქრისტიანული იყო. ერთმანეთში ნათელ-მირონობა გვექონდა... უწინ სიყვარული იყო და სიტკბო, ახლა კი ყველა ყველას მტერია...“ ეს თეორია არ არის ახალი. მას თავის დროზე აყენებდა ალ-

ორბელიანი, ილ. ჭავჭავაძე ა. წერეთელი და სხვ. ეს თეორია შემთხვევაში არ არის მართალი. ბატონებსა და ყმებს შორის ჩვენში იდეალური დამოკიდებულება არასდროს არ ყოფილა. რუსეთის შემოსვლამდე ჩვენში ბატონყმური ურთიერთობა აუტანელი იყო გლეხობისათვის და ასეთივე დარჩა შემდეგშიც.

ჯერ კიდევ მე—XV საუკუნეში ბეჭას და აღბუღას კანონებში ბატონის მიერ ყმის გაყიდვას ნორმალურ მოვლენად აღიარებს. ვახტანგ მეფის კანონშიც მე—XVIII საუკუნეში ნებადართულია ყმების გაყიდვა ქრისტიანებზე. მთელი რიგი მოგზაურებისა (ლამბერტი, შარდენი და სხვ.) ამავე ფაქტს ადასტურებენ. ალ. ხახანაშვილის „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ უამრავ მასალას იძლევა იმის გასაგებათ თუ როგორ აუტანელ, არაადამიანურ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული ჩვენში გლეხები ჯერ კიდევ რუსეთის შემოსვლის შემდეგ.

ასე, რომ ისტორიულად არ მართლდება, ისტორიულად ძირშივე შემცდარია მიხ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთის შემოსვლამდე ჩვენში თითქოს პარმონიული, იდეალური დამოკიდებულება არსებობდა ბატონებსა და ყმებს შორის.

მიხ. ჯავახიშვილი შემცდარ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს. როდესაც მან თავად-ახნაურული მეწინავე დროშის მემკვიდრეთ გამოაცხადა გლეხობა თუ წინად დროშას ეწერა: „დაიცავით კარი ჩემი უფალო და ციხე ჩემი მარად ჰყავ“. ამ წარწერას არსენა და მისი თანამებრძოლები უკეთებენ რედაქციას და ნაცვლად აწერენ: „ძმობა, შრომა, მიწა, თავისუფლება, თანასწორობა და პატრონება“. რასაკვირველია, სინამდვილეში ისტორიულად ასე არ ხდებოდა, გლეხობას ჰქონდა თავისი კლასიური დროშა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის მიღებული იმ ვხით, როგორც ამას გვიხატავს მიხ. ჯავახიშვილი. დაჩაგრულმა გლეხობამ თავისი კლასიური ბრძოლების დაწყებასთან ერთად თვითონ შეკრა და ააფრიალა თავისი დროშა.

როგორც თვითონ რომანის სათაური გვიჩვენებს, არსენა ოძელაშვილი უნდა იყოს ნაწარმოების ცენტრში და არსებითად მისი გარშემო იზღებოდეს კოლიზიები. ამავე დროს კარგად უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ არსენა არ იმყოფება განმარტოებულად უადამიანო კუნძულზე. მის გარშემო სხვადასხვა სოციალ-კლასიური მდგომარეობის და მიმართულების ხალხია. არსენას უხდება მათთან ურთიერთობა, შეჯახება და სხვ., მაგრამ რომანის განვითარების მანძილზე არსენას ფიგურა ხშირად იზრდილება, ბუსუსით იფენება. ამ გარემოების მიზეზი უმთავრესად უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მიხ. ჯავახიშვილმა „არსენა მარადელში“ მოინდომა ჩატევა რამდენიმე დიდი, მეტად რთული და სერიოზული პრობლემის, უკეთ, რომ ვთქვათ—მთელი ეპოქის.

● ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოტივების სისტემა შეადგენდეს მხატვრულ მთლიანობას. ნაწარმოებში ყოველი მოტივის ან, მოტივების კომპლექსის შეყვანა გამართლებული უნდა იქნას. თუ მოტივები არ არის ერთმანეთთან მჭიდროთ „მიყვანილი“, მაშინ ნაწარმოებში ყოველთვის იგრძნობა მოტივების მოცემული კომპლექსის „გამოვარდნა“. „არსენა“

ნა მარაბდელში“ განსაზღვრულ მოტივების კომპლექსი, რომელიც არსებითად ყალიბდება ახალ თემაში—შეთქმულებას სახით, ვერ არის იფრინებული „მოყვანილი“ მთელ რომანთან. ამიტომ არის, რომ სრულიად ვერ გავსტრქმნის არსენას, შალვა ბარათაშვილის და ფილადელფოს ბერის შეხვედრა და მათი საუბარი შეთქმულების „მაღალ მიზნებზე“.

იქ, სადაც მიხ. ჯავახიშვილი უშუალოდ სცილდება არსენას პრობლემას, იგი უსათუოდ დიდ წინააღმდეგობებში ვარდება და მეტად მკრთალი პრობლემატად გადაუწყვეტელი რჩება.

ნაციონალური პრობლემის, გარკვევის დროს მიხ. ჯავახიშვილი მეტად უმწეო მდგომარეობაში ვარდება. იქ, სადაც იგი ეხება 1832 წლის თავად-აზნაურულ შეთქმულებისათვის მხადების ისტორიას—აი აქ არის მისი სუსტი მხარე, აქ არის სწორედ ბევრი მიუღებელი. მიხ. ჯავახიშვილი ვერ არკვევს ამ შეთქმულების კლასიურ ხასიათს, ვერ გვიჩვენებს, რომ ეს შეთქმულება იყო დაცემის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი უძარღვო და უბადრუკი გაბრძოლება თავისი კლასიური პრივილეგიების დასაბრუნებლად.

მიხ. ჯავახიშვილი 1832 წ. შეთქმულების საკითხში ჯერ კიდევ ვერ არის განთავისუფლებული იმ შეხედულებიდან. რომელსაც რევოლუციამლე იცავდა და დღესაც იცავს თავად-აზნაურული ინტელიგენცია. ეს გარემოება კი ხელს უშლის მან პრინციპიალურად სწორი შეფასება მისცეს შეთქმულების ხასიათს.

„არსენა მარაბდელში“ მიხ. ჯავახიშვილს ქარბად აქვს შეტანილი ნაციონალისტური შეხედულებანი. მას ქართველი ფეოდალური არისტოკრატია ეროვნულ დამოკიდებულებისათვის დიდ მებრძოლ ძალად ჰყავს წარმოდგენილი, მაშინ როდესაც სინამდვილეში ასე არ იყო. ეროვნული დამოკიდებულების დროშის ქვეშ ქართველი თავადაზნაურობა არსებითად იბრძოდა თავისი კლასიური ინტერესებისათვის, თავისი წარსული ძლიერების დასაბრუნებლად.

რომანში საგრძობია „ვაშიშვლებული“ სახით საერთოდ რუსების და ქართველების დაპირისპირება ყოველგვარი კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე. ეს რასაკვირველია არ არის სწორი.

ეროვნული და კლასობრივი ბრძოლის მომენტების მიმართება შედარებით ნათელყო თავისი საუკეთესო რომანში შარლ-დე-კოსტერმა*. „ტილ-ულენ-შაიგელში“ იშლება ფლანდრიის ბრძოლა ისპანელების ბატონობის წინააღმდეგ. მაგრამ კოსტერისათვის გარდა ნაციონალური მოძრაობისა, ნათელი იყო კლასობრივი ბრძოლა. რომანის ერთ-ერთი გმირის—ლამეს გარკვევით აქვს შეგნებული, რომ გაბატონებულ წოდებას უფრო აინტერესებს თავისი კლასიური პრივილეგია, სიმდიდრე, ვიდრე სამშობლოს ინტერესები, რომლის სახელითაც ის ცდილობს გამოვიდეს. სამშობლოს დამოუკიდებლობა მათ უპირველეს ყოვლისა, თავიანთი კლასიური ინტერესებისათვის უნდათ, რათა კიდევ უფრო გაათავოთ თავიანთი სიმდიდრე, უზრუნველყონ თავიანთი

* შარლ-დე-კოსტერმა მაღალ რაღიაში გამოიყენა თავისი დიდი ენობრივობა. მან ხალხური შემოკრძეების ნიმუშში ჩააქსოვა ღრმა აზრი, გაავსო იგი მდიდარი სოციალური მინაარსით, ტილ-ულენ-შაიგელი გადააქცია მებრძოლად, კათოლიკური ეკლესიის შეტრიაებელ მტრად, მოაღაფრების შეუბრალებელ მზილებლად. და სხვ. შ. რ.

უსაქმური და მცონარე ცხოვრება და სრულ დამონებაში ამყოფონ მშრობელი მასები. ლამეს მებრძოლი სიტყვები მიმართულია სწორედ გაბატონებული წოდების ამ თვალთმაქცური პოლიტიკის მხილებისაკენ.

ამ მოვლენების სწორად გათვალისწინება რევოლუციონურ ეფექტს აძლევს შარლ-დე-კოსტერის რომანს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „არსენა მარაბდელს“ სწორედ ეს მომენტი აკლია: აქ მოსჩანს მიხ. ჯავახიშვილის გაურკვეველობა, იგი არ ეძებს თავად-აზნაურობის ეროვნული ლოზუნგების კლასიურ შინაარს.

მართლია, მიხ. ჯავახიშვილმა, გაიმეტა ზაალ ბარათაშვილი და სუბათოვი, დაგვიხასიათა მათი ბარააროსული სახე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინც იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი თითქოს არ არიან ტიპიური თავისი წოდებისათვის, თავისი კლასისათვის, თითქოს ისინი არ არიან მთელი საზოგადოებრივი სისტემის დამახასიათებელი წარმომადგენლები.

მწერალი მხატვრული სახეების შექმნისას, „ასხვაფერებს“ სინამდვილეს. ასე, რომ მწერალის მიერ შექმნილი სახე არ წარმოადგენს ფოტოგრაფიას, არამედ მას ყოველთვის ატყვია მწერლის მსოფლიათვისების სუბიექტიური ნიშანი. რეალური მხატვრული სახისაგან უპირველეს ყოვლისა, მოვითხოვთ სიმართლეს რომ მომქმედი პირები ჩადიოდნენ სინამდვილეში შესაძლებელ მოქმედებებს.

გარდა ამისა რეალური სახისათვის აუცილებელია, რომ იგი შინაგანთაყ, ფსიქოლოგიურათაყ მართალი იყოს.

ამ მხრივ „არსენა მარაბდელში“ ყველაფერი თავის რიგზე არ არის. რომანის განვითარების მანძილზე მიხ. ჯავახიშვილი ხშირად ღალატობს ბუნებრიობას და უბრალოებას.

„არსენა მარაბდელში“ მ. ჯავახიშვილი ხშირად შორდება რეალისტურ ისტორიზმს, მასში ისტორია ხშირად მოსჩანს მსოლოდ, როგორც დეკორატიული ფონი. რომანში ჭარბათ არის მოცემული ამერიკულ თავგადასავლებიან კინო-სურათების მზგავსი „გაქანება“, ეს „ამერიკანიზმი“ რასაკვირველია, ანელებს მხატვრულ ეფექტს. რომანში მეტად იოლად წყდება კოლიზიები.

მიხ. ჯავახიშვილი მიისწრაფის რათა გვიჩვენოს ყველაფერი უჩვეულო. მაგრამ თავისი განუწყვეტელ მიდრეკილებაში, იგი ხშირად ჰკარგავს ზომიერების გრძობას, იგიწყებს რომ უკიდურესობა ყოველთვის აღარ მოქმედებს მკითხველზე, როდესაც ის ჭარბობს სხვა მომენტებს.

სოციალისტური რეალიზმი შეეხება არა მარტო თანამედროვე თემას, არა მარტო თანამედროვეების მოვლენებს გამოხატავს მხატვრულ ლიტერატურაში. სოციალისტური რეალიზმი უნდა მოსჩანდეს ისტორიულ თემების დამუშავებისასაც, რაც ნიშნავს იმას, რომ მწერალმა სწორედ გადმოსცეს ობიექტიური სინამდვილე, მისი კლასიური შინაარსი და განვითარების ტენდენციები ფრ. ენგელსი რეალისტური ნაწარმოებისაგან მოითხოვდა „დრეტალების სიმართლეს“, „ტიპიურ ხასიათების გადმოცემის სისწორეს“, „ტიპიურ გარემოებაში“. სამივე მომენტის ერთმანეთთან დაკავშირების გარეშე ფრ. ენგელს არ წარმოედგინა რეალიზმი. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს და მით უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი საბჭოთა მწერალი, რომელიც ემსახურება სოციალიზმის საქმეს.

მიხ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელში“ ერთმანეთს ვერ უკავშირებს რეალისტური ნაწარმოების იმ აუცილებელ მომენტებს, რომელზედაც მითითებულია ფრ. ენგელსი. მას ხშირად არ აქვს „დეტალების სიმართლე“—ან, „ტიპიური, ხასიათის გადმოცემის სისწორე“. ასევე იგი ხშირად ვერ ითვისებს „ტიპიურ გარემობასაც“.

მიხ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელში“ მთავარი პერსონაჟების ჩამოყალიბებისას ყოველთვის ორიენტაციას ლებულობს მათ განსაკუთრებულ თვისებებზე, გადაჭარბებულ შთაბეჭდილებებზე, ვნებებზე და ექსპრესიულობებზე, რომანის პერსონაჟები მკვეთრად გამოყოფილ არიან გარშემო წრიდან და საერთო ატმოსფერიდან. მიხ. ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელია ძლიერი პიროვნების კულტი (არსენა, ლეთისავარი, ლაცაბიძე და სხვ.)

„არსენა მარაბდელში“—ში ყოფა, პერსონაჟების სოციალური სახე და მათი ფსიქოლოგია—ეს ორი მხარე ერთი და იმავე არსის, მეტად სუსტად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სინამდვილის მიმდინარეობა ყოველ დღიური კოლიზიები, სოციალური ატმოსფერა და ჩვეულებრივი მოქმედებანი არ არიან ჩართული ფსიქოლოგიაში. „სულის“ დიალექტიკა რომანში არ გამოდის ორი-სამი სქემატურად გამოყოფილი ფსიქოლოგიური მდგომარეობის დაპირისპირების არედან.

ექსპოზიციური მომენტები „არსენა მარაბდელში“ დამაჯერებლად არის განვითარებული. მიხ. ჯავახიშვილი უმთავრესად მიმართავს პირდაპირ ექსპოზიციას; პირდაპირვე გვაცნობს რომანის მომქმედ პირებს (ზაალი არსენა და სხვ.).

მიხ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს პორტრეტისადმი. აქ მთავარი ადგილი გმირის გარეგან მხარეს, ეესტს და მიმიკას აქვს დათმობილი. მხატვრული გამოსახვის ყველა პრინციპებიდან „არსენა მარაბდელში“ შედარებით ბატონობს ჩვენების პირდაპირი მეთოდი. რომანის მეორე გვერდიდანვე იწყება ზაალის ვრცელი პორტრეტის ჩამოყალიბება. მას მოჰყვება შემდეგ მაიორ არლოვის, არსენას, კუჭატელის და სხვათა პორტრეტები.

მიხ. ჯავახიშვილი უპირატესობას აძლევს პლასტიურ გამოხატვას. პერსონაჟების სულიერი მდგომარეობის ფიქსაციას იგი ახდენს მათი ფიზიოლოგიური მხარის გამოხატვით. საგნობრივი ფარავს ყოველთვის სულიერს. „სულის“ მოძრაობა უმთავრესად ვლინდება ეესტში. იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა მიხ. ჯავახიშვილს გვიჩვენოს თავისი პერსონაჟის მორალური სახე, მისი განცდები, იგი მიმართავს უმთავრესად ფიზიკურ აღწერილობას. ეს ფლობურისებური მეთოდი ძლიერ აქვს შეთვისებული მიხ. ჯავახიშვილს.

„არსენა მარაბდელი“-ს დადებითი მომენტებია: ტიპების კარგად შობაზვა, დიალოგების დამაჯერებლად გაშლა და მასიური სცენების ეფექტიურად გადმოცემა, უდიდეს მხატვრულ სურათებად იშლება სცენა ჭიდაობის, ახალციხის ომის და სხვ.

პრ. ასტვაცატურკვი

„უჩარდიონი“

ქ ა რ ლ ო კ ლ ა ძ ი ს პოემამ,— „უჩარდიონი“,—რომელიც დაიბეჭდა ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი ს“ მე-10-12 ნომერში და გამოვიდა ცალკე წიგნადაც,—სამართლიანად მიიპყრო მარქსისტული კრიტიკის და შკიტხვლის ყურადღება. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ „უჩარდიონი“-სადმი აღძრული ინტერესი გამოწვეულია მ ხ ო ლ ო დ იმ შეცდომებით, რომელიც დაშვებული აქვს ავტორს ცალკეულ ტიპების მოხაზვის დროს. „უჩარდიონი“-სადმი ასეთი ინტერესი და ყურადღება გამოწვეულია კიდევ იმით, რომ კ. კალაძემ პოემის თვითეული სტრიქონი უდიდესი მხატვრულობით გამოკვეთა-ჩამოასხა, და გამოამგლავნა ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე ხანგრძლივი და სიყვარულით მუშაობის საუკეთესო თვისება, რომელიც ბევრ ახალგაზრდა მწერალს არ გააჩნია.

„უჩარდიონი“ არ არის დასრულებული ნაწარმოები; ის მხოლოდ შესავალია (პირველი წიგნი) იმ დიდი მხატვრული ტილოსი, რომელმაც უნდა დაგვიხატოს გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ეპოქის უდიდესი ეკონომიურ-პოლიტიკური და იდეურ-ფსიქოლოგიური ცვლილებები სოფლად. პოემა „უჩარდიონის“ ფონი საკოლმეურნეო მოძრაობაა, მაგრამ, ამ პირველი წიგნის კონკრეტულ თემად აღებულია მხოლოდ ფართო საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლის პირველი პერიოდი. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენი პარტია კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და შეუდგა საბჭოთა კავშირის გადაქცევას წვრილ-გლეხურ და ჩამორჩენილ ქვეყნიდან კოლექტორი შრომის ბაზისზე მოწყობილ და მაქსიმალურ საქონლიანობის მომცემ მსხვილ სასოფლო სამეურნეო ქვეყნად (ი. სტალინი). ამიტომ, ეს პერიოდი (ოცდაათიანი წლები) ახალ ფურცელს შლის სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიაში.

მე-20 საუკუნის ო ც დ ა ა თ ი ა ნ ი წ ლ ე ბ ი ა ხ ა ლ ი ე პ ო ქ ა ა. ეს წლები არაფრით არ გვანან კაცობრიობის განვითარების ისტორიის არცერთ პერიოდს და არ არიან ისინი „განმეორება“ რომელიმე ისტორიული პერიოდის, რაგინდ რევოლუციონურ და აღორძინების ხანას არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლები, საბჭოთა კავშირში, ისეთი მწვერვალია, რომელიც ამაყად დაჰყურებს თავზე კაცობრიობის განვითარების მთელ ისტორიას, გათავებული დღევანდელი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებით, და მოუწოდებს მსოფლიოს განახლებულ გზისაკენ.

მაგრამ, ეს კარდინალური განსხვავება მდგომარეობს არა მარტო სოციალ-პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ აღმშენებლობის ფორმისა და შინაარსის თავისებურებაში, არა მარტო იმაში, რომ ჩვენ ვაგებთ თუთ საზოგადოებას და ვქმნით ადამიანთა ისეთ ურთიერთობას, რომლის მგზავსიც ისტორიას არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს, არამედ იმაშიც, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოძრაობის შინაგანი ძალები, შინაგანი წინააღმდეგობანი, კონფლიქტები და ამ კონფლიქტების სიძლიერე და ტემპი სრულიად არ გავს ჩვენი ქვეყნის განვითარების არცერთ ხანას ოქტომბრის რევოლუციამდე.

ამასთან ერთად, ოქტომბრის შემდგომმა პერიოდმა, კერძოთ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პათოსისა და გამარჯვებათა ხუთწლედმა ფორმაცია უყო ახალი „ტიპის“ ადამიანებს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც იბრძვიან მთელი გმირული თავდადებით და ბოლშევიკური ალტყინებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, კაპიტალიზმის უკანასკნელი ნარჩენების საბოლოო განადგურებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების—პარტიის ხაზის თანმიმდევრობით გატარებისათვის. მაგრამ, ამ ახალი ადამიანების პირისპირ დგანან დრომოქმული საზოგადოებრივი ურთიერთობის უკანასკნელი მოვლენები, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი კლასების პერსონები, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმის წინააღმდეგ და ცდილობენ დაკარგული პოზიციების მოპოებას და შენარჩუნებას(1).

ეს კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სოციალიზმის ყოველდღიურ გამარჯვებასთან ერთად მწვევადება და სხვადასხვა ფორმებს იღებს, ოცდაათიანი წლებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სოფლად. კოლექტივიზაციის განვითარება იწვევს კულაკების და მათი აგენტების გააფთრებულ წინააღმდეგობას. და ყოველი ახალი გამარჯვების მოპოება ხდება ამ წინააღმდეგობის დაძლევით და განადგურებით, რადგან ის რაც კვდება არ კვდება მშვიდობიანად. იბრძვის, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, და ამ ბრძოლაში ბრძოლითვე „სთმობს“ სასიცოცხლო პოზიციებს. მთელი ეს პროცესები, წინააღმდეგობანი, კონფლიქტები და ახალი ადამიანის ფორმაცია, თავისი სულიერი განწყობილებით მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა მოგვცეს მთელი თავისი მრავალ მხრივობით და მრავალფეროვანებით. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქამ თანაჰედროვე მხატვრულ მწერლობას, რომლის მაცოცხლებელი მილაკებიც გადასცენილია სოციალიზმის გამარჯვების პულსთან, გარკვეული და კონკრეტული ამოცანები დაუყენა. ე ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ მწერლობა თავისი მხატვრული სიტყვით, ფერებით და სახეებით დაეხმაროს პროლეტარიატს ცხოვრების წინააღმდეგის საქმეში, დიქტირთოს ეპოქის პროგრესიული იდეებით, სწორედ გაიგოს დღევანდელი დღე თავისი დინამიკით—ხვალინდელი საბით და მისი მხატვრული განზოგადოებით, მკითხველზე ემორციონალური ზემოქმედებით შეასრულოს მასების აღზრდისა და გარდაქმნის როლი.

ამ ამოცანებისაკენ საკმაო სიძლიერით იბრუნა პირი საბჭოთა მწერლობამ, იგი კონკრეტულად ცდილობს მივიდეს ამოპოქრებულ ეპოქის გულთან და გახსნას მოვლინების „საიდუმლოება“ მხატვრულ ფორმებში, გაამდიდროს მხატვრული სიტყვა ცხოვრების დიალექტიკით.

კ. კალაძის „უჩარდიონი“ ასეთი მალაღმბინებისაგან მისწრაფების ცდაა. როგორც აღვნიშნეთ, პოემის ფონი არის საკოლმეურნეო მშენებლობა და ამ საფუძველზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მაგრამ კულაქებისგან თემა აღებულია საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი აზვირთების (1930 წ.) პერიოდებიდან.

„უჩარდიონი“-ს კრიტიკული ანალიზის დროს ჩვენს წინაშე იჭრება ორი კითხვა: პირველი,—რა სურს ავტორს მოგვეცეს; მეორე,—როგორ არის დაძლეული სურვილი, აღებული ხაზი ვითარდება თუ არა თანმიმდევრობით და ცალკეულ ტიპის ხასიათი შეეფარდება თუ არა იმ სოციალურ ფენას, საიდანაც აღებულია იგი.

ამ კითხვების გარეშე შეუძლებელია ნაწარმოების სწორი ანალიზი და მწერლის მსოფლმხედველობის გაგება. ვინც შეეცდება გვერდი აუაროს, ან უგულვებელყოს ეს კითხვები, იგი ღრმად შეცდება.

რა სურს კალაძეს გვიჩვენოს „უჩარდიონში“? კ. კალაძე არ იჭრება თემის მთელ სიღრმეში. იგი საკითხის ერთ მხარეს იღებს: სურს გვიჩვენოს თუ ბარისობრივად ახალ პროცესების საფუძველზე როგორ ხდება ინდივიდუალური მშრომელი გლეხის გარდაქმნა, კერძო მეურნეობის უარყოფა და კოლმეურნის ახალი ფსიქოლოგიის ფორმაცია, ერთის მხრივ; მეორე მხრივ ამ ახალ მოძრაობას უპირდაპირებს მომაკვდავი კლასის,—კულაკობის წინააღმდეგობას და ყოველივე ამას მწერალი იძლევა ჩვეულებრივი ხერხებით—მასების მაკიერ ტიპების დაპირდაპირებით. თუმცა არ არსებობს ცდა, როგორც ამას დაეინახავთ ქვევით, ნაწილობრივ მაინც აუხვიოს გვერდი ამ მეთოდს. უჩარდიონი, ეს არის კულაკობის ტიპური და კლასიკური წარმომადგენელი (ავტორისა და წინასიტყვაობის ავტორის—აშ. დ. ბენაშვილის გაგებით), გულდაკი, საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელი, უჩარდიონის ყოფილი მოჯამაგირე და კომკავშირელი. ეს ასეა მაგრამ, საქმე იმაშია როგორ ვითარდებიან აღებული ტიპები პოემაში, არიან თუ არა ისინი ტიპური მოვლენების ტიპური დამახასიათებელი წარმომადგენლები. ამ საკითხის გაშუქებამდე უნდა განვაცხადოთ, რომ სასტიკად სცდება აშ. დ. ბენაშვილი, როდესაც უჩარდიონს და გულდას კლასიკურ ტიპებათ აცხადებს. ბენაშვილის ეს მოსაზრება არავითარ კრიტიკას არ უძლებს. ბენაშვილის მოსაზრება გამომდინარეობს არა ნაწარმოების მარქსისტული ანალიზიდან, არამედ ტყბილი შთაბეჭდილებებიდან და ყალბი ინტუიციიდან. სცდებიან აგრეთვე აშ. დ. ეოლსკი და ფრიდონ ნაროუშვილი, როდესაც უჩარდიონს ერთი აცხადებს საშუალო გლეხად, მეორე კი საერთოდ გლეხად და უსაყვედურებენ ავტორს, რომ ასეთი ტიპი აიღო და მის ტრაქტოგეაში „მემარცხენე“ შეცდომები დაუშვა. ეს ამხანაგები ანგარიშს არ უწევენ ავტორის ტენდენციას, სთხზავენ ახალ ტიპებს საკუთარ თავებში და შემდეგ ებრძვიან.

უჩარდიონი არც საშუალო გლეხია და არც საერთოდ გლეხი, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. უჩარდიონი კულაკია, რომელმაც თავისი სიმდიდრე სხვისი ექსპლოატაციით, დაჭირავებული მწყემსებით და მოჯამაგირეებით

შეიძინა. გულდა უჩარდიონის ერთერთი ყოფილი მოჯამაგირეა; პოეტის ცდილობს შტამს არ გაჰყვეს და ამ მომენტს თავისებურ ხაზებში ამკლავებებს, უჩარდიონს საკუთარი და სპეციფიური ენით ალაპარაკებს: იმის შესახებ, რომ გულდა მისი ყოფილი მოჯამაგირეა:

„უჩარდიონი და გულდა ერთხელ
აქ ამ დღეებში ერთმანეთს შეხვდნენ.

და უთხრა მაშინ უჩარდიონმა:

— ჩემო გაზრდილო თვალს ნუ მარიდებ!

„ჩემო გაზრდილო თვალს ნუ მარიდებ“, — ეს სიტყვები დამახასიათებელია უჩარდიონისათვის, როგორც კულაკისათვის. კულაკი ცდილობს თავი ისე მოაჩვენოს დაბნელებულ გლეხებს და მოჯამაგირეებს, თითქოს ის სხვისი შრომის მიმთვისებელი და ექსპლოატატორი კი არ არის, არამედ, შრომის მოყვარე ადამიანია, რომელიც მოჯამაგირეს იყვანს მხოლოდ იმიტომ რომ, მზრუნველობა გაუწიოს; გაზარდოს (!).

მაგრამ, კ. კალაძე მხოლოდ ამ ხაზგასმით არ კმაყოფილდება. იმისათვის, რომ გვიჩვენოს უჩარდიონი, როგორც დაშვილებული, გადადის ყოფის სფეროში და აბაშს ინტიმურ კავშირს ტლუ, ღამის მებრე გულდასა და უჩარდიონის მომავალ ცოლთან — ლალესთან:

„მოგფერებივარ ტლუ, ღამის მებრე,

შენ ბაგეებზე დავბრილვარ ჩრდილად!

ძლიერს შევისრულდენ წლები, რომ ერთხელ

გამზრდელმა (უჩარდიონმა ე. ა.) ცოლად დავიმორჩილა“.

ეს ძველი ხერხია. გულდა, უჩარდიონის ოჯახში მოჯამაგირეთ ყოფნის დროს, ინტიმიურ ძაფებს აბაშს ნორჩ ლალესთან, რომელიც უჩარდიონმა მიიყვანა ჯერ კიდევ პატარა ლალე ოჯახში, როგორც „ნადავლი“ დაპასაკის შესრულების შემდეგ ცოლად დაიმორჩილა. ამით პოეტი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აწინდელი გულდა უჩარდიონის ყოფილი მოჯამაგირეა.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს ძალიან სუსტად და მკრთალად არის მოცემული, რის გამოც მკითხველი ვერ გრძნობს საკმაოდ დამაჯერებლობით, რომ უჩარდიონი სხვისი შრომის ექსპლოატატორია. პოეტი კმაყოფილდება უჩარდიონის გარეგანი, მეორე პირის დახასიათებით და კულაკურ ინსტიტუტებს, მისწრაფებებს და ხასიათს არ ააშკარავებს ან უფრო სწორედ — ვერ ააშკარავებს თვით უჩარდიონის მოქმედებაში.

ამიტომ, უჩარდიონი, როგორც კულაკი, არ არის ძლიერად მოცემული და დახატულია ძალიან ღია ფერით. „ამით“ უნდა აიხსნას ის გაუგებრობა, რის შედეგადაც ზოგიერთმა კრიტიკოსმა უჩარდიონი აღიარა ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ა დ ა ნ ს ა ე რ თ ო დ გ ლ ე ხ ა დ¹.

¹. არავითარ შემთხვევაში ჩვენ არ ვიზიარებთ ამშ. დ. ბენაშვილის მიერ უჩარდიონის, გულდას და საერთოდ პოეტის გადაჭარბებულ შეფასების მთავარ დებულებებს, მის „მემარცხენე“ რიგის საერთო შეცდომაზე კი ცალკე შევხებით.

ამასთან ერთად პოეტი თანამიმდევრობით ვერ ანვითარებს კულაკის ტიპს, ხასიათებს, არ ახუენს კულაკის სიტყვისა (რომელშიაც იმალებენ ჩემდღველი შინაარსი) და საქმის მკვეთრ დაპირდაპირებას. ძალიან „თბილად“ ჩანს მთავრული უჩარდიონის შრომის მოყვარეობა. ამის გამო უჩარდიონი მკითხველში ერთგვარ სიმპატიებს იწვევს და უმართებულოდ მიაჩნია გულდას წინააღმდეგობა(!)

პოეტი „ტყვეთ“ ყავს უჩარდიონის სიტყვებს:

- 1) „ გლეზი ვარ კარად მიცნობ შამია,
ლარიბი კაცი ვიყავი წინად.
თავდადებულად მიმუშავებია
ჩემი სიმდიდრე რომ შემეძინა.
- 2) „ გაანადგურენ მაშაჩემო ქონება ჩვენი,
თურმე ამოდ ვამუშავებთ ბიწა მე და შენ...
მზემ საუკუნოდ ამოშრიტა თვალები შენი,
როდესაც ოფლი ამოაშრო მღვრიე და მლაშე“.
- 3) „ რისი შეძენაც მსურდა,—მთლიანად,
იმდენი არა გამაჩნია რა“.

კალაძე კრიტიკულად არ ებურობა კულაკის ამ სიტყვებს, ვერ ააშკარავებს კულაკის ნამდვილ კლასობრივ ბუნებას მთელი თავისი თვისებებით და შემდეგ ნაირად „ანვითარებს“ უჩარდიონის სიტყვებს:

უჩარდიონი ჯერ კიდევ ხევში
იდგა,—დაღლილი შრომის მოყვარე.
ხელებ მოჭრილი ხე ანუ ლეში
ვაიფაგლახით მოქონდა ხარებს“.

ამ რიგად, პოეტი ბოლომდის ვერ იცავს კლასობრივ თვალსაზრისს კულაკის დახატვის დროს და ხ ა ზ ს მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ დ უ ნ ა ვ ს. ეს მოქონტი განსაკუთრებით მკვეთრად მელავნდება უჩარდიონისადმი გულდას დამოკიდებულებაში. გულდა, რომელიც მეტად ს ქ ე მ ა ტ ი უ რ ა დ და ბ ე რ ე ლ დ არის მოცემული, იბრძვის ძველი სოფლისა და ინდივიდუალური მეურნე გლეხის კერძო მესაკუთრეობრივ ფსიქოლოგიის გარდაქმნისათვის, შეთაურობს მშრომელ გლეხობას კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, მაგრამ, გულდას ეს პრაქტიკული მოქმედება ლოგიკურად არ ვითარდება, მისი სიტყვა და საქმე ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. ამიტომ გულდა არ არის კომუნისტის კლასიკური ტიპი, როგორც ეს ჰგონია ანხ. დ. ბენაშვილს. გულდა კომკავშირელია, მაგრამ ისეთი კომკავშირელი, რომელსაც არ შეეძლო გამხდარიყო საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელი და სწორად გაეტარებია პარტიის კლასობრივი ხაზი¹.

¹. პოემაში საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზატორად და პარტიის ხაზის გამტარებლად(!) გამოყვანილია კომკავშირელი, არ სწავს პარტიის სახე. რაც არ არის სწორი. ეს არის ავანგარდისმი, კომკავშირის რთლის ერთგვარი გადაფასება.

გულდა არ უფურებს კულაკს, როგორც კლასობრივ მტერს, იგი შემარჯვენე სოფისტების მსგავსად ცდილობს კულაკების დარწმუნებას კოლექტივიზაციის უპირატესობაში და გაერთიანებას კოლმეურნებაში(1), მფრთხამ კოლმეურნებს არ მისდევნენ კულაკები მის „აგიტაციას“ და ებრძვიან კიდევ მას, მხოლოდ მაშინ აცხადებს კლასობრივ მტრებად. ეს ალბად იმით უნდა აიხსნას, რომ პოეტმა კულაკი მოგვცა, როგორც უაღრესად შრ მის მოყვარე, და ხაზი არ გაუსვა მის კონტრრევოლუციონურ და ექსპლოატორულ ტენდენციებს; უჩარდიონის მხატვრული სრულყოფის დროს ტკბილი ტრაგიზმი პოეტისათვის გადაიქცა თვითმიზნად და კლასობრივი თვალსაზრისი მეორე რიგზე მოექცა.

აი როგორ გვაცნობს გულდა, ლალესთან შეხვედრის დროს, თავის და-მოკიდებულებას უჩარდიონისადმი:

— სიმართლე თქვენებს აქამდე
ვერ ჩავაგონე რა დაგიმალო,
ებლა აიკრან გულდა-ნაბადი
მე ჩემო კარგო სამტროდ მივალო“.

ეყრდნობა, რა ამ სიტყვებს, პოეტი კიდევ უფრო ამახვილებს გულდას შე-
მცდარ აზრს:

„ერთ კაცად მაინც ვარგოდა სოფლად,
გულდას რჩევისთვის რომ დაეჯარა“.

თურმე, გულდასათვის რომ დაეჯერებია უჩარდიონს (კულაკს) იგი შეეზ-
რდებოდა სოციალიზმს და „ერთ კაცად მაინც ვარგოდა სოფლად“. სად უნდა
ვეძიოთ შეცდომის სათავე? ამ შეცდომის ახსნას და მთელი მისი საიდუმლოების
გამოაშვარავებას იძლევა პოემის შემდეგი ადგილი:

„უჩარდიონი და გულდა ერთხელ
აქ ამ დღეებში ერთმანეთს შეხედნენ.

.....
და უთხრა მაშინ უჩარდიონმა—

ჩემო გაზრდილო თვალს ნუ მარიდებ!

მან კი მიუგო:—ვგონებ ჩვენ ორმა

ჯობს ჩავიაროდ მდუმარებითვე.

ს ან ამ სოფელში მტერი არ გერქვა

შეგეძლო ძმურად მოგენდო გული,

ამიერიდან როგორც აგერ ქვა

ფეხქვეშ რომ ეგდოს ქუსლით გადუვლი!“

როდის იყო რომ უჩარდიონს (კულაკს) მტერი არ ერქვა, ხომ არ შეიც-
ვალა როდისმე კულაკების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის შინაარსი? ახალ-
გაზრდა კომკავშირელი გულდა იმის გამო, რომ ვერ ერკვევა საკმაოდ პარტიის
ხაზის კლასობრივ შინაარსში, კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკაში და ფორ-
მებში, იბნევა. კულაკობის, როგორც კლასის ლეკვიდაციის პოლიტიკა, მთლიან
კოლექტივიზაციის საფუძველზე, გულდამ მიიჩნია, როგორც კლასობრივი
ბრძოლის შინაარსის შეცვლა და კულაკის მტრად გამოცხადების დასაწყისი.
გულდა ფიქრობს, რომ პარტია არ აცხადებს კულაკობას კლასობრივ მტრად

მაშინ, როდესაც აწარმოებს მათ შეზღუდვას. კულაკი არ შევიდა კოლმეურნეობაში და იგი მტრად იქცა, — ასეთია გულდას ფილოსოფია **კოლმეურნეობის შექმნის შედეგად** თვალსაზრისი.

კლასობრივი ბრძოლის შინაარსი ყოველთვის უცვლელია. განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში იცვლება ბრძოლის მხოლოდ ფორმა, შინაარსი კი იგივე რჩება. ეს არის კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკის მარქსისტულ-ლენინური გაგება, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიის ძირითად ხაზს და აძლევს მას სიცხადეს და პერსპექტივას ყოველ კონკრეტულ პირობებში. მის გაგებისა და შეცნობის გარეშე შეუძლებელია ჯანსაღი მოქმედება და ნათელი წინსვლა.

„ჯანსაღი საქმიანობა, — ამბობს ამხ. სტალინი, — კარგია, მაგრამ თუ ის მოკლებულია კულაკობის პერსპექტივებს და თავის მუშაობას არ უფარდებს პარტიის ძირითად ხაზს — მინუსად იქცევა“ (ხაზი ჩვენია, ე. ა.)

სწორედ ეს მთავარი აქვია კ. კალაძის გულდას. გულდა ვერ უფარდებს თავის პრაქტიკულ მოქმედებას პარტიის ძირითად ხაზს კულაკობასთან ბრძოლის საკითხში და ამ რიგად იგი (გულდას მოქმედება) მინუსად იქცევა. გულდა, ისევე როგორც უჩარდიონი, თანმიმდევრობით არ არის ჩამოყალიბებული და მისი მოქმედება ზიგზაგ ხაზს იძლევა.

გარდა ამისა, როგორც უკვე ზევით ავღნიშნეთ, გულდა მეტის მეტად მკრთალი და სქემატიურია. ისე სწრაფად ქრება და გადის პოემიდან ეს ტიპი, რომ მკითხველზე ვერ ახდენს სათანადო გავლენას. პოეტს ცოტა ფერები და ნაკლები შრომა დაუხარჯავს გულდას მხატვრული სრულყოფისათვის, მაშინ, როდესაც უჩარდიონი შედარებით უფრო მონუმენტალურად არის მოცემული.

პოემის ნაკლად მიგვაჩნია ისიც, რომ პოეტი ტიპების მოხაზვის დროს იყენებს აღწერითი მეთოდს. ადამიანები მოცემულია (უმთავრესად) არა თავიანთი საქმეების მიხედვით, არამედ სიტყვისა და მეორე, ან მესამე, პირის აღწერით. უმთავრესად ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არ არის საკმაო სიძლიერით გამოაშქარავებული ცალკეულ ტიპის კლასიური პრაქტიკა, ფსიქოლოგიური სფერო, და ადამიანები და მომენტები კინო მულტიპლიკაციას მოგვაგონებენ. ეს მეთოდი მიგვაჩნია ა-ა დიალექტიკურ მეთოდად, რადგან ვერ ახდენს იგი „თეორიისა“ და პრაქტიკის ლოგიკურ ორგანიზაციას და პრიმატს აძლევს გარეგან მხარეს და ცარიელ სიტყვებს.

„უჩარდიონი“-ს ანალიზი დაფიქვით ნაკლიდან და შეცდომებიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოემას ღირსებაც არ ჰქონდეს. პოემა საინტერესოა ცალკე სურათების გაშლის თავისებურებით და ორიგინალობის ძიებით. ერთგვარ ორიგინალურ ხაზებშია მოცემული რკინისგზელი, მუშა, რომელიც ჩადის სოფელში და პრაქტიკულად ემხარება და ხელმძღვანელობს ახალ მოძრაობას. რკინის-

გზელი მუშის ტიპი იმით არის საყურადღებო, რომ პოეტი მის ტრაქტირებაში იძლევა იმ ხარისხობრივ განსხვავებას (ზოგადათ), რომელიც არსებობს მუშას „საკუთრებასა“ და მშრომელ გლეხის საკუთრებას შორის. მშრომელის კლასი აუცილებლივ ასცდა შტამს, ერთგვარ ორიგინალურ ხაზებში და კონკრეტულ ფორმაში მოგვცა შემანქნელ მუშის ტიპი, რომელსაც გარდა სამუშაო ძალისა, ბრავიტარი კერძო საკუთრება არ გააჩნია; მაგრამ იმას, რაც მას არც ეკუთვნის და ეკუთვნის კიდევ (როგორც მუშას საერთოდ), უდიდესი სიყვარულით ეპყრობა.

„აბა გიამბობ „ჩემი“ რა არი,—
 ორთქლმავალს სქედენ: რუსი და ფრანგი
 და გერმანელი და სხვა მრავალი...
 ვარ მარტოოდენ ერთი მათგანი,—
 მშართველი გული მძლავრი მანქანის.
 სადაურია?—მანძილს ერევა,—
 შემოიარა არე სრულიად!
 სადაც ბორბალი შეუჩერდება
 იგი ჩემსავით იქაურია...
 ჩემი არ იყო და შევიყვარე,
 ხალხს მოვახმარე მისი კენესამე!

ცალკეული სურათი, როგორც არის მაგალითად: კულაკების „ქვიფი“, სადღევრძელო, უჩარდიონების მიერ გულდას მოკვლა, „უბნის ქენებით დარბეული ღამე“, ხარის დაკვლა, ლალეს თვიფმველლობა და სხვა, — მოცემულია დიდი მხატვრული შესაძლებლობით, თუმცა ზოგიერთ სურათში დარღვეულია დეტალების სისწორე. პოემა მდიდარია პეიზაჟით, რომელიც აფართოებს და ეფუძლება მკითხველის ხედვითი არეს.

ნაწარმოების ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ მას არა აქვს ვიწრო ეთნო-რი „კოლორიტი“ (რაც ყოველთვის არ არის საჭირო), სიუჟეტი აღებულია „ზოგადათ“ და საერთო ხაზებში იშლება. პოემის წმინდა მხატვრულ მიღწევაზე ლაპარაკობს აგრეთვე მხატვრული შედარებები და სახეები, — რომლებიც მთელი მომენტებით განიზომებიან, — ტეხნიკულად კარგად გაკეთებული და სანთელივით ჩამოქნილი სტრიქონები და სიტყვების ეკონომია:

ისევ ძახილი... და თან მთებურად
 ეხლა წამოდგენ თორმეტოდე;
 უჩარდიონთან შეერთებულან
 და ჭრილობები ერთად ტკიოდენ“.

ამ ოთხ სტრიქონში პოეტმა შესძლო, როგორც პროცესის — ამბის (გულდა-ზე თავდასხმა) მხატვრული მოხაზვა („ისევ ძახილი... და წინ მთებურად ეხლა წამოდგენ თორმეტოდე“), ისე თორმეტოდეს მკვეთრი კლასიური დახასიათება („უჩარდიონთან შეერთებულან და ჭრილობები ერთად სტკიოდენ“). პოეტი ცდილობს ასცდეს კლასობრივი ბრძოლის ტრაფარეტულ ჩვენების შეთოდს, — ისეთ შეთოდს, როდესაც მწერალი კლასობრივი ბრძოლის ჩვენებისათვის მიმართავს მხოლოდ ტიპების დაპირდაპირებას. ამ ცდას არ ჩაუვლია სრულიად უნაყოფო.

ის ფაქტი, რომ კოლმეურნე გლეხობა გულდას მკვლელში ხედვს საერთო მტერს და არა რომელიმე პიროვნებას,—ამ ცდის საუკეთესო გამარჯვებას მოტანს საკითხი მთელი პოლიტიკური სიმახვილით დააყენა. გულდა მკვლელს უჩარდიონმა მაგრამ ეს „არ არის“ საინტერესო. საინტერესოა ამ კლასობრივი მოვლენის საერთო ფონი და საერთო მონაწილე. ამიტომ კოლმეურნე გლეხებმა ვერ იპოვეს გულდას პერსონალური მკვლელი და საერთო მკვლელის კვალს მიაგნეს და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს,—ილაგმეს კულაკობა და გააჩაღეს მთლიანი კოლექტივიზაცია.

გაუცრუვდათ იმედი კულაკებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ გულდას მოკვლით ჩაქრობდნენ ერთსულოვნებას, შეაჩერებდნენ საკოლმეურნეო მოძრაობას („ენახავ, ჩაქრება ერთსულოვნება, შეესევთან ერთმანეთსავე“—უჩარდიონი), მაგრამ, საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს. გულდა მოკვდა საერთო საქმისათვის და ე'ა საერთო საქმეც საერთო ძალით გაიფურჩქნა:

„აქ, ამ ნიადაგს ერთად ეომა,
როგორც ამბობენ ღონე ღომისა,
და აღორძინდა მეურნეობა
ამხანაგ გულდას სახელობისა“.

ამ ტაეპში მთელი პროცესია გამოხატული. აქ იგრძნობა ერთი „საფეხურიდან“ მეორეზე გადასვლა, ახალის დასაწყისი. გაიშალა სოციალისტური მიწათმოწყობა, სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ჩამოყალიბდა კოლექტიური მეურნეობა,—ეს ერთი მთლიანი კანონზომიერი პროცესია, მაგრამ იგი ამით არ თავდება და გადადის ახალ თვისებაში,—იწყება ბრძოლა არსებულ კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკურ განმტკიცებისა და ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის. ეს არის ახალ „ეტაპი“ და ახალი პოემის თემა. „უჩარდიონის“ სიუჟეტი სწყდება სწორედ, ამ ახალ „ეტაპზე“ გადასვლის წერტილში. ამიტომ, როგორც სამართლიანად ავლნიშნეთ ზევით, პოემის კონკრეტული თემა საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი საფეხურია. აღბად შეეცდებოდა კ. კალაძე მოგოცეს აგრეთვე საკოლმეურნეო მოძრაობის და კლასობრივი ბრძოლის დღევანდელი სურათიც, სადაც გამოხატული იქნება კულაკობის წინააღმდეგობის თანამედროვე ფორმები, კოლმეურნეობათა ხარისხისათვის ბრძოლა და კოლმეურნეობის შიგნით არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის ელემენტები და მათი დაძლევის პროცესი,—საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნეს სახით ახალი ადამიანის ფორმაცია. ეს ხარისხობრივად უფრო რთული პროცესია და მწერლისათვისაც უფრო რთული ამოცანა.

ამ ახალი პროცესის თავისებურება და სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის კლასობრივ მტრის წინააღმდეგობის განადგურებასთან ერთად გულისხმობს აგრეთვე კოლმეურნეს წვრილ-გლეხურ მესაკუთრულ ინსტიტუტებთან ბრძოლასაც.

„კლასიურ მტრების, თუ იერიშით
განადგურებას გმირობა ჰქვია,
უფრო ძნელია საკუთარ ტვინში
მანკიერ გრძნობებს ესროლო ტყვია.“

ეს სიძნელე არ არის დაუძლეველი. იგი არსებობს იმისთვის, რომ და-
 ვსტლიოთ. ამ სიძნელეების გადალახვის ძირითადი პირობა არის მსარქმის-
 ნიშნის დაუფლება, პარტიის პოლიტიკის საფუძვლიანად შეთვისება და ამ სა-
 ფუძველზე ყოველი ტიპისათვის გარკვეული თვისებებისა და ხასიათების გამომუ-
 შავება, პერსპექტივის განსჭვრეტა და გმირის, კერძოდ გამარჯვების პრწყინვა-
 ლე პერსპექტივებით აღჭურვილ გმირის, მოქმედების ორგანიული შეთავსება
 სიტყავსთან. ყველა ეს პირობა თანმიმდევრობით უნდა იქნეს დაცული, რო-
 გორც ცალკე სურათის, ისე მთელი სიუჟეტის განვითარების და ტიპის მოხაზვის
 დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მწერლის „ჯანსაღი მოქმედება მინუსად
 იქცევა“. ძირითადში თან მიმდევრობას მოკლებული ტიპი, თუ გმირი სინამ-
 დვილის მახინჯი ადამიანია და ასეთი ადამიანი მწერლის ხოტბის ობიექტად
 არ უნდა გახდეს.

„უწარდიონის“ მთავარი „უბედურება“ იმაშია, რომ ყველა ეს პირობა
 მთლიანად არ არის დაცული და ნაწარმოების ზიგზაგი ხაზი უფრო მარჯვნივ
 იხრება. მაგრამ, პოემის შინაგანი ტენდენცია თავდებია იმისა, რომ ეს
 შეცდომა პოეტის მიერ დაძლეული იქნება.



ლეონ მელიქსათ-გეგი

იონათანი

1906 წლამდე იონათანის ვინაობა თითქმის ბურუსით იყო მოცული.

სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული იყო მხოლოდ თითო-ორი მის მიერ შეთხზული „საოხუნჯო“ ლექსი („ქრაქალ“ 1860—61, „მასის“ 1885, „ლუმა“ 1899 და სხვ.) მისი პიროვნების გაუთვალისწინებლად. კერძოდ, არ უთიუნიათა უძღვნა მას პატარა წერილი სათაურით „ლენის სმისას [წარმოსათქმელი] ლექსები ნალაშ იონათანისა“ („მასის“ 1885), რომელშიც იონათანი „მე-XVI-ე საუკუნეში მცხოვრებ სომეხ მომღერლად“ იყო გამოცხადებული...

დღეს ვიზიარულოთ ცეკვითა,
ღვინო ვსვათ სიცილითა...
ღვინო რომ ვსვათ, გვარგებსა,
ვსვათ, მივენდოთ სიზიარულესა...

აი რომელ ლექსების ავტორად იყო მიჩნეული იონათანი იმ ხანებში.

მაგრამ სომეხთა ცნობილი მოღვაწე მეს როპ თაღიადიანიც, მიუხედავად იმისა, რომ ბახუსის თაყვანისმცემელი არ იყო, 1819 წელს ასეთ ლექსს უძღვნიდა „ტიკტორასა“:

თიკანი იყავ და ტიკად გარდაიქმც,
მეტიკტორემ იწვალა,
ავლაბრის აღმართზე
მუშის ზურგზე აკრდეთ.
ო! თ! წმინდაე ტიკტორაე!
გააღე ღულა, შეგვიწყალენ!

აწ განსვენებული ალ. ერიციანი 1892 წელს („არძაგანქ“, № 63), ეხებოდა რა ვახტანგ მეფეს, სხვათა შორის, აღნიშნავდა:

„ვახტანგი იმდენად იყო თითქოს სომხურის მკოდნე, რომ ტფილისად ღტოლვად შორითელ ნაყაშ იონათანს ზშირად იწვეუდა თვისთან სომხური სიმღერების მოსასმენლად. ნაყაშ იონათანი, რომელიც მშატვარი იყო და მგოსანიც, თავის ერთ ლექსში, რომელსაც იგი თავის სატრფოს უძღვნის, გვიჩივის, რომ როდესაც უკანასკნელისაგან მიღებულ წერილზე პასუხს წერდა, უცბად ვახტანგ მეფეს გამოუძახია იგი, და წერილი დაუსრულებელი დარჩენია“.

შემდეგ ერიციანს მოყავს ხსენებული ლექსის შესაფერი ტაბები.

1895 წელს ვენის შხითარიანთ კონგრეგაციის თვალსაჩინო წევრმა, ცნობილმა არმენისტმა იაკობ დაშიანმა გამოაქვეყნა იმავე კონგრეგაციის წიგნსაცავის ხელნაწერთა ვრცელი აღწერა, სადაც, სხვათა შორის, მართაქსა (№ 537-ის ქვეშ) დაწვრილებითი აღწერა იმ ხელნაწერისა, სადაც ნაყაშ იონათანის ლექსებია თავმოყრილი.

ამ გარემოებამ ფრიად შეუწყო ხელი იონათანის პიროვნების გამომკლავნების საქმეს.

ამიტომაც მოხდა, რომ ცნობილმა მოღვაწემ არშაკ ჩობანიანმა თვისი ნაშრომის Les Trouvères Arméniens მეორე გამოცემაში, რომელიც გამოაქვეყნდა პარიზს 1906 წელს, ჩარიცხა იონათანი გამოჩენილ მომღერალთა (მელექსეთა) რიგში—სამი ლექსის ფრანგული თარგმანის თანდართვით. ხოლო თვით იონათანის ლექსთა კრებული ვრცელი მონოგრაფიითურთ მანვე გამოსცა იმავე პარიზს 1 10 წელს ცალკე წიგნად შემდეგი სათაურით: „აშული ნაყაშ იონათანი და მხატვარი იონათან იონათანიანი“.

და აი სწორედ ამ გამოცემაში იონათანის პიროვნების ნათელყოფის საქმეში ისეთივე როლი ითამაშა, როგორც საიათნოვას მიმართ ჯერ 1852 წელს გ. ახვერდიანის ნაშრომმა შეასრულა—სომეხთა საზოგადოებისათვის, მერმე კი 1918 წელს ი. გრიშაშვილის წიგნმა—ქართველი საზოგადოებისათვის.

1911 წელს გამოიცა ვენის ზემოაღნიშნული კონგრეგაციის მეორე თვალსაჩინო წევრის, აგრეთვე ცნობილი არმენისტის ნერსეს აკინიანის სპეციალური მონოგრაფია სათაურით: „ნაყაშ იონათანი და ნაყაშ იონათანიანი“ (ეროვნული ბიბლიოთეკა, წ. 65).

ა. ჩობანიანისა და ნ. აკინიანის მიერ გამოაშკარავებული ცნობებიდან ირკვევა, რომ იონათანი, მართლაც, ვახტანგ მე-VI-ის თანამედროვე მოღვაწე ყოფილა. დაბადებულა იგი ს. შოროთს¹ ერინჯაკის რაიონში (ნახიჩევანს ახლოს) 1660—61 წლებში. პირველ ხანს იგი მეფესალმუნედ ყოფილა, შემდეგ კი დიაკონად კურთხეულა და, ამავე დროს, მხატვრად (ნაყაშად) და მელექსედაც (აშულად) ჩანს. გარდაცვლილა 61 წლისა—1722 წელს.

აგრეთვე ირკვევა, რომ იონათანს 2 შვილი ყოლია: იაკობი და არუთინა, რომელთაგან პირველი მამისავეთ მელექსე ყოფილა, და იგია, რომ მამისადმი მიძღვნილ მთელ რიგ ლექსებში ააშკარავებს ბიოგრაფიულ ცნობებს მის შესახებ.

მაგალითად, ერთში იგი, იაკობი, ამბობს:

ბრძანება ჰქონდა მიღებული აეღო საცეცხლური
კეთილ-გონიერ დიაკონ ნაყაშ იონათანს.

მეორეში:

ნატრული დავრბით შენის ნიჭისა და სიტყვისა,—

მე და არუთიუნ პატარა ყრმაშა,

ჩვენ მუდამ ტარილით მიუახლოვდებით შენს საფლავსა

[და] ვაშობთ: სადაზარ, ოსტატო იონათან?

ერთს კიდევ სხვა ლექსში იაკობი იძლევა თავისი მამის შემდეგ დახასიათებას:

¹ შოროთი, უკეთ შოლოთი (შორეთი) საქართველოშიცაა—მესხეთში (ასპინძის ახლოს).

პატრონი¹ ძველ და ახალ ასოთა²,
 მგოსანი, მოძღვარი ნაყაშ იონათან,
 მაჭლით აღსაესე, წყარო მეცნიერებისა,
 საგრამატიკო საკითხავებში განიელოვნებულნი.
 მრავალი მონასტერი და მოძვენი მათნი,
 მეცნიერნი-ნაკითხნი და ლეთისმეტყველნი
 შენ მოგმართავენ და გკითხავენ სიტყვას,
 შენ კი უპასურობდი, ო ს ტ ა ტ ე იონათან.



ანუ კიდევ:

ხელობით მხატვარი და სიტყვისმეტყველი,
 რომელიც ხატავს წმიდათა სახლებს³,
 მარჯვე ხელითა წმიდათა დამხატავი⁴...

და სხვა.

ამნაირად, იაკობი უძღუნის იონათანს შემდეგ ეპიტეტებს: დიაკონი, ოსტატი, მოძღვარი, მხატვარი, მგოსანი, მეცნიერი, გრამატიკოსი და სხვ.

როგორც ეტყობა, იონათანი მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული იმ დროინდელ (XVII—XVIII ს. ს.) სომეხთა საეპარო წრეებთან, რომელთა საშუალებითაც თვისი ნიჭისათვის ფართო გასაქანი მოუნახავს. შას საშუალება მოუპოვებია შორს გასცილებოდა თვის სამშობლო ს. შოროსს „ლტოლვილ ყოფად“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, ჯერ ერთი, იმ ლექსებიდან, სადაც იგი იხსენიებს ფრანგებსა და საფრანგეთს, რომელთაც აქებს („მდიდარი ქალაქია საფრანგეთი“), მოსკოვს და სხვ.

საქართველოს (ქართლს) და კერძოდ ტფილისს კი იგი მრავალჯერ იხსენიებს:

მაგალითად, ერთს ლექსში იგი ამბობს, რომ „ლტოლვილ იყო სსქართველოში“.

მეორეში მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი მისი ლტოლვილობისა ტფილისისაკენ:

ქალების დარდისაგან იონათანი
 წაეიდა ტფილისის ხანთანი⁵.
 სურს სამშობლო იქ მოიპოვოს,
 დემ განთავისუფლდეს ქალთა ტვირთისგან.

ცნობილ ლექსში კი „ხოტბა საქართველოს კეკლუცებს“, რომლის სრული თარგმანი, შესრულებული ი. გ რ ი შ ა შ ე ი ლ ი ს მიერ, ქვემოთ იბეჭდება, იგი პირდაპირ ამბობს:

ვაქებ გულით-სიზარულით
 პატოსან ქალაქ ტფილისს,

¹ დედანში—ქართულარი (ქართულარი), ე. ი. მდივანი.

² ე. ი. ჩ ო ბ ა ნ ი ა ნ ი თ — გრაბარისა და აზბარბარისა, ანუ „ძველი“ და „ახალი“ სომეხობისა, ხოლო ა კ ი ნ ი ა ნ ი თ — ძველ და ახალ აღთქმათა.

³ ე. ი. ეკლესიებს.

⁴ ე. ი. ფრესკების დამხატავი.

⁵ იტფილისზედა ვაზტანგ VI.

ფრიად ღამაზ-საყვარელ არს
გურჯისტანის გოზაღები¹.



ქართული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო რომ იონათანი ახლო მდგარა ქართველ მეფეთაჲს² კჳრამაჲს³ სახელ-
დობრ „საქართველოს ხანთან“, რომლის ქვეშეც იგი ვახტანგ მე-VI-ეს ჰგულის-
ხმობს, ეს ნათლად ჩანს სატრაქოსადმი მიძღვნილი ერთი ლექსიდან, სადაც იგი
ამბობს:

წერილს ვწერდი შენს სახელზე,
ვიკონებდი სიყვარულის სიტყვასა,
ჩემს დესაძაბად გამოგზავნა ვახტანგ ხანმა,
შენ როგორ დაგივიწყო, ცქვიტინაჲ,
როგორ მოგშორდე, ცქვიტინაჲ.

რომ იონათანი, მართლაც, ახლოს მდგარა ვახტანგ VI-ესთან, ეს, სხვათა
შორის, მტკიცდება ქართული წყაროთიც. ჩვენ ვპგულისხმობთ ვახტანგის მიერ
ქირმახში შეთხზულ ლექსს, რომელსაც წინ დართული აქვს შემდეგი მინაწერი:
„ქ. კს უნდ (==454+1312=1766) დაიბადა დაეით და იონათან აპრილა კმ
(==23) დიდსა კვირიაკესა პასეკოსასა წა აღდგომას“ (ქ. შ. წ.-კ. გ. ს, წიგნსა-
ცაეის № 1624)². იონათანის დაბადების თარიღად 1766 წ. აქ, რასაკვირვე-
ლია, შეცდომითაა ნაჩვენები.

ერთს ხელნაწერში, რომელიც ლექსთა კრებულს წარმოადგენს და რომელ-
შიც, სხვათა შორის, საიათნოვა—„სტეფანე მკერვალის“ ლექსებიცაა თავმო-
ყრილი, მოთავსებულია იონათანის ცნობილი ლექსი სომხურ ენაზე „პატკირ მი
ტესა ლუსნი ნან“, ქართული ასოებით, შემდეგი სათაურის ქვეშე: „იონათანის
ნათქვამი“ (ქ. შ. წ.-კ. გ. ს. № 3686)³.

თვით ლექსის ტექსტი საგრძნობლად განირჩევა ცნობილი რედაქციისაგან,
რომელიც გამოცემულია ა. ჩობანიანის მიერ (გვ. 45—49), ჯერ ერთი,
იმიო, რომ იგი გადაკეთებულია ტფილისის კილოზე და 20 ტაეპის ნაცვლად
შათლოდ 10-ს შეიცავს შემდეგი მიმდევრობით: I, II, VII, IV, XIX, III, VI, V,
XII, სადაც შეცხრე ტაეპად სულ ახალი ხანაა მოთავსებული:

ძირ ბაღზემა წალიც ვ შარაწ,
ანუშ პუტენ ხილქს ვ ტარაწ,
მნაცილომ აისპეს პაშარაწ,
იარაბ უმ გნამ, ზალუქ, ზალუმ.
აის კუ ხარშანამ, ამან, ამან!

საფიქრებელია, რომ როგორც ეს ლექსი, ისე ყველა ზემოაღნიშნულები,
სადაც კი იონათანი იხსენიებს საქართველოსა ან ტფილისს, მათ შორის ი. გრი-
შაშვილის მიერ თავისუფლად ნათარგმნი „ხოტბა საქართველოს კეკლუცებს“,
შეთხზული იყოს მის, იონათანის, ტფილისში ყოფნისას. ეს კი ფრიად აღვილი
გამოსაანგარიშებელია: 1703—1722 წ. წ. (სადაც 1703—, ვახტანგ ხანის“ სა-

¹ ე. ი. საქართველოს კვლევები. ეს ტაეპი იხ. აგრეთვე: ლ. მელიქსეთბეგი, საიათნოვას
ენობა, ტფ. 1930, გვ. 42.

² E. Takaišvili, Описание рукописей, II, 169.

³ იქვე, 368.

ქართველოს შმართველად აღიარების თარიღია, ხოლო 1722-თვით იონათანის სიკვდილისა).

სხვა ფრივ აღსანიშნავია იმავე ლექსის მე-IV ტაეპის, ეჭთოჲს დეველუ შემდეგი შინაარსისა (სატრფოს დახასიათებით):

გულ-მკერდი წყაროა—ორი ლელა,
ქართველთა ლენის მრგვალი კელა.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ლიტერატურა-ხელოვნების ასპარეზზე ცნობილი იყვენ არა მხოლოდ ნაყაშ იონათანი და მისი შვილი იაკობი, არამედ მისი შვილისშვილი იონათან ნაყაშიც (შბატვარი), რომელიც საიათნოვას თანამედროვე იყო. მის მიერ მოხატული იყო, ჯგუ ერთი ტფილისის ე. წ. „ციხის პატარა ეკლესია“ ანუ პრეშტაკაპეტო (მთავარანგელოზი), რომელიც შეითანბარში იყო (აბანოებთან), მერმე—ეჯმიაწინის საკათალიკოზო ტაძარი, აგრეთვე ზოგიერთი შენობები საქართველოსა და სომხეთ-სპარსეთსა¹. ვარდა ამისა. ამჟ. გ ი გ ო შ ა რ ბ ა ბ ჩ ი ა ნ შ ა ახლახან მაცნობა, რომ მას ცნობა მოეპოება თითქოს იონათან ნაყაშის მიერ იყოს მოხატული ბოდბის მონასტერიც ქიზიყში.

ქვემოთ მოთავსებული თარგმანი ლექსისა „ხოტბა საქართველოს კეკლუცებს“ შესრულებულია ი. გრიშაშვილის მიერ თანახმად სომხური დედნისა, რომელიც გამოქვეყნებულია ა. ჩობანიანის წაგნში.



¹ შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი—საიათნოვას ვინაობა, გვ. 20.

იონათან ნაყავი

(1661—1722)

ხატბა საქართველოს კეკლუცებს

მინდა ვაქო მზიარულის გულითა,
ქამანჩითა¹ სიმღერითა, კულითა²,
მშვენიერობენ სილამაზით სრულითა
— საქართველოს მშვენიერი ქალები.

იქ წიკწიკებს თბილ გოგირდის ჰამამი³.
ბანაობენ ხათუნები თამამი.
სურნელობენ ისე, როგორც შამამი⁴.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

ჟუჟურებ და წითელ-ყვითლად ღვივიან.
თაიგული, ვარდი ღვთაებრივია.
ვინც ვერ ხედავს—ბედს სწყველიან, სჩივიან.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

ყალამ-წარბი შვილდობს, როგორც ქამარი,
თვალში მზე აქვთ—ვახ, რა კარგი რამ არი.
შემოუკრავთ ტანს მურასა⁵ ქამარი.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

რა თმები აქვთ—სულ დასტებად დაწნული,
სახე—მთვარე, გაბანდრული ქალწული.
თვით დუშმანმაც⁶, აბა, ვით დასდოს წუნი!
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

მათი ხედვა—უბრალო და თბილია,
ტანადობა ზეცით დალოცვილია,
მკერდი—ვიწრო, ტანი—ლეღი⁷ წვრილია.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!



საქართველოს ხალხი ღონიერია,
სხვა მილეთზე უძველესა ერია,
ურცხვი მტერი ბევრჯელ მოიგერია.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

თუ ღბინშია—უკრავს ჰანგებს საკრავზე.
სიტყვის ზღვა აქვთ, ენა—თაფლით აღსავსე,
ღვინის სმის დროს, სკლიან ჯიხეებს და თასებს.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

ვით ფარშევანგს უყვართ რება და რხევა.
მათი მკვრეტი—კევიდან გადაირევა.
განთქმულია მათი სახიერება.
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

ტანთაბაში მათ იციან ფარეზი¹.
უკან დასდევთ მოახლე და ფარეზი,
კეკლუცობენ მწვანე არემარეში
— საქართველოს მშვენიერი ქალები!

მე ნაყაში ცოდვილი ვარ, ბრალი ვარ.
ქართველ ქალის სიყვარულით მავრალი ვარ.
მინდა ვაქო,—მაგრამ, ვაი, მერთალი ვარ...
— საქართველოს მშვენიერი ქალები!...

თარგმანი

ი. გრიშაშვილისა.

P. S. ლექსი დაწერილია სასილღეროდ, მუხამბაზურ ფორმის ყაიდაზე. ამიტომ არის რომ ლექსის ყოველი ხანის შემდეგ დასტალულად (რეფრენ) მეორდება: „საქართველოს მშვენიერი ქალები“, რომელიც ხშირად არ ვრითმება პარალელურ სტრიქონს.

მთ



¹ კიანური

² სასმისი

³ აბანო

⁴ დასტაბო, პუმჰულა, სურუნელოვანი პატარა ნესვი

⁵ მოხდენილი, სათუთი

⁶ მტერი

⁷ ნორბი ღერწამი

⁸ სისუფთავე, მწვინეკა (კამასაში კი ფარეზი დიეტას ნიშნავს).

ქართული მკვლევარის

საქართველოს
ისტორიის

„ქართული ხალხის ისტორია“ ინვლისურ ენაზე

1932 წელს ლონდონში გამოსულა ინგლისელი მეცნიერის ვ. ე. დ. ოლენის „ქართული ხალხის ისტორია“ 700 გვ. (A. History of the Georgian People, from the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century by W. E. D. Allen. — დასაწყისიდან რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდის მე-XIX ს.). წიგნი გამოცემულია Keagen Paul, French Frubner et. C. o, Ltd.-ის მიერ.

წინასიტყვა დაწერილია ლონდონის ორიენტალური ინსტიტუტის დირექტორის დენისონ როსის მიერ (Sir Denison Ross).

წიგნი შეიცავს 428 გვ. წიგნს თან ახლავს ორი ისტორიული რუკა: ა. ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა (1—მე VII საუკ.), ბ... ისტორიულ გეოგრაფიული რუკა საქართველოს სამეფო დინასტიისა დასაწყისიდან მე-XIX ს. გარდა ამისა, ვრცელი დიაგრამა საქართველოს და საშუალო აღმოსავლეთის ურთიერთობათა ნათელსაყოფი. ამ დიაგრამაში ნაჩვენებია აზიურ და ევროპულ თავდასხმების მიმართულებანი, კულტურის ფლუიდების მოძრაობის გზები.

წიგნი შეიცავს ხუთ ნაწილს:

ძველი დრო.

1) საქართველოს მიწა და კავკასიის შთის ბუნება, 2) ბრინჯაო და რკინა, 3) ლითონით მკოდნობა, 4) მატრიარხატი, კერპები და იმპერატორები, 5) ძველი საქართველოს ისტორიული გეოგრაფია.

II. საშუალო საუკუნის დინასტია: 1) საშუალო საუკუნის დინასტიის წარმოშობისათვის. აბხაზთა მეფენი, 2) საქართველოს მეფეთა ზენიტი (აღმაშენებელიდან თამარ მეფემდის 1089—1212), 3) ქართული მონარქია მონგოლების დროს (გიორგი IV, დავით VI—1212—1318), 4) საქართველოს უკანასკნელი მეფეების ბრწყინვალე და შავი დღეები.

III. საქართველოს სამეფო-გვარეულობის ევოლუცია: 1) დანაწილებისა და დაქუცმაცებისკენ მიმართული ომები. 2) ისლამური იმპერიალიზმის აღორძინება. 3) ინტერესთა წინააღმდეგობანი იმპერიებს შორის. მეფე სვიმონი. 4) თეიმურაზ პირველი. 5) მონარქიის მეურვენი (მუხრან ბატონები 1656—1722). 6) პეტრე დიდი და ნადირ შაჰ (1772—1747). 7) ბაგრატიონები ინდოეთში: თეიმურაზ II და ირაკლი II (1647—1798), 8) საქართველოს მეფეების აღსასრული (1769—1813).

IV. ხალხი და ხელისუფლება. 1) თემი და კლასი, 2) დაბალი და საშუალო კლასები საშუალო საუკუნის განმავლობაში (საქართველოში) გაბატონებული კლასები, 4) პატრონობის ინსტიტუტი, 5) მეფის (ქაჩი/დამაძმინის-ტრაქია, 6) რელიგია და საქართველოს ეკლესია, 7) სჯულისდება საქართველოს სახელმწიფოსა, 8) მონებით ვაჭრობა, 9) მოსახლეობის შემცირება.

V. ცხოვრება საქართველოსა. 1) საშუალო საუკუნის ხელოვნება საქართველოში. 2) ქართული ლიტერატურა. 3) დინასტიის სიმდიდრე და მდგომარეობა. 4) ქართველების შავი დღეები მე-18 საუკ.

წიგნს დართული აქვს ინტექსტი და შემდეგი ილლუსტრაციები: საქართველოს მეფის ირაკლი მეორის სურათი (მეორე გვერდზე), აწყურის ციხე, ციხის წყლის სანახები სადადიანო სვანეთში, არტანუჯი, მდ. მალარაულის ხიდი (ფშავეთში), უშგულის (სვანეთი), მესხეთის მონასტრები: საფარა და ოპიზი, ლავანის წმ. გიორგის ხატის რეპროდუქცია, ხახული ხის კარის ხანძთა და შატბერდი, ლავანის მთავარ ანგე-ოზის ხატი (რეპროდუქცია), უგვირის მთა (სვანეთი), კახეთის მეფე ალექსანდრე II, გორის ციხე (პალერმოს მუზეუმში დაცული კასტელის ილლუსტრაციის რეპროდუქცია), დიდი მოურავი (კასტელისავე), ქართლის მეფე ხოსრო (მისივე), თეიმურაზ I და მისი მეუღლე, თეიმურაზ II, გუდანელი ხეცსურებს ფარიკაობა, შატილი, მეგრელი დიდებული მე-17 საუკ.—ვამეზ ლიპარიტიანი (კასტელისა), ნიკოლოზ ირბაში (Nicolas Erbash) ანუ Nicephorus, surnamed Irbarghi, Nuntio of the King and of the Patriarch of Georgia, who went to Rome, to Urban VIII in 1626 to ask him to send to his country apostolic ministers კასტელი, ლებაისკარელი ხეცსურის ქალ ბი ლავანის მაცხოვრის ხატის რეპროდუქცია, ხახულის ღვთისმშობლის ხატის რეპროდუქცია, გრ. ხანძთელი Gharis Beazley-ის ნახატი, კასტელის მიერ შესრულებული „ჯირითი“, ალექსანდრე III იმერთა მეფე, (კასტელისა), ამ სურათს სხვათა შორის მარკო პოლოს მოგზაურობიდან ამოღებული ცნობა ახლავს: თითქოს ბაგრატიონებს დაბადებიდან არწი, ი ჰქონოდესთ მხრებზე დახატული (the statement of Marco Polo that all the King of Georgia were in ancient olays... born with the mark ofis an eagle on their Shoulder“. აქვეა კასტელის ნახატი მამია გურიელი (ცხენოსანი) (გვ. 348).

მისივე, ზაქარია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ლებაისკარელი ხეცსურელი დედაკაცები (ფოტო-სურათი), მარი ბროსე საქართველოს ისტორიკოსი (ფოტო სურათი), დასასრულ საქართველოს ისტორიის ბიბლიოგრაფია; ქართული, რუსული, ბერძნული, ლათინური, ისტორიული ლიტერატურა (საქართველოს შესახებ).

ავტორი საქართველოში ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, უშუალოდ გაუკენია ჩვენი მუზეუმები, უმოგზაურნია, შეუსწავლია ჩვენი კულტურისა და ისტორიის ძეგლები.

ამ პატარა შენიშვნას არაფითარი პრეტენზია არა აქვს პატივცემულ მეცნიერის ფრიად სერიოზული ნაშრომის გარჩევსა. სამწუხაროდ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არა ვარ, ჩემი ერთადერთი მიზანია, სპეციალისტების,

ისტორიის მოყვარულთა და დასასრულ ზენი გამომცემლობის ყურადღება მივაქციოთ ამ დიდ მოვლენაზე.

ამ წიგნში მოთხრობილია მთელი ისტორია საქართველოს, ანუ ქვეყნის მარტივი და ბრწყინვალე ენით, ასე გვეგონებათ რომანს კითხულობდით.

ავტორს, როგორც სჩანს, საკმარისად შეუსწავლია როგორც ქართული ენა, ისე პირველი წყაროები.

მე ყურადღება მივაქციე იმ გარემოებას, რომ მისტერ ოლენი საქართველოს გეოგრაფიულ ხომეკლატურას, ისტორიულ პირების სახელსა და გვარს ლათინიზებული ან რუსული ფორმით როდი ხმარობს, არამედ ქართული დაწერილობის მიხედვით, მაგ. ავტორი ხმარობს: მტკვარს, ფშავეთს, აბხაზეთს, ჯიქეთს, კახეთს, ქართლს, ოსეთს, სამცხეს, სამეგრელოს, ჭანეთს და სხვ. ლათინიზირებული ფორმა შეუძნაბავს მხოლოდ ტფილისის მიმართ (Tiflis).

ქართველ ისტორიკოსთა შორის, იგი ემყარება ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარის, მ. წერეთლის, ზ. ავალიშვილის, მარა ბროსსეს, ვახუშტის, ვახტანგ VI, ჯანაშვილის, თაყაიშვილის ცნობებს და დაკვირვებებს. ჩინებულად ერკვევა ქართლის ცხოვრებაში.

წიგნის ზედაკანზე დაბეჭდილია Kaegen Paul-ის ანოტაცია:

„თითქმის არავითარი მასალები არ მოგვეპოვებოდა ინგლისურ ენაზე როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ლიტერატურის შესახებ. ავტორს ექსტენსიურად უმუშავენია საქართველოში, ინგლისელი მკითხველისათვის მან ხელმისაწვდომად გახადა საქართველოს და რუსეთის მეცნიერების კვლევის დასკვნები (ამ საკითხებში)... ოლენის წიგნის თავებში მოცემულია საქართველოს საშუალო საუკუნის ისტორიის სოციალური ორგანიზაციის სურათი, რომელიც დღემდის საჭებია ხელმოუწოდებელი იყო ევროპის შედარებითი სოციოლოგიისათვის, ქართველების ზნეჩვეულებანი, მათი ვაჭრობა და ურთიერთობანი მეზობელ ქვეყნებთან, ქართული ხელოვნება საშუალო საუკუნეში, ბიზანტიისა და აღმოსავლეთის გავლენანი და სხვ.“

ისტორიული მიმოხილვა დაწყებულია ბრინჯაოს და აღრიან რკინის ეპოქიდან, ეხება საქართველოს სამეფო დინასტიას.

დენისონ როს, თავის წინასიტყვაში დიდის კრძალვით იხსენიებს მარიფელისიტე-ბროსსეს, რომელმაც თავისი ფუნდამენტალური შრომით „საქართველოს ისტორია“ L' Histoire de la Georgie—საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიას ევროპაში და ვორდროპებს, ოლიერს და მარჯორის, რუსთველის, „ვისრამიანის“, და საბა ორბელიანის მთარგმნელებს და დავით აღმაშენებელს ნორმანდიის მეფეებს აღარებს და შემდეგ შესაფერ რეკომენდაციას უკეთებს მ. ოლენის ნაშრომს.

პირველი ფავი ბიძღენილია საქართველოს ლანდშაფტებისა და მთა კავკასიის მდებარეობისა და სილამაზისადმი. პირდაპირ პოეტური ენით აღწერილია საქართველოს ბუნების მშვენიება და მრავალსახეობა, დარიალიდან სამცხის სამხრეთ საზღვრებამდის, აბხაზეთიდან დარუბანდამდის.

დიდის ოსტატობით სარგებლობს ანტიურ ლიტერატურაში, დაბადებაში და უძველეს წყაროებში მოცემული ცნობებით (ეყრდნობა შანტრის, ივ. ჯავახიშვილის, მარის, სენ მარტიტნის, პიკის, ს. რაინახის, სეისის, ლეჰმანის, ბროსსეს დასკვნებს).

აღტაცებულია ქართული აღფაბეტის აღნაგობრივი სიღმეზიითა და სოციალი მოხატულობით, ფრიად ორიგინალურს და მრავალბგერიანს უწოდებს მას, სამწუხაროდ ქართ. აღფაბეტის გამოგონებას ფარნაოზს მიწერს (ლევინდის მიხედვით). იქვე მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ივ. ჯავახიშვილის შრომა — ქართული დამწერლობა, ხელთ არაა ჰქონია.

დიდხანს არკვევს საშუალო საუკუნის წოდებრ ივ და კლასსურ ურთიერთობას, აქაც ქართული ნომენკლატურა აქვს დაცული: გლეხი, მონა, ყმა, მსახური, აზნაური და სხვ.

ფრიად საინტერესოა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნაკვეთები. ხსენებულ ნაკვეთებს წამძღვარებული აქვს რუსთველის „შაირობა ძველთაგანვე სიბრძნისა ერთი დარგი“ და სხვ. მთელი ტაძვი (ვორდროპის თარგმანიდან).

დიდის პათოსით, გულხმიერებით და სიყვარულით დაუწერია ეს თავებიც. გასაოცარს ერუდიციას იჩენს საქართველოს, სომხეთის და ისლამურ ქვეყნების პლასტიურ ხელოვნებების ცოდნაში. აქვე აღიარებს, რომ ჯერაც მეცნიერულად დადგენილი არაა, თუ რა კავშირი არსებობს ცალკერძ ქართულ-სომხურ და ცალკერძ თუნდაც კავკასიის ბრინჯაოს ხანის ხელოვნებას შორის. ე. ი. არაა გამორკვეული — ბრინჯაოს ხანის კავკასიური ხელოვნება ნაციონალურია თუ არა? აქვე ეხება ქობანის და კოლხიდის უძველესი მატერიალური კულტურის ნაშთებს. დაწვრილებით ეხება ბიზანტიურ და ისლამურ ზეგავლენებს ქართულ ხელოვნებაში. მოძღვრებაში, საერთოდ პლასტიურ ხელოვნებაში. დაწვრილებით განხილულია: აზნაურთის, ოდიშის, სვანეთის, ქართლისა და სამცხის უდიდესი ტაძრები და ხატები, ძველი ბიზანტიური ზეგავლენა, ნაციონალური მანერისა და ენარის პირველი პერადი. ხანგრძლივად იკვლევს სვანეთში დარჩენილ ზაზილიკის ტიპის ტაძრების აღნაგობას.

ქუთაისის, დრანდის, გელათის, მცხეთის, დოლისყანის და თორთომის ტაძრებს უდიდესის ყურადღებით ექცევა. ტექსტში მოთავსებულია ბაგრატის ტაძრის ფასადის სურათი (დუბუა მონტპეროს რესტავრაციის მიხედვით). დიდ აღტაცებას გამოსთქვამს სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, ოდიშისა და სამცხის, ტაძრების ფრესკებისა, მოზაიკის და მინიატიურების სიმშვენიერეთა და ორიგინალობით მოხიბლული.

წამოთვლილი და განხილული აქვს თითქმის ყველა, უძველესი ხელნაწერი, როგორც საეკლესიო, ისე საერო ლიტერატურისა.

საშუალო საუკუნის ქართულ ლიტერატურისადმი მთელი ნაკვეთი მიუძღვნია. „შუა აღმოსავლეთის კულტურებში, წერს ავტორი, ქართულ საშუალო საუკუნის ლიტერატურას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს“.

ნიზამის, ტასოს და არიოსტოს აღიარებს რუსთველს და წარამარა მოჰყავს რუსთველის ციტატები, რომელიც სამწუხაროდ ვორდროპის პროზაულ თარგმანში მხოლოდ აჩრდილია რუსთველის გენიალური ლექსისა.

კონსტანტინე გამსახურდია.



ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა

ქართული

წელიწადი შესრულდება მისში, რაც საქართველოს მუზეუმის ხელშეწყობით ისტორიის განყოფილებამ შიამოო ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა. ღია სამ დღეში ერთ-ბელ, მაგრამ მაინც წლის განმავლობაში 4000-ზე მეტი სხვადასხვა მნახველისაგანაა დათვალენ-ერებული. მნახველო რიცხვი კალაქის მუშებსაც შეხედბოდიტ სოფლისასაც. თვალს აკლდა მხოლოდ ქართველი მშრომელი ინტელიგენცია. როგორც ეტყობა ქართული წარსულის ნამო-კმედარის ავ-კარგიანობით ვერ დაინტერესებულან. ვფიქრობ ესტრუქტურ გრძნობებს მოკლებული არ უნდა იყვნენ ამ უჯრის ინტელიგენციის წევრები და სწორედ ამ მხრივ გამოფენისადმი მათი გულგრილობა მათისევე სახარალოა. ქართული ხელსაქმის ნიმუშები ნამდვილი მცირე ხელაუნებაა, მასზე უცხოეთის გამოჩენილი მწერლებიცე ლაპარაკობენ.

მართალია გამოფენილი ნიმუშები უმთავრესად მე-XVIII საუკუნის დამლევისა და მე XIX საუკუნისა (უფრო ადრეული გამოუფენელია), მაგრამ წინა ხანებთან უშუალოდ გადაბმულია და თავისი ფერების შენამებით, შესრულების ტექნიკით, სახეების სიმრავლიტ იშვიატ სანახ-ობას წარმოადგენს ადამიანის თვალისა და გემოვნებისათვის. აქ ერთნაირად მრავალია მასალა მხატვრისათვისაც, მწერლისათვისაც, ხელოვნების თეორეტკოსისათვისაც და მათთვისაც ვინც ხელსაქმეს მისდევს. ვფიქრობ ბევრ (რამეს შეიძენენ ახიაში განტყულის ქართული ხელსაქმის ნიმუშებისაგან. აი რას სწერს სხვა ფაქტებთან ერთად რუსეთის ფინანსების მინისტრი გურვეი გენერალ რტიშჩევს, 1812 წელს, მისის 2-ა (Акты собранные Кавказской Археогрфич-ческой Комиссией, V т., გვ. 334.—О отвыских товарах из Грузии в иностранные владения и соседняя провинция). ებება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთი მხარის რუსეთს ვერ არ შემოერთებოდა). მომყავს ქართული თარგმანი: „ოქრომკედლითა და ვერცხლმკედლიტ შესრულებული ქართული ხელსაქმე, რომელიცე გააკეთა სპარსეთსა და ოსმა-ლეტში, ითვლება ახიაში საუკეთესო ნაქარგობად და ფასდება ღირსებისა და მდიდრულობის მიხედვით 50-დან 400 მანეთამდე ვერცხლიტ. თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ამ ნაქარ-გობას, რომელსაც იძენენ სპარსელები და ოსმალები როგორც ფუფუნების საგანს გასდევს შეუმჩნეველად ოქრო და ვერცხლი, ძალიან სასარგებლო იქნებოდა, თუ ამ ნაქარგობის ღირე-ბულობას დაეძება თითო მანეთზე თითო შაჟრი გადასახადი ვერცხლიტ“. ამაზე წინ წერილში ჩამოთვლილია, თუ ქართული ხელსაქმის რა ხასიათის ნიმუშები გააქონდათ სპარსეთსა და ოსმალეთში, სახელდობრ: ოქრომკედლი და ვერცხლმკედლიტ ნაქარგი მოკაზმულობანი ცხენისა ყაჯრების, სავარძლების საფენები, ბალიშის პირები და მოსახევეები.

მოყვანილი თარგმანი გვეუბნება, რომ ქართული ხელსაქმის ნიმუშები ახიაში საუკეთე-სობად ითვლებოდა, იყიდებოდა როგორც მორთულობა და შესრულებული ყოფილა წმინდა ოქროით და ვერცხლიტ.

რაკ იმდენი მზადდებოდა ამგვარი საქონელი რომ გასაყიდათ გააქონდათ, თქმა, არ უნდა საქართველოში საამისო სახელოსნოები არსებობდა.

ხელსაქმის ცოდნა გაერცლებული ყოფილა როგორც გაბატონებულ კლასებში, ისე დაბალ ფენებში. გამოფენის მასალები გვეუბნებიან, რომ გემოვნებაში დაბალი ფენები არ უარდებოდენ გაბატონებულ კლასებს, ვერც ერთი ვერ ინელგება მყივრალა, ტყუატანი ფერებს. ეტანებოდენ ნახსა და წენარ ფერებს. ბატონ-ყობის გადაყარდნამდე მალალი კლასი უკლებრივ დაბალი კლასის მუშა ხელიტ გამოდითოდა ცხოვრებაში და ახალ-ახალ ძალესს აყარჯიშბდა ყოველნაირ საქმეში თავის სასარგებლოდ და თქმა არ უნდა ხელსაქმეშიაც. ბატონის ცოლს მუდამ ჰყავდა ხელსაქმეში ჩაბმულ გლეხის ქალები. ასეთი მოვლენა ხელს უწყობდა ორივე კლასის გემოვნების იდენტურობას.

გამოფენის ექსპონატების მიხედვით აშკარა განსხვავება მოსტანს მხოლოდ ქარგვაში მხარუბული მასალის ძვირფასიანობასა და იაფფასიანობაში და ხელსაქმის ნიმუშების სიფარ-თოვეში. მალალ კლასს აბრუშუშთან ერთად მოშველიტებული აქვს ბლომად ოქრომკედი, ვერცხლ-მკედი, კლდეტები, პეტალეები და სხე. მისი ნაქონი ნიმუშები დიდი ზომისაა, ძვირფას ნიადაგზე შესრულებული, დაბალი კლასის ნაქონი კ—ნაკლებ ფართოა, შესრულებულია მცირე წილი



მხოლოდ აბრეშუმის ძაფებით, შედარებით იაფფასიან ნიადაგზე, მაგრამ ფერების შეხამებაში, საბუბის შერჩევაში წუნი არ დაედება.

გამოყენაზე არის ტანისამოსი ნაქარგი ნაწილები, ნაქარგი *არქტარქტის* სხვადასხვა ჯურისა, ნაქარგი და ნაქსოვი ფენტისამოსლები, ოჯახში სახმარი ნაქარგი საგნები—ბოზჩები, დორები და სხვა, ცხენის მოკაზმულობანი—ყაჯრები, და საგრძობი რიცები მივიწერი ხელსაქმის ნიმუშებისა. გამოყოფულია სახეების ანალიტიკური ტაბულაციც.

მნახველის სახელმძღვანელოდ გამოცემულია გამოყენის „გზამკვლევი“ კართულად და რუსულად. არის აგრეთვე ხელსაქმის ზოგიერთი ნიმუშები ღია ბარათებზე წარმოდგენილი.

ირ. სონღულაშვილი.

იყალთოს ნაქროკოლი

ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში მრავლად მოიპოვება ბრინჯაოს კულტურის ცენტრები, რომელთა მეცნიერული შესწავლაც უკრ ძლიერ დაბალ დონეზე დგას. ქვეყნის წარსულისა და მის სხვადასხვა ნაწილთა შორის გეოგრაფიული და კულტურული ურთიერთობის სურათის გასათვალისწინებლად საჭიროა მის ტერიტორიაზე, სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტების ურთიერთშორის შედარებითი შესწავლა.

საქართველოში გარდა ცალკეული სამარხებისა ბლომად მოიპოვება აგრეთვე ვრცელი ნეკროპოლები. საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად ყოფილა ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები და ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდ ცენტრსაც წარმოადგენდა. ამ ცენტრების დადგენა-გამოკვლევა მხოლოდ არქეოლოგიური გზით არის შესაძლებელი.

რა პერსპექტივებს ხსნის ამ გვარი მხეილი არქეოლოგიური ცენტრების შესწავლა? ამ ცენტრების შესწავლამ უნდა ცხადყოფს საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ეთნოლოგიური და კულტურულ-გეოგრაფიული სამყარებისა და მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხები. ამ პუნქტების კომპლექსური შესწავლა ჩვენ საშუალებას მოგვცემს აღუადგინოთ ერთის მხრივ ამა თუ იმ ეთნოლოგიური ერთეულის შინაური ცხოვრება მის კულტურულ-გეოგრაფიულ და სოციალურ დარგში. და მეორე მხრივ, ცალკე კომპლექსთა ურთიერთ შორის შედარებით შესწავლის ნიადაგზე, კი განვივარცხეთ ამ კომპლექსთა შორის ეთნოურსა და კულტურულ გეოგრაფიული ურთიერთობას.

ერთერთ ასეთ ცენტრს წარმოადგენს თელავის რაიონის სოფ. იყალთოს ნეკროპოლი. საქართველოს მუზეუმში მიღებული ცნობის ნიადაგზე ხსენებულ პუნქტში საინტერესო არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შესახებ, მუზეუმის დირექციამ გასული წლის სექტემბერს ადგილობრივ მიავლინა თავისი მეცნიერი თანამშრომელი, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა მუზეუმის დირექციას იყალთოს არქეოლოგიური ობიექტის შესახებ.

მოხსენებაში სხვათა შორის ნათქვამია: „მიდამო, რომელიც წარმოადგენს ცივ-გომბორის მთის კალთას და ნოთავესებულია აღმოს. მიდ. თურქოს, დასავლ. ჩემთბევის, სამხრ. ნიაურას მთასა და ჩრდელ. შარაგზის შორის,—შედიავს კვადრატულ კოლონატურზე მტ ფართობს. ეს მიდამო უკრ კიდევ რამოდენიმე წლის წინად სწორ ზედაპირს წარმოადგენდა, მაგრამ ეწლა იქ უკვე ორი პატარაა ხრამია შექმნილი ნიაურას მთიდან ჩამომდინარე წვიმის წყლის ნაკადის მიერ. სწორედ ამ ხრამების ორივე მხრით მოჩანს აუარებელი სამარხები, რომლებზედაც მიუთითებს თიხის ტურბლები ან ბრინჯაოს ნივთები, ზოგიერთ ადგილას კი თვით სამარხის სიბიჭვები. განსაკუთრებით წვიმის შემდეგ ადგილი აქვს ხოლმე ასეთი ნივთების მრავლად გამოჩენას, რომელთაც მოსახლეობა უმრავლეს შემთხვევაში ანადგურებს. კერძოდ ჩემ მიერ ჩამოტანილი ბრინჯაოს შუბი და მასთან მყოფი ტურბული სამახვეროდ მოჩანდა მიწიდან.

ჩუმათბევის მარჯვენა მხრით მალად კლდეზე, რომლის სიმაღლე ათ მეტრს აღემატება, ცხრა ადგილას გადმოკიდულია სამარხის სიბი ტყები და ჩონჩხის ნაწილები, ხოლო ხვევის მარცხენა ნაპირზე მოქ. არსენიშვილის კალაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთები და ანდუგარივე სამარხი. ცხადია, რომ სამარხები ხვეის ორივე მხრით უნდა ვიგულისხმოთ. ეს მიდამო სამარხ-

თიდან ჩრდილოეთისაკენ თანდათანობით ძირს ეშვება და შორა გზასთან უკვე უკვენი გადადის. სამარხები ამ ეკვე ნაწილშიც მოიპოვება, რომელთაც მოსახლეობა მიწის დაძვლებას დროს პოულობს.

სამარხებში აღმოჩენილი ნივთები მოწმობენ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ბრინჯაოს ხანის სამარხებთან, რომლებიც უხედა შეიცავენ ბრინჯაოს ნივთებსა და განსაკუთრებული ფორმის კერამიკას. სამარხების ასეთი დიდი ფართობი იმ დროინდელი მოსახლეობის სიმრავლეზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილას მოსახლეობა ცენტრი უნდა ყოფილიყო... და მართლაც ნიაურას მთაზე, რომელიც ებლა ტყით არის დაფარული, მრავლად მოიპოვება შენობების ნაშთები. მდებარეობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ადგილას იყო მოსახლეობა და ქვევით კი სასაფლაო. ამის შესწავლა ძლიერ საინტერესო იქნებოდა.

იყალბოში აღმოჩენილი ნივთები თავისი კულტურით უახლოვდება ა/კ. სხვადასხვა პუნქტების ცნობილ ბრინჯაოს ნივთების კულტურას და იძლევა საინტერესო მასალას ამიერ-კავკასიაში ბრინჯაოს კულტურის გავრცელების საკითხის შესახებ აქედან. ამ მხრივ იყალბოს სამარხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება...

ერთის მხრივ იყალბოს სამარხების მეცნიერული მნიშვნელობის გამო, მეორე მხრით კი მათი გამანადგურებელი ხელისაგან დაცვის მიზნით, საჭიროა ამ სამარხების სისტემატური-მეცნიერული გათხრა. ამ საქმისათვის ზრუნვას დაუფრთხილები უნდა შევედგეთ.

ამ მოხსენების საფუძველზე საქ. მუზ. უშია მიერ განათლების კომისიის წინაშე აღძრული უუამდგომლობის შედეგად გადაწყვეტილია მომავალ ზაფხულს იქ სისტემატური არქეოლოგიური გათხრის დაწყება.

გ. გოზალიშვილი.



„მნათობი“ № 5-ის შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

ქართული
ლიტერატურის
კვლევის
ინსტიტუტი

83-

ვახილ ბარნოვი—დედის ხელი (მოთხრობა)	3
ალ. აბაშელი—ლირიკოსი და მეზალე (ლექსი)	23
თინათინ ტაბიძე—ლექსებიდან „აპრილი ორპირში“	27
ვანტ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები (ტრილოგია, ვაგრძელება)	29
ვარ. შუკული—წიკლაურის ბილიკი (ლექსი)	48
კონსტ. გამსახურდია—გოეტეს ცხოვრების რომანი (ვაგრძელება)	50
მარტ. ბააზოვი—ფეთხაინი (რომანი, ვაგრძელება)	65
საფო მგებელი—გზა და გზა (რომანი)	92

გალ. ტაბიძის პოეტური მუშაობის 25 წელი

გალ. ტაბიძე—პირველი შაისი (ლექსი)	113
გ. ნატროშვილი—გ. ტაბიძე (წერილი)	114
გ. ტაბიძე—იდეა (ლექსი)	126
დავ. კლდიაშვილი, ვახილ ბარნოვი, გ. ქუჩიშვილი—გალაქტიონ ტაბიძის შესახებ	128

ადამიანები და ფაქტები

ბ. ბიბინიშვილი—კამო (ვაგრძელება)	136
--	-----

წიგნები და მწერლები

ზალვა რადიანი—„არსენა მარაბდელი“	157
მრ. ასტვაცატორი—„უწარდონი“	171

სალიტერატურო არქივი

ლემონ მელიქიძე-გაგი—იონათანი	181
იონათან ნაჭაში—ხოტბა საქართველოს კეკელუცებს (ლექსი. თარგ. ი. გრიშაშვილისა)	186

ქულტურის მათიანე

ბ. გამსახურდია—„ქართველი ზაღბის ისტორია“ ინგლისურ ენაზე	188
ირ. სოსლელაშვილი—ქართული ზელსაქვის ნიმუშ. გამოცემა	192
ბ. გოზალიშვილი—იყალთოს წყაროები	193